4. Before I establish the theory on spirantness of /**q̣**/, the relative portion of spirant component of /**q̣**/ should be discussed, as during determining the relative qualitiveness of affricates a feature "occlusive" is relevant. The consonants /**q̣**/ and /**q**/, as it is well-known, have element of occlusiveness as well as fricativeness. Just according to this feature their uniting in affricates' group seems to be more reliable. We think that the sequence of these elements is not essential, but for establishing qualitiveness and genesis it has an important role.

Thus, on the ground of abovementioned we should make a conclusion:

1. The consonants of acoustically and articulatory pharyngeal series /**q̣**/, /**q**/ should be considered as affricates and should be united in the third row in affricates' series like it is often acknowledged in the mountainous Iberian-Caucasian languages. In establishing their qualitiveness relevant features and composition of /**q̣**/ and /**q**/ consonants as well as core tendencies of their changing are determined.

2. According to articulation place, in the Georgian literary language and the dialects having no **q̣**, /**q̣**/ is a back-velar and in the dialects having **q** – it is upper-pharyngeal (resp. uvular). The viewpoint on opening of a pharyngeal zone should be specified in articulatory phonetics.

3. Actually, Kartvelian analogous picture is in the spirants' system of the mountainous Iberian-Caucasian languages with the difference that in some languages (e. g. in Adyghian) glottocclusive spirants

of secondary origin are attested. Besides this, in the mountainous Iberian-Caucasian languages we meet pharyngalized and intensive correlates of the analytical consonants, that complicate their system. Herewith, the existence of such correlatives speaks in favor of their affricatness.

References

- Ardotele 2000:** Ardotele, Nodar. Towards the transformation of **q** in the Iberian-Caucasian languages. *Kartvelian Heritage*, IV. Kutaisi (In Georgian).
- Ardotele 2009:** Ardotele, Nodar. Historical-comparative phonetics of the Avar-Andi-Dido languages. Tbilisi (In Georgian).
- Akhvlediani 1999:** Akhvlediani, Giorgi. Foundations of general phonetics. Tbilisi (In Georgian).
- Balkarov 1970:** Balkarov B. Phonetics of the Adyghian languages. Nalchik (in Russian).
- Bokarev 1959:** Bokarev, Evgeni. The Dido languages of Daghestan. Moscow (in Russian).
- Chargeishvili 1946:** Chargeishvili, Andro. Towards the issue of bio-mechanic of Georgian consonants **q** and **q**, III. №8. Tbilisi (in Georgian).
- Chikobava, Tsertsvadze 1962:** Chikobava, Arnold, Tsertsvadze, Iliia. The Avar language. Tbilisi (in Georgian).
- Chikobava 1967:** Chikobava, Arnold. The Georgian language. Moscow (in Russian).
- Chikobava 1979:** Chikobava, Arnold. Introduction to the Iberian-Caucasian languages. Tbilisi (in Georgian).
- Chrelashvili 2006:** Chrelashvili, Konstantine. Paradigmatic and distributive analysis of the Nakhian languages' consonants system. Tbilisi (in Georgian).
- Gamkrelidze 2000:** Gamkrelidze, Tamaz. Selected Kartvelological works. Tbilisi (in Georgian).
- Gamkrelidze 2001:** Gamkrelidze, Tamaz. Materials dedicated to the 100th anniversary of Varlam Topuria's birth. Tbilisi (in Georgian).
- Gaprindashvili 1966:** Gaprindashvili, Shota. Phonetics of Dargwa. Tbilisi (in Russian).
- Gudava 1964:** Gudava, Togo. Consonantism of the Andi languages. Tbilisi (in Russian).
- Gudava 1971:** Gudava, Togo. The Bagval language. Tbilisi (in Georgian).
- Imnadze 1974:** Imnadze, Natela. Towards classification of Megrelian consonants. – Issues of speech analysis. Tbilisi (in Georgian)
- Kodzasov 1986:** Kodzasov, Sandro. Pharyngeal-laryngeal narrowing in the Daghestanian languages. – Topical problems of Daghestanian-Nakhian linguistics. *Mahachkala* (in Russian).
- Lezhava 1984:** Lezhava, Ivane. Acoustic analysis of consonants in Svan (dissertation work) (Tbilisi).
- Lomtatidze 1976:** Lomtatidze, Ketevan. Historical-comparative analysis of the Abkhaz and Abaza languages, I. Tbilisi (in Georgian).
- Nebieridze 1972:** Nebieridze, Givi. Issue of a language essence. Issues of introduction of Linguistics. Tbilisi (in Georgian).
- Oniani 2003:** Oniani, Alexandre. Modern Georgian literary language. Tbilisi (in Georgian).
- Osidze 2001:** Osidze, Ekaterine. On pharyngeal consonants in the mountainous Iberian-Caucasian languages and Kartvelian. – Readings of Arnold S. Chikobava. XII. Materials. Tbilisi (in Georgian).

Rogava 1973: Rogava, Giorgi. Towards sound-correspondence in the Abkhaz-Adyghian languages. Ibero-Caucasica. XVII. Tbilisi (in Georgian).

Shanidze 1980: Shanidze, Akaki. Works in 12 volumes, v. III. Tbilisi.

Trubetskoy 1987: Trubetskoy, Nikoloz. Selected works on philology. Moscow (in Russian).

Trubetskoy 1926: Trubetskoy, Nikoloz. Studien auf dem Gebiete der vergleichenden lautlehre der Nordkaukasischen sprachen, I. "Caucasica". Leipzig.

Uturgaidze 1973: Uturgaidze, Tedo. Paradigmatic analysis of Georgian consonants. – Issues of speech analysis. IV Tbilisi (in Georgian).

Uturgaidze 1976: Uturgaidze, Tedo. Phonematic structure of Georgian. Tbilisi (in Georgian).

Uturgaidze 2003: Uturgaidze, Tedo. Niko Marr on Georgian phonemic system. – Journal of Gelati Academy of sciences, 2. Kutaisi (in Georgian).

Zhgenti 1949: Zhgenti, Sergi. Core issues of Svan phonetics (experimental research) Tbilisi (in Georgian).

Zhgenti 1956: Zhgenti, Sergi. Phonetics of the Georgian language. Tbilisi (in Georgian).

Zhgenti 1965: Zhgenti, Sergi. Issues of the Kartvelian languages' phonetics. Tbilisi (in Georgian).

Н. Ардотели (Тбилиси)

К классификации фарингальных согласных q и q в иберийско-кавказских языках

Резюме

Фарингальные согласные **q, q** наблюдаются как в картвельских, так и в горских кавказских языках.

В специальной литературе при классификации анализируемых согласных встречаются разные мнения: а) одни их считают смычными (resp. спирантоидами), б) другие относят фарингальные согласные к аффрикатам. В настоящее время актуально ставится вопрос о спирантности фарингальных фонем.

Автор этой статьи, с учетом данных всех иберийско-кавказских языков, приходит к следующему заключению:

1. Фонемы фарингального ряда **q, q** следует считать аффрикатами и внести их в группу аффрикатов. Во время установления способа образования важны как состав и признаки этих фонем, так и основные тенденции их трансформации.

2. По локальному ряду, в зависимости от разных иберийско-кавказских языков, **q** и **q** являются: а) заднеязычными, б) увулярными, в) фарингальными.

В некоторых кавказских языках, из-за наличия корреляции интенсивности, представлены пятеричные локальные ряды.

3. В горских кавказских языках система спирантов аналогична картвельским языкам с тем отличием, что в некоторых языках (напр., в адыгейском) наблюдаются абруптивные спиранты вторичного происхождения.

ც. ბარამიძე (თბილისი)

იბერიულ-კავკასიური ეთნოლინგვისტიკის საკითხები

1. უბიხური აჯენა

უბიხების რელიგიურ, სარწმუნოებრივ წარმოდგენებს საფუძვლად უდევს პოლითეიზმი წარმართული ღვთაებებით. იგი მოიცავს ცხოველთა, მცენარეთა, ციურ სხეულთა და ბუნების მოვლენათა კულტს. უმაღლეს ღვთაებათა შორის საყურადღებოა ღვთაება, რომელიც არის მსხვილფეხა საქონლის მფარველი.

ხარის კულტი უძველესია კავკასიელთა ყოფასა და ხატის მსახურებაში. ხარი წმინდა ცხოველია. ხეობა და ტყე, სადაც მსხვერპლშეწირვა ხდებოდა და სალოცავი იყო, წმინდა და საკრალურია. ასევე უძველესი მითოლოგიური წარმოდგენაა ხის კულტიც კავკასიელ ხალხთა ყოფაში. დღემდე შემორჩენილი ხის თაყვანისცემის ჩვეულება (ნატვრის ხე, ხეზე სხვადასხვა საგნის ჩამოკიდება ბატონებთან, საერთოდ, სურვილების აღსრულებასთან დაკავშირებით). ცნობილია, რომ ხატსალოცავები, შემდეგში ტაძარი, იმ წმინდა ხის ადგილზე იგება (მაგ., წარმართული ჭყონდიდის (მუხადიდი) ადგილას აღმართა მარტვილის ეკლესია).

მუხის კულტი წარმოადგენდა ერთიანი კავკასიური სწავლების – დრუიდიზმის – ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. დრუიდიზმი არ უნდა დავიყვანოთ მხოლოდ მუხის კულტამდე, მიუხედავად იმისა, რომ მუხა აქ ასრულებდა განსაზღვრულ როლს. დრუიდიზმის მსახურთა ფუნქციები გაცილებით ფართო იყო.

ტერმინის ეტიმოლოგიისათვის. პლინიუსის მიხედვით: ბერძ. drus/ „მუხა“, მეორე მარცვალის ინდოევროპული ძირი wid „ცოდნა“. 1. ინდოევროპული: გალური – druides < dru-wid-es ზედმიწევნით „განსწავლული“ < ლათ. „videre“, გოთ: witer, გერმ. wissert. კელტურში მეცნიერება და ტყე ომონიმებია.

კავკასიური დრუიდიზმი ასოცირდება კელტურ დრუიდიზმთან. დრუიდიზმის ქურუმები არიან ბუნების მაგიის მცოდნენი, ბუნებრივ მოვლენებთან, სულიერ ძალებთან მომუშავე ოსტატები. მათი მსახურების მთავარი ადგილი არის ტყე, ხეივანი, რადგანაც ხეები, მცენარეები ცხოვრების სტიქიის ცოცხალი განსახიერებაა. ბუნების ენერჯიების მართვა მათი ხელოვნებაა. მათი საყდარი ტყეა, სადაც ისინი აგებენ წმინდა ნაგებობა-სალოცავებს და იქ მართავენ ურთულეს რიტუალებს. დრუიდები თავად ირჩევდნენ შეგირდებს 21 წლის ასაკის შემდეგ. ტარდებოდა მოსწავლეთა კურთხევის რიტუალი. მოსწავლე ეუფლებოდა მაგიურ ხელოვნებას, 40-50 წლის ასაკის შემდეგ ეძლეოდათ კურთხევა. ჩერქეზეთში არსებობდნენ მებრძოლი დრუიდებიც, მათ ეკისრებოდათ ხალხის, ქვეყნის ბედი. ადიღეელი ხალხების ხსენებული მოძღვრება შეიცავდა მორალურ ფილოსოფიას. ეს ჩვენამდე პრაქტიკულად მცირედია შემორჩენილი და მათი სულიერება საკვლევი. მსხვერპლშეწირვა აუცილებელი კომპონენტია დრუიდების მოძღვრებაში.

ადამიანთა მსხვერპლშეწირვა კავკასიაში, განსხვავებით კელტებისაგან, არ დასტურდება. დრუიდების კოსმოლოგიაა: მიწა, ზღვა და ცა. ხე, როგორც საკრალური სიმბოლო, წარმოადგენს კავშირს მიწასა და ცას შორის. სარიტუალო იარაღებად იყენებენ ნამგალს, ცელს, ხის ტოტს, ტოტს ზარებით (აფხაზეთში), ცხოველის ტყავს, ხის ტყავს. დრუიდს ამ ტყავში უნდა დაეძინა, რათა ხარის სულს მისთვის მიეცა წინასწარმეტყველური ხედვის უნარი. მცენარეთა ტოტებს შორის გავრცელებული იყო ფითრის, როგორც შხამიანი მცენარის გამოყენება. რიტუალის დროს გამოიყენებოდა მუსიკალური ინსტრუმენტები. ცერემონია სრულდებოდა პირველ ნოემბერს, პირველ თებერვალს, პირველ მაისს. რიტუალის კომპონენტებს ტაბუ ედო. წმინდა ცხოველებად მსხვერპლშეწირვისთვის გამოიყენებოდა: ძროხა, ხარი, თხა – რქიანი საქონელი (სხვა ხალხებში გამოიყენებოდა ცხენი, ყვავი, დაკოდილი ტახი, გველი, ირემი, ორაგული) (ბარდაველიძე, 2010). უბიხური საკულტო მსახურების მთავარი ტერმინი დაკავშირებულია სწორედ შესაწირავი ცხოველის სახელთან. მსხვერპლშეწირვა იყო პოპულარული. ხის ძირში მიჰქონდათ ყველაფერი მსხვერპლშეწირვისა და საზეიმო ტრაპეზისათვის. მიჰყავდათ ორი თეთრი ხარი/ძროხა. ქურუმი თეთრებში იყო ჩაცმული, ძვრებოდა ხეზე, ნამგლით ტოტს ჭრიდა და შემდგომ სწირავდნენ შესაწირავს, აღავლენდნენ ლოცვას ღვთაებებისადმი.

უბიხები ღვთაება **ა-ხენ-ა-ს < ა -ჯენ** - (ა - განსაზღვრულობის პრეფიქსი) წარმოიდგენდნენ ძალმოსილი მწყემსის სახით, კომბლით ხელში. ის ითვლებოდა ყველაზე პატივცემულ ღვთაებად. დრუიდიზმი გავრცელებული იყო ჩერქეზეთის ტერიტორიაზე, მათ შორის, უბიხეთში. იგი გულისხმობდა წმინდა ხეივნის არსებობას, სადაც ადამიანები მიდიოდნენ თავიანთსაცმად და სავედრებლად. ამავდროულად, წმინდა ხეივნები მასობრივი შეხვედრებისა და ზეიმების ადგილი იყო. სწორედ ამიტომ დრუიდიზმმა შეინარჩუნა ჩერქეზეთის კონფესიური თვითყოფადობა (ავრბა, 2004) უბიხეთში არსებობდა ბევრი წმინდა ადგილი, რომლებიც ატარებდა ახენა - მფარველის სახელს. ხანი გირეი დაწვრილებით აღწერს მფარველ ღვთაებას. აღწერა შეიცავს საინტერესო ინფორმაციას არა მარტო ახენა – ძროხის შესახებაც, არამედ გვაძლევს ნათელ წარმოდგენას ტოპონიმების შესახებაც, რომელმაც საფუძველი დაუდო უბიხურ საზოგადოებებში გვარების გენეალოგიას. ახენა - ძროხის მსხვერპლშეწირვის რიტუალს აქვს საინტერესო ისტორია. გადმოცემის თანახმად, ადიღეელები თავს დაესხნენ უბიხებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ახენას ხეივნის მიმდებარე ტერიტორიებზე, რომელიც არის მდინარე შასეს სათავეში. სახელში ბრუნდებოდნენ ნადავლითა და ტყვეებით. დასასვენებლად ჩამოსხდნენ და გამხიარულდნენ. ისინი აიძულებდნენ ტყვეებს, ეცეკვათ. ერთ-ერთი ორსული ქალი იხვეწებოდა, თავი დაენებებინათ, მაგრამ პასუხად მხოლოდ დასცინოდნენ. გულში წამოიძახა, ო, ახენ, ძალით ვცეკვავ! გადმოცემა გვეუბნება, რომ ღმერთი მის საშველად მოვიდა და დასაჯა ისინი. სიკვდილის შიშით ერთ-ერთმა სთხოვა, შეებრალეებინა იგი, სანაცვლოდ შეჰპირდა, რომ ყოველ სამ წელში შესწირავდა წმინდა ხეივანს ძროხას. ამან სათავე დაუდო ტრადიციულ ზეიმს – მსხვერპლშეწირვის მსვლელობას. ამ დღესასწაულთან უბიხებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ. ახენის – ძროხის გზა გადიოდა უბიხურ მიწებზე – საშეს, ვარდანის საზოგადოებებში და მთავრდებოდა ახენის ხეივანში. აქ უბიხები მიდიოდნენ თავშიშველი, ღამაზ სამოსელში, მიჰყავდათ შავი თხები ახენის ძროხასთან ერთად შესაწირად. წმინდა ხისა და ხეივნის კულტი შემონახული იყო მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე. მას შემდგომში შეერწყა ქრისტიანობა. ამ ხეივნებში

ადიმართა ქრისტიანული ჯვრები. უბიხები იცავდნენ, ამასთანავე, ძველ, ტრადიციულ კულტურას. დრუიდიზმი უძველესი მოძღვრებაა, სწავლებაა. ის ჩვენამდე პრაქტიკულად არც შემორჩენილა. ჩერქეზი ქალბატონი თამარ უჯუხუ აღნიშნავს, რომ ბუქდულეთში მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში სრულდებოდა ხის კულტის რიტუალი, მაგალითად, წვიმის რიტუალი, რომელიც ერთ-ერთი ნაწილია ამ მოძღვრებისა. კვლევით ვლინდება, რომ დრუიდიზმი უძველესი დროიდან დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ჩრდილოდასავლეთ კავკასიისა და კოლხეთისათვის. მისი კვალი დღესაც ჩანს სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდის, გალის, ჩხოროწყეს, წაღენჯიხის სოფლებში, უფრო მთიან რეგიონში. მეგრული ხერხუნჯი (ხელმხარი – ამ ტერმინში **რ** და **ნ** განვითარებულია, **ხე** – ქართ. ხელი, **ხუჯი** – ქართ. მხარი). გავისხენოთ ქართულ ფოლკლორში – **ხელმხარი** და **ხეაგრიელი** – სარიტუალო სიმღერა. მეგრული **ხერხუნჯობა** – ხელმხარობა (მაგ., ხერხუნჯი მუჟამ გიღუნა – ხელმხარობა როდის გაქვს?) სრულდება ძველით ახალ წელს მუხის ან სხვა ხესთან, თუ მუხა არ არის. ოჯახის უფროსი ღოცავს არამარტო თავისი ოჯახის წევრებს, არამედ მისი მამისა და ბაბუის შთამომავლებს. რიტუალი ქრისტიანიზებულია, ღოცვა სრულდება უკვე წმინდა გიორგის სახელზე. ღოცვა ეხება ოჯახის ან რამდენიმე ოჯახის დალოცვას ჯანმრთელობისთვის. ინფორმატორი რევაზ აბაშია (გალის რაიონი) იხსენებს, რომ მის ოჯახშიც ტარდებოდა და ახლაც ტარდება ამგვარი რიტუალი. საკრალურ ხესთან მიჰქონდათ: ჭვიშდარი, სანთლები, ღვინო, ბურვაკის გულ-ღვიძლი. მხოლოდ მამაკაცები მიდიოდნენ წმინდა ხესთან, ხესთან ანთებდნენ სანთლებს, ნახევარწრეზე დააყენებს ოჯახის უფროსი რიტუალის მონაწილეებს. იქვე ხის ძირში ქვაზე ან კუნძზე დევს გრდემლი და ქურა, რითაც ხეს (უკვე წმინდა გიორგის) შესთხოვს ფიზიკურ ძლიერებას ანუ ჯანმრთელობას: სამას სამოცდახუთი დღის მადლმა, წმინდა გიორგი, მიეცი ჯანმრთელობა ამ ოჯახის და ამ გვარის (ოჯახის) შვილებს. მოილოცავს ოჯახის უფროსი, ადგილზე დაატრიალებს სამჯერ რიტუალის წევრებს.

კავკასიაში ხის თაყვანისცემა ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი. ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, რომ ჩერქეზეთში, კერძოდ, შაფსულეთში **ადიხეყოს** მიდამოებში დიდი პატივით სარგებლობდა **თხამახის** ხეივანი, რომელიც შედგებოდა ცაცხვისა და ჭადრისაგან, რომელთა სიმაღლე აღწევდა თხუთმეტ საუკუნს და დიამეტრით 1, 5 არშინი იყო. XIX საუკუნეში ხე თაყვანისცემის საგანი იყო ყველა ხალხში (კამენვეი 1966). საკულტო ხესთან მიჰყავდათ გაძიძაგების დროს ბავშვი, ერთი წლის ასაკამდე და აშიშვლებდნენ, რაც წარმოადგენდა ხისგან ბავშვის დაბადების იმიტაციას. ასეთი ხე – მშობელი ხე - მფარველი იყო და ტოტემის მნიშვნელობა ჰქონდა. გ. ჩიტაია განიხილავს სიცოცხლის ხის მოტივის ლაზურ ორნამენტებში (ჩიტაია 1941). ვერა ბარდაველიძე პარალელს ავლებს ზანურსა და სვანურს შორის. სვანურში ხის ორივე მხარეს ორი თხის ფიგურაა გამოხატული. მისი აზრით, ეს პარალელს ავლებს აღმოსავლურ (მსოფლიო) ხის მოტივთან, ანუ ცხოვრების ხესთან. ჩვენი აზრით, ამასვე უნდა უკავშირდებოდეს ბიბლიური ედემის ხე - გნოსელოგიური ხე.

ზანურ-სვანურ ორნამენტებში კარგადაა წარმოდგენილი და შენარჩუნებული ხე ცხოველებით. თავდაპირველი მნიშვნელობა მას დაკარგული აქვს. ტეობაერდის (ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრის თიხის ფირფიტაზე გამოხატულია მაღალი პალმის ხე ორი ცხოველის ფიგურით. ვერა ბარდაველიძე მიიჩნევს, რომ ხევისურებისა და ფშავლების საწესჩვეულებო გუნდური სიმღერა წმინდა დროშაზე მიუთითებს ხის კულტის უფრო ძველ საფეხურზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და, ამავდროულად, ადაღვენს ასტრალური ღვთაებების პანთეონში მათ ფორმასა და მთლიან კონცეფციას (ბარდაველიძე 2010). გავისხენოთ ჩიხილაკი გურულში, რომელიც სწორედ ხის კულტის ანა-

რეკლი უნდა იყოს. ქართულ სინამდვილეში ვაზის კულტის ხესთან იყო დაკავშირებული. საქართველოში, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში ქართული საწესჩვეულებო სიმღერები მითოლოგიურ საწყისებზეა აგებული, შეიცავს ღვთაებების სადიდებელს, მათ შორის, ხის კულტის მსახურება ერთ-ერთი უძველესია, იმდენად ძველი, რომ ქართველურში, კერძოდ, ზანურში, **ჯყონის** (მუხის) შესატყვისი მხოლოდ ტოპონიმმა შემოგვინახა (არნ. ჩიქობავა). (ლექსემა **მუნა** საერთოკავკასიურია. ქართველური ენების დიფერენციის საწყის ეტაპზე, **ჯყონდიდის** კულტი არსებობდა. იგი წარმოადგენდა საერთო იბერიულ-კავკასიური ეთნოკულტურის ნაწილს. ადიღურ ეთნოსებში დრუდიზმის, როგორც ხისადმი საკულტო თაყვანისცემის, როგორც ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო მოძღვრების ბოლო დრომდე შენარჩუნება ასევე ადასტურებს მის სიძველეს. სარიტუალო ხეივნის ტერმინი **ახენ** აღდგება საერთო იბერიულ-კავკასიურ დონემდე და იგი დაკავშირებულია ამ საკულტო ხეივანში ცხოველის – ძროხის მსხვერპლშეწირვასთან. **ა-ხენ** მსხვილფეხა საქონლის მფარველია. უბიხების პოლითეიზმი მოიცავს ცხოველთა, მცენარეთა, ციურ სხეულთა და ბუნების მოვლენათა კულტს. უბიხური **ა-ხენ** ძალმოსილი მწყემსის სახით წარმოედგინათ. ის ითვლებოდა უბიხთა წინაპრად და ყველაზე პატივცემულ ღვთაებად.

მიგვაჩნია, რომ დრუდიზმის აღმნიშვნელი ტერმინი უბიხურში **ა-ხენ** საერთო იბერიულ-კავკასიური ძირია „ხარის“ მნიშვნელობით, სემანტიკური გადაწვეით **ხარი ~ ძროხა** და ნ/რ მონაცვლეობით, რომელიც დასტურდება როგორც ქართველურ ენებში, ასევე მთის კავკასიურ ენებში (ქართველური აღდგენილი სახელური ფუძე არის *ჯან, ქართ. ზანური: **ხარ** – : ხოჯ – *ხარ; მო-გ-ხან ნასახელარი ზმნაა, სვან. ჯან „ხარი“; ჯან – *ხენა“, ქართ. ჯან – ხარ, ზან. ხონ – /ხოჯ– (*ხორ).

სპირანტ ხ-ს შემცველი ძირი (**ხVნ**) მნიშვნელობით „ძროხა~ხარი“ დასტურდება დაღესტნურ, ნახურ და აფხაზურ-ადიღურ ენებში. ამავე ძირის აფიქსური სიტყვაწარმოება **მჯნე** პირვანდელი მნიშვნელობით „მხვნელი“ (არნ. ჩიქობავა) სახელური დერივაციის შემდგომ ეტაპს ასახავს და მნიშვნელოვან პარალელებს წარმოგვიდგენს დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებში.

საერთო-ქართველური **ჯ** : საერთო-ნახური **ჰ** ფონეტიკური შესატყვისობები წარმოადგინა მ. ჩუხუამ. მას ასევე კანონზომიერად მიაჩნია საერთო-ქართველური **რ** : და საერთო-ნახური **ლ-ს** შესატყვისობებიც. კანონზომიერია სემანტიკური მიმართება „**ხარი ~ ძროხა**“ (მ. ჩუხუა).

საერთო-ქართველური **ჯ**: ბასკური **ჰ** დაკავშირება (ხარი : ჰარ) „ბულა“, „ხვადი“, „მამრი“ და ამ ძირებიდან ნაწარმოები იზომორფები *სა-**ჯარ-ე** „ხარების გასარეკი შოლტი“, ბასკური საპარო „შოლტი“ (მ. ქურდიანი) კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ **ჯარ-ჯან** ძირი საერთო იბერიულ-კავკასიური ძირია. ფარინგალის სპირანტიზაცია ამ ძირში მეორეულია და გამოწვეული უნდა იყოს არტიკულაციის გადაწვეით და ფარინგალთა რიგის მოშლით ამ ენებში.

ამგვარად, უბიხური **ა-ხენ** < **აჯენ** საერთო იბერიულ-კავკასიური, შეიძლება ითქვას, პალეოკავკასიური ძირია. უბიხებში იგი გამოყენებული იქნა დრუდიზმის აღსანიშნავად.

ლიტერატურა

არაბული 2001: ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში. თბილისი.

Агрба 2004: Агрба Б.С., Хотко С. Х., «Островная» цивилизация Черкесии. Черты историко-культурной самобытности страны адыгов. Майкоп.

Бардавелидзе 2010: Бардавелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси.

Бгажноков 2010: Бгажноков Б., Адыги, Тбилиси.

Званба 1955: Званба С., Зимние походы убыхов на Абхазию. Этнографические этюды. Сухуми.

Дубровин 1927: Дубровин Н., Черкесы (Адыге). Краснодар.

Сефербеков 2006: Сефербеков Р. Верховные Боги народов Северного Кавказа (сравнительно-сопоставительный анализ общего и особенного) //Научная мысль Кавказа №1.

Хафизов 2010: Хафизов М. Г. Убыхи. Ушедшие во имя свободы. Нальчик.

Vogt 1963: Vogt H. Dictionaire de la langue Oubykh. Oslo..

Каменев 1866: Каменев Н. Урочище Адыхекко « Кубанские Областные Ведомости» №43, 47s.

Ts. Baramidze (Tbilisi)

Issues in Ibero-Caucasian ethnolinguistics

1. On the term *aqyna* in Ubykh

Religious beliefs of Ubykhs have been based upon polytheism with pagan deities. It comprises the cults of animals, plants, celestial bodies, and natural phenomena. Among the supreme deities, the patron of cattle is noteworthy.

The bull cult has been one of the ancient in Caucasian peoples' of life and religious practice. The bull is a sacred animal. The valley and the forest, where sacrifice was performed and where a temple was situated, were sacred and holy. The tree cult has also been one of the ancient mythological beliefs in the way of life of Caucasian peoples. Some customs of tree worship have reached our days (Tree of Wishes; to hang various things on a tree due to a child's infectious disease, and one's wishes, at large). It is common knowledge that temples, later churches, were erected on the location of the holy tree (for instance, at the place, where pagan Chkondidi (Big Oak) stood, the Martvili Church was erected).

The oak cult was one of the most significant of the common Caucasian doctrine – Druidism. Druidism should not be deemed only to the oak cult. Irrespective of the fact that the oak performed a definite role within it, the functions of the servants of Druidism were much wider.

On the etymology of the term. According to Pliny's etymology, Gr. **drus**/ "oak", the second syllable is the Indo-European root **wid** 'knowledge.' 1. Indo-European: Gaulish – **druides** < **dru-wid-es**, literally, 'educated' < Lat. **videre**, Goth. **witar**, Ger. **wisser**. In Celtic, the words for science and forest are homonyms.

Caucasian Druidism has been associated with Celtic Druidism. Druid priests had command of the magic of nature; they were masters who worked with natural power, spiritual forces. They served in forests as far as trees and plants were a vital representation of the element of life. To control energies of nature was their art. Their temple is the forest where they construct sacred sites, where they perform very complex rituals. Druids selected their apprentices by themselves after the age of 21. They held the ritual of their blessing. Apprentices studied the art of magic, and, after the age of 40-50, they were blessed. In Circassia, there were militant druids. The fates of the country and the people were up to them. The said doctrine of the Adyghe peoples contained the moral philosophy. Practically, very little of it has reached us, and, thus, their spiritual life has to be made a subject of study. Sacrifice has been a necessary component in the druid doctrine.

As different from Celts, human sacrifice has not been evidenced in the Caucasus. Druid cosmology: earth, sea, and sky. Tree, as a sacred symbol, is a connection between earth and sky. Tools, used in rituals, were a sickle, a scythe, a tree bough, a bough with bells (in Abkhazia), leather, tree skin. A druid was to sleep dressed in the leather, in order to let the spirit of the bull give him the gift of prophecy. Among the plant boughs, the most widespread was the use of mistletoe as a venomous plant. Musical instruments were used during the ritual. The ceremony was performed on November 1, on February 1, on May 1. Components of the ritual were tabooed. Among the sacrificed animals, the following were used: cow, bull, goat –

horned animals (other peoples used horse, crow, castrated boar, snake, deer, salmon) (Bardavelidze, 2010). The main term of the Ubykh cult service has been associated with the name of a sacrifice animal. Sacrifice was a popular practice. Everything for sacrifice and ceremonial repast was taken to the bottom of a tree. Two white bulls/cows were brought. A priest was dressed in white; he used to climb the tree, cut a bough with a sickle, and then the animals were sacrificed, and they prayed to their deities.

Ubykhs conceived of the deity *a-qy-n-a* (< **a-qyn-* (-a is a definiteness prefixal marker) in the image of a mighty shepherd carrying a cudgel. He is considered to be the most respected deity. Duiridism was spread throughout the territory of Circassia, and in the land of Ubykhs among them. It comprised the presence of an alley where people went to in order to worship and entreat. Simultaneously, sacred allies were a site for mass encounters and festivals. It was due to this that Druidism preserved the confessional self-identity of Circassia, as B. Agrba writes. In the land of Ubykhs, there were a lot of sacred sites carrying the name of Akhana, as that of the patron. Khan-Girei provides a detailed description of the patron deity. The description contains interesting information both about Akhna – the cow, and a clear picture concerning the place-names, having been a source for the genealogy of surnames in Ubykh community. The sacrifice ritual of Akhna-cow has an interesting history. According to the legend, Adyghes raided Ubykhs, inhabiting the territories adjacent to the Akhna Alley, situated at the mouth of the river Shase. They were going back home with trophies and slaves. They sat down to have a rest and had some fun. They made slaves dance. One of the pregnant women begged them to let her alone but they only laughed at her. She is said to silently utter, “Oh, Akh, they make me dance!” The legend says that the god came to save her and punished them. Frightened to death, one of them begged to mercy him and promised that every third year he would sacrifice a cow to the holly alley. It started the traditional festival – sacrifice procession. Ubykhs had a particular attitude to the festival. The Akhna-cow way passed the lands of Ubykhs – Sashe and Vardan communities and finished in the alley of Akhyn. Ubykhs went there, wearing no hat and dressed in beautiful clothes; they took black goats to be sacrificed together with an Akhna cow. The cults of the holly tree and the holly alley were preserved till the earlier half of the 19th century. Later, it merged with Christianity. Christian crosses were erected in the allies. Meanwhile, Ubykhs kept the old, traditional customs as well. Druidism is an ancient doctrine. It has not reached us practically. The ethnic Circassian lady Tamar Ujukhu says that, in the land of Bzhedugs in the 1970s, the ritual of the tree cult was performed, and, besides, a rain ritual, being one of the constituents of the doctrine. Studies reveal that Druidism must have been peculiar to the North-Western Caucasus and to Colchis since ancient times. Its traces are still detectable in Samegrelo, viz. in the villages of Zugdidi, Gali, Chkhorotsku, Tsalenjikha, mostly in highland places. The Megrelian **Kherkhunji** (‘hands and shoulders;’ the **r** and **n** are later emergences; *xe* ‘hand,’ *xuj* ‘shoulder’ (there are similar terms some ritual songs in Georgian folklore corresponding to their Megrelian counterpart: *xelxunji mužam giḡuna?* ‘When do you have hands and shoulder anointment ritual?’)). It is performed on the old style New Year’s Day at the oak tree, or some other tree if there is no oak. An elder of the family blesses both his family members and descendants of his father and grandfather. The ritual is Christianized; the prayer ends in the name of St George. The prayer is to bless one or several families for health. The informer Revaz Abashia (Gali District) recalls that his family used to perform the ritual and still do. They brought the following to the sacred tree: *chvishdari* (corn bread with cheese), candles, wine, pig haslets. Only men went to the holly tree; they lit candles; an elder of the family used to arrange participants of the ritual along the semi-circle. At the bottom of the tree, either on a rock or a log, an anvil and furnace are laid, with which, he entreats the tree (already St George) to give physical strength and health: By the grace of three hundred and sixty-five days, St George, give health to this family and to children of this surname (family) – this is how an elder of the family prays, making the participants of the rituals turn around three times. The tree worship was preserved in the Caucasus till recently. Vera Bardavelidze notes that, in Cir-

cassia, specifically, in the land of Shapsugs, around **Adikheqo**, the Tkhamakh Alley was greatly respected, containing lime-trees and plane-trees with the height of about thirty-two meters and diameter of one hundred and six centimeters. In the 19th century, the tree was an object of worship in all peoples (Kamenev, 1966).

The worship tree was the place where a baby was brought before s/he was given a wet-nurse; s/he was brought there under the age of one year and got naked, symbolizing as if s/he was born by the tree, that is, the imitation of the birth from the tree. Such a tree – a parent tree – was a patron and carried a meaning of a totem. G. Chitaia considers the motivation of the life tree in Laz ornaments (Chitaia, 1941). Vera Bardavelidze draws a parallel between Zan and Svan. In Svan, there are two figures of goats on both sides of the tree. In her opinion, it has parallels with the oriental tree motif, that is, the tree of life. In my opinion, it must be also associated with the tree in the biblical Eden, that is, the gnoseologic tree.

Zan and Svan ornaments preserve and well demonstrate a tree with animals. It has lost its original implication. The clay plate, preserved at Tqobaerd (Ingushetia) Christian church, portrays a high palm tree with two figures of animals. V. Bardavelidze assumes that the Khevsur and Pshav ritual isochoric song about the holly flag points to the earlier stage of the tree cult in highland provinces of Eastern Georgia, and, simultaneously, reconstructs their form and integral concept in the pantheon of astral deities (Bardavelidze, 2010: 59). If we remember Chichilaki (Georgian Christmas tree, carved from branches of a walnut tree) from Guria, it can be easily associated with the tree cult. In Georgian reality, the vine cult was associated with tree. Both in Eastern and Western Georgia, Georgian ritual songs are founded upon mythological bases; they contain the glory to deities. Among them, the worship to the tree cult has been so ancient that the Kartvelian correspondent of the word for oak has only been preserved in a Zan toponym **č'q'oni** (Arn. Chikobava). The Georgian word **muxa** is common Caucasian. At the starting stage of the divergence of the Kartvelian languages, there was the cult of **Chkondidi** (**Č'q'ondidi**). It was a part of the common Ibero-Caucasian ethno-culture. In Adyghean ethnoses, the preservation of Druidism, as the cult worship to the tree, as a philosophical and religious doctrine, also attests to its old age. The ritual term **axn** is reconstructed at the common Ibero-Caucasian level and is associated with the sacrifice of an animal -- a cow in the cult alley. **A-xn** is a patron of cattle. Ubykhs' polytheism contains the cults of animals, plants, celestial bodies, and natural phenomena. The Ubykh **a-xn** was assumed as a mighty shepherd. He was considered the ancestor of Ubykhs and the most respected deity.

I consider that the Ubykh term for Druidism **a-xen** is a common Ibero-Caucasian root, meaning 'bull,' having resulted from the semantic shift: bull ~ cow, and the **n/r** alternation, being evidenced both in Kartvelian and North Caucasian languages (the Kartvelian reconstructed stem is ***qan**, Georgian Zan: **xar-xoj** - ***xar**; **mo-v-xan** 'I ploughed' is a converted verb, Svan **qān** 'bull': **qan** 'to plough,' Georgian **qan** – **xar**, Zan **xon-** /**xoj-** (***xor**).

The root (**x^vn**), consisting of the spirant **x**, meaning 'bull,' 'cow,' has been attested in Daghestanian, Nakh, and Abkhazian-Adyghe languages. The derivative of the same stem **mxne**, with its original meaning 'ploughman' (Arn. Chikobava), represents a later stage of nominal formation and finds significant parallels in the rest of Ibero-Caucasian languages.

The Common Kartvelian **q** : Common Nakh **ʒ** sound correspondences were provided by M. Chukhua. He also assumes the regularity of the correspondence of Common Kartvelian **r** and Common Nakh **l**. Their semantic relations are regular 'bull -- cow' (M. Chukhua).

The association of the Common Kartvelian **q** and the Basque **h** (**xari** – **har** 'bull,' 'male') and the isomorphs, derived from those roots -- Georgian ***sa-qa-re** 'rod for bulls,' Basque **saharo** 'rod' (M. Kurdiani) re-confirm the fact that the **qar-/xan-** is a Common Ibero-Caucasian root. The spirantization of

the pharyngeal consonant in the root is a secondary phenomenon and must be caused by the articulation shift and, hence, the disappearance of the row of pharyngeals in the languages in question.

Thus, the Ubykh **a-xyn** < **aqyn** is a Common Ibero-Caucasia, one may even say, a Palaeo-Caucasian root. Ubykhs used it to refer to Druidism.

References

Arabuli 2001: Arabuli A., "Problem of verbal and nominal stem-forming in the Kartvelian languages", Tbilisi.

Agrba 2004: Agrba B., "Island" civilization of Circassia: Features of historical-cultural life of the Adygeans' country", Maikop,.

Bardavelidze 2010: Bardavelidze B., "Ancient religious faith and ritual graphical culture of the Georgian tribes", Tbilisi,.

Brazhnikov 1955: Brazhnikov B., "The Adygeans", Tbilisi, 2010. "Ethnographic studies", Sukhumi,.

Dybrovin 1927: **Dybrovin H.**, "The Circassians (Adyghe)", Krasnodar,.

Seferbekov R., "Supreme deities of the North Caucasian peoples (comparative analysis of common and peculiar)", "Scientific thinking of the Caucasus", N1, 2006.

Khapizov 2010: **Khapizov M.**, "The Ubykhs", Nalchik.

Vogt 1963: Vogt H. Dictionaire de la langue Oubykh. Oslo..

Kamenev 1866: Kamenev, H. Урочище Адыхеко «Кубанские Областные Ведомости» №43 47s

Ц. Барамидзе (Тбилиси)

Иберийско-кавказская этнолингвистика (термин *aquna*, обозначающий друидизм в убыхском языке)

Резюме

В статье рассмотрена этимология божества *a-xep*, выделяющегося среди высших божеств убыхов. *aquna* является покровителем крупного рогатого скота. Политеизм убыхов содержит в себе культ животных, растений, небесных тел и явлений природы. Убыхского *aquna* представляли себе в виде могущественного пастуха. Он считался предком убыхов и самым почитаемым божеством.

aquna являлся термином, обозначающим друидизм. Друидизм, распространенный на территории Черкессии, в том числе среди убыхов, подразумевал существование святой долины, куда люди направлялись для поклонения и молитвы.

В статье описаны этнолингвистические основы друидизма.

По преданиям известно, что убыхское *aquna* «корова» – культовую корову вели на жертвоприношение в «святую долину» *a-qən* – «коровья дорога» проходила по убыхским землям и заканчивалась «в святой долине Ахина». Культ святого дерева и святой долины сохранился у убыхов до середины 19-го века.

В статье высказано мнение, что термин *a-qən*, обозначающий в убыхском друидизме, имеет общий иберийско-кавказский корень со значением «бык», с семантическим перетягиванием (передвижением) бык ~ корова и заменой *n/r*, которая подтверждается как в картвельских языках, так и в горско – кавказских языках (восстановленный картвельский именной корень основа **qan*, в груз. занский: хар - : ходж – *хаг; мо-*v*-хап (вспаху) именной глагол, сван. хап «хаги (бык)»: хап – «х*v*на (вспашка)», груз. хап – хаг, зан. хоп - / ходж– (←*хор)).

Корень (основа), заменяющий спираント *x* (*x' n*) со значением «корова-бык», подтверждается в дагестанском, нахском и абхазско-адыгских языках. Аффиксное словообразование с тем же корнем (основой) *mxne* с первоначальным значением «*mxvneli* (пахарь)» (Арн. Чикобава) отражает последующий этап именной деривации и представляет собой важную параллель с остальными иберийско-кавказскими языками.

Общекартвельское *x* : общенахские фонетические соответствия *x_л* были представлены М. Чухуа. Он также посчитал закономерным соответствия общекартвельского *r*: и общенахского *l*. Закономерно также семантическое отношение «бык-корова» (М. Чухуа).

Общекартвельское *f* : баскское связное *h(x)* (бык : *h(x)ap*), «буга (бугай)», «*xvadi*» (самец)», «*tamgi* (самец)» и изоморфизмы, произведенные от этих корней (основ) **sa-xar-e* «бич для выгона быков», баскское «*šolti* (бич)» (М. Курдиани) еще раз подтверждает то, что корень (основа) *хаг-хап* является общекавказским корнем (основой). Спирантизация фарингала в этом корне (основе) вторична и должна быть вызвана перетягиванием (передвижением) артикуляции и нарушением ряда фарингалов в этих языках.

Таким образом, убыхское *a-qən* – это общий иберийско-кавказский, можно сказать, палеокавказский корень (основа). В убыхском языке он был использован для обозначения друидизма.

მ. კვაჭაძე (თბილისი)

თათები სოფ. გომბორის ეთნოლინგვისტურ კონტექსტში

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. მოსახლეობის ეროვნული სიჭრელე განპირობებულია სხვადასხვა პერიოდში მიმდინარე მიგრაციული პროცესებით. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საქართველოს ეთნიკურმა შემადგენლობამ XIX-XX საუკუნეებში, ვინაიდან აღრინდელ, სამხედრო-პოლიტიკური მიზნებით განპირობებულ, ფაქტორებს დაემატა ეკონომიკური პირობებით გამოწვეული მიგრაციული პროცესებიც. საქართველოში მცხოვრები არაავტოქტონური მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ რეალურად ამ ეროვნების მოსახლეობას ბევრად სჭარბობს მათი რიცხვი, რომელნიც მშობლიურ ენად აზერბაიჯანულს აღიარებენ და აზერბაიჯანელებად იწერებიან (ჯაოშვილი 1984, 210, 213, 232). ამ თვალსაზრისით, გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენი ყურადღება მიიქცია საგარეჯოს რაიონის სოფ. გომბორში მცხოვრებმა ირანულენოვანმა ეთნოგრაფიულმა ჯგუფმა. ამ ჯგუფის წარმომადგენლები საკუთარ თავს „ლაიჯებს“ უწოდებენ, ხოლო თავიანთ სამეტყველო ენას – „ლაიჯურს“. ეს მეტყველება თათური ენის მუსლიმური დიალექტის კილოკავს წარმოადგენს (კვაჭაძე 1982).

თათები აზერბაიჯანის კასპისპირა რაიონებში, დაღესტნის სამხრეთ ნაწილსა და ირანში მცხოვრები ხალხია. სარწმუნოების მიხედვით, ისტორიულად, იყოფიან სამ ჯგუფად ესენია: იუდეველი თათები, მუსლიმი თათები და გრიგორიანი (სომეხი) თათები (მილერი 1929; გრიუნბერგი, დავიდოვა 1982, 231).¹ თათური ენა მიეკუთვნება ირანულ ენათა სამხრეთ-დასავლურ ჯგუფს და თავისი გრამატიკული წყობითა და ლექსიკური შემადგენლობით სპარსულ და ტაჯიკურ ენებს უახლოვდება (მილერი 1905; მილერი 1907; გრიუნბერგი 1961; 107-108; გრიუნბერგი, დავიდოვა 1982; 232).

ცნობილია, რომ ირანულენოვანი ხალხების დიდი ნაწილი ისტორიული, კულტურულ-რელიგიური, პოლიტიკური, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული და სხვა პირობების გამო ორ და მრავალენოვან სიტუაციაშია მოხვედრილი, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მათ ენობრივ ცხოვრებას და ეროვნულ თვითშეგნებას. მუსლიმი თათების ენა (იუდეველი თათებისაგან განსხვავებით) უმწერლობა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განსახლებული თათებისათვის განათლების, კულტურის, ოფიციალური ურთიერთობების ენა აზერბაიჯანულია, იგი ღრმად არის შეჭრილი აგრეთვე საყოფაცხოვრებო და საოჯახო ურთიერთობებშიც. აზერბაიჯანში მცხოვრები თათების ორენოვნობა საყოველთაო ხასიათს ატარებს, მუსლიმი თათების უმრავლესობა მშობლიურ ენად აზერბაიჯანულს ასახელებს და თავსაც აზერბაიჯანელად თვლის (გრიუნბერგი 1963 : 6-7; რასტორგუევა 1964; ნაროდი 1962 : 181). აზერბაიჯანელებად იწერებიან გომბორელი ლაიჯებიც.

¹ ჩვენს წერილში შევეხებით მხოლოდ მუსლიმ თათებთან დაკავშირებულ საკითხებს.

როგორც აღვნიშნეთ, ენა, რომელზედაც გომბორელი ლაიჯები მეტყველებენ.¹ თათური გახლავთ, მაგრამ თავად ამ ენის მატარებლები კატეგორიულად უარყოფენ თავიანთ თათობას და ენის თათურობას. საერთოდ გომბორელ ლაიჯებს თავიანთ წარმომავლობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, საქართველოში გადმოსახლების გამო ყვებიან, რომ XX საუკუნის 10-20-იანი წლებიდან უმიწობამ, უსახსრობამ და უმუშევრობამ დაატოვებინა გეოგრაფიის (ზოგიერთის თქმით, შემახის) მაზრის სოფელი, ლაჰიჯი.² საკუთარი ისტორიისა არაფერი იციან, ლაიჯური გადმოცემებიც ნელ-ნელა იკარგება (კვაჭაძე 1988 : 6).

საგულისხმოა, რომ გომბორში მცხოვრებ აზერბაიჯანელთაგან გამოიყოფა მოსახლეობის კიდევ ერთი ფენა, რომელსაც „თათებს“ უწოდებენ. ჩვენი ინფორმანტების ცნობით, თათებიც გასული საუკუნის დამდეგს გადმოსულან ირანის აზერბაიჯანიდან და საქართველოში დამკვიდრებულან. საოჯახო ურთიერთობის საშუალებად იყენებენ მხოლოდ ერთ – აზერბაიჯანულ ენას, ირანიდან წამოყვლილი მეორე ენა, როგორც თავად იხსენიებენ – „ფარსი“, დავიწყებული აქვთ, ხოლო ირანისტიკაში „თათურად“ ცნობილ ენას, რომელზედაც მათი მუსლიმი თანასოფლელები მეტყველებენ, ისინი არ ფლობენ, თავიანთ თათობასაც საკმაოდ უხალისოდ გვიდასტურებენ.

საგულე მუშაობის პროცესში ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მუსლიმი თათები საქართველოში, გომბორს გარდა, სხვაგანაც სახლობენ, კერძოდ, ქვემო ქართლში: თეთრი წყაროს, მარნეულის, ბოლნისის რაიონებში. ადგილობრივი ინფორმანტების ცნობით, მათი ახლო წინაპრებიც ირანის აზერბაიჯანიდან გადმოსახლებულან, ისინიც თურქული მოდემის, თურქულენოვანი ხალხია. ცოტა ხნის წინათ აქ-იქ თურმე კიდევ მოიძებნებოდა ფარსის მცოდნე თითო-ოროლა კაცი, ჩვენ სპარსულად მოლაპარაკე თათი არც აქ შეგვხვედრია. ქვემო ქართლში მცხოვრები თათებიც აზერბაიჯანელებად იწერებიან, თათობის აღიარებას გაურბიან, თაკილობენ კიდევ. საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მცხოვრებმა თათებმა გომბორელ ლაიჯოა არსებობა იციან, მაგრამ საკუთარ თავს მათთან არ აიგივებენ (კვაჭაძე 1988 : 6).

როგორც ვხედავთ, საქართველოში მცხოვრები, თათურად მოლაპარაკე მოსახლეობა არ ემთხვევა „თათის“ სახელწოდებით ცნობილ მოსახლეობას, თუმცა ცნობილია, რომ თათების საკითხთან დაკავშირებულ ცნებათა და ტერმინთა აღრევა მეტ-ნაკლებად საყოველთაო ხასიათს ატარებს და იგი ისტორიულ ვითარებათა ცვალებადობით არის განპირობებული. ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ეთნონიმ „თათისადმი“, როგორც თვითწოდებისადმი, ერთგვარი თავშეკავებული დამოკიდებულებაც. საქმე ის არის, რომ ისტორიულად, სხვადასხვა მიზეზთა გამო, თურქული ტომები თათების, უფრო სწორად, „თათის“ სახელწოდებით ცნობილი ჯგუფების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. თურქულენოვან სამყაროში სიტყვა „თათი“ შეურაცხმყოფელი მნიშვნელობით იხმარებოდა. საუკუნეთა მანძილზე ყოფაში ტრადიციად ჩამოყალიბებულმა ფაქტმა ასახვა პოვა თურქულ ზეპირსიტყვიერებასა და წერილობით ძეგლებშიც (მინორსკი 1934 : 733-735; მიღერი 1929 : 38-43; ლიუშკევიჩი 1971 : 25-33).

სარწმუნო და უტყუარი ცნობები თათების ისტორიის შესახებ არ მოგვეპოვება, ბუნდოვანია მათი მიგრაციების პროცესიც და თუმცა თათების საკითხი, სხვადასხვა კუთხით, არაერთხელ გაშუქებულა, ბევრი რამ გაურკვეველი რჩება დღემდე. წინამდებარე

¹ მხედველობაში გვაქვს ეთნიკური კუთვნილებიდან გამომდინარე ჭეშმარიტი დედაენა, რომელიც ფლობისა და ფუნქციების თვალსაზრისით, დღესდღეისობით, მართლაც ძნელი გასამიჯნია მათი ე.წ. „მეორე მშობლიური ენისაგან“.

² დაბა ლაჰიჯი ამჟამად აზერბაიჯანის ისმაილის რაიონში მდებარეობს.

წერილში შევეცდებით, მოკლედ მიმოვიხილოთ საკითხთა ის რიგი, რომელიც გომბორელი ლაიჯების წარმომავლობას, მათ ყოფასა და მეტყველებას უკავშირდება (კვაჭავაძე 1988 : 3-27).

„თ ა თ ი“, როგორც ეთნონიმი, გავრცელებულია უზარმაზარ ტერიტორიაზე, კერძოდ, ირანისა და ამიერკავკასიის გარდა, – შუა აზიაში, ყირიმში, ციმბირში, უნგრეთში, მონღოლეთში, ჩინეთში. ცხადია, ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებული ტერმინი ერთიანი შინაარსის მქონე ვერ იქნება; ფიქრობენ, რომ თავდაპირველად იგი ეთნიკურ ტერმინთა რიგს არ განეკუთვნებოდა და მხოლოდ ცხოვრების წესსა და საზოგადოებრივ მდგომარეობას გამოხატავდა, შემდეგ კი, დროისა და გარემოების მიხედვით, ზოგჯერ ეთნიკურ შინაარსს გადმოსცემდა, ზოგჯერაც – სოციალურ-ეკონომიკურს (მილერი 1892 : XVII; მილერი 1929 : 38-39; ორანსკი 1960 : 327).

სიტყვა „თათი“ უძველესი დროიდან დასტურდება. ჯერ კიდევ ბოსფორის წარწერის (ძვ.წ. IV ს.) მეფეთა ტიტულში მოიხსენიება ძველი სამიწათმოქმედო კულტურის მქონე ხალხი *thatae* (კუფტინი 1925 : 38), „თათი“ (*tatina*) გვხვდება ორხონის წარწერებშიც (VIII ს-ის 30-იანი წლები), ვ. რადლოვი ამ სიტყვას თარგმნის, როგორც „შივილიშივილი“, ხოლო ვამბერი – როგორც „ბინადარი“, „მორჩილი“. ვ. თომსენს ეს სახელწოდება ესმოდა როგორც „უცხო წარმომავლობის ქვეშევრდომი“. მისი აზრით, წარწერა ეხება თურქების მიერ დაპყრობილ ირანულენოვან მოსახლეობას (ჟუზე 1930 : 12; მილერი 1929 : 40; ლიუშკევიჩი 1971 : 25).

მაჰმუდ ქაშგარელის ლექსიკონში რამდენჯერმე გვხვდება სიტყვა „თათი“ (*tat*); ირკვევა, რომ დივანის შედგენის დროს – XI საუკუნეში, ეს სიტყვა სამეგარი მნიშვნელობით იხმარებოდა: 1) საზოგადოდ – ურწმუნო, ურჯულო; 2) ურწმუნო უიღური და 3) სპარსელი. მაჰმუდ ქაშგარელის გადმოცემით, თურქები ტერმინ „თათს“ იყენებენ ირანულენოვანი მოსახლეობის აღსანიშნავად. იგი თვლის, რომ ამ ტერმინის გავრცელება არაირანელებზე, უმართებულოა (ჟუზე 1930 : 12-13).

ჯაღათაურ (ძველუზბეკურ) კილოზე „თათი“ ნიშნავს ქვეშევრდომს, დიდებულის მსახურს (ბუდაგოვი 1868 : 329). საქმე ის არის, რომ თურქული ტომები ამყოფდნენ თავიანთი მომთაბარე ცხოვრებით და მათ მიერ დაპყრობილ, ბინადარი კულტურის მქონე, ხალხებს ქედმაღლურად უწოდებდნენ „თათებს“. ასე, მაგალითად: ჩდილოეთ ყირიმის ველის თათრებმა ეს სახელი ზიზღნარევი ავლებით შეარქვეს სამხრეთ სანაპიროების თათრებს, რომელნიც ადრინდელი ბინადარი მოსახლეობის – გუთების, ბერძნების, იტალიელების შთამომავალნი არიან. თურქმენები „თათებს“ ეძახიან საერთოდ ბინადარ მოსახლეობას, ამიტომ, მაგალითად, ხიველი უზბეკი მათთვის თათია. თათები არიან ყირიმშიც, ეს ტერმინი გვხვდება ყირიმის ხანების ტიტულშიც. თათებს უწოდებენ საკუთარ თავს ის ბერძნებიც, რომელნიც ყირიმიდან გადაასახლეს ეკატერინე II დროს მარიუპოლში და, რომელთაც შეინარჩუნეს ბერძნული დიალექტი „აილა“. შპილტერბერგის ცნობით, XV საუკუნის დამდეგს ყირიმელი თათრები თათურ ენას უწოდებდნენ ყირიმის გუთების ენას. ამით ისინი გუთურ მოსახლეობას განასხვავებდნენ ბერძნებისაგან, ამ უკანასკნელთა ენას კი „რუმულს“ უწოდებდნენ (კუფტინი 1925 : 33-34, 40; მილერი 1929 : 40).

თურქულ ზეპირსიტყვიერებაშიც აირეკლა მომთაბარე დამპყრობთა ქედმაღლური დამოკიდებულება ბინადარი მოსახლეობის მიმართ; თურქული ანდაზები თათებისადმი დამცინავ დამოკიდებულებას გამოხატავენ (მინორსკი 1934; ჟუზე 1930 : 13, 15; ლიუშკევიჩი 1971 : 26). თურქული ტომებიდან სიტყვა „თათი“ ირანულშიც შევიდა, მაგალითად, ბერეზინის თქმით, მდაბიურ სპარსულში იგი „პროვინციელს“, „უშნოსა“ და „უბირს“ ნიშნავს

(მილერი 1929 : 39). ეტიმოლოგიურად „თათს“ „ტაჯიკთაზაც“ აკავშირებდნენ (ბარტოლდი 1925 : 101; ბარტოლდი 1927 : 24; შედერი 1941; მილერი 1929 : 39; 41-43; ლიუშკევიჩი 1971: 28-32 და სხვ.). ზოგიერთი მკვლევრის აზრით, სიტყვა „თათის“ ძირები შესაძლოა სხვა, მაგალითად, ჩინურ ენაშიც ვეძებოთ (ჟუზე 1930 : 15).

შუა აზიაში სიტყვა „თათი“, ძირითადად, უკავშირდება თურქულამდელ, უპირატესად, ირანულენოვან მოსახლეობას და მის კულტურულ ტრადიციებს (ლიუშკევიჩი 1971 : 26-27). ჰ. შედერმა გულდასმით გააანალიზა ტერმინ „თათის“ შემცველი ტექსტები და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი სწორედ ირანულენოვან მოსახლეობას უნდა აღნიშნავდეს (შედერი 1941 : 15). ირანელი მკვლევრებიც მიიჩნევენ, რომ თათები ძველი ირანელი ხალხის შთამომავალი არიან და ჯერ კიდევ ინარჩუნებენ არქაულ ელემენტებს ენასა და კულტურაში (ოლ აჰმადი 1958; ქარანგი 1955). ირანის აზერბაიჯანში თათებად იწოდებიან ამჟამად სავსებით გათურქებული ძველი ირანელი ხალხები, რომელნიც თალიშის მთებს გადაღმა, არდებილის მხარეს ცხოვრობენ (მილერი 1929 : 39). ტერმინი „თათი“ ცალკეულ რაიონთა ბინადარი მოსახლეობის აღსანიშნავად გვხვდება ირანის სხვა ადგილებშიც.

ძუნწ ისტორიულ ცნობებზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ თათები წარმოშობით სპარსელები არიან. ისინი უკანასკნელი სასანიანების დროს, გარკვეული სტრატეგიული მოსაზრებებით, გადმოსახლდნენ ირანიდან. თათების ახლანდელი დასახლებანი კავკასიონის ქედის მთისწინეთში ძველ სამხედრო კოლონიებს უნდა უკავშირდებოდეს. ირანელებმა ამ რაიონებში შედწევა ადრეულ პერიოდშივე დაიწყეს, რათა დაეცვათ სპარსეთის იმპერიის ჩრდილოეთი საზღვარი (მინორსკი 1936 : 30-35), ხოლო მოგვიანებით, იმისათვის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უღელქვეშ ჰყოლოდა, ჩაეხშო წინააღმდეგობა და აჯანყებები, ირანის ფეოდალური მმართველობა იძულებული იყო, გარკვეულ რაიონებში მრავალრიცხოვანი მუდმივი ჯარი ჩაეყენებინა. ეს რაზმები აქ დამკვიდრდნენ და გამრავლდნენ. ისინი ირანის ფეოდალური მმართველობის ინტერესებს იცავდნენ, ჩაგრავდნენ და იმონებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელსაც სძულდა დამპყრობნი და მათ სალანძღავი სიტყვებით იხსენიებდა: „გადამთიელი“, „მოთრეული“, „ყაჩაღი“, „ურჯულო“... შემდეგ, როდესაც შეირყა სპარსულენოვანი ირანის იმპერია, მისი ინტერესების დამცველი ჯგუფები სამშობლოში ვეღარ დაბრუნდნენ და, დროთა განმავლობაში, იძულებული შეიქნენ ადგილობრივ მოსახლეობას დამორჩილებოდნენ. პოლიტიკური პოზიციის შეცვლიდან იცვლება სიტყვა „თათის“ შინაარსიც, ადგილობრივი მოსახლეობა ამ სიტყვას უკვე სხვა მნიშვნელობას ანიჭებს: მაწანწალა, მათხოვარი, ხელქვეითი, ლაქია, უნდო და სხვ. (ტოლსტოვი 1948 : 265; ჟუზე 1930 : 10).

ტერმინმა „თათი“ ტომობრივ შეჯვარებათა, ასიმილაციათა და მიგრაციათა განუწყვეტლივ მიმდინარე პროცესების გამო, განვითარების გრძელი და რთული გზა განვლო. მასში სხვადასხვა დროს სხვადასხვა შინაარსს დებდნენ, ზოგჯერ – ეთნიკურს, ზოგჯერაც – სოციალურ-ეკონომიკურს. ძირითადად მიღებულია, რომ „თათი“ თურქული სიტყვაა და თურქულ სამყაროში უცხო ელემენტს აღნიშნავს. მომთაბარე თურქები ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ ბინადარ, მიწათმოქმედ, უმთავრესად ირანელ მოსახლეობას.

ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ტერმინი „თათი“ (tat), როგორც აღმნიშვნელი, გამოიყენება ენობრივი თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით, რაც ხშირად ტერმინოლოგიური (და არა მხოლოდ ტერმინოლოგიური) აღრევის საფუძველი ხდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული განსაზღვრით, – თათურ ენაზე ლაპარაკობენ თათები – კავკასიაში მცხოვრები ირანულენოვანი ხალხი, რომლის წარმომად-

გენლებიც საკუთარ თავს უწოდებენ **tat**, ხოლო თავიანთ ენას – **tati**; ცხოვრობენ აზერბაიჯანში, დაღესტანში, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ ქალაქში.

თათების ისტორია, საუკუნეთა მანძილზე, მჭიდროდ ერწყმის აზერბაიჯანელთა და კავკასიის სხვა ხალხთა ისტორიას. დიდი ხანია დაიწყო და ინტენსიურად მიმდინარეობს თათებისა და აზერბაიჯანელების ეთნოკულტურული დაახლოების პროცესი (მიღერი 1929 : 5, 11, 39). 1970 წლის აღწერის მონაცემთა მიხედვით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები თათების რაოდენობა 17 ათას კაცს შეადგენდა, 1979 წლის აღწერის მონაცემებით – 22 ათას კაცს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკური მონაცემები მხოლოდ სავარაუდოდ თუ გამოდგება, ვინაიდან თათების ასიმილაციის პროცესი ფრიად ინტენსიურად მიმდინარეობს და ბევრი, ვისი მამა-პაპაც ამ 50-100 წლის წინათ თათად ითვლებოდა, ამჟამად მშობლიურ ენად აზერბაიჯანულს აღიარებს და ბოლოდროინდელ აღწერებში თავს აზერბაიჯანელად აცხადებს.¹ ამჟამად თათები, ძირითადად, განსახლებულნი არიან სიახანის, დივიჩის, ყუბის, კონახკენტის, შემახის, ისმაილის რაიონებში, ქ. ბაქოსა და აფშერონის ნახევარკუნძულზე. მათი უმრავლესობა საკუთარ თავს მოიხსენიებს ტერმინით „თათი“, თუმცა აზერბაიჯანში ცნობილია რამდენიმე ლოკალური თვითსახელწოდებაც, ესენია:

ფარსი (აფშერონის ნახევარკუნძულზე ბალახანისა და სურახანის მკვიდრნი);

დაღლი („მთიელნი“. ასე უწოდებენ საკუთარ თავს ხიზინის, ნაწილობრივ დივიჩისა და სიახანის რაიონებში მცხოვრები თათები);

ლო(პ)იჯი (ისმაილის რაიონში მდებარე დაბა ლაპიჯის მკვიდრნი).

- Чикобава А. С.** Предисловие редактора к монографии И. И. Церцвадзе Андийский язык. Тбилиси: Изд-во АН ГССР, 1965.
- Якобсон 1958:** Якобсон Р. Морфологические наблюдения над славянским склонением. (Доклад на IV Международном съезде славистов). – М., 1958.
- De Groot 1939:** De Groot A. W. Les oppositions dans les systemes de la Syntaxe et des cas. ”Melanges de linguistique offerts a Charles Balli”. Geneeve, 1939.
- Jakobson 1936:** Jakobson R. Beitrag zur allgemeinen Kasuslehre. – TCLP, 1936, № 6;
- Svorou 1994:** Svorou S. The grammar of space. Amsterdam: Benjamins, 1994.
- Majid, A., Bowerman, M., Kita S., Haun, D.B.M., and Levinson, S.C. Can language restructure cognition? The case for space. Trends in Cognitive Sciences Vol.8 No.3 March 2004.
- Levinson 1994:** Levinson S.C., Haviland J.B. Spatial conceptualization in Mayan languages // Linguistics 32, 3/4, 1994.

ზ. მაღალევა (მაჰაჩყალა)

ბრუნვათა მეშვეობით სივრცის კონცეპტუალიზაციის პრობლემისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში¹

როგორც ცნობილია, ტერმინი „ბრუნვა“ თანამედროვე ენათმეცნიერებას შემკვიდრებით ერგო ანტიკური ხანის მეცნიერებისაგან, სადაც ამ ტერმინს ჰქონდა უფრო ფართო მნიშვნელობა და მასში მოიაზრებოდა სხვადასხვაგვარი ცვლილებები არა მხოლოდ სახელისა, არამედ ზმნისაც. ტერმინი “ბრუნვა”, თვით ცნება ბრუნვისა, ბრუნვათა სისტემისა და ყოველივე ამასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ბერძნებისგან იხსენებს რომაელებმა, ხოლო შემდეგ სხვა ხალხებმაც და ეს ტერმინოლოგია და სისტემა მიუსადაგეს სხვადასხვა ტიპის ენებს.

ბრუნვის თანამედროვე თეორიას საფუძვლად უდევს რ. იაკობსონისა [Jakobson, 1936; Якобсон, 1958] და ა. ვ. დე გროტის [De Groot, 1939] კონცეფციები, რომლებმაც საკმაოდ წინ წაწიეს ბრუნვის თეორიის დამუშავება, თუმცა არსებულ წინააღმდეგობათა დაძლევა მაინც ვერ მოხერხდა, რამდენადაც ამ კონცეფციათა ავტორებისათვის სხვადასხვა წინაპირობებია ამოსავალი. რ. იაკობსონის მიერ აგებულ ბრუნვათა სისტემას, რომელიც ემყარება მიმართებებს “ფორმა ფუნქციის გარეშე – ფორმა ფუნქციით” (merkmallos – merkmalhaftig), ა. ვ. დე გროტი უპირისპირებს სისტემას, რომლის წევრებიც განსხვავდებიან ფუნქციონირების ორგვარი სახით – სინტაქსურით (გრამატიკულით) და სემანტიკურით (კონკრეტულით). რ. იაკობსონის მიერ შემუშავებული ბრუნების სისტემა ემყარება რელევანტურ და ირელევანტურ მიმართებათა გამიჯვნა ელემენტთა შორის. ა. ვ. დე გროტის ბრუნების თეორია შემდგომში განავითარა ე. კურილოვიჩმა, რომელიც ასევე მიჯნავს სინტაქსურ და სემანტიკურ ბრუნვებს [Курилович, 1960]. ა. ვ. დე გროტის თეორიის სისუსტეს წარმოადგენს ის, რომ წმინდა სემანტიკური ბრუნების გამოყოფას მივყავართ ბრუნვის სინტაქსური ფუნქციის (კონკრეტული მნიშვნელობით აღჭურვილისა) უარყოფამდე.

ბრუნვის გრამატიკული კატეგორიის განხილვა შეუძლებელია ბრუნვის მნიშვნელობის მოწვევით მისი გამოხატვის მატერიალური ფორმისაგან. ბრუნვა უნდა შეისწავლებოდეს როგორც ფორმისა და შინაარსის ერთიანობა და ბრუნვის განსაზღვრისას მის მნიშვნელობაზე დაყრდნობა შეიძლება მაშინ, როცა ეს მნიშვნელობა განიხილება არა მისი გამოხატულების ფორმისაგან იზოლირებულად, არამედ მასთან ერთად წარმოადგენს ერთ მთლიანობას.

დადესტნურ ენათა ლოკატიური (ადგილობითი) ბრუნვების საკითხი თუმცა საკმაოდაა გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში, მაინც სხვადასხვა მკვლევრის ნაშრომებში გვხვდება არაერთგვაროვანი შეხედულებები ადგილობით ბრუნვათა რაოდენო-

¹ რუსულიდან თარგმნა ლ. აზმაიფარაშვილმა

ბისა და მათი ტერმინოლოგიის შესახებ. ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი რაოდენობა ნაშრომებისა, მიძღვნილი ჩვენთვის საინტერესო პრობლემის ამა თუ იმ ასპექტისადმი, განპირობებულია არა მხოლოდ ამ პრობლემის აქტუალობით, არამედ რიგი სხვა ფაქტორითაც. უპირველეს ყოვლისა, ეს აიხსნება იმით, რომ სივრცე (დროსთან ერთად) წარმოადგენს ობიექტური სინამდვილის კატეგორიას. ჩვენი გარემომცველი სამყარო არსებობს მხოლოდ დროსა და სივრცეში, ამიტომ ყოველ ენაში მოიპოვება გარკვეული ლექსიკურ-სემანტიკური საშუალებები, რომლებითაც გამოიხატება სივრცითი ლოკალიზაციის სემანტიკა. ამავე დროს ყოველი ენა ავლენს სივრცის სემანტიკის გამოხატვის ენობრივ საშუალებათა გარკვეულ სპეციფიკას. ამ სპეციფიკისა და სხვადასხვაობის მიზეზთა გამოვლენა უშუალოდ არის დაკავშირებული გლოტოგენეზისის საკითხებთან და მეტად მნიშვნელოვანია.

ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც გამოიწვინა დაღესტნურ ენათა ადგილობითი ბრუნვების სივრცითი და არასივრცითი მნიშვნელობები, იყო ე. ბოკარიოვი. იგი აღნიშნავს, რომ “დაღესტნურ ენებში ადგილობით ბრუნვათა წარმოება უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს გასაოცრად ზუსტ და სიმეტრიულ სისტემას. მნიშვნელობით ახლო ადგილობითი ბრუნვები აღინიშნებიან ფორმით ახლო ნიშნებით, ამიტომ მათი განხილვა შესაძლებელია არა ცალ-ცალკე, არამედ ჯგუფებად, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში “სერია” ეწოდება” [Бокарев 1948: 56-57].

ტერმინი “სერია” დაღესტნურ ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა ლ. ჟირკოვის წყალობით. ადგილობით ბრუნვათა სისტემის საკმაოდ მწყობრად და თვალსაჩინო სახით წარმოჩენა ყველა სალიტერატურო დაღესტნურ ენაში სწორედ ლ. ჟირკოვის დამსახურებაა [Жирков 1924], რომელმაც ბრუნვათა მთელი მრავალფეროვნება სერიებად დაანაწილა. ერთ სერიაში მოექცნენ როგორც მნიშვნელობით, ისე ფორმალური ნიშნებით ერთმანეთთან ახლოს მდგომი ბრუნვები, რომლებიც ახდენენ საგნის ორიენტირებას ერთსა და იმავე სივრცობრივ სიბრტყეში. ამან არსებითად გააიოლა დაღესტნურ ენათა ბრუნვების სისტემათა შემდგომი კვლევა.

დაღესტნურ ენათა შესწავლის თანამედროვე ეტაპზე შესამჩნევია ტერმინთა ჩანაცვლების ტენდენცია – ნაცვლად ტრადიციული ტერმინებისა “ადგილობითი ბრუნვა” და “სერია” გამოიყენება ტერმინები “სივრცითი ბრუნვები” (“пространственные падежи”) და “ლოკალიზაცია”, შესაბამისად [Кибрик 1970, Тестелец 1981]. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ტრადიციული ტერმინი „ადგილობითი ბრუნვა” მოუხერხებელია თავისი არაერთმნიშვნელოვნობის გამო: ერთი მხრივ, იგი აღნიშნავს დინამიკური მნიშვნელობის მქონე ფორმას, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნავს ბრუნვათა ლოკალიზაციური პარადიგმის ნებისმიერ “უჯრედს”. ტერმინი “სერია”, როგორც ბრუნვათა პარადიგმის მახასიათებელი, ასევე მიუღებელია იმ მიზეზით, რომ იგი გულისხმობს “ბრუნვათა სერიის” ერთი გრამატიკული კატეგორიის არსებობას იქ, სადაც, გრამატიკის თეორიაში შემუშავებული ყველა კრიტერიუმის მიხედვით, გვაქვს ორი კატეგორია.

ბრუნვის კატეგორიის შესახებ ცალკეულ ენათა მასალის ანალიზით შემუშავებულ თეორიულ საკითხზე ლინგვისტურ ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა. როგორც წესი, ეს შეპირობებულია, ერთი მხრივ, თანდებულის კონსტრუქციათაგან და, მეორე მხრივ, სიტყვაწარმოებისაგან ბრუნვის ფორმათა გამოიყენების პრობლემებით.

ს. სვოროუს მონოგრაფიაში “სივრცის გრამატიკა” [Svorou 1994], რომელიც წარმოადგენს ამ სფეროში პირველ გამოკვლევას, ჩატარებულს ტიპოლოგიური მეთოდის ყველა წესის მიხედვით (ნაშრომში წამოყენებული ჰიპოთეზები შემოწმებულია წარმოშო-

ბით არამონათესავე 26 ენის სპეციალურად შერჩეული მასალის მიხედვით), განიხილება ენათა შორის მსგავსებები და განსხვავებები სივრცითი დამოკიდებულების კოდირებისა და გამოხატვის თვალსაზრისით. ს. სვოროუ ყურადღებას ამახვილებს სივრცითი მაჩვენებლების სემანტიკაზე მსოფლიოს ენებში, აგრეთვე მათ გენეზისსა და დიაქრონიულ ევოლუციაზე. სხვადასხვა ენებიდან ამოკრებილი მონაცემების საფუძველზე ავტორი აჩვენებს, რომ მსოფლიოს ენებში დიაქრონიულ მაჩვენებელთა რიცხვში შედის ლექსემათა საკმაოდ ვიწრო წრე, რომელიც მეორდება სხვადასხვა ენობრივ არეალებში. ამგვარ ლექსიკურ წყაროთა ყველაზე მეტად გავრცელებულ მაგალითებად გვევლინება სხეულის ნაწილთა (“თავი”, “ხურგი”...) და ობიექტთა ნაწილების (“ხედა მხარე”, “წინა მხარე”...) სახელწოდებები, აგრეთვე მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები.

ს. სვოროუ გვთავაზობს არსებით სახელთა რეინტერპრეტაციის სამ მოდელს, რომელთა მიხედვით წყარო ლექსემები შესაძლოა ევოლუციურად გადაიზარდონ გრამატიკულ ნიშნებში (ანთროპომორფული, ზომომორფული, ლანდშაფტური). ეს სამი მოდელი ერთობლიობაში საკმაოდ დამაჯერებლად გვიხსნის სივრცითი მაჩვენებლების ევოლუციის გზებს და, გარდა ამისა, საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ ამა თუ იმ ლექსიკური წყაროს ევოლუციის შესაძლო გზები. ს. სვოროუ მიზნად არ ისახავს სივრცითი ნიშნების სემანტიკის დაწვრილებით აღწერას. მის ნაშრომებში ყურადღება ძირითადად მახვილდება ენობრივი საშუალებებით სივრცის კონცეპტუალიზაციის პრობლემებზე.

სივრცითი კატეგორიები ადამიანის აზროვნებისათვის ცენტრალურია, ხოლო ენობრივი ცნობიერების მიერ შემუშავებული სივრცესა და დროსთან დაკავშირებული წარმოდგენების მეშვეობით აიგება სამყაროს საკუთარი განსაკუთრებული მოდელი ყოველი კულტურის ფარგლებში. ამ პრობლემის მნიშვნელობაზე ენათმეცნიერებისათვის მოწმობს ის ფაქტიც, რომ მ. პლანკის სახელობის ფსიქოლინგვისტიკის ინსტიტუტში (პოლანდია, ქ. ნეიმეგენი) სივრცის კონცეპტუალიზაციის თემაზე მუშაობს კოგნიტური ანთროპოლოგიის ჯგუფი პროფესორ ს. ლევისონის ხელმძღვანელობით. მისი კვლევების მიზანია სივრცის კონცეპტუალიზაციის მოდელის არა მხოლოდ გამოვლენა ენებში, არამედ ამ მოდელის არსებობის დამტკიცება ენისაგან დამოუკიდებელი გზით. ს. ლევისონის ძირითადი ინტერესები დაკავშირებულია ე.წ. “კოორდინატულ” სივრცით მაჩვენებლებთან, ისეთ მაჩვენებლებთან, რომლებიც მიუთითებენ ერთი რომელიმე ობიექტის ადგილმდებარეობაზე სხვა ობიექტთან მიმართებით; ამასთან ერთად, განარჩევნ, კოორდინატთა შეფარდებით სისტემასა და კოორდინატთა აბსოლუტურ სისტემას.

ტრადიციულად მიიჩნეოდა, რომ ადამიანის ენისა და აზროვნებისათვის უფრო ბუნებრივი და მოსახერხებელია კოორდინატთა შეფარდებითი სისტემა, ხოლო აბსოლუტური გვხვდება მხოლოდ დიდ გეოგრაფიულ სივრცეთა, მაგრამ არა “ყოფით” სიტუაციათა აღწერისას, როგორცაა, ვთქვათ, მაგალითად, მაგიდაზე ნივთების განლაგება (თევში დევს ჭიქის მარცხნივ); თუმცა ბოლო წლების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კოორდინატთა აბსოლუტური სისტემა მსოფლიოს ენებში შეიძლება არა მხოლოდ გამოიყენებოდეს მსგავს ყოფით სიტუაციებშიც, არამედ დომინირებდეს კიდევ [Majid et al. 2004] და ერთადერთი საშუალებაც იყოს ორიენტირთან მიმართებით ობიექტის ადგილმდებარეობის აღწერისას [Levinson, Haviland 1994].

კოორდინატთა შეფარდებითი და აბსოლუტური სისტემები იყენებენ სხვადასხვა მენტალურ მექანიზმებს. პირველ შემთხვევაში კოორდინატთა სისტემა ორიენტირებულია მოლაპარაკეზე და ისიც რამე სირთულის გარეშე ირჩევს საჭირო მაჩვენებელს დროის ნებისმიერ მომენტში. მეორე შემთხვევაში მოლაპარაკემ ნებისმიერ ადგილას და დროის

ნებისმიერ მომენტში უნდა იცოდეს იმის შესახებ, თუ რომელ მხარესაა ესა თუ ის ფიქსირებული მიმართულება, ე.ი. ენაზე მეტყველს გამუდმებით უნდა უშუშავებდეს შინაგანი მენტალური “კომპასი”, რომელიც ფონურ რეჟიმში განსაზღვრავს აბსოლუტურ მიმართულებებს [Majid et al. 2004].

ბრუნვათა სემანტიკურ ფუნქციებს თანამედროვე ენათმეცნიერებაში ჩვეულებრივ აკავშირებენ სახელის სემანტიკურ და სინტაქსურ როლთან გარკვეული სიტუაციის შემადგენლობაში, ამიტომ თანამედროვე ლინგვისტიკაში ბრუნვა განისაზღვრება როგორც გრამატიკული კატეგორია, რომელიც გამოხატავს სახელის სხვადასხვა სინტაქსურ (და/ან სემანტიკურ) როლებს [Плунгин 2003: 164].

როგორც აღნიშნავს ი. მელჩუკი, “სემანტიკურ და სინტაქსურ ბრუნვებს შორის ზღვარი საკმაოდ არამდგრადია და არსებობს ვრცელი გარდამავალი ზონა. ზოგიერთი ბრუნვა ზოგ ენაში მართლაც შეიძლება წმინდა სინტაქსური იყოს, მაგრამ უფრო ხშირია სიტუაციები, სადაც ბრუნვა ერთ რომელიმე კონტექსტში გარკვეულ მნიშვნელობას გამოხატავს, ხოლო სხვა კონტექსტებში არა (მაგალითად იქ, სადაც მისი გამოჩენა განისაზღვრება მმართველი ლექსემის სინტაქსური თვისებებით). მეორეს მხრივ, სინტაქსურმა ბრუნვამ შეიძლება შეიძინოს სემანტიკური ფუნქციები, მაგალითად, განსაკუთრებული კონსტრუქციის შემადგენლობაში. ამრიგად, სინტაქსურ და სემანტიკურ ბრუნვათა შეპირისპირება ვერ იქნება მეტისმეტად მკვეთრი და სტატიკური; ბევრ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ ზოგიერთი ბრუნვის სინტაქსურ ან სემანტიკურ გამოყენებაზე, ვიდრე ამ ბრუნვის სინტაქსურ ან სემანტიკურ ხასიათზე საერთოდ. მაინც, მიუხედავად ყველა შენიშვნისა, ეს შეპირისპირება მეტად გამოსადეგია ბრუნვის კატეგორიასთან დაკავშირებული პრობლემატიკის განხილვისას [Мельчук 1998: 327-328].

დაღესტნურ ენებში გვხვდება სივრცით ბრუნვათა აშკარად გამოკვეთილი “სინტაქსიზაცია”, ე.ი. სივრცითი ბრუნვები გამოიყენება არა მხოლოდ გარკვეული სივრცითი სემანტიკის, არამედ გარკვეულ სინტაქსურ ურთიერთობათა გამოსახატავადაც.

ხუნძურ-ანდიურ ენათა ლოკატიური ბრუნვების კვლევას ვიდრე შევუდგებოდით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ აგვეგო ლოკატიურ მნიშვნელობათა ჰიპოთეტური მოდელი, რომელიც ყოველმხრივი ამსახველი იქნებოდა ობიექტის სივრცითი მახასიათებლებისა ორიენტირთან მიმართებით; შემდეგ კონკრეტული ენის მასალაზე შეგვემოწმებინა თუ რამდენად შეესატყვისება (ან არ შეესატყვისება) ეს მოდელი საკვლევ ენას, ე.ი. ამოსავლად მივმართეთ დედუქციურ მეთოდს, მაგრამ მუშაობის პროცესში აქტიურად გამოიყენებოდა ინდუქციური მეთოდიც, რამდენადაც ემპირიული მუშაობის პროცესში გამუდმებით იყო საჭირო ენობრივ მასალაზე დაკვირვებისას მონაცემების შემოწმება და დაზუსტება. ამოსავალ მოდელად (სამუშაო ჰიპოთეზის სახით) ჩვენ ავიღეთ “ლოკალიზაციის კონცეპტა სანიმუშო ინვენტარი, რომელიც წარმოადგენს დაღესტნურ ენებში რეალიზებულ შეპირისპირებათა ერთობას” [Кинрик 2003: 202]: 1) SUPER “ორიენტირზე”; 2) SUB “ორიენტირის ქვეშ”; 3) POST “ორიენტირის უკან”; 4) IN “ორიენტირის შიგნით”, შინაგანი სივრცის შემცველ ორიენტირში; 5) INTER “ორიენტირის შიგნით”, მთლიან მასაში; 6) AD “ორიენტირთან”; 7) APUD “ორიენტირთან ახლოს, მასთან კონტაქტის გარეშე”; 8) CONT “ორიენტირთან მჭიდრო კონტაქტში”; 9) CUM “განუსაზღვრელ სიახლოვეში უსულო ორიენტირთან, სულიერ ორიენტირთან ერთად”; 10) LOC “ტიპიური ადგილმდებარეობა ორიენტირთან მიმართებით”; 11) POSS “სულიერი ორიენტირის კონტროლის ქვეშ, მის მფლობელობაში”.

ლოკალიზაციის ცნება და მის აღმნიშვნელ იარაღთა სისტემა დადესტნურ ენებში შემოტანილია ა. კიბრიკის მიერ. იგი ეფუძნება უგრულ-ფინური ენების შესწავლაში არსებული ტრადიციის განვითარებასა და გაგრძელებას. ეს ტერმინები გამოყენებულ იქნა არჩიბული ენის აღწერისას [Кирилик 1977]. ხუნძურ-ანდიურ ენათა მასალაზე მუშაობის პროცესში ამ მოდელმა ცვლილებები განიცადა ენობრივ ფაქტთა შესაბამისად, კერძოდ, დაემატა სხვადასხვა ქვეპუნქტები, რომლებიც ახდენენ ამა თუ იმ კონცეპტის სემანტიკური მოდიფიკაციების ინტერპრეტაციას.

ლოკალიზაციის კონცეპტები გამოხატავენ ობიექტის სივრცით მდგომარეობას ორიენტირთან მიმართებით. როგორც ცნობილია, დადესტნურ ენებში სივრცითი ბრუნვები გამოხატავენ არა მხოლოდ ლოკალიზაციას, არამედ მიმართულებასაც (ორიენტაციას). დადესტნურ ენებში შესაძლო მიმართულებები წარმოდგენილია მოძრაობის შემდეგი კონცეპტებით (ან სხვაგვარად: ორიენტაციის კონცეპტებით): 1) მოძრაობა ორიენტირისაკენ – **ლატივი**; 2) მოძრაობა ორიენტირიდან – **ელატივი**; 3) მოძრაობა ორიენტირის გავლით (გამჭოლ) – **ტრანსლატივი**; 4) მოძრაობა ორიენტირის მიმართულებით (ორიენტირისკენ), იქამდე მიღწევის აუცილებლობის გარეშე – **ალატივი**; 5) მოძრაობა ორიენტირიდან, საწყისი წერტილის კონკრეტიზაციის გარეშე – **აბლატივი**; 6) მოძრაობა სწორედ ორიენტირისკენ და არა უფრო შორს – **ტერმინატივი**. შესაბამისად, ამოსავლად ივარაუდება ლოკალიზაციის თერთმეტი მნიშვნელობა და ორიენტაციის (მოძრაობის მნიშვნელობათა) ექვსი კონცეპტი.

ლოკალიზაციის კატეგორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ორიენტაციის კატეგორიასთან და ორივე ეს კატეგორია დადესტნურ ენებში, როგორც წესი, სინკრეტულად გამოიხატება.

საკვლევე ენებში ლოკალიზაციის კატეგორიას ახასიათებს სივრცით ბრუნვათა არათანაბარი რაოდენობა. კარატაულ ენაში წარმოდგენილია ლოკალიზაციის ნიშანთა ყველაზე დიდი რაოდენობა – რვა. ანდიურ, ახვახურ, ლოდობერიულ, ბავგალურ და ტინდიურ ენებში ლოკატიურ ბრუნვათა შვიდი სერიაა წარმოდგენილი. სივრცით ბრუნვათა ექვს ლოკალიზაციას გამოყოფს ჭამალურ ენაში ფ. მაჰომედოვა [Магомедова, 2000: 473-474]. მკვლევართა შეხედულებები ჭამალური ენის სივრცით ბრუნვათა რაოდენობის შესახებ განსხვავებულია. ა. ბოკარიოვის აზრით, სივრცითი ბრუნვები, მათი ვარიანტების ჩათვლით, რაოდენობით ორ ათეულამდე აღწევს. “განსხვავებით სალიტერატურო ხუნძურისაგან, რომელშიც ადგილობით ბრუნვათა სისტემა დამუშავებულია მეტად გულდასმითა და თანმიმდევრობით, ჭამალური ენა არ წარმოგვიდგენს ყოველმხრივ მყარ სისტემას: ადგილობით ბრუნვათა ზოგიერთი სერია დეფექტურია (ე.ი. არ მოიპოვება ყველა ფორმა); ერთი და იმავე ძირითადი მნიშვნელობის გამოსახატავად გამოიყენება რამდენიმე სერია, ერთი და იგივე მნიშვნელობა სერიის შიგნით გამოიხატება სხვადასხვა ბრუნვებით და, პირიქით, ერთსა და იმავე ბრუნვას მოეპოვება განსხვავებული მნიშვნელობები” [Бокарев 1949: 47].

ანდიურ ენათა შორის ლოკატივები ყველაზე მცირე რაოდენობით მოიპოვება ბოთლიხურ ენაში; აქ გვხვდება ადგილობით ბრუნვათა ხუთი სერია (ისევე როგორც ხუნძურში). ცნობილია სხვა თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით ბოთლიხურში წარმოდგენილია ადგილობით ბრუნვათა რვა სერია [იხ. Гудава 1961: 140-146].

ხუნძურ-ანდიურ ენებში სივრცით ბრუნვათა წარმოების პრინციპი საკმაოდ თანმიმდევრულადაა გატარებული. ბრუნვის ფორმები ქმნიან მწყობრ და სიმეტრიულ სისტემას. გამონაკლისად აქ გვევლინება ანდიური ენა. ხუნძური და ანდიური ენები წარმოადგენენ

ორ სხვადასხვა პოლუსს, სადაც ეს სიმეტრია გამოხატულია ყველაზე უფრო თანმიმდევრულად (ხუნძური ენა) და ყველაზე ნაკლებ თანმიმდევრულად (ანდიური ენა). ე. ბოკარიოვი ანდიურ ენაში უფრო მეტ შემთხვევაში ადასტურებს ადგილობით ბრუნვებს სერიების გარეშე, მეტიც, “ადგილობით ბრუნვათა სერიების დაშლის პროცესი ანდიურ ენაში ისე შორს წავიდა, რომ მისი მასალა სხვა დადესტნურ ენათა მასალისაგან იზოლირებულად რომ განიხილებოდეს, მეტად გაჭირდებოდა ამ ენაში ბრუნვათა სერიების არსებობაზე ლაპარაკი” [Бокарев 1948: 60].

ხუნძურ-ანდიურ ენათა სივრცითი ბრუნვების კვლევისას ჩვენ ვემყარებოდით ე. ბოკარიოვის მეთოდოლოგიურ დებულებას იმის შესახებ, რომ “დადესტნურ ენათა ბრუნვების სისტემის საკითხის შესწავლისას, უპირველეს ყოვლისა, უარი უნდა ვთქვათ ცდაზე, რომელიც ამ ენათა ბრუნვების სისტემას აგვაგებინებს რომელიმე სხვა ენის სისტემიდან ამოსვლით; მაგ., ლათინურის, რუსულის, არაბულის, ქართულის და ა.შ.; ასევე უნდა უკუვაგდოთ ამ სისტემის აგების ცდა იმ “შიშველი” მნიშვნელობებიდან ამოსვლით, რომლებიც მოწვევტილია მათი მატერიალური გარსისაგან. ბრუნვების სისტემა ყოველი დადესტნური ენისა, ისევე როგორც საერთოდ ყველა ენისა, განისაზღვრება საკუთარი გრამატიკული წყობის თავისებურებით, შესაბამის მნიშვნელობათა გამოხატვის ფორმების ერთიანობით” [Бокарев 1954: 43].

სივრცით ბრუნვათა სერიების სხვადასხვა რაოდენობის მიუხედავად, სივრცითი ბრუნვებით გამოხატულ ლოკალიზაციათა რაოდენობა საკვლევ ენებში ძირითადად ემთხვევა. ეს განპირობებულია იმით, რომ ერთი და იმავე ლოკალიზაციის გამოსახატავად გამოიყენება რამდენიმე სერია, რომლებიც ავლენენ უმნიშვნელო სემანტიკურ მოდიფიკაციებს.

ხუნძურ-ანდიური ჯგუფის ენათა შორის ადგილობით ბრუნვათა სერიების ყველაზე ნაკლები რაოდენობაა წარმოდგენილი **ხუნძურ ენაში**; აქ გამოიყოფა ხუთი სერია (ზოგ დიალექტში – ექვსი), რომლებიც, შესაბამისად, ახდენენ რეალიზებას ლოკალიზაციის ხუთი კონცეპტისა: 1) ლოკალიზაცია “ორიენტირზე” (SUPER), რომლის ნიშანია **-და**; 2) ლოკალიზაცია “ორიენტირთან” (AD), ნიშანია **-ჭ**; 3) ლოკალიზაცია “ორიენტირის ქვეშ” (SUB), ნიშანია **-ტ**; 4) ლოკალიზაცია “შივ”, მთლიან მასაში ან ორიენტირებს შორის (INTER), ნიშანია **-ლ**; 5) ლოკალიზაცია “შიგნით”, შინაგანი სიცარიელის შემცველ ორიენტირში (IN), ნიშნებია **-ბ**, **-ჟ**, **-ა**, **-რ** (ე.ი. კლასისა და რიცხვის ნიშნები).

ყოველი სერია წარმოდგენილია ოთხი ბრუნვით: ესივი (მდგომარეობა), ლატივი (მიახლოება), ელატივი (დაცილება) და ტრანსლატივი (მოძრაობა ორიენტირის გავლით, გამჭოლ): **ესივი** ანუ ადგილობითი (“სად?”) მიუთითებს საგნის მდგომარეობაზე, სივრცეში მის მდებარეობაზე; **ლატივი** ანუ მიმართულებითი (“საით?”) მიუთითებს მიმართულებაზე ორიენტირისკენ; **ელატივი** ანუ დაცილებითი (“საიდან?”) მიუთითებს მოძრაობაზე ორიენტირის მხრიდან; **ტრანსლატივი** ანუ გავლითი (“გამჭოლვითი”) მიუთითებს გარკვეულ სივრცეში მოძრაობაზე ორიენტირის გავლით (გამჭოლ).

ხუნძური ენის ზოგ დიალექტში წარმოდგენილია არა ხუთი სერია ადგილობითი ბრუნვებისა, როგორც ეს გვაქვს სალიტერატურო ენაში, არამედ ექვსი. მეექვსე სერიის არსებობას ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ლოკალიზაციათა გამიჯვნა განაპირობებს. ჯერ კიდევ შ. მიქაილოვი მიუთითებდა, რომ ხუნძურ ენაში სუპერესივს ხუთი ბგერით განსხვავებული ფორმანტი მოეძვევა, რომლებიც “უნდა წარმოადგენდნენ ფონეტიკურ ტრანსფორმაციათა სხვადასხვა საფეხურებს: **-ტა**, **-და**, **-ჟა**, **-ლა**, **-თა**, **-აღნდა**, **-აღდა**.

ჩანს, უფრო არქაული უნდა იყოს **-ტა**, ვინაიდან მან შემოინახა დამოუკიდებელი რეალური მნიშვნელობა როგორც ზმნისართმა (ტად“ზედ”, “ზემოთ”) და ეს მნიშვნელობა გადასცა პირველი სერიის ადგილობით ბრუნვას” [Микаилов 1959: 85].

შეისწავლა რა ხუნძური ენის ადგილობითი ბრუნვები, ზ. მაჰომედბეკოვამ დაადასტურა VI სერიის ლოკატიური ბრუნვის არსებობის ნაკვალევი - **ტ** დაბოლოებით. “სალიტერატურო ენაში **-ტ** დაბოლოებიანი სერია თითქმის მთლიანად შეერწყა **-დ** დაბოლოების შემცველ სერიას, მაგრამ დიალექტებში იგი საკმაოდ ნათლად ჩანს. **-ტ** დაბოლოებიანი სერია გვიჩვენებს საგნის მდებარეობას სხვა საგანზე, ჩვეულებრივ, პორიზონტალურ ზედაპირზე” [Магомедбекова 1956: 235].

სალიტერატურო ენაში წარმოდგენილი მწყობრი სისტემა ადგილობითი ბრუნვებისა არ “მუშაობს” ხუნძური ენის დიალექტებში, რომლებშიც ფუნქციონირებს არამდგრადი ანდა, პირიქით, შერყეული, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად არასტაბილური სისტემა. დიალექტთა უმეტეს ნაწილში არ არსებობს მკაფიოდ გამოხატული სემანტიკური დიფერენციაცია, ზოგ შემთხვევებში ადგილი აქვს რამდენიმე ბრუნვის პარალელურ ხმარებას ერთი და იმავე ლოკალიზაციის გამოსახატავად ან ერთი და იმავე ფორმანტის რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტის გამოყენებას.

ლოკალიზაციის ბრუნვათა შორის ხუნძურში ყველაზე მეტ ვარიაციულობას სუპერესივი ამჟღავნებს. ასე, მაგალითად, სუპერესივი ანწუხურ დიალექტში წარმოდგენილია ფონეტიკურად განსხვავებული ხუთი ფორმანტით, რომელთაც შ. მიქაილოვი განიხილავს როგორც შედეგს ფონეტიკური ტრანსფორმაციის სხვადასხვა საფეხურებისა: **-ტა**, **-და**, **-ჟა**, **-ლა**, **-თა**. უფრო არქაულად იგი მიიჩნევს **-ტა** ფორმანტს, რომელიც წარმოდგენილია ჩრდილოური და სამხრული ხუნძურის მთელ რიგ კილოკავ-თქმაში, რამდენადაც მან შემოინახა დამოუკიდებელი რეალური მნიშვნელობა (ტა “ზედ”), რომელიც ემთხვევა სუპერესივის სემანტიკას [Микаилов 1959: 85]. ფორმანტი **-ტა** გავრცელებულია, ძირითადად, ჭადაქოლოური და ტოხური კილოკავების თქმებში. ანწუხური დიალექტის სხვა კილოკავებში **ტ** ბგერას **ტ** შეესატყვისება, “მაგრამ ბრუნვის ფორმანტებში **ტ** ბგერის ნაცვლად გვხვდება არა **ტ**, არამედ **-დ**, **-ჟ**, **-ლ** და იშვიათ შემთხვევებში **-თ**. ანწუხური დიალექტის ანწროსუნჰადურ კილოკავში მეტწილად გავრცელებულია ფორმანტი **-და**; იშვიათად გვხვდება **-ლა** დაბოლოება, რომელიც დამახასიათებელია სამხრული ხუნძურის ზოგიერთი კილოკავ-თქმისათვის, ხოლო **-თა** უფრო გამოიყენება ჭარულ დიალექტში” [Микаилов 1959: 85: 86]. უნდა აღინიშნოს, რომ ფ. საიდოვა, რომელმაც სპეციალურად გამოიკვლია ეს დიალექტი, არ გამოყოფს **-თა** ფორმანტს ჭარულის არც ერთ კილოკავში. ჩვენმა ცდამ, გამოგვევლინა ეს ფორმანტი ჭარული დიალექტის წარმომადგენელ ინფორმანტთა გამოკითხვის გზით, ასევე ვერ მოგვცა შედეგი.

ლოკალიზაციათა რაოდენობით ხუნძურ ენასთან ყველაზე ახლოსაა **ანდიური**. ლოკალიზაციის კატეგორიის აღწერის სირთულე ამ ენაში გამოწვეულია იმით, რომ ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნები ამ ენის თქმებში თვალსაჩინოდ სხვაობს. ი. ცერცვაძე [ცერცვაძე, 1965] ანდიურში გამოყოფს შვიდ თქმას, რომლებსაც აერთიანებს ორ ჯგუფად: ზემოანდიურ და ქვემოანდიურ თქმებად. ზემოანდიურ ანუ საკუთრივ ანდიურ ჯგუფში წარმოდგენილია თქმები სოფლებისა ანდი, ღუნხო, დაღათლი, აშალი, რიკვანი, ზილო და ჩანხო. ქვემოანდიური ანუ მუნიბ-ქვანხიდათლური ჯგუფი წარმოდგენილია სოფლების – მუნისა და ქვანხიდათლის თქმებით. ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მოგვეხმო ანდიურის ყველა თქმის მონაცემები, რამდენადაც “მხოლოდ ამდაგვარი გზით

იქნება შესაძლებელი გაირჩეს უწინარესი შემდგომისგან, არსებითი – შემთხვევითისგან” [Чикобава 1965: 8]. გარდა ამისა, საკვლევ ენათა შორის საკითხი ყველაზე ნაკლებად სწორედ ანდიურ ენაშია დამუშავებული. ანდიური ენის (სოფ. ანდის მეტყველების) შესახებ პირველი მონოგრაფიის ავტორი ა. დირი გამოყოფს თავდაპირველად ადგილობით ბრუნვათა ხუთ სერიას, შემდეგ იგი სვამს საკითხს კიდევ ერთი სერიის არსებობის შესახებ, სერიისა, რომელიც წარმოადგენს სემანტიკას ლოკალიზაციისა “ქვეშ” -ტი ფორმანტის მეშვეობით და აგრეთვე მსჯელობს დამოუკიდებელ სერიად მისი განხილვის შესაძლებლობებზე [იხ. Дирр 1906: 24-25].

ადგილობით ბრუნვათა შვიდ სერიას (წყებას) გამოყოფს საკუთრივ ანდიურ თქმაში ი. ცერცვაძე [1965: 340-341]. ადგილობითი ბრუნვები ახდენენ რეალიზებას ლოკალიზაციის შემდეგი კონცეპტებისა: 1) ლოკალიზაცია “ორიენტირზე” (SUPER), რომლის ნიშნებია -ტა (ჰორიზონტალურ ზედაპირზე) და -ჭუ (ვერტიკალურ ზედაპირზე); 2) ლოკალიზაცია “ორიენტირთან” (AD), ამ ლოკალიზაციის მახვენებლები იცვლება რიცხვის გრამატიკული კატეგორიის მიხედვით: მხოლოდითი რიცხვის ფორმაში არსებითი სახელები მას წარმოგიდგენენ -ხ, ხოლო მრავლობითში -ჭ ფორმანტით; 3) ლოკალიზაცია “ორიენტირთან კონტაქტში” (CONT), ნიშანია -ჭ; 4) ლოკალიზაცია “ორიენტირის ქვეშ” (SUB), ნიშანია -ტი; 5) ლოკალიზაცია “შიგ”, მთლიან მასაში ან ორიენტირებს შორის (INTER), ნიშანია -ლი; 6) ლოკალიზაცია შინაგანი სივრცის შემცველ ორიენტირში (IN), ნიშანია -ი.

ყოველ სერიაში შედის სამ-სამი ბრუნვა: ესივი (მდგომარეობა), ლატივი (მიმართულება), ელატივი (დაცილება).

ანდიური ენის დაღათლის თქმაში კ. სალიმოვი გამოყოფს ადგილობით ბრუნვათა რვა სერიას. ამასთან, ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ბევრ სიტყვას მხოლოდ ექვსი სერია მოეპოვებაო [Салимов 2010: 105-106]. ამ სერიებით რეალიზდება ლოკალიზაციის შემდეგი კონცეპტები: 1) ლოკალიზაცია “ორიენტირზე” (SUPER), ნიშნებია -ლა (ჰორიზონტალურ ზედაპირზე) და -ჭუ (ვერტიკალურ ზედაპირზე); 2) ლოკალიზაცია “ორიენტირთან” (AD), ნიშანია -ხა; 3) ლოკალიზაცია “ორიენტირის ქვეშ” (SUB), ნიშანია -ტი; 4) ლოკალიზაცია “შიგ”, მთლიან მასაში ან ორიენტირებს შორის (INTER), ნიშანია -ლი; 5) ლოკალიზაცია შინაგანი სივრცის შემცველ ორიენტირში (IN), ნიშნებია -ლა, -ა, -უგ (მხოლოდობით რიცხვში) და -ჭი (მრავლობით რიცხვში). ყველა სერიას არ მოეპოვება ბრუნვათა ერთნაირი რაოდენობა, ზოგი მათგანი ნაკლებია; თუმცა კ. სალიმოვი მაინც წერს, რომ ყოველ სერიას სრულად მოეპოვება სამ-სამი ბრუნვა: მდგომარეობისა, მიმართულებისა, დაცილებისა [2010: 105]; შემდეგ იგი აზუსტებს, რომ სამ-სამი ფორმა აქვთ მხოლოდ პირველ (-ლა ნიშნიან) და მესამე (-ხ ნიშნიან) სერიებს, ხოლო მეორე (-ჭუ ნიშნიან), მეოთხე (-ჭი ნიშნიან) და მეექვსე (-ლი ნიშნიან) სერიებს ბრუნვათა ორ-ორი ფორმა მოეპოვებათ; მდგომარეობისა (ესივი) და მიმართულების (ელატივი) ბრუნვებს ერთი საერთო ფორმა მოეძვეებათ. მეშვიდე და მერვე სერიებში სამი ბრუნვაა. ამ სერიებში შეიძლება იყოს არსებითი სახელები ოდენ მხოლოდობითი ფორმით [Салимов 2010: 105].

ახეანურ ენაში წარმოდგენილია ადგილობით ბრუნვათა შვიდი სერია, რომლებითაც რეალიზდება ლოკალიზაციის ექვსი კონცეპტი: 1) ლოკალიზაცია “ორიენტირზე” (SUPER), ეს ლოკალიზაცია რეალიზდება ორი სერიის მეშვეობით; ნიშნებია -გ (ჩრდილოური დიალექტი) და -ტ (სამხრული დიალექტი) (ჰორიზონტალურ ზედაპირზე); 2) ლოკალიზაცია “ორიენტირთან”, “რამესთან”, “ვინმესთან” (AD), ნიშანია -ხ (-ხარ); 3) ლოკალი-

ზაცია “ორიენტირთან კონტაქტში” (CONT), ნიშანია -ჭ; 4) ლოკალიზაცია “ორიენტირის ქვეშ” (SUB), ნიშანია -ტ; 5) ლოკალიზაცია “შიგ”, მთლიან მასაში, სითხეში, ფხვიერ ნივთიერებებში (INTER), ნიშანია -ლ; 6) ლოკალიზაცია სათავსში, შიდა სივრცეში, შინაგანი სივრცის შემცველ რამეში მდებარეობის ზოგადი სემანტიკით (IN), ნიშანია -რ.

ყოველ სერიაში ოთხ-ოთხი ბრუნვაა, რომელთა დაბოლოებებიც მიუთითებენ მოძრაობის მიმართულებაზე: ესივი (ადგილობითი) -ე (-გ, -ჭ დაბოლოებიან სერიებში), -ი (-ხ, -ტ, -ლ, -რ დაბოლოებიან სერიებში), ლატივი (მიმართულებითი) -ა, ელატივი (დაცილეობითი) -უ, ტრანსლატივი (გამჭოლვითი) -ნე.

ტრანსლატივი იწარმოება ელატივისაგან -უ, -ნე ფორმანტა მეშვეობით. ყველა სახელი არ გვხვდება ლოკატიურ ბრუნვათა ყველა სერიის ფორმებში. კონკრეტულ არსებით სახელებს შორის ამა თუ იმ სერიის წარმოებაზე არსებობს სემანტიკური შეხლუდევი. “როგორც წესი, ყველა სახელი დაისმის ლოკატიურ ბრუნვათა -გ, -ხ, -ტ დაბოლოებიანი სერიის ფორმებში. სერიის ნიშნები მიერთვიან ირბ ბრუნვათა ფუძეს, ხოლო სერიის ნიშნები დაირთავენ ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნებს” [Магомедова, Абдуллаева 2007: 667].

ადგილობით ბრუნვათა შვიდი სერიის მეშვეობით, ახვახურის მსგავსად, **ბაგვალურ** ენაშიც რეალიზდება ლოკალიზაციის შემდეგი კონცეპტები: 1) ლოკალიზაცია “ორიენტირზე” (SUPER), ნიშნებია -ჭ, -ლა; 2) ლოკალიზაცია “ორიენტირთან” (AD), ნიშანია -ხ; 3) ლოკალიზაცია “ორიენტირთან”, “ორიენტირთან კონტაქტში” (CONT), ნიშანია -ჭ; 4) ლოკალიზაცია “ორიენტირის ქვეშ” (SUB), ნიშანია -ტ; 5) ლოკალიზაცია “შიგ”, მთლიან მასაში ან ორიენტირებს შორის (INTER), ნიშანია -ლ; 6) ლოკალიზაცია შინაგანი სივრცის შემცველ ორიენტირში (IN), ნიშნებია -ი, -ა.

ყოველი სერია წარმოდგენილია სამი ბრუნვით: ესივი (მდგომარეობა), ლატივი (მიმართულება) და ელატივი (დაცილება). ესივსა და ლატივს ემჩნევათ ერთმანეთთან შერწყმის ტენდენცია და უმეტეს სერიებში ერთი საერთო ფორმა მოეპოვებათ. ნაშრომში “ბაგვალური ენა. გრამატიკა. ტექსტები. ლექსიკონი” მითითებულია მეოთხე დინამიკური ბრუნვის – ტრანსლატივის არსებობაზე [2001: 141]; აღნიშნულია მისი გამოყენების არარეგულარული ხასიათის შესახებ [იქვე: 142].

ბაგვალური ენის ადგილობით ბრუნვათა სისტემის დამახასიათებელ თვისებად მკვლევრები ასახელებენ სელექციურობას, ე.ი. შერჩევითობას ადგილობითი ბრუნვის ამა თუ იმ ფორმის გამოყენებისას ამა თუ იმ სემანტიკის შემცველ სახელთან.

ერთი ლოკალიზაციით მეტს გამოყოფს ბაგვალურ ენაში დ. ა. დანიელი, ლოკალიზაციის გამოყოფის შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად: “ლოკალიზაციის კატეგორია გვაძლევს სივრცეში სფერო-ორიენტირს და განსაზღვრავს, თუ რა მიმართებაშია ეს სფერო ობიექტთან, რომელიც წარმოადგენს ლოკალიზაციის ნიშნის შემცველ რეფერენტს [Даниель 2001: 141]. ესაა შემდეგი შვიდი ლოკალიზაცია: 1) ლოკალიზაცია SUB “ორიენტირის ქვეშ”, ნიშანია -ტ; 2) ლოკალიზაცია SUPER “ორიენტირის ზედაპირზე”, ნიშნებია -ლა, -ლა; 3) ლოკალიზაცია AD “ორიენტირთან”, ნიშანია -ხ; 4) ლოკალიზაცია CONT “ორიენტირთან კონტაქტში”, ნიშანია -ჭ; 5) ლოკალიზაცია INTER “ორიენტირში” (მთლიან მასაში, ნივთიერებაში, მყარ სხეულში...), ნიშანია -ლ; 6) ლოკალიზაცია

LOCPOSS “შინ ორიენტირთან (“ორიენტირის სახელში”) ან “ორიენტირის სხეულზე”, ნიშანია **-ლბა**; 7) ლოკალიზაცია IN “შივ” (მთლიან მასაში), ნიშნებია **-ინი**, **-ნი**.

დამატებითი ლოკალიზაცია – ლოკატიური პოსესივი – „მასალობრივ ემთხვევა ლატივის ფორმას ლოკატიური **-ლბა** თანდებულისა. მნიშვნელოვანი სხვაობა მათ შორის ისაა, რომ **-ლბა** თანდებულისაგან განსხვავებით, ლოკალიზაციის ნიშანი **-ლბა** (LOCPOSS) დაერთვის არსებითი სახელის ირიბ ფუქეს. მაინც, ლოკატიური თანდებული **-ლბა** მორფოლოგიურად და ფუნქციურად ახლოა ლოკალიზაციის ნიშნებთან: ამაზე მეტყველებს ის, რომ მოეპოვება სრული პარადიგმა დინამიკური ბრუნვებისა (ესივი-ლატივი, ელატივი-ტრანსლატივი) და აგრეთვე აღჭურვილია სინტაქსურ მნიშვნელობათა გამომხატველობით” [Даниель 2001: 141].

ბაგვალური ენა თავისი გეოგრაფიული გავრცელებით მოქცეულია ჭამალურ და ტინდიურ ენათა გავრცელების ზონაში, რის გამოც ამ ენებთან უფრო მეტ სტრუქტურულ და ლექსიკურ სიახლოვეს ავლენს. ბაგვალური სოფლების თქმათა შორის არსებული უმნიშვნელო განსხვავებების გათვალისწინებით, ტ. გუდავას [1967] კვლად ტრადიციულად გამოყოფენ თქმათა სამ ჯგუფს: კვანადურ-ჰემერსოულს, ხუშტადურ-თლონდოდურს (წუმადის რ-ნი) და თლისურ-თლიბიშოურს (ახვახის რ-ნი).

ბაგვალური ენის ყოველ თქმას ახასიათებს თავისებურებები. უფრო აშკარად სხვაობს თლისურ-თლიბიშოური სხვა ჯგუფების თქმებთან შედარებით (კვანადურ-ჰემერსოული, ხუშტადურ-თლონდოდური).

თლისურ-თლიბიშოურში სერიის ნიშანი **-ლბი** გვევლინება **-ლი**-ს სახით, თანაობა გამოიხატება ფორმანტებით **-გუ** (ადგილობით-მიმართულებითი) და **-გუვ** (დაცილებითი). თლონდოდური თქმის **-რ** ფორმანტს თლისურ-თლიბიშოურში შეესატყვისება **-ანა**, რომელიც სხვადასხვა სერია დაერთვის: **დი-ლ'-ანა** “ჩემსკენ”, **იმაშე-ანა** “მამას”, “მამისკენ”.

ბოთლისურ ენაში მოიპოვება ლოკალიზაციის ოთხი კონცეპტი (სამი კონცეპტით ნაკლები, ვიდრე ახვახურსა და ანდიურში): 1) ლოკალიზაცია “ორიენტირზე” (SUPER) წარმოდგენილია ორი სერიით: ნულოვანი ნიშნითა და **-ჭ** ფორმანტით. **-ჭ** ნიშნის სერია ნაკლებია, აკლია ლატივი; 2) ლოკალიზაცია “ორიენტირთან” (AD) **-ხ** და **-ჭ** ნიშნებით; 3) ლოკალიზაცია “ორიენტირის შიგნით” (INTER) **-ლ'** ნიშნით; 4) ლოკალიზაცია “ორიენტირის ქვეშ” (SUB) **-ტბ** ნიშნით. ეს ლოკალიზაცია ექვს სერიას მოიცავს. პირველი სერია ნულოვანი ნიშნით გვევლინება, მეორე სერიას აქვს ფორმანტი **-ჭ** მესამე სერიას – **-ხ**, მეოთხეს – **-ჭ**, მეხუთეს – **-ლ'** და მეექვსეს – **-ტბ**.

ღოდობერიულ ენაში, რომელიც წარმოდგენილია ორი თქმით – საკუთრივ ღოდობერიულითა და ზიბირხალიურით, ადგილობით ბრუნვათა შვიდი სერიით ხდება ლოკალიზაციის ექვსი კონცეპტის რეალიზება: 1) ლოკალიზაცია “ორიენტირზე” (SUPER) შეიცავს ორ სერიას **-ჭ** და **-ლა** ფორმანტებით. ამ სერიათა ფორმების წარმოებისას არსებითი სახელები ღოდობერიულ ენაში ამჟღავნებენ აშკარა სელექციურობას, ე.ი. შერჩევითობას ამა თუ იმ სემანტიკის შემცველი სახელის მიერ ამა თუ იმ სერიის გამოყენებაში. სიტყვები, რომელთა ლოკალიზაციაც შემადლებულ ადგილს მიემართება, იწარმოებიან **-ჭ** დაბოლოებიანი სერიის ფორმებით, ხოლო ბრტყელი ზედაპირის შემთხვევაში – **-ლა** დაბოლოებიანი სერიისა; 2) ლოკალიზაცია “ორიენტირთან” (AD), ნიშანია **-ხ**; 3) ლოკალიზაცია “ორიენტირთან კონტაქტში” (CONT), ნიშანია **-ჭ**; 4) ლოკალიზაცია “ორიენტირის ქვეშ” (SUB), ნიშანია **-ტბ**; 5) ლოკალიზაცია “ორიენტირში”, მთლიან მასაში ან ორი-

ენტირებს შორის (INTER), ნიშანია **-ლ'**; 6) ლოკალიზაცია შინაგანი სიცარიელის შემცველ ორიენტირში (IN), ნიშანია **-თ**.

თითოეული სერია წარმოდგენილია ორი ბრუნვით: ესეით, რომელსაც ლატივთან საზიარო ფორმა აქვს და ელატივით.

კარატაულ ენაში, სივრცითი ლოკალიზაციის სემანტიკის მიხედვით, ბრუნვები ერთიანდებიან რვა სერიაში, რომელთა ნიშნებია **-ჭ, -ტ', -ა, -ხ, -ჭ, -ი, -ლ', -ტ'**. მათი მეშვეობით რეალიზდება ლოკალიზაციათა ხუთი კონცეპტი: 1) ლოკალიზაცია “ორიენტირზე” (SUPER), ნიშნებია **-ჭ, -ტ'** (მეტწილად ჰორიზონტალურ სიბრტყეზე), **-ა**; 2) ლოკალიზაცია “ორიენტირთან” (AD), ნიშანია **-ჭ**; 3) ლოკალიზაცია “ორიენტირთან კონტაქტში” (CONT), ნიშანია **-ხ**; 4) ლოკალიზაცია “ორიენტირის ქვეშ” (SUB), ნიშანია **-ტ'**; 5) ლოკალიზაცია “ორიენტირში”, მთლიან მასაში ან ორიენტირებს შორის (INTER), ნიშანია **-ლ'**; 6) ლოკალიზაცია შინაგანი სიცარიელის შემცველ ორიენტირში (IN), ნიშანია **-ი**.

თითოეულ სერიაში წარმოდგენილია სამიდან ოთხ ბრუნვამდე. ორიენტაციის ბრუნვები არაერთგვაროვანია კარატაულის დიალექტების მიხედვით: “ელატივი და ტრანსლატივი საკუთრივ კარატაულში მნიშვნელობით ხშირად გაუდიფერენცირებელია, ხოლო თუქიტურში მათი დაპირისპირება უფრო თვალსაჩინოა. ბევრ სერიაში ყველა ბრუნვა სრულად არ არის შემონახული [Магомедбекова 1971: 70; Магомедова, Халидова 2001: 449-450]. **-ჭ** და **-ხ** დაბოლოებიანი სერიები ნაკლებია. მათში, შესაბამისად, შემონახულია ორი და ერთი ბრუნვა.

კარატაული ენის თუქიტურ დიალექტში იგივე ლოკალიზაციები რეალიზდება შვიდ ლოკატიურ სერიაში ფორმანტებით **-ჭ, -ლა (-ლლა), -ჰ, -ჭ, -ი, -ლ', -ტ'**. სივრცით ბრუნვებს აქ უფრო მწკობრი სისტემა აქვთ, ვიდრე საკუთრივ კარატაულში. თითოეული ლოკალიზაცია აქ წარმოდგენილია ორიენტაციის ოთხი ბრუნვით; არ არის ნაკლები სერიები, საკუთრივ კარატაულისაგან განსხვავებით. გარდა ამისა, თუქიტურ დიალექტში სრულადაა შემონახული სერია **-ჰ** დაბოლოებით, რომელიც სემანტიკურად და ფორმობლივ შეესატყვისება **-ხ** დაბოლოებიან სერიას საკუთრივ კარატაულში; აქ არ გვხვდება ლოკალიზაცია “ორიენტირის ზედაპირზე”, რომელსაც საკუთრივ კარატაულში **-ა** ფორმანტი მოეპოვება. ამ ლოკალიზაციას სემანტიკით ახლო ლოკალიზაციები წარმოგვიდგენენ [Магомедова, Халидова 2001: 452].

ტინდიურ ენაში, ისევე როგორც ასეხურში, ბაგვალურში, ლოდობერიულში, მოიპოვება შვიდი სერია ადგილობითი ბრუნვებისა, რომლებითაც რეალიზდება ისეთივე კონცეპტები, როგორც გვაქვს ბაგვალურსა და ლოდობერიულ ენებში. ტინდიურშიც ასევე “ყოველი სერია მოიცავს ორ ბრუნვას (ადგილობითსა და მიმართულებითს ყველა სერიაში საერთო ფორმა აქვთ), რომელთა დაბოლოებაც მოქმედების მიმართულებაზე მიუთითებს: ადგილობით-მიმართულებითი **-ა (ლ, ჭ, ხ სერიებში), -ი** (ყველა დანარჩენ სერიაში), დაცილებითი **-თ** (ყველა სერიაში) [Магомедова 2003: 548]: 1) ლოკალიზაცია “ორიენტირზე” (SUPER), ნიშნებია **-ლ** (მეტწილად ბრტყელ ზედაპირზე) და **-ჭ**, რომლითაც გამოიხატება აგრეთვე კონცეპტი “ორიენტირთან” (AD); 2) ლოკალიზაცია “ორიენტირთან” (AD), ნიშანია **-ხ**, ზოგჯერ **-ჭ**; 3) ლოკალიზაცია “ორიენტირთან კონტაქტში” (CONT), ნიშანია **-ჭ**; 4) ლოკალიზაცია “ორიენტირის ქვეშ” (SUB), ნიშანია **-ტ'**; 5) ლოკალიზაცია “შივ”, მთლიან მასაში ან ორიენტირებს შორის (INTER), ნიშანია **-ლ'**; 6) ლოკალიზაცია შინაგანი სივრცის შემცველ ორიენტირში (IN), ნიშანია **-თ**.

ყოველი სერია შედგება ორი ბრუნვისგან: ადგილობითსა (ესივი) და მიმართულებით (ალატივი) ბრუნვებს ყველა სერიაში მოეპოვებათ საერთო ფორმა.

ჭამალურ ენაში ა. ბოკარიოვი გამოყოფს ადგილობით ბრუნვებს, რომელთა რაოდენობაც, მათი ვარიანტების ჩათვლით, ორ ათეულამდე აღწევს, მაგრამ “განსხვავებით სალიტერატურო ხუნძურისაგან, რომელშიც ადგილობით ბრუნვათა სისტემა დამუშავებულია მეტად გულდასმითა და თანმიმდევრობით, ჭამალური ენა არ წარმოგვიდგენს ყოველმხრივ მყარ სისტემას: ადგილობით ბრუნვათა ზოგიერთი სერია დეფექტურია (ე.ი. არ მოიპოვება ყველა ფორმა); ერთი და იმავე ძირითადი მნიშვნელობის გამოსახატავად გამოიყენება რამდენიმე სერია, ერთი და იგივე მნიშვნელობა სერიის შიგნით გამოიხატება სხვადასხვა ბრუნვებით და, პირიქით, ერთსა და იმავე ბრუნვას მოეპოვება განსხვავებული მნიშვნელობები” [Бокарев 1949: 47].

ა. ბოკარიოვი გამოყოფს ჭამალურში შემდეგ ლოკალიზაციებს: 1) ლოკალიზაცია “ორიენტირზე” (SUPER), ნიშანია -ჭ; 2) ლოკალიზაცია “ორიენტირთან” (AD), ნიშნებია -ხ (კონტაქტის გარეშე) და -ჭ (კონტაქტის არსებობა); 3) ლოკალიზაცია “ორიენტირის ქვეშ” (SUB), ნიშანია -ტ; 4) ლოკალიზაცია “შიგ”, “ორიენტირის შიგნით” (INTER) და (IN), ნიშანია -ლ.

ფ. მაჰომედოვა [Магомедова, 2000: 473-474] ჭამალურ ენაში გამოყოფს ექვს სერიას, რომლებითაც რეალიზდება ლოკალიზაციათა შემდეგი კონცეპტები: 1) ლოკალიზაცია “ორიენტირზე” (SUPER); ნიშანია -ჭ, რომელიც ზოგჯერ გამოხატავს (AD) კონცეპტსაც; 2) ლოკალიზაცია “ორიენტირთან” (AD), ნიშანია -ხ და ზოგჯერ -ჭ; 3) ლოკალიზაცია “ორიენტირის უკან, მომდევნოდ” (ANTE), ნიშანია -ჭ; 4) ლოკალიზაცია “ორიენტირის ქვეშ” (SUB), ნიშანია -ტ; 5) ლოკალიზაცია “შიგ”, მთლიან მასაში ან ორიენტირებს შორის (INTER), ნიშანია -ლ; 6) ლოკალიზაცია შინაგანი სივრცის შემცველ ორიენტირში (IN), ნიშანია -თ.

ყოველი სერია წარმოდგენილია სამი ბრუნვით: ესივი (მდგომარეობა), ლატივი (მიმართულება) და ელატივი (დაცილება). სხვა ხუნძურ-ანდიურ ენათაგან განსხვავებით, ფ. მაჰომედოვა [2000: 474] ჭამალურის მიმართულებითი ბრუნვის შიგნით ყველა სერიაში, გარდა -ნ დაბოლოებიანი სერიისა, განარჩევს ორ ფორმას ორი სხვადასხვა სემანტიკით: “ობიექტისაკენ მიმართულება დროებით ყოფნის მიზნით” და “ობიექტისაკენ მიმართულება მუდმივად ყოფნის მიზნით”. გარდა ამისა, “-ხ და -ჭ დაბოლოებიან სერიებში პირველ მიმართულებით ბრუნვასა და ადგილობით ბრუნვებს საერთო ფორმა აქვთ (მათ შორის მადიფერენცირებულ ნიშნად მახვილის ადგილი გვევლინება)” [იქვე: 474].

როგორც ვხედავთ, სერიათა განსხვავებული რაოდენობის მიუხედავად (ხუთიდან რვაამდე), ადგილობითი ბრუნვებით გამოხატული ლოკალიზაციის კონცეპტები ხუნძურ-ანდიურ ენებში ძირითადად ერთხვევიან. ეს ლოკალიზაციებია: “ორიენტირზე”, “ორიენტირთან”, “ორიენტირის ქვეშ” და “ორიენტირში” სხვადასხვა სემანტიკური მოდიფიკაციებით.

ნებისმიერი არსებითი სახელი არ გვხვდება ყველა სერიის ფორმით, ზოგიერთი სერიის წარმოებისას მოქმედებს სემანტიკური შეზღუდვები.

ენის სემანტიკური სივრცე სტრუქტურირებული და ორგანიზებულია. თავად სტრუქტურები ლინგვისტურ უნივერსალიებს განეკუთვნებიან, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს შეპირისპირებითი კვლევა-ძიება სემანტიკის დონეზე, გამოვლინდეს ექსტრალინგვისტური სინამდვილის შესახებ წარმოდგენათა სპეციფიკა ყოველ კონკრეტულ ენაში.

სივრცე, როგორც მატერიის არსებობის ფორმა, ობიექტურადაა მოცემული, იგი არ არის დამოკიდებული შემეცნებელ სუბიექტზე და ამიტომ უნივერსალურია, ხოლო ლოკალიზაციისა და ორიენტაციის კატეგორიის გამომხატველი ენობრივი შესაძლებლობები ნაირგვარია. სხვადასხვა ენებს მოეპოვებათ სხვადასხვა საშუალებები, მაგალითად, მორფოლოგიური საშუალებები, სივრცითი ლოკალიზაციის გამოსახატავად.

ბევრ ენაში სივრცითი მიმართებები პირველადია, ბაზისური და, მაშასადამე, სივრცით მიმართებათა გამოხატვის ფორმების გადააზრებით შესაძლებელი ხდება სხვა მიმართებათა გამოხატვა. ამასთან ერთად, დამახასიათებელია მნიშვნელობათა განვითარების შემდეგი რიგი: სივრცე – დრო – მიზეზი (და სხვა ლოგიკური მიმართებები).

Z. Mallaeva (Mahachkala)

Towards the problem of conceptualization by cases in the Avar-Andi languages

Summary

An issue of locative cases of the Dagestanian languages is well-studied. But notwithstanding owing to different standpoints existing in the special literature this issue needs to be studied again. It especially regards the number and terminological issues of these cases.

In spite of different number of series (from 5 to 8) localization concepts expressed by locative cases basically coincide with each other in the Avar-Andi languages. These localizations are: 'on orientator', 'with orientator', 'under orientator' and 'in orientator' with different semantic modifications.

Language capabilities expressing localization and orientation categories are various. Different languages have different tools to express space localization.

In many languages space relations are initial, basic and thus through conception of expressing forms of space relations it is possible to express other relations. Also the following order of meanings developing is characteristic: space – time – cause (and other logical relations).

თ. მახარობლიძე (თბილისი)

ქართული ზმნის ვერსიის კატეგორიის შესახებ

ქართულ პოლიპერსონალურ ზმნას შეუძლია გვიჩვენოს პირთაშორისი დამოკიდებულებები. ქცევა ანუ ვერსია არის ზმნის კატეგორია, რომელიც ზმნის პირების ურთიერთობებს ასახავს. ქართულ ზმნებს შეუძლიათ გადმოსცენ კუთვნილებით-დანიშნულებითი სემანტიკა. ზმნის ვერსია გვიჩვენებს, თუ ვისკენ, ვისი ინტერესებისაკენ არის მიმართული ანუ ორიენტირებული ზმნით გამოხატული მოქმედება. ეს არის პოლიპერსონალური ზმნის კატეგორია და მხოლოდ პოლიპერსონალურ ზმნებს შეუძლიათ ამ მორფოლოგიური კატეგორიის გამოხატვა. ქცევის მარკერები პრეფიქსურია და პირის ნიშანთა შემდგომ ჩნდება აფიქსთა რიგში. ეს მარკერებია: ა-, ი- და უ-. ამ ხმოვან პრეფიქსებთან დაკავშირებით უამრავი გამოკვლევა არსებობს, ქართველმა ენათმეცნიერებმა მრავალი ნაშრომი მიუძღვნეს ამ პრეფიქსთა ფუნქციების გამოკვლევასა და აღწერას. ჩვენ შეგნებულად ავარიდებთ თავს ზემოხსენებული საკითხის შესწავლის ისტორიის მიმოვიხილვას, რადგანაც სპეციალისტთა ფარო წრეებისათვის ეს ნაშრომები ისედაც საკმაოდ კარგადაა ცნობილი.

ქართული ზმნის ვერსიას აქვს სამი საოპოზიციო ფორმა:

1. **ნეიტრალური** – პრეფიქსური მარკირებით ა-, ~~ი-~~ (*ა-ბატავ*, *ა-ბატავ*);
2. **სუბიექტური** – პრეფიქსური მარკირებით ი-, *ი-ბატავ*; ზმნის მოქმედება სრულდება სუბიექტის მიერ სუბიექტის ინტერესებისათვისვე, გვაქვს ინტროვერტული ვერსია (მაჭავარიანი, 1987:124);
3. **ობიექტური** – პრეფიქსური მარკირებით ი- I და II პირებთან (*ი-ბატავ*, *ი-ბატავ*) და უ- III პირთან (*უ-ბატავ*). ზმნის მოქმედება სრულდება სუბიექტის მიერ ობიექტის ინტერესებისათვის და გვაქვს ექსტრავერტული ვერსია (მაჭავარიანი, 1987:124).

სუბიექტური ვერსია გვაქვს ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც სუბიექტი მოქმედებს საკუთარი სხეულის ნაწილებზე. ასეთი კონტენტი შეუძლიათ გადმოსცენ მხოლოდ ორპირიანმა გრადამავალმა ზმნებმა, რომელთაც აქვთ მესამე პირის პირდაპირი ობიექტი მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში: ვიხატავ, ვიბამ, ვივარცხნი და ა.შ.

ქართული ზმნის ქცევის კატეგორიის დღევანდელი სამგანზომილებიანი მოდელი, სავარაუდოდ, ორგანოზომილებიანი – ქცევიანი და უქცეო ფორმების ოპოზიციიდან მომდინარეობს. მოგვიანებით პრეფიქსურმა მონოპერსონალიზმმა განაპირობა სათავისოსასხვისო ოპოზიციის ჩამოყალიბება სუბიექტისა და ობიექტის პრეფიქსული ნიშნების შესაბამისად. შედეგად კი ქცევა და რეფლექსივი ერთი კატეგორიის შიგნით საოპოზიციო ფორმებად გაფორმდა. რეფლექსივმა, როგორც კატეგორიამ, დაკარგა დამოუკიდებელი ზმნური კონტენტი და ქართველურ ენებში შექმნა ზმნების სამგანზომილებიანი ქცევის მოდელი. ამ ზმნურმა კატეგორიამ შეამცირა ენაში უკუქცევითობის სხვა მორფოლოგიური ფორმების გამოყენება. “თვის” თანდებულებიანი ფორმებით დასაშვებია რეფლექსივის

პარალელური სინთეტური წარმოება (გავიკეთე ის მე – გავიკეთე ის მე ჩემთვის). „თვის“ თანდებულის პირველადი, სავარაუდოდ, რეფლექსივის გადმოცემა იყო, რამდენადაც იგი მომდინარეობს ფორმიდან „თავი“. ეს ლექსემა კი მსოფლიოს მრავალ ენაში, სწორედ, რეფლექსივის ფუნქციით გამოიყენება. მაგალითად, ბასკურში რეფლექსივი გადმოიცემა ნაცვალსახელითა და სიტყვა „თავი“-ით დატივში: *Gure buruari* - ჩვენთვის, *Bere buruari*-მისთვის.

ქართული სინტაქსური ფორმატის რეფლექსივი, ძირითადად, ნაწარმოებია ფორმით „თავისთვის“. ეს არის გარკვეული ფორმის რედუპლიკაცია, რამდენადაც „თვის“ ნაწარმოებია ფორმიდან „თავი“. ასეთი რედუპლიცირებული ფორმა გამოიყენება რეფლექსივობის სინტაქსური კატეგორიისათვის.

ურთიერთმიმართება ქცევასა და რეფლექსივს შორის საკმაოდ სპეციფიკურია: თუ გვაქვს ობიექტური ვერსია, „თვის“ თანდებულის გამოყენება მიუღებელი ხდება. დაუშვებელია მიკეთებს (ის მე მას) ჩემთვის – მაშინ, როდესაც დასაშვებია იგივე ფორმა სუბიექტური ვერსიით – ვიკეთებ (მე მას) ჩემთვის. რეფლექსივი, როგორც ინტროვერტული სემანტიკის კატეგორია, უშვებს რეფლექსურობის რედუპლიცირებულ რეფერენცირებას ობიექტური ვერსიის ფორმებისგან განსხვავებით. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა რეფლექსურობასა და სასხვისო ქცევას – ექსტრავერტული სემანტიკის მქონე ფორმებს შორის.

რეფლექსივი სპეციფიკურია პირველადი კაუზაციის შემთხვევებშიც, როდესაც პირდაპირი ობიექტი პირველი ან მეორე პირია. შევადაროთ ფორმები: დაავიწყა – მან მას ის და დაავიწყა მან მას ჩემი თავი, დამავიწყა მან მე შენი თავი და ა. შ. პირველი და მეორე პირის პირდაპირი ობიექტი მხოლოდ „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელის საშუალებით რეალიზდება და ამას ალტერენატივა არ გააჩნია თანამედროვე ქართულში. ირველი და მეორე პირის ფორმების მსგავსად მესამე პირის ფორმებიც შეიძლება ამ მოდელით ვაწარმოოთ: დაავიწყა მან მას (ის) მისი თავი, თუმცა ამისი აუცილებლობა არ დგას.

უნდა აღინიშნოს, რომ, ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით, იგივე ენობრივი სურათი მეორდება კაუზაციური უღლების დროს. ვერსიის კატეგორია უღლების პარადიგმაში ყველგან იჩენს თავს. მესამე სერიის ფორმები არასოდეს უჩვენებს ქცევას, თუმცა ეს ფორმები ნაწარმოებია სწორედ ქცევის ნიშნების საშუალებით. მესამე სერიაში ვერსიის ყველა ფორმას ერთი შესაბამისი ფორმა აქვს:

ნეიტრალური ვ-~~თ~~-ხატ-ავ – და-მ-თ-ხატ-ავ-ს

სუბიექტური ვ-თ-ხატ-ავ – და-მ-თ-ხატ-ავ-ს

ობიექტური ვ-უ-ხატ-ავ – და-მ-თ-ხატ-ავ-ს

ეს ხმოვანპრეფიქსული მარკერები მესამე სერიაში ითვლება ქცევის უფუნქციო მარკერებად. საერთოდ, ენამ არ იცის უფუნქციო ნიშანი – ყველა ნიშანს სინქრონიულად ან დიაქრონიულად მაინც რომელიმე კონკრეტული სემანტიკური დატვირთვა აქვს, რამდენადაც მორფემა არის ორპლანიანი ერთეული ანუ მორფო-სემანტიკური რეფერენტი. იქ, სადაც შინაარსი იკარგება ან ვიწროვდება, ვსაუბრობთ უფუნქციო მორფემებზე. ცნობილია, რომ სიტყვის სემანტიკური ველი მოძრავია. ის შეიძლება სხვადასხვაგვარად შეიცვალოს. ეს ეხება არა მარტო ძირეულ მორფემებს. ასეთივეა სხვა დანარჩენ მორფემათა სემანტიკური ველიც. თუმცა, ბუნებრივია, რომ ამ მორფემათა ცვლილებების სინქარის კოეფიციენტი გაცილებით დაბალია. ქცევა, ძირითადად, არის ირიბი ობიექტის კატეგორია და მესამე სერიაში, როდესაც ეს ირიბი ობიექტი გადის ზმნიდან, ეს

უკანასკნელი ცდილობს დესტინაციური შინაარსის შენარჩუნებას და ირჩევს „თვის“-თანდებულის ფორმებს, რომელთაც აქვთ დანიშნულებითობის შინაარსი. მაინც რჩება გარკვეული უკმარისობის შეგრძნება, პოსესიურობის ან დესტინაციის გამოხატვის თვალსაზრისით, და ამის შესავსებად პარალელურად ჩნდება ქცევის ნიშნები. ფაქტობრივად, შენარჩუნებულია სემანტიკა და შეცვლილია მორფოლოგია. მესამე სერიაში დესტინაციის სემანტიკა სხვა მორფოლოგიურ ფორმებს მიმართავს, მაგრამ იგი მთლიანად არ გადის ზმნიდან და იქ ტოვებს თავის რეფერენტებს, რომლებიც შესაბამისი ირიბი ობიექტის გარეშე უკვე უფუნქციოდ მოიაზრება. დიაქრონიული სურათი ასეთია: სტატიკური ფორმისგან „უწერია“ – მას (კაცს – O ind.) ის (სიტყვა - S) წიგნზე მივიღეთ III სერიის ფორმა „(და)უწერია“ მას (კაცს – S) სიტყვა (O d.) [დედისთვის] - Oind. ე. ი. აქ ისტორიული ირიბი ობიექტი გახდა სუბიექტი და სუბიექტი კი ობიექტად მოგვევლინა – ამიტომ გასაგებია, რატომაც გვაქვს ინვერსია. ამ ფორმათა ახლებური გააზრებისას შემოდის ახალი ირიბი ობიექტი სულ სხვა, ახალი აქტანტი (დედისთვის), რომელიც კანონიერი და ერთადერთი ირიბი ობიექტია პირველ-მეორე სერიაში. მესამე სერიაში კი ზმნაში არის მხოლოდ ისტორიული ირიბი ობიექტი (კაცს), რომელიც ბრუნვასაც კი ინარჩუნებს, ობიექტის ნიშნებითაა ასახული ზმნასა და სახელში (თუმცა სუბიექტადაა ქცეული). მეორე ირიბი ობიექტი (პირველისა და მეორე სერიათა კუთვნილება) ამ მესამე სერიაში ზმნამ უკვე აღარ მიიღო და გარეთ გაიტანა. მივიღეთ ე. წ. უბრალო დამატება, რომელიც ბევრ ენაში პრედიკატის არგუმენტია. საერთოდ, ქართულ ზმნას იშვიათ შემთხვევებში შეუძლია ორი ირიბი ობიექტის ქონა (მიჭმიე, მისმიე ფორმებში – მე და მას ორი ირიბი ობიექტია); მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქ სხვა – კაუზატიური ტიპის ურთიერთობაა ასახული.

თავის მხრივ, სტატიკური ზმნებიც განასხვავებენ ქცევას. გვაქვს: წერია – უწერია – აწერია (შანიძე 1980: 342), რადგანაც ყოფილი ირიბი ობიექტის სემანტიკა იყო ხაზგასასმელი, ამიტომაც მესამე სერიის ფორმათა წარმოებამ შესაბამისი რეფერენცირებული, დადებითი ანუ სასხვისო ქცევის ნიშნიანი ფორმები ამოირჩია სტატიკურ ზმნათა არსებული ვარიანტებიდან. სინქრონიულ დონეზე კი ეს ნიშნები უფუნქციოდ რეფერენტებად გაიაზრება, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ირიბი ობიექტი ზმნაში აღარ არის და სასხვისო ქცევა კი ირიბი ობიექტის გარეშე ვერ იქნება“.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ენაში არც შემთხვევით ხდება რამე და არც უფუნქციოდ რამე გრამატიკული ნიშანი წარმოიშობა. ფორმები იცვლიან გარეგნულ და შინაგან მხარეებს და ეს ხდება საფუძველი ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობისთვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ ფორმათათვის ფუნქცია არის პირველადი ამოსავალი. მაგრამ როცა იკარგება ფუნქციის ძირითადი სემანტიკა, გვრჩება უფუნქციო ნიშნები. უკვე შექმნილი ენობრივი სისტემა დამოუკიდებლად (ენობრივი ინერციით) სისტემის კანონების შესაბამისად მუშაობს, ასეთ დროს ყალიბდება ფორმალური ერთეულები, რომლებიც საკმაოდ დაცილებულია ფუნქციურ საწყისს. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში (მესამე სერიის ფორმებთან), ხმოვანი პრეფიქსების პოლიფუნქციური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ამავე ფორმებში სხვა დასაშვები ფუნქციის არსებობა ან სხვადასხვა კატეგორიის სემანტიკათა გადაკვეთაც განვიხილოთ.

ჩვენ აღვნიშნეთ ქცევის ნიშანთა ფუნქციურ-სემანტიკური საფუძველი გარდამავალი ზმნის მესამე სერიაში, კერძოდ კი, პირველ თურმეობითში. ეს არის დესტინაციის (დანიშნულებითობის) კატეგორიის გამოხატვა ისტორიული ირიბი ობიექტის ბაზაზე. გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის ფორმებში გაჩენილი ქცევის ნიშნების

სემანტიკური საფუძვლის ასახსნელად მნიშვნელოვანი გარემოება გახლავთ პერფექტის პოსესიური სემანტიკა.

საერთოდ, პერფექტს აქვს პოსესიური სემანტიკა. „ბევრ ენაში პერფექტულ დროთა გამოხატვა კუთვნილების გამომხატველი საშუალებებით ხდება“ (მელიქიშვილი 2002: 121). ეს ძალზე ხელშესახებია ინდოევროპულ ენებში, სადაც სრული დროის ფორმები „ქონა“ დამხმარე ზმნით იწარმოება მაგ., ინგლისურში, ესპანურში და სხვ. ინგლისურ ენაში გვაქვს ასეთი ფორმები – I have painted . ეს ნიშნავს – „მე დავხატე“, „მე დამიხატავს“; ზედმიწევნით – „მე მაქვს დახატული“. სრული დრო (პერფექტი) გულისხმობს, რომ სუბიექტს უკვე შესრულებული აქვს მოქმედება. აქ საკმაოდ ნათელია პოსესიურობის სემანტიკა.

ქონა-ყოლა (დამხმარე) ზმნით შედგენილი აღწერითი ფორმები ქართულში, შესაძლოა, პერფექტის პარალელურ ფორმებადაც მივიჩნიოთ, მაგალითად: დაუწერია – დაწერილი აქვს; გამიკეთებია – გააკეთებული მაქვს, ამიშენებია – აშენებული მაქვს და ა. შ.

თავისთავად, კუთვნილებით-დანიშნულებითი ზმნური სემანტიკის გამოხატვა ქართული ენის მორფოლოგიისათვის უცხოა არაა. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი ასეთი პოსესიურობის სემანტიკა პერფექტს ექნებოდა მორფოლოგიურად გადმოსაცემი, ცხადია, უპრიანი იქნებოდა ქცევის ნიშნების გამოყენება, რამდენადაც ქართული ენის მორფოლოგიაში ასეთი ზმნური პოსესიური სემანტიკის გამოხატვის პრეროგატივა ვერსიის კატეგორიას აქვს და საამისოდ მას გააჩნია თავისი კარგად ჩამოყალიბებული სამგანზომილებიანი მორფო-სინტაქსური სისტემა შესაბამისი რეფერენტებით. ამიტომაც, პერფექტულ-პოსესიური სემანტიკის მქონე სინთეზური ფორმებისათვის ახალი მარკირების ერთეულთა შექმნა აღარ გახდა საჭირო და ეს დაეფუძნა ენაში უკვე არსებულ ზმნური პოსესიურობის მოქმედ მოდელს.

მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში გაჩენილი ხმოვანი პრეფიქსი „ე-“ ასევე არ არის შემთხვევითი. ეს არის რელაციური „ე-“, რომელიც ზოგ გარდაუვალ ზმნაში „ი-“ პრეფიქსიან აბსოლუტურ ფორმებთან მიმართებაში საოპოზიციო რელაციურ ფორმებს ქმნის და სამართლიანად მიჩნეულია სასხვისო ქცევის გაგების გამომხატველად პრეფიქსული ვნებითი გვარის ფორმებისათვის. აქედან გამომდინარე, მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში პერფექტის პოსესიურობის სემანტიკისათვის და ზმნიდან გასული ირიბი ობიექტის გამოსახატავად და, საერთოდ, ამგვარი კომბინირებული სემანტიკის მარკირებისთვის საფუძვლით მისაღები რეფერენცია „ე-“ პრეფიქსი.

формации и ее обращением (в том числе за формами и механизмами обращения). На наш взгляд, подобный тип социально-культурной коммуникации возможен, в принципе, в любой социальной общности относительно небольшого масштаба - типа ном, чифдом, полис, локальная цивилизация при наличии определенных условий ландшафтно-географического, демографического и властно-управленческого порядка. В данном конкретном случае (в кавказских условиях) сработали, по-видимому, особенности горного ландшафта (высокая пересеченность местности и ограниченность демографической емкости горных ущелий и равнин), специфичность властных механизмов в пространстве кавказской цивилизации, в частности, доминирование потестарных отношений и отсутствие (или неразвитость) единой, централизованной власти (мегамшины власти) и, наконец, отсутствие жесткой иерархической структуры в социальной организации, что, надолго предопределило чифдомно-номнополисную структуру социального бытия кавказских этносов, при которой возможно вовлечение в любой публичный акт социально-культурной коммуникации едва ли ни всего населения любого сообщества (рода, тейпа, аула, ущелья). Однако подобные или во многом схожие условия складывались (имели место на определенных этапах истории) и в рамках цивилизаций, далеких от Кавказа. В частности, существует достаточно оснований говорить о лектоническом характере (типе) социально-культурной коммуникации в отношении древнегреческого полиса и Новгородской республики на Руси.

Здесь мы вновь сталкиваемся с проблемами методологии локальных цивилизаций, в частности, с проблемами выбора критериев их идентификации и типизации. Понятно, что любая типология должна строиться на основе сущностных (субстратных, структурных и функциональных) признаков предмета (объекта) типизации. Однако практически во всех известных теориях локальные цивилизации вычленяются и идентифицируются, как правило, на основе формальных, внешних, т. е. географических, пространственно-временных, этнических или религиозных признаков. Так, А. Тойнби приписывает семи ныне существующим цивилизациям следующие идентифицирующие признаки: 1) западная, 2) православная, 3) индуистская, 4) китайская, 5) дальневосточная, 6) иранская, 7) арабская (14). Ясно, что здесь речь не идет о содержательной типологизации, обладающей объяснительным потенциалом. С подобных позиций определяются и те цивилизации, которые уже сошли с исторической арены - египетская, минойская, шумерская, эллинская, ацтеков. Впрочем, в подходах Н. Данилевского и О. Шпенглера, А. Тойнби и П. Сорокина содержится и другая методологическая линия - поиск сущностных признаков типизации цивилизаций. Данилевский, выделяя «культурно-исторические типы» (15), усматривает основания к этому в характере организации власти, типе религии, спецификах культуры, а Шпенглер в качестве критерия типизации выдвигает метафизические признаки, которыми он наделяет цивилизации: прасимвол культуры (уникальный для каждой цивилизации) или стилистика культуры, якобы проявляющаяся во всех цивилизациях одну из трех возможных модификаций - аполлоническую, дионисийскую, фаустовскую (16). Тойнби пытается выделить некие модельные типы цивилизаций - первичные, вторичные, третичные (14), а Сорокин полагает, что историко-культурный процесс (развитие цивилизации) представляет собой чередование трех типов культурных систем - сенситивной, идеационной и идеалистической (17). Но это не меняет ситуации, поскольку типологические критерии, используемые указанными классиками теории локальных цивилизаций, практически не связаны с процессами вещественно - энергетического и информационного обмена в пространстве исторического бытия и социальной динамики рассматриваемой ими локальной цивилизации.

Справедливости ради заметим, что социально-гуманитарная наука, конечно же, оперирует сущностными признаками типа цивилизации, когда выделяет такие ее формы как «аграрная»,

«индустриальная», «информационная». Однако и это не меняет общей ситуации в методологии локальных цивилизаций в силу ряда причин. Во-первых, указанные типовые цивилизационные формы соотносятся, как правило, не с какой-либо конкретной локальной цивилизацией, а с определенными историческими стадиями развития мирового (а точнее - европейского) социального бытия. Во-вторых, указанный ряд критериев типизации локальных цивилизаций внутренне противоречив, поскольку за типами «аграрный» и «индустриальный» стоит характер (сущность) вещественно-энергетического обмена в социоприродной системе, а за типом «информационный» - характер информационного бытия социума, в то время как в реальной действительности структура и типические характеристики (признаки) цивилизации определяются общим и целостным процессом вещественно- энергетических и информационных обменов, а значит - и характером социально-культурной коммуникации. Заметим – социокультурная коммуникация не сводится лишь к циркуляции информации (информационной технологии), поскольку включает, так или иначе, весь спектр форм символического творчества человека, в том числе и религиозные. Но в рамках доминирующей пока методологии лишь только религия (т. е. всего один фрагмент социокультурной коммуникации), используется как критерий типизации цивилизации, наряду с характеристиками вещественно-энергетического обмена.

Как уже подчеркивалось, принципиально множественный характер локальных цивилизаций, которые являются следствием теории синтеза макроисторических парадигм, вновь ставит на повестку дня гуманитарной науки проблематику локальных цивилизаций во всех аспектах, в том числе и проблему критериев их типизации (типологии). Речь идет, как уже неоднократно подчеркивалось, о критериях, отражающих сущностные признаки, т. е. характер вещественно-энергетических обменов и информационных процессов, определяющих структурно-типологические особенности локальной цивилизации. В этом контексте очевидна неправомочность бытующего в гуманитарной науке преувеличения, если не сказать абсолютизации, роли одних факторов (в частности, материального производства, религии и форм организации власти) в процессах социогенеза и пренебрежения ролью других факторов (информационных процессов и форм их организации, например). Ведь длительное время (миллионы лет) в качестве единственного основания социальности, выступали «биологическое производство человека» и сексуальные отношения (а точнее - ограничения избыточной мужской сексуальности), породившие элементарные формы социальной общности типа «семья», «род», «племя». Следом на арену социогенеза вышло «информационное производство», если иметь в виду, что человек «изобрел» и использует членораздельную речь, по разным оценкам, вот уже 500 тысяч лет, в то время как материальное производство стало формообразующим фактором социального бытия относительно недавно - после неолитической революции и появления экономики производящего типа. Так что, брачно-сексуальные отношения и социально-культурная коммуникация длительное время оставались доминантными факторами порождения социальных навыков, поведенческих диспозиций, схем интеракций, т. е. форм социальности и социальной интеграции. Естественно, что эти факторы продолжают действовать и после возникновения новых «демиургических» факторов социогенеза - материального производства, религий и «крупных форм» организации власти (мегамашины власти). Так, Дж. Мид и М. Мид полагают, что социальная структура есть результат развития процессов коммуникации, а социальное развитие, соответственно, являет собой, прежде всего, возникновение и развитие культурно-коммуникативных форм и механизмов (18). Коммуникация и ее особенности рассматриваются как критерии оценки уровня развития социума и в структуралистических теориях Т. Парсонса. При этом Парсонс в системе эволюционных универсалий, т. е. в системе социально-культурных феноменов последовательно возникающих в ходе исторического развития общества и

обеспечивающих его интеграцию, первую позицию отводит коммуникации, а далее следуют система родства, форма религии, технология (специфика материального производства), социальная стратификация, система власти и другие элементы социального бытия (19). В том, что подобные оценки не лишены основания убеждает и анализ роли социально-культурной коммуникации (ее специфических особенностей) в системе кавказской цивилизации, определяемой нами как «лектоническая». И одним из системных элементов этой необычной цивилизации, по нашему убеждению, является грузинская культура. Ныне Грузия следует траектории развития, ведущей в пространство европейской цивилизации, но, вероятно, кавказская цивилизация, в формировании которой она сыграла историческую роль, еще надолго останется архетипическим фактором, так или иначе регулирующим трансформацию грузинской культуры, взывая к пристальному анализу лектонической эпохи своего бытия.

Литература

Розов 1999: Розов Н. С., Структура социальной онтологии: по пути к синтезу макроисторических парадигм // Вопросы философии, №2. Москва, 1999.

Дьяконов 1994: Дьяконов И. М., Пути истории. Москва.

Абдулатипов 1995: Абдулатипов Р. Г., Кавказская цивилизация: самобытность и целостность, Научная мысль Кавказа, №1.

Давидович 2000: Давидович В. Е., Существует ли кавказская цивилизация Научная мысль Кавказа, №2.

Черноус: Черноус В. В. Кавказ - контактная зона цивилизаций и культур // Там же.

Черноус 1992: Черноус В. В., К вопросу о горской цивилизации // Россия в XIX- начале XX века, Ростов-на-Дону.

Тхагапсоев 1999: Тхагапсоев Х. Г., О кавказской культурной общности // Вестник РАН.

Тхагапсоев 2001: Тхагапсоев Х. Г., Лектонический тип коммуникации и проблема цивилизационной идентификации Кавказа // Научная мысль Кавказа, №4.

Эфроимсон 1995: Эфроимсон В. П., Генетика этики и эстетики СПб., «Талисман», 1995.

Лосев 1989: Лосев А. Ф. История античной философии в конспективном изложении. М., «Мысль», 1989.

Чернавский 2001: Чернавский Д. С., Синергетика и информация, М., «Наука».

Бурдые 1994: Бурдые П. Рынок символической продукции // Вопросы социологии, z №5.

Тхагапсоев 2000: Тхагапсоев Х. Г., Коммуникативные особенности бесписьменных культур // Научная мысль Кавказа, №2.

Тойнби 1996: Тойнби А. Постижение истории, Москва.

Данилевский 1971: Данилевский Н. Я. Россия и Европа, СПб., 1971.

Шпенглер 1993: Шпенглер О. Закат Европы, Москва.

Сорокин 1992: Сорокин П. Человек, цивилизация, общество, Москва.

Энциклопедический словарь 1990: Энциклопедический словарь «Современная западная социология», Москва.

Parsons 1978: Parsons T. Action theory and the human condition. N. Y.

ჰ. თჰაღაფსოევი (ნალჩიკი)

საქართველო კავკასიურ-ლექტონიკური ცივილიზაციის სისტემაში

რეზიუმე

სტატიაში განზოგადებული და განვითარებული სახითაა წარმოდგენილი ავტორის მიერ ადრე წამოყენებული იდეა სოციალურ-კულტურული სპეციფიკური ტიპის არსებობის შესახებ. ეს ტიპი გვევლინება სისტემაწარმოქმნელ საფუძვლად კავკასიური ლოკალური ცივილიზაციისა, რომლის სივრცეში შედის საქართველოც (ქართული კულტურა). სოციალურ-კულტურული კომუნიკაციის ეს ტიპი იწოდება ლექტონიკურად. როგორც ირკვევა, სოციალურ-კულტურული კომუნიკაციის ლექტონიკური ტიპი დამახასიათებელი არეა არა მხოლოდ კავკასიური ლოკალური ცივილიზაციისთვის, არამედ სოციალურ ერთობათა სხვა ფორმებისათვისაც (მაგ., როგორცაა ბერძნული პოლისი, ნოვგოროდის რესპუბლიკა და სხვ.). სოციალურ-კულტურული კომუნიკაციის სპეციფიკა ნაშრომში განიხილება ლოკალურ ცივილიზაციათა ტიპიზაციის ერთ-ერთ კრიტერიუმად. ნაჩვენებია, რომ ლექტონიზმი შეიძლება იქცეს ისეთ ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს ქართული კულტურული სისტემის შემდგომი ტრანსფორმაციის თავისებურებებს.

H. Tkhagapsoev (Nalchik)

Georgia in the system of Caucasian-lectonic civilization

Summary

The paper deals with the generalization and development of the idea arisen by the author on existing social and cultural communication of specific type that is a system-forming basis of the Caucasian local civilization in the space of which Georgia is included (Georgian culture). The present type of social-cultural communication is called lectonic. It is stated that a lectonic type of social-cultural communication is characterized of not only the Caucasian local civilization but of other forms of social communities (Greek polis, Novgorod Republic, etc.). The paper analyses the specificity of social-cultural communication as one of the criteria for typefication of local civilizations. It is proved that lectonism could become a determinant factor of specificities of further transformation of Georgian culture system.

ჯ. კვიციანი (თბილისი)

აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზები პოსტსაბჭოურ ისტორიოგრაფიაში

საქართველოს დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესში აფხაზეთის პრობლემის მოუგვარებლობა მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია როგორც ქვეყნის უსაფრთხოებისათვის, ასევე მისი ხელახალი სოციალურ-კულტურულ ინტეგრაციისათვის. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებით შექმნილი დეზინტეგრაციული ფაქტორების გამოძწევი მიზეზების წარმოჩენა აქტუალურ ამოცანად გვესახება.

სიტუაცია ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მეტად დაიძაბა აფხაზეთის, როგორც საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული და ისტორიული ნაწილის, რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების გამო, რაც 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ განხორციელდა. ამგვარი ვითარება ბევრ პრობლემებს უქმნის თვით აფხაზებსა და რუსებსაც როგორც ქვეყნებს შიგნით, ასევე გარეთაც.

* * *

ქართულ ისტორიოგრაფიაში აფხაზურ პრობლემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევების ფართო სპექტრი არსებობს, განსაკუთრებით აფხაზეთის 1992-1993 წწ. კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (მ. ლორთქიფანიძე, ლ. თოიძე, ე. ხოშტარია-ბროსე, ჯ. გამახარია, გ. ანჩაბაძე, გ. გასვიანი, თ. მიბჩუანი, ზ. პაპასკირი, დ. სტურუა, დ. ჯოჯუა, გ. ნოღია, დ. დოლბაძე, ვ. კეშელავა, ზ. ხორავა, ბ. კვარაცხელია, ა. სონღულაშვილი და სხვა). დასმულ პრობლემას საკმაო ყურადღებას უთმობენ აფხაზებისა და რუსების მხრიდანაც (ი. ანჩაბაძე, ვ. ჩირიკბა, ს. ლაეობა, ა. ლეფსაია, ო. დამენია, ს. ჩერვონნაია, ვ. შნირელმანი, ვ. ზახაროვი, ა. არეშევი, ე. სემერიკოვა და სხვა).

მეცნიერების ყურადღების ცენტრში ექცევა აფხაზების წარმომავლობისა და მათი ტერიტორიული განსახლების საკითხი. სავარაუდოდ, აკადემიკოსი მ. ლორთქიფანიძე ქართველ მკვლევართა დიდი ნაწილის აზრს უნდა გამოხატავდეს, რომლის თანახმად აფხაზების (აფსუები) დასავლეთ საქართველოში ქართველებთან ერთად “ერთნაირად მკვიდრი მოსახლეობაა“ და რომ აფხაზები აქ “უძველეს დროიდანაც და XVII საუკუნიდანაც ცხოვრობენ“ (ლორთქიფანიძე 1990, 36).

ამ საკითხთან დაკავშირებით არის სხვა აზრიც, მაგალითად, გ. გასვიანის შეხედულება ემყარება ქართველი მეცნიერის პ. ინგოროყვას („გიორგი მერჩულე...“) კონცეფციას და თვლის, რომ აფხაზეთის ძველი მოსახლეობა ქართველური (ქართველური ან მათთან ახლო მდგომი ხალხი) იყო, ხოლო აფხაზეთში ჩამოსახლებულ აფსუა-აბაზებს და ადიღე-ჩერქეზებს, იმ ქვეყნისა და ხალხის სახელი ეწოდათ, სადაც ისინი გვიან დროს დამკვიდრდნენ და სადაც, ადგილობრივ ქართველებთან შედარებით, ყოველთვის უმცირესობას

შეადგენდნენ (გასვიანი, 2003, 2). უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრებას ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაო გავრცელება არ მიუღია.

თბილისში მოღვაწე მეცნიერი გ. ანჩაბაძე მიიჩნევს, რომ „აფხაზური ეთნოსი თავიდან ერთიანი საქართველოს შენებაში მონაწილეობდა და მისი ხალხის ნაწილად აღიქმებოდა“, XV-XVI საუკუნეების შემდეგ კი, ავტორის აზრით, ხდება მისი „ერთგვარი ჩამოშორება სრულიად საქართველოსგან“. ამის მიზეზი, მისივე აზრით, „ქრისტიანობის შესუსტებაა“, რომელიც აქ (აფხაზეთში) უცხო ენაზე იყო გავრცელებული. ხაზი ესმება აგრეთვე „ადრეც აქ მის ზედაპირულად გავრცელებას“. გ. ანჩაბაძეს მიაჩნია, რომ „ქართული ენა აფხაზეთში მხოლოდ გაბატონებული კლასისთვის იყო ხელმისაწვდომი, ხოლო მოსახლეობის ფართო ფენები მას არ ფლობდნენ“. ამის მიზეზად სახელდება აფხაზური ეთნოსის ქართულენოვანი მოსახლეობისაგან დასავლურ-ქართული ენობრივი (მეგრული, სვანური - ჯ. კ.) ბარიერებით გამიჯვნა. როგორც ავტორი მეტწილად, ბევრად ამის გამო „აფხაზეთში, იგივე სამეგრელოსგან განსხვავებით, ფეხი ვერ მოიკიდა ერთიანი ქართველი ხალხისადმი კუთვნილების შეგნებამ“ (ანჩაბაძე 2011, 139).

გ. ანჩაბაძისაგან განსხვავებით პროფესორ აკ. ბაქრაძეს მიაჩნია, რომ „ისლამის აფხაზეთში მოსახლეობის ერთი ნაწილის მიერ აღიარებამ “გააჩინა ბზარი“ აფხაზეთსა და დედა-საქართველოს შორის“ და რომ ეს ბზარი რუსეთმა ოსტატურად გამოიყენა – „თანდათანობით გაზარდა და გააღრმავა“. ავტორის აზრით, ყოველივე ამის შემდეგ ადგილი ჰქონდა მუჰაჯირობას, რაც რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ძალისხმევით იქნა განხორციელებული და აფხაზების ნაწილის თურქეთში გადასახლებით დასრულდა. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ერთადერთი ხალხი, ვისაც აფხაზეთში გამოთავისუფლებულ მიწებზე დასახლება ეკრძალებოდათ, ქართველები იყვნენ. აკ. ბაქრაძე გამოყოფს 1864-1921 წლებს, როდესაც აფხაზეთში “პირეული ცვლილებები მოხდა“, ანუ „აფხაზთა ერთი ნახევარი თურქეთში გადასახლდა და არსებითად გათურქდა“, “აფხაზთა მეორე ნახევარი, მართალია, შინ დარჩა, მაგრამ ცარიზმის გამარჯვებელი პოლიტიკის წყალობით გარუსდა და ქართული ეროვნული სამყაროდან რუსულ ეროვნულ სამყაროში გადავიდა“ (ბაქრაძე 2002, 52-55).

ამასთან დაკავშირებით პროფესორ ბ. კვარაცხელიას მოჰყავს აფხაზეთში XIX-XX სს. მიჯნაზე ცნობილი ქართველი განმანათლებლის და საზოგადო მოღვაწის ნიკო ჯანაშიას სიტყვები: „ქართული ენა განდევნილია სკოლიდან, ეკლესიაში არ აძლევენ ნებას ქართველებს ქართულად მოისმინონ წირვა-ლოცვა... და ამიტომ არაფერი არ უნდა დავიშუროთ, რომ ცოტათი მაინც შევასუსტოთ ჩვენი ძალად გაუცხოვნება...“. ამასთან ერთად ავტორი აღნიშნავს ნ. ჯანაშიას მიერ XX საუკუნის დასაწყისში ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც ნათქვამია, რომ „XIX საუკუნის სამოციანი წლების ქართველი მოღვაწეების მიმართ გამოთქმული იყო საყვედური იმის თაობაზე, რომ მათ არაფერი იღონეს აფხაზეთში ქართული მოსახლეობის დასახმარებლად (კვარაცხელია 2009 67, 78). აქვე გვინდა აღვნიშნოთ ჯ. გამახარიას მოსაზრება, რომ რუსეთის იმპერია, ქართული ეროვნული იდეის ზრდასთან დაკავშირებით (ი. ჭავჭავაძის მეთაურობით), ჩქარობდა აფხაზეთში დაეჩქარებინა ასიმილაციური პროცესები (გამახარია 1991, 12).

აფხაზი მკვლევარი აბესალომ ლეფსაია ეთანხმება ქართველი მკვლევარის თორნიკე გორდაძის ანალოგიურ აზრს და აღნიშნავს, რომ სწორედ „ქართული ნაციონალიზმის ზრდას მიყვავართ იქამდე, რომ მეფის რუსეთი იწყებს მის შეფასებას საფრთხედ და ამიტომ ამიერიდან ის ფსონს დებს აფხაზებზე“. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმმა აფხაზები 1864 წლის აჯანყების შემდეგ „დამნაშავე ხალხად“ გამოაცხადა. მოგვიანებით

ეს ბრალდება იხსნება და, ავტორის აზრით, იწყება „გაყავი და იბატონეს“ პოლიტიკის გატარება (ლეფსაია 2002, 50).

ყურადღებას იპყრობს ჯ. გამახარიას შეფასება, რომ ცარიზმის ამგვარი პოლიტიკა აქტიურ ფაზაში შედის XIX ს. 80-90-იან წწ. ავტორი იმოწმებს ნიკო ჯანაშიას მიერ 1909 წ. ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილს ამის შესახებ: „ეხლა მინდა აღვნიშნო, თუ როგორ იცვლებიან დრონი და გარემოებანი, აქამდე თუ აფხაზებს ერეკებოდნენ (რუსები ჯ. გ.) და გაიძახოდნენ „მოგვშორდით თავიდანაო“, ეხლა ვითომ მათ ელოლიავებიან და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლო მოუღონ და მოსპონ ის მცირერიცხოვანი ნაშთი ისტორიული კავშირისა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში აერთიანებდა აფხაზთა და ქართველთა“ (გამახარია 1991, 12).

ამავე დროს აბესალომ ლეფსაიას მიაჩნია, რომ აფხაზეთის კონფლიქტში მარტო რუსეთის დადანაშაულება შეცდომაა და რომ მარტო ორ მხარეს შორის არსებულმა დაძაბულობამ საქმე მიიყვანა აფეთქებამდე. ერთ-ერთ ასეთ მიზეზად ის აღნიშნავს მუჰაჯირობის ფაქტს, რომლის შედეგადაც ვითომც და ბევრ ქართველ გლეხს შესაძლებლობა მიეცა აფხაზეთში დასახლებულიყო, და რომ ამით დაიწყო აფხაზების ქართველების მიმართ უკმაყოფილება (ა. ლეფსაია, 2002, 50). საქმე კი პირიქით იყო... რუსეთმა აკრძალა ქართველების ჩასახლება აფხაზეთში. მან ხელი შეუწყო იმას, რომ აქ ჩამოსახლებულიყვნენ რუსები, სომხები, ბერძნები და სხვა. ბ. კვარაცხელია ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს ნიკო ჯანაშიას უკმაყოფილებას XIX საუკუნის სამოციანი წლების ქართველი მოღვაწეების მიმართ, რომ მათ არაფერი იღონეს აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის დასახლებლად (კვარაცხელია 2009, 78).

ვეთანხმები ა. ლეფსაიას, რომელიც სამართლიანად უსვამს ხაზს ქართული ნაციონალიზმის ზრდას, რაც იმ დროს დამახასიათებელი იყო ბევრი სხვა ხალხისთვისაც, რომლებიც იმპერიების მხრიდან ჩაგვრას განიცდიდნენ. განსაკუთრებულად ეს ეხებოდა რუსეთის იმპერიას, რომელიც XIX-XX სს. მიჯნაზე კულტურულ-ცივილიზაციურ “ჰიბრიდს” წარმოადგენდა (ქვეყნის ფეოდალურ-აგარარული და კაპიტალისტურ-ინდუსტრიული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა) და მისი “დაყავი და იბატონეს” პოლიტიკა განსაკუთრებული სიმძიმით აწვებოდა დაპყრობილ ხალხებს. რუსეთის ცარიზმი ხომ სწორედ იმან დაამხო, რომ მოსახლეობაზე ერთდროულად ხდებოდა შერეული ფეოდალურ-კაპიტალისტური მართვის პოლიტიკური ზეწოლა, იზრდებოდა ეთნიკური ნაციონალიზმი და ძლიერდებოდა მათ შორის წინააღმდეგობები.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა 1918-1921 წწ.

როგორც ა. ლეფსაია წერს, აფხაზების ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებაზე XX საუკუნის დასაწყისის (1918-1919 წწ.) აფხაზეთში საბოლოოდ ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ქართველის, როგორც „მტრის“ ნეგატიური იმიჯი. ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ მტრის ასეთი სახე და მათ შორის ნდობის ხიდის საბოლოოდ ჩატეხა მოხდა 1930-1950 წლებში. მისი აზრით, სწორედ მაშინ ხდებოდა “სკოლებში აფხაზური ენის აკრძალვა და, ქართველებისგან განსხვავებით, საერთო მოსახლეობასთან შედარებით აფხაზების ხვედრითი წილის შემცირება”. “ყოველივე ამან – თვლის ავტორი – საბოლოოდ შეუწყო ხელი აფხაზებში ჩამოყალიბებულიყო ქართველის „მტრის ხატი“ (ლეფსაია 2002, 51).

ა. ენთემაშივილი აღნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, რუსეთი, ცარიზმის დამხობის (1917 წ. თებერვალი) შემდეგაც, 1917-1921 წლებში, განაგრძობდა „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკას. მისი აზრით, აფხაზეთის დემოკრატიული ინტელიგენცია დიმიტრი გულიას მეთაურობით ეროვნულ-კულტურულ საწყისებზე ქართველ ხალხთან დაახლოების ინიციატივით გამოდიოდა. ავტორი აღნიშნავს, რომ სოხუმის ოკრუგისათვის არაერთგზის ბრძოლების გადახდა მოუწია დენიკინის „თეთრ გვარდიელებთან“ და ბოლშევიკურ რაზმებთან დემოკრატიული საქართველოს გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით. საინტერესოა ა. მენთემაშივილის მიერ მოტანილი მასალები 1918 წლის 25 სექტემბერს ჩატარებული ქართული და ყუბანის ხელისუფლების თათბირიდან, რომლის დროსაც „მოხალისეთა არმიის“ გენერალი ალექსეევი ხაზს უსვამდა გაგრისა და სოჭის ოლქის „სუფთა რუსულ“ ოლქებად აღიარებას და მათი ყუბანის შემადგენლობაში გადაცემის აუცილებლობას. ამაზე კი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი ე. გეგეჭკორი პასუხობს, რომ მხოლოდ 1905 წლამდე დადგენილი საზღვრებით იქნებოდა შესაძლებელი მოლაპარაკებო... რა თქმა უნდა, 1905 წელს ცარიზმის მიერ დადგენილი ადმინისტრაციული საზღვრები შემთხვევით ხასიათისა არ ყოფილა (1905 წლამდე გაგრის ტერიტორია სოხუმის ოკრუგში შედიოდა, 1905 წელს კი პრინც ოლდენბურგის მცდელობის შედეგად გაგრა სოჭის ოლქს შეუერთდა. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა 1917 წელს გაგრა ისევ აფხაზეთს დაუბრუნეს). სიმართლე არ იყო იმავე თათბირზე ყუბანის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის ვიწროვივის განცხადება, თითქოსდა აფხაზეთში მაშინ სულ რამდენიმე ასეული ქართველი ცხოვრობდა და ვითომცდა ამიტომ აფხაზეთის თვითგამორკვევის იზონორირება არ შეიძლებოდა. ა. მენთემაშივილი აღნიშნავს, რომ 1917 წ. აფხაზეთში ცხოვრობდა 74,846 (42,1%) ქართველი; 28,121 (21,4%) აფხაზი; 20,893 (11,7%) რუსი; 20,673 (11,7%) ბერძენი; 18,212 (10,2%) სომეხი და სხვ. (ა. მენთემაშივილი 1998, 27).

საინტერესოა ა. მენთემაშივილის მიერ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენად ივ. ჯავახიშვილისა და სამხედრო ექსპერტი ი. ოდიშელიძის მონაწილეობით მომზადებული დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს დოკუმენტი იწყება ი. ოდიშელიძის სიტყვებით: „თვითონ ბუნებამ განსაზღვრა საქართველოს საზღვრები და ისტორიამ დაამტკიცა ისინი... ჩრდილოეთიდან ის კავკასიონის ქედით ბუნებრივად გამოიყო, რის იქეთაც ქართული მოსახლეობა იშვიათად გადადიოდა... ადრე ტუაფსედან დაწყებული, ხოლო XV ს-დან XIX ს-მდე საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი გადიოდა მდინარე მაკოფსზე, ანუ მიწები, შავ ზღვასა და კავკასიონის მთავარ უღელტეხილს შორის გაგრის ტეფილედან მდინარე მაკოფსეს შესართავამდე, ე. ი. მთლიანად ახლანდელი სოჭის ოლქი, ყოველთვის საქართველოში შედიოდა, სანამ თვითონ საქართველო არ შევიდა რუსეთის შემადგენლობაში“. საყურადღებოა ავტორის მიერ მოტანილი ფაქტი გენერალ-მკვლევრის ე. წ. კუზმინი-კარაგაევის წიგნიდან, რომ 1894 წელს ქ. სოჭში 460 მოსახლიდან 11 რუსი, 440 ქართველი და 9 სხვა ეროვნების მოსახლე ცხოვრობდა. ამის შემდგომ რუსი მოსახლეობის რაოდენობა სოჭის ოლქში (1919 წ.) გაიზარდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველების რაოდენობა მაინც 22% შეადგენდა (მენთემაშივილი 1998, 43-44).

ამასთან დაკავშირებით ე. ხოშტარია-ბროსე აღნიშნავს, რომ 1917 წლის ნოემბერში ქართველი მენშევიკების ინიციატივით სოხუმში შექმნილმა აფხაზეთის სახალხო საბჭომ 1918 წელს მოითხოვა საქართველოს ფარგლებში შექმნილიყო აფხაზეთის ავტონომია ფართო უფლებებით და ამასთან ერთად საქართველო ღებულობდა ვალდებულებას აფხაზეთის ადრინდელი საზღვრების აღსადგენად (ხოშტარია-ბროსე, 1996, 100). ავტორი

აღნიშნავს, რომ „ამ გეგმის განხორციელება, აფხაზეთის დაუფლებებისათვის „თეთრებს“ და „წითლებს“ შორის ბრძოლებისა და სხვა მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა. მისი სტატუსის განსაზღვრა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1920 წლის დეკემბერში, როდესაც მცირე საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა „დებულება აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის შესახებ“, რომელიც საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად დამტკიცებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს. ავტორი ყურადღებას აქცევს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არა მარტო აღიარებდა აფხაზეთის საშინაო საქმეების თვითმმართველობის უფლებას, ის აგრეთვე უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების მიერ ეროვნულ საკითხში გატარებული ღონისძიებები, კერძოდ კი აფხაზეთის საქართველოში ინტეგრაციის საკითხის გადაჭრა (ანუ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მინიჭება) ერთ-ერთ წარმატებულ ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ. აფხაზეთის ავტონომია პრაქტიკულად სავსებით შეესაბამებოდა იმდროინდელ ევროპულ მოდელს. გავიხსენოთ, რომ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია თავისი სტატუსით მეტია კულტურულზე ან ადმინისტრაციულ ტერიტორიულზე და ნაკლებია ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ავტონომიაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს ხელისუფლებამ, უნიტარული სახელმწიფო მოწყობის პირობებში, აბსოლუტურად დააკმაყოფილა აფხაზეთის თვითგამორკვევის პრინციპები.

საქართველოს მთავრობა გაგებით მოეკიდა აფხაზეთის მიერ დასმულ პრობლემას სამშობლოში აფხაზი მუჰაჯირების დაბრუნების შესახებ. ეს საკითხი, აღნიშნავს ე. ხოშტარია-ბროსე, ნ. ჩხეიძის მიერ ანტანტის ქვეყნების განხილვის საგანი გახდა. ამასთან ერთად გატარებულ იქნა ღონისძიებები აფხაზური ენის სწავლების შემოღების აუცილებლობასთან დაკავშირებით. დიდი მოვლენა იყო აფხაზეთის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირველი აფხაზური გაზეთის „აფსნი“-ს გამოცემა, რომელიც 1919-1920 წწ. დიმიტრი გულიას რედაქციით გამოდიოდა.

ამრიგად, ე. ხოშტარია-ბროსეს აზრით, აფხაზი სეპარატისტებისა და ტენდენციურ ავტორთა ნაშრომებში აღნიშნული აფხაზეთისადმი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამოკიდებულება, როგორც „მტრული“, „აგრესიული“, „ტერორისტული“ და ა.შ. უსაფუძვლოა და ისტორიის ფალსიფიკაციას წარმოადგენს იმ მიზნით, რომ ქართველები და აფხაზები დაუპირისპირონ ერთმანეთს (ხოშტარია-ბროსე 1996, 103).

ამავე დროს, რუსი მეცნიერი ვ. შნირელმანი უარყოფითად აფასებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციით (1921 წლის 21 თებერვალი, მუხლი 107) სადაც აფხაზეთი გამოცხადდა იქნა „სოხუმის ოლქად“ და ცხადდებოდა საქართველოს განუყოფელ ნაწილად. ქართული ენა ცხადდებოდა სახელმწიფო ენად თუმცა ამავე დროს აფხაზეთის სახალხო საბჭოს უფლებამოსილება ენიჭებოდა სკოლებში და საქმის წარმოებისათვის შემოეღო ნებისმიერი ადგილობრივი ენა (შნირელმანი 2003, 266).

ვფიქრობ, დღეს უკვე შეიძლება საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ეს ნაბიჯი, ბოლშევიკებისაგან განსხვავებით, შეფასდეს სწორად გადადგმულ ნაბიჯად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე, რადგან ის ერთ სახელმწიფოში ორი სახელმწიფოს არსებობას გამორიცხავდა. გარკვეულწილად, ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ აფხაზეთის მიმართ გატარებული ამგვარი პოლიტიკა ხომ არ არის პასუხი აფხაზი მკვლევრის ოლეგ დამენიას მოსაზრების მიმართ? ო. დამენიას აზრით, ქართული შეგნება აფხაზეთს აღიქვამს როგორც საქართველოს ნაწილს. ამავე დროს, წერს იგი,

იგივე შეგნება აფხაზებს სხვა არაქართველ ეთნოსად თვლის. აფხაზეთის ტერიტორია, აგრძელებს დამენია, ქართველების შეგნებით, არის საქართველოს ნაწილი, მაგრამ აფხაზი ხალხი არ არის ქართველი ხალხის ნაწილი (დამენია 2000, 229).

აღსანიშნავია, რომ ბევრი ქართველი მკვლევარი ამას ასე სულაც არ თვლის. პროფესორი შ. თეთვაძე ეთანხმება თავის კოლეგა თ. მიბზუანს და ხაზს უსვამს, რომ “როცა აფხაზები აფხაზეთში ჩამოსახლდნენ, მათ სატომო სახელად მექანიკურად იქცა ამ ტერიტორიაზე ოდითგანვე მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობის – აფხაზების სახელი, რომლებიც ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორებიც არიან სვანები, მეგრელები, გურულები, კახელები, იმერლები და ა. შ. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამჟამად აფხაზეთში დაფიქსირებული 450 აფხაზური გვარიდან 300-ზე მეტი ქართული წარმომავლობისაა და მხოლოდ 100-ზე ნაკლები – ჩრდილო კავკასიური (თეთვაძე 2001, 100).

დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობა თავის გადაწყვეტილებაში არ ყოფილა შეპყრობილი იმ წინააღმდეგობით, რასაც ო. დამენია ხაზს უსვამს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის დასასრულის შემდეგ (1918 წ.) ევროპის რუკის გადაკეთების ძირითად პრინციპად ეთნიკურ-ენობრივი პრინციპით ეროვნული სახელმწიფოების შექმნა იქცა, ჩემი აზრით, ქართული სახელმწიფოს მიერ ამის საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება სწორი მიმართულება გახლდათ. მათი მიდგომა, რომ ერთი სახელმწიფოს შიგნით კულტურულ-ტერიტორიული ავტონომია მინიჭებოდა ამის მსურველებს (იმ კონკრეტულ სიტუაციაში კი აფხაზებს), ვფიქრობ, ორიგინალური გზა გახლდათ.

ცნობილი ისტორიკოსი, ერიკ ჰობსბაუმი (Eric Hobsbawm) აღნიშნავს, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეროვნული სახელმწიფოების მშენებლობის პრინციპს საფუძვლად დაედო “ერთა თვითგამორკვევის უფლება“. ამ პრინციპს დღესაც იზიარებენ ისინი, ვინც შორსაა რეგიონების ეთნიკური და ენობრივი რეალობებიდან, ვისთვისაც ხელსაყრელია სახელმწიფოს სხვადასხვა “ეროვნულ სახელმწიფოებად” დაყოფა. მისივე აზრით, ასეთმა მიდგომამ კრაზი განიცადა, რომლის შედეგებიც ევროპაში დღეს კარგად ჩანს. ავტორს მხედველობაში აქვს 1990-იან წლებში ეროვნული კონფლიქტები (სამოქალაქო ომი იუგოსლავიაში, სეპარატისტული მღელვარებები სლოვაკეთში, კონფლიქტი უნგრეთსა და რუმინეთს შორის ტრანსილვანიასთან დაკავშირებით, სეპარატიზმი მოლდოვაში, კავკასიაში და სხვ.) და რაც, მისი აზრით, ვერსაღის გადაწყვეტილებების გამოძახილს წარმოადგენს (ჰობსბაუმი 2004, 42).

საბჭოთა საქართველო – აფხაზეთი

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის სპეციალური ლიტერატურა, რომელიც პოსტსაბჭოთა დროს გამოიცა და რომელიც შეისწავლის საბჭოთა საქართველოში არსებულ სოციალურ-კულტურულ რეალობას 1921-1991 წლებში (ლ. თოიძე, გ. ნოდია, ჯ. გამახარია, ზ. პაპასკირი, დ. ჯოჯუა, დ. დოღბაიძე, ბ. კვარაცხელია და სხვ.). ამ ავტორთა შრომებში ძირითადად ყურადღება ეთმობა ქართულ-აფხაზური სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების ასპექტებს. თითქმის ყველა ქართველი ავტორის ნაშრომში 1921 წელს თებერვალში ბოლშევიკების მიერ საქართველოში შემოჭრა შეფასებულია საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის დამხობად და ქვეყნის ოკუპაციად. გ. ნოდია აღნიშნავს ქართველებისა და აფხაზების განსხვავებულ დამოკიდებულებას საბჭოთა პე-

რიოდის მიმართ. ქართველებისთვის, აღნიშნავს ის, 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობა ისტორიულად აღდგენილი იქნა სსრკ-ს დაშლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, ავტორის აზრით, ის რაც ხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დროს და რასაც საქართველოს თავს ახვევდნენ ქვეყნების საოკუპაციო ძალები, იყო არალეგიტიმური. გ. ნოდია ხაზს უსვამს, რომ იმავეს თქმა არ შეიძლება აფხაზებზე, რომელთა თანამედროვე სახელმწიფოებრიობა პირველად საბჭოთა პერიოდში განხორციელდა და მათ ეროვნულ-პოლიტიკური შეგნების ფორმირებაში დაეხმარა. ამიტომ, თვლის გ. ნოდია, ქართველებისგან განსხვავებით, აფხაზები თავიანთი პოსტსაბჭოური პრინციპების ლეგიტიმურობას ამყარებენ თავიანთი ისტორიის საბჭოთა პერიოდზე მინიშნებებით (ნოდია 1998, 28).

ბევრი კამათია აფხაზეთის სტატუსის შესახებ. ქართველმა მეცნიერმა ლევან თოიძემ სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ამ პრობლემას. ის აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახლდათ ეროვნული სახელმწიფოებრიობის უზენაესი ფორმა. შემდგომ მოდიოდა ავტონომიურობის სამი ტიპი: საბჭოთა ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და მშრომელთა კომუნა.

საყურადღებოა, რომ თათრებს, ბაშკირებს, დაღესტნელებს, ყაბარდო-ბალყარეთს, ყარაჩაი-ჩერქეზეთს და სხვებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობითა და ტერიტორიების სიდიდით არ გაფორმებულან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად. სახელმწიფოებრიობის ასეთი სტატუსის ღირსად 1921 წლის მარტში რატომღაც მარტო აფხაზები ჩათვალეს (თოიძე 1996, 7). ამავე დროს, ბევრი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, განიხილებოდა საკითხი მისი რუსეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ 1921 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოსა და აფხაზეთს შორის დადებულ სახელშეკრულებო აქტის საფუძველზე. აფხაზეთი მთელი 10 წლის მანძილზე სახელშეკრულებო რესპუბლიკის სტატუსით შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. ავტორის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად მოტანილ ანალიზში ხაზი ესმება, რომ მაშინდელი აფხაზეთის ხელმძღვანელობის აზრით, აფხაზეთის დამოუკიდებლობა გახლდათ “დროებითი”, “ერთი წუთით”, “ფორმალობად” და ა. შ. (თოიძე 1996, 21).

ამ საკითხთან აფხაზი მეცნიერების დამოკიდებულება დაყვანილია სუბიექტური მიზეზების ძიებამდე. მაგალითად, როგორც აფხაზი მკვლევარი ვიაჩესლავ ჩირიკბა აღნიშნავს, „აფხაზეთი, მიუხედავად იმისა, რომ მას 1931 წელს სტალინის ნებით დაუქვეითდა სტატუსი ავტონომიურ რესპუბლიკამდე საქართველოს შემადგენლობაში, იგი მაინც რჩებოდა მოკავშირე რესპუბლიკად“ (ჩირიკბა 1998, 75).

რა თქმა უნდა, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი სტალინისა და ბერიას სუბიექტური ნებით არ გადაწყვეტილა. ის სხვა ობიექტური მდგომარეობით იქნა განპირობებული. ლ. თოიძე ასეთ გარდაქმნას თვლის აფხაზეთში იმ დროს შექმნილი სიტუაციის სსრკ საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის დოქტრინის უნიფიკატორულ მოთხოვნილებებს უნდა დაეკავშირებინა და შესაბამისობაში მოყვანად (ლ. თოიძე 1996, 28).

საბჭოთა პერიოდის ქართულ-აფხაზური სოციალურ-კულტურული საკითხების ანალიზი, განსაკუთრებით ანტისაბჭოურ ისტორიოგრაფიაში, პოლიტიზირებულ ხასიათს ატარებს. მაგალითად, აფხაზური დამწერლობის, ენის, განათლების, მეცნიერების და სხვა საკითხების განხილვისას სუბიექტური შეფასებები ობიექტურს სჭარბობს. აქაც ბევრი რუსი და აფხაზი მეცნიერის აზრით, დამნაშავე „თბილისის ხელმძღვანელების არაშორსმჭვრეტეული პოლიტიკაა“ (ვ. ზახაროვი, ა. არეშვიცი, ე. სემერეიკოვა, 2010, 58). ზოგადად აფხაზი

მეცნიერები აღნიშნავენ მათ ისტორიულ მეხსიერებაში ჩარჩენილ საბჭოთა პერიოდის მტკივნეულ მოვლენებს, კერძოდ, „გრუზინიზაციის“ რეპრესიულ პოლიტიკას, სახელმწიფო-ებრივ-სამართლებრივი სტატუსის დაწვევას, 30-50-იანი წწ. დასაწყისში აფხაზეთში ქართველების მასობრივ ჩამოსახლებას და თბილისში „სამეცნიერო ჭეშმარიტებად“ მიჩნეულ აფხაზეთისა და ქართველების იგივეობას. მათივე აზრით, პოსტსტალინურ დროში „გრუზინიზაციის“ ოდიოზური ფორმები გადაიღაბა, მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკის სახელი-სუფლებო უფლებამოსილებების ფორმალური ხასიათი და თბილისზე დამოკიდებულება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში გამაღიზიანებელ ფაქტორად რჩებოდა. ყოველივე ამის საფუძველზე, თვლის ი. ანჩაბაძე, 1957, 1964, 1967, 1987 წლებში სიტუაცია ფეთქებადსაშიში ხდებოდა, 1989 წელს კი ადგილი ჰქონდა სისხლიან ეთნოსთაშორის შეჯახებას, რომელიც ორივე მხრიდან მსხვერპლით დამთავრდა (ანჩაბაძე 1998, 109).

ამრიგად, საქართველო-აფხაზეთის პრობლემატიკასთან არსებული ლიტერატურის უმეტესი ნაწილი ეთმობა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონკრეტულ-ისტორიულ პერიოდში არსებული კონფლიქტების მიზეზების ძიებას და მათ ანალიზს. ლიტერატურის უმეტესი ნაწილი, აფხაზეთის ეთნიკური კუთვნილებით დაწვებული და განათლების საკითხებით დამთავრებული, პოლიტიზირებულია და ხშირად სუბიექტურ, მიკერძოებულია.

აღნიშნული შრომები (ქართული, აფხაზური) ხშირად XX საუკუნის საქართველოში მომხდარ პროცესებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ლოკალური ისტორიის კონტექსტში აფასებს და სუბიექტურ ხასიათს ატარებს. გარდა ამისა, ისიც საგულისხმოა, რომ ავტორთა მიერ შეფასებული ურთიერთობები ნაკლებადაა დაკავშირებული კულტურულ-ცივილიზაციურ, მეთოდოლოგიურ მიდგომებთან და XX საუკუნის მსოფლიოში და, კერძოდ, რუსეთში მიმდინარე მოდერნიზაციულ პროცესებთან.

ლიტერატურა

ანჩაბაძე 2011: გ. ანჩაბაძე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საკითხები. II. თბილისი.

ანჩაბაძე 1998: Анчабадзе Ю. Грузия-Абхазия: трудный путь к согласию: см. Грузины и Абхазы. Путь к примирению. Москва.

ბაქრაძე 2002: ა. ბაქრაძე, აფხაზეთისათვის. თბილისი.

გასვიანი, 2003: გ. გასვიანი, ქართველი მეცნიერები პავლე ინგოროყვას შეხედულებებზე აფხაზეთისა და აფხაზეთის შესახებ. თბილისი.

გამახარია 1991: ჯ. გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი.

დამენია 2000: Дамения О. Абхазо-грузинский конфликт, проблемы и перспективы урегулирования. Аспекты грузино-абхазского конфликта. т. 2, Ирвайн, Москва.

ზახაროვი, ა. არეშევი, ე. სემერიკოვა 2010: Захаров В. А. Арешев А. Г. Семерикова Е. Г.. Абхазия и южная Осетия после признания; исторический и современный контекст. Москва.

თოიძე 1996: Тоидзе Л. К. вопросу о политическом статусе Абхазии. Страницы истории 1921-1931 гг. Тбилиси.

თეთვაძე 2001: შ. თეთვაძე, საქართველოს დემოგრაფიული და კულტურული განვითარების ფალსიფიკაციის ზოგიერთი საკითხი. ჟურნ. „დემოგრაფია“, 1(3). თბილისი.

კვარაცხელია 2009: ბ. კვარაცხელია, ნიკო ჯანაშიას კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა. თბილისი.

ლეფსაია 2002: А. Lephsaia, Аспекты грузино-абхазского конфликта. Материалы грузино-абхазской конференции и «первые итоги». Москва, 4-8 июля. Ирвайн.

ლორთქიფანიძე 1990: მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი. თბილისი.

მენტეშაშვილი 1998: Ментешашвили А. Исторические перспективы современного сепаратизма в Грузии. Тбилиси.

ნოღია 1998: Нодиа Г. Грузины и абхазы. Путь к примирению. Москва, 1998.

შნირელმანი 2003: Шнирельман В. А. Войны памяти Мифы, идентичность и политика в Закавказье. Москва.

ჩირიკბა 1998: Чирикба В. Грузино-абхазский конфликт; в поисках путей выхода. Грузины и абхазы. Путь к примирению. Москва.

ხოშტარია-ბროსე 1996: Хоштариа-Броссе Э. В. История и современность. Абхазская проблема в конфликтологическом аспекте. Тбилиси.

ჰობსბაუმი 2004: Хобсбаум Э. Эпоха крайностей. Короткий двадцатый век 1914-1991. Москва.

Дж. Квициани (Тбилиси)

Причины абхазского конфликта в постсоветской историографии

Неупорядоченность проблемы Абхазии является препятствующим фактором в процессе демократического строительства Грузии как с точки зрения безопасности страны, так и социально-культурной реинтеграции Абхазии. В связи с этим актуальной представляется задача выявления причин дезинтегрирующих факторов, возникших еще в условиях советской модернизации, с учетом конфликтной ситуации.

Положение особенно усугубилось после русско-грузинской войны 2008 г., когда Россия признала естественно-географическую и историческую часть Грузии - Абхазию - независимым государством. Это обстоятельство создает много проблем самим абхазам, а также русским как в стране, так и за ее пределами.

* * *

В грузинской историографии существует широкий спектр исследований, касающихся абхазской проблемы, особенно в период после конфликта 1992-1993 гг. (М. Лордкипанидзе, Л. Тоидзе, Э. Хоштариа-Броссе, Дж. Гамахариа, Г. Анчабадзе, Г. Гасвиани, Т. Мибчуани, Э. Папаскири, Д. Стуруа, Д. Джоджуа, Г. Нодиа, Д. Долбаидзе, В. Кешелава, З. Хорава, Б. Кварацхелия, А. Сонгулашвили и др.). Этой проблеме достаточное внимание уделяют также абхазские и русские авторы (Ю. Анчабадзе, В. Чирикба, С. Лакоба, А. Лепсаиа, О. Дамения, С. Червонная, В. Шнирельман, В. Захаров, А. Арешев, Б. Семерикова и др.).

Большая часть названных авторов пытается найти причины, вызвавшие конфликт. Правда, поиск причин выходит за хронологические рамки нашего исследования, но, в силу исключительности вопроса, необходимо сделать небольшой исторический экскурс в прошлое.

Вопрос о происхождении и территориальном расселении абхазов занимает центральное место в трудах ученых. Вероятнее всего, что акад. М. Лордкипанидзе выражает мнение большей части грузинских исследователей о том, что абхазы (апсуа) в Западной Грузии, наряду с грузинами, «одинаково коренное население» и что абхазы здесь «живут как с древнейших времен, так и с XVII в.» (Лордкипанидзе 1990, 36).

Но есть и другое мнение по поводу этого вопроса. Например, мнение Г. Гасвиани опирается на концепцию грузинского ученого П. Ингороква («Георгий Мерчуле – грузинский писатель X в.»). Г. Гасвиани считает, что древним населением Абхазии были картвелы/грузины (картвельские, либо родственные им племена), а позже в Абхазию переселились апсуа-абазги и адыги-черкесы, которые позже получили наименование того народа, среди которого они укоренились, и которые, по сравнению с картвелами/грузинами, всегда составляли меньшинство (Гасвиани 2002, 2). Следует отметить, что это мнение не получило широкого распространения в грузинской историографии.

Проф. Г. Анчабадзе считает, что абхазский этнос изначально участвовал в строительстве Грузинского государства и воспринимался частью его народа, но после XV-XVI вв., по мнению ученого, происходит некоторое его отдаление от Грузии. Причину этого ученый видит в ослаблении христианства, которое в Абхазии проповедовалось на иностранном языке. Здесь же автор отмечает, что и раньше христианское учение находило здесь лишь поверхностное распространение. Помимо всего, грузинский язык был доступен только для господствующих классов, широкие же слои населения им не владели. Причиной этого ученый считает отграничение абхазского этноса от грузиноязычного населения западногрузинским языковым (мегрельским, сванским - Дж. К.) барьером. И именно в силу этого обстоятельства, по мнению ученого, в Абхазии, в отличие от Мегрелии, не укоренилось сознание принадлежности к единому грузинскому народу (Анчабадзе 2011, 139).

В отличие от Г. Анчабадзе, проф. А. Бакрадзе считает, что причиной отчуждения является исповедание ислама частью абхазского населения, что было искусно использовано Россией, которая постепенно увеличила и углубила трещину, возникшую между двумя народами.

Все это явилось предтечей мухаджирства, явления, знаменовавшего собой колониальную политику царизма и закончившегося высылкой абхазов в Турцию. Автор подчеркивает, что единственным народом, которому запрещалось селиться на высвобожденных землях, были грузины. А. Бакрадзе выделяет 1864-1921 годы, когда в Абхазии «произошли коренные изменения», т. е. «одна половина абхазов переселилась в Турцию и по сути отуречилась» и «другая половина, которая, правда, осталась дома, но благодаря русификаторской политике царизма обрусела и из грузинского национального мира перешла в русский национальный мир» (Бакрадзе, 2002, 52-55).

По этому поводу проф. Б. Кварацхелиа приводит слова известного грузинского просветителя и общественного деятеля Нико Джанашиа, подвизавшегося в Абхазии на рубеже XIX-XX вв.: «Грузинский язык изгнан из школ, в церквях грузины не имеют права слушать службу на своем языке..., поэтому мы ничем не должны поступиться для того, чтобы хоть немного ослабить наше отчуждение...». Автор цитирует далее статью Н. Джанашиа, опубликованную в грузинской периодике, в которой говорится, что «по адресу грузинских деятелей 60-ых годов XIX в. был высказан упрек по поводу того, что они ничего не предприняли в помощь грузинскому населению в Абхазии» (Б. Кварацхелиа 2009, 67, 78). Здесь же следует привести соображение Дж. Гамахариа о том, что Российская империя в связи с ростом грузинской национальной идеи (во главе с И. Чавчавадзе) усиленно форсировала ассимиляционные процессы в Абхазии (Гамахариа 1991, 12).

Абхазский исследователь А. Лепсаиа соглашается с аналогичным мнением грузинского ученого Т. Гордадзе и отмечает, что именно «рост грузинского национализма приводит к тому, что царская Россия начинает чувствовать в нем угрозу себе и поэтому отныне делает ставку на абхазов». Несмотря на то, что после абхазского восстания 1864 г. царизм объявил абхазов «виновным народом», позже он снял это обвинение и, по мнению автора, приступил к осуществлению политики «разделяй и властвуй» (Лепсаиа 2002, 50).

Примечательно мнение Дж. Гамахариа о том, что подобная политика царизма входит в активную фазу в 80-90 гг. XIX в. В подтверждение своей точки зрения автор приводит выдержку из письма С. Джанашиа, опубликованного в прессе в 1909 г.: «Ныне хочу отметить, как меняются времена и обстоятельства. Если до того абхазов изгоняли (русские – Дж. Г.), приговаривая «убирайтесь!», теперь их будто лелеют, и это лишь потому, чтобы вконец уничтожить те немногочисленные остатки исторического союза, который в течение многих веков объединял абхазов и грузин» (Гамахариа 1991, 12).

Однако при всем том А. Лепсаиа отмечает, что в грузино-абхазском конфликте винить только Россию было бы ошибкой и что конфликт явился следствием напряженности, имевшей место между двумя сторонами. Одной из причин этого автор считает факт мухаджирства, давший якобы возможность многим грузинским крестьянам поселиться в Абхазии, что послужило поводом недовольства абхазов (Лепсаиа, 2002, 50). Дело же обстояло совсем иначе – Россия воспретила заселение грузин в Абхазии, одновременно дав добро русским, армянам, грекам и др. Именно в связи с этим Б. Кварацхелиа цитирует упрек Н. Джанашиа, высказанный последним в адрес грузинских деятелей 60-ых годов XIX в., - они ничего не предприняли для того, чтобы поселить в Абхазии грузин (Кварацхелиа, 2002, 78).

Мы согласны с А. Лепсаиа, подчеркнувшим рост националистических настроений среди грузин, что, впрочем, в те времена было характерно и для других народов, испытывавших имперский гнет. Особенно это касается Российской империи, которая на рубеже XIX- XX вв. являла собой культурно-цивилизационный «гибрид», и ее политика «разделяй и властвуй» тяжелым грузом ложилась на плечи покоренных народов. Ведь царизм был низложен именно в силу того, что народы империи одновременно испытывали гнет смешанного феодально-капиталистического управления, рос этнический национализм и углублялись противоречия.

Грузинская независимая республика (1918-1921 гг.)

Как пишет А. Лепсаиа, в начале XX столетия (1918-1919 гг.) в Абхазии еще не был сформирован негативный образ грузина как «врага». Далее автор отмечает, что подобный образ формировался в сознании абхазов в 1930-1950 гг, что привело к окончательному разрушению «моста доверия» между грузинами и абхазами. По мнению автора, именно в этот период в школах был запрещен абхазский язык, в отличие от грузинского населения, удельный вес этнических абхазов на территории их проживания стал уменьшаться... Это и послужило причиной, как полагает автор, окончательного формирования образа грузина как «врага» (Лепсаиа 2002, 21).

А. Ментешашвили отмечает, что Россия, к сожалению, и после свержения царизма (в феврале 1917 г.) в 1917-1921 гг. продолжала политику «разделяй и властвуй». По его мнению, демократическая интеллигенция Абхазии во главе с Дмитрием Гулиа выступала с инициативой сближения с Грузией на национально-культурных началах. Автор отмечает, что грузинскому генералу Георгию Мазнишвили не раз пришлось бороться за Сухумский округ с Белой гвардией Деникина и большевистскими отрядами. Интересны приведенные автором материалы совещания представителей грузинской и кубанской властей, в ходе которого генерал Добровольческой армии Алексеев настаивает на необходимости признания Гагринской и Сочинской областей «чисто русскими» областями и введения их в состав Кубани, на что представитель Грузии Е. Гегечкори отвечает, что переговоры возможны лишь с учетом границ, установленных до 1915 г. Безусловно, установленные в 1905 г. царизмом административные границы не носили случайного характера (до 1905 г. Гагринская территория входила в Сухумский округ, а в 1905 г. стараниями принца Ольденбургского она была присоединена к Сочинскому округу. Грузинские социал-демократы вернули Гагры Абхазии). Не было правдой и заявление представителя местной кубанской власти Воробьева на том же совещании о том, что будто бы в то время в Абхазии проживало всего несколько сот грузин, и поэтому нельзя было игнорировать самоопределения абхазов. А. Ментешашвили отмечает, что в 1917 г. в Абхазии проживало 74,846 (42,1%) грузин, 28,121 (21,4%) абхазов, 20,893 (11,7%) русских, 20,873 (11,7%) греков, 18,212 (10,2%) армян и др. (Ментешашвили 1998, 27).

Примечателен документ о государственной границе Грузии, созданный при участии Иванэ Джавахишвили и военного эксперта И. Одишелидзе, для представления его на Парижской мирной конференции. Автор отмечает, что документ начинается следующими словами И. Одишелидзе: «Сама природа определила границы Грузии, и сама история утвердила их... С севера она естественно отделена Кавказским хребтом, за который грузинское население редко переходило... Некогда, начиная от Туапсе, а с XV и до XIX вв. северо-западная граница Грузии проходила по р. Макопсе, т. е. земли между Черным морем и Главным Кавказским хребтом от Гагринского дефила до устья р. Макопсе, т. е. весь нынешний Сочинский округ, всегда был в пределах Грузии, пока сама Грузия не вошла в состав России». Обращает внимание факт, приведенный автором из книги генерала-исследователя Кузьмина-Караваева, свидетельствующий о том, что в 1894 г. в г. Сочи из всего населения, составляющего 460 человек, проживало 11 русских, 440 грузин и 9 человек других национальностей. Позже (1919 г.) русское население Сочинского округа возросло, однако количество грузинского населения все же составляло 22% (Ментешавили 1998, 43-44).

В связи с этим Э. Хоштариа-Броссе отмечает, что созданный в 1917 г. в Сухуми по инициативе грузинских меньшевиков Абхазский народный совет в 1918 г. потребовал создания в границах Грузии Абхазской автономии с широкими полномочиями. Вместе с тем Грузия брала на себя обязанность восстановить прежние границы Абхазии (Хоштариа-Броссе 1996, 100). Автор далее пишет, что ввиду борьбы между «белыми» и «красными» и др. причин осуществить этот план не удалось. Определить статус Абхазии стало возможным лишь в декабре 1920 г., когда Конституционная комиссия разработала «Положение об автономном управлении Абхазии», которое вместе с Конституцией Грузии было утверждено 21 февраля 1921 г. Автор подчеркивает, что Грузинская независимая республика не только признавала право Абхазии на самоуправление, но и являлась гарантом ее безопасности и территориальной целостности.

Мероприятия, проведенные демократической властью Грузии касательно национального вопроса, в частности решение вопроса интеграции Абхазии с Грузией (т. е. присвоение ей национально-территориальной автономии) следует считать одним из успешных достижений грузинской власти. Автономия Абхазии практически полностью соответствовала европейской модели того времени. Напомним, что национально-территориальная автономия своим статусом намного выше культурной или административно-территориальной и ниже национально-государственной автономии. Одним словом, грузинская власть в условиях унитарного государственного устройства полностью удовлетворила принципы самоопределения абхазов.

Грузинское правительство с пониманием относилось к проблеме возвращения абхазских мухаджиров на родину. Этот вопрос, как отмечает Э. Хоштариа-Броссе, по инициативе Н. Чхеидзе стал предметом обсуждения стран Антанты. Вместе с тем были проведены мероприятия в связи с обязательным введением изучения абхазского языка. Большим событием в культурно-общественной жизни Абхазии явилось издание первой абхазской газеты «Апсны», редактором которой в 1919-1920 гг. был Д. Гулиа.

Таким образом, по мнению Э. Хоштариа-Броссе, оценка абхазских сепаратистов и некоторых тенденциозных авторов, определяющих отношение Грузинской независимой республики к Абхазии как «враждебное», «агрессивное» и «террористическое», лишена основания и является попыткой фальсификации истории с целью углубления противоречий между абхазами и грузинами (Хоштариа-Броссе 1996, 103).

Следует отметить, что русский ученый В. Шнирельман отрицательно оценивает статью 107 Конституции (1921 г.) Грузинской независимой республики, по которой Абхазия была названа «Сухумским округом» и объявлялась неделимой частью Грузии. Грузинский язык объявлялся

государственным, хотя Народному совету Абхазии предоставлялось право в школах и для делопроизводства ввести любой местный язык (Шнирельман 2003, 266).

Ведь сегодня можно этот шаг Грузинской независимой республики, в отличие от большевиков, считать правильным на пути национально-государственного строительства, поскольку он исключает существование двух государств в одном государстве. Не является ли политика грузинских социал-демократов в отношении Абхазии определенным ответом абхазскому исследователю Олегу Дамения? По его мнению, грузинское сознание воспринимает Абхазию как часть Грузии, но в то же время оно (сознание – Дж. К.) считает абхазов другим, негрузинским этносом. Территория Абхазии, продолжает О. Дамения, по сознанию грузин является частью Грузии, но абхазский народ не является частью грузинского народа (Дамения 2002, 229).

Следует отметить, что многие грузинские исследователи отнюдь не считают, что дело обстоит именно таким образом. Проф. Ш. Тетвадзе, соглашаясь со своим коллегой Т. Мибчуани, подчеркивает, что «когда апсуа переселились в Абхазию, их племенным наименованием механически стало наименование издревле живущего здесь коренного населения – абхазов, которые были такими же грузинами, как сваны, мегрелы, гурийцы, кахетинцы, имеретинцы и т. д. Неудивительно поэтому, что из 450 ныне зафиксированных абхазских фамилий более 300 – грузинского происхождения и только менее 100 - северокавказского» (Тетвадзе 2001, 100).

В настоящее время, уже по прошествии многих десятилетий, можно утверждать, что решение правительства Грузинской независимой республики вовсе не грешило теми противоречиями, о которых говорил О. Дамения. Несмотря на то, что после первой мировой войны (1918 г.) основным принципом передела карты Европы стал этническо-языковой принцип создания национальных государств, мы думаем, что политика Грузинского государства, направленная против такого подхода к решению вопроса, была правильной, так как она предполагала присвоение культурной автономии внутри одного государства всем желающим этого (в том конкретном случае – абхазам). Нам кажется, что подобный подход не был лишен оригинальности.

Известный историк Эрик Хобсбаум отмечает, что в основу принципа создания новых государств после первой мировой войны было заложено «право наций на самоопределение». Этот принцип и сегодня разделяют те, кто далек от этнических и языковых реальностей регионов, кому выгодно разделение одного государства на разные «национальные государства». По его же мнению, такой подход потерпел крах, «плоды» которого сегодня пожинает Европа. Автор имеет в виду национальные конфликты 90-ых годов XX в. (гражданская война в Югославии, сепаратистские выступления в Словакии, конфликт между Румынией и Венгрией в связи с Трансильванией, сепаратизм в Молдавии, на Кавказе и т. д.), что, по его мнению, является отзвуком Версальских соглашений (Хобсбаум 2004, 42).

Советская Грузия – Абхазия

Предметом нашего внимания является специальная литература, изданная уже в постсоветское время и изучающая социально-культурную реальность Грузии в 1921-1991 гг. (Л. Тоидзе, Г. Нодиа, Дж. Гамахари, З. Папаскири, Д. Джоджуа, Д. Долбаидзе, Б. Кварацхелиа и др.). В работах этих авторов основное внимание уделяется некоторым аспектам грузино-абхазских социально-политических взаимоотношений. Почти во всех работах грузинских авторов вторжение в Грузию в феврале 1921 г. большевиков квалифицируется как свержение законной власти и оккупация страны. Г. Нодиа отмечает различное отношение грузин и абхазов к советскому периоду. Для грузин,

отмечает автор, потерянная в 1921 г. независимость была исторически восстановлена после развала СССР. Исходя из этого, «все происшедшее за годы советской власти, как навязанное иностранными оккупационными силами, было нелегитимным». Г. Нодиа подчеркивает, что нельзя сказать того же об абхазах, современная государственность (вернее – ее праобраз) которых сложилась в советский период и содействовала формированию их национально-политического сознания. Поэтому, считает автор, в отличие от грузин абхазы легитимность своих постсоветских принципов обосновывают, ссылаясь на советский период своей истории (Нодиа 1998, 28).

Вопрос о статусе Абхазии вызывает много споров. Грузинский ученый Л. Тоидзе посвятил этой проблеме специальное исследование. Он отмечает, что в период советской власти Советская Социалистическая Республика являлась высшей формой национальной государственности. Затем шли три типа автономности: Советская Автономная Социалистическая республика, Автономная область и Трудовая коммуна.

Примечательно, что Татария, Башкирия, Дагестан, Кабардино-Балкария, Карачаево-Черкесия, обладая гораздо большим населением и территорией, не оформились как Советские Социалистические республики. Подобного статуса государственности в марте 1921 г. удостоились почему-то только абхазы (Тоидзе 1996, 7). Хотя одновременно, во избежание недоразумений, рассматривался вопрос о вхождении Абхазии в Российскую федерацию на основе договорного акта, заключенного между Грузией и Абхазией в ноябре-декабре 1921 г. Абхазия в течение 10 лет входила в состав Грузии под статусом договорной республики. Широко анализируя этот вопрос, автор подчеркивает, что тогдашнее абхазское руководство считало независимость Абхазии «временной», «минутной», «формальной» и т. д. (Тоидзе 1996, 21).

Отношение абхазских ученых к данному вопросу низведено до поиска субъективных причин. Так, абхазский исследователь В. Чирикба отмечает, что «Абхазия, статус которой по воле Сталина в 1931 г. снизился до Автономной республики в составе Грузии, все же оставалась союзной республикой» (Чирикба 1998, 75).

Безусловно, что политический статус Абхазии отнюдь не был обусловлен субъективной волей Сталина и Берия – в данном случае имело место объективное положение дел. Л. Тоидзе подобное преобразование связывает с реальным урегулированием ситуации в Абхазии и приведением ее в соответствие с унификационными требованиями доктрины общего национально-государственного строительства СССР (Тоидзе 1996, 28).

Анализ грузино-абхазских социально-культурных отношений советского периода носит политизированный характер. Особенно грешит этим постсоветская историография. Так, при рассмотрении абхазского письма, языка, науки, образования и др. субъективные оценки явно превышают объективные. И вина в этом ложится, по мнению многих русских и абхазских исследователей, на «недалновидную политику грузинского руководства» (Захаров, Арешев, Семерикова 2010, 58). Вообще абхазские ученые отмечают осевшие в исторической памяти явления советского периода, в частности репрессивную политику «грузинизации», снижение государственно-правового статуса, массовое заселение Абхазии грузинами в 30-50 гг. и признание «научной истиной» идентичности грузин и абхазов. По их же мнению, в постсталинский период одиозные формы «грузинизации» были преодолены, но формальный характер государственных полномочий автономной республики и зависимость от Тбилиси оставались раздражающими факторами в грузино-абхазских взаимоотношениях. В результате всего этого, считает Ю. Анчабадзе, в 1957, 1964, 1967, 1987 гг. ситуация становилась взрывоопасной, а в 1989 г. имело место межэтническое кровавое столкновение, закончившееся жертвами с обеих сторон (Анчабадзе 1998, 109).

Таким образом, большая часть литературы, посвященной грузино-абхазской проблематике, отведена исследованию причин конфликтов, имевших место в конкретный исторический период, и их анализу. Она (литература - Дж. К.), начиная с вопросов образования, политизирована и зачастую носит субъективный, пристрастный характер.

Вышеназванные исследования (как грузинские, так и абхазские) зачастую носят субъективный характер, в силу того, что оценивают процессы, происходившие в Грузии в XX в., в контексте локальной истории грузино-абхазских взаимоотношений. Кроме того, следует учесть и то обстоятельство, что данная ими оценка грузино-абхазских взаимоотношений в меньшей степени связана с культурно-цивилизационными методологическими подходами и модернизационными процессами, имеющими место во всем мире и, в частности, в России.

Не обусловлена ли создававшаяся между Грузией и Россией ситуация результатами советской модернизации? Какие социально-культурные факторы, возникшие в СССР, вызвали, предположительно, не только дезинтеграцию Грузии, но и развал самого Союза? Не стали ли Грузия и Россия жертвой советской модернизационной политики?

Литература

Анчабадзе 2011: Анчабадзе Г. Вопросы грузино-абхазских взаимоотношений, II. Тбилиси (на груз. яз.).

Анчабадзе 1998: Анчабадзе Ю. Грузия-Абхазия: трудный путь к согласию: см. Грузины и абхазы. Путь к примирению. Москва.

Бакрадзе 2002: Бакрадзе А. За Абхазию. Тбилиси (на груз. яз.).

Гамахариа 1991: Гамахариа Дж. Из истории грузино-абхазских взаимоотношений. Тбилиси (на груз. яз.).

Гасвиани 2003: Гасвиани Г. Грузинские ученые о взглядах Павле Ингороква на Абхазию и абхазов. Тбилиси (на груз. яз.).

Дамения 2000: Дамения О. Абхазо-грузинский конфликт, проблемы и перспективы урегулирования // Аспекты грузино-абхазского конфликта, 2. Ирвайн, Москва.

Захаров, Арешев, Семерикова 2010: В. А. Захаров, А. Г. Арешев, Е. Г. Семерикова. Абхазия и Южная Осетия после признания: исторический и современный контекст. Москва.

Кварацхелия 2009: Кварацхелия Б. Культурно-просветительская и общественно-политическая деятельность Нико Джанашиа. Тбилиси (на груз. яз.).

Лепсаиа 2002: Лепсаиа А. Аспекты грузино-абхазского конфликта. Материалы грузино-абхазской конференции и «первые итоги». Москва, 4-8 июля. Ирвайн.

Лордкипанидзе 1990: Лордкипанидзе М. Абхазы и Абхазия. Тбилиси (на груз. яз.).

Ментешавили 1998: Ментешавили А. Исторические перспективы современного сепаратизма в Грузии. Тбилиси.

Нодиа 1998: Нодиа Г. Грузины и абхазы. Путь к примирению. Москва.

Тетвадзе 2001: Тетвадзе Ш. Некоторые вопросы фальсификации демографического и культурного развития Грузии, журн. «Демография», 1 (3). Тбилиси (на груз. яз.).

Тоидзе 1996: Тоидзе Л. К вопросу о политическом статусе Абхазии. Страницы истории 1921-1931 гг. Тбилиси.

Хобсбаум 2004: Хобсбаум Э. Эпоха крайностей. Короткий двадцатый век, 1914-1991. Москва.

Хоштариа-Броссе 1996: Хоштариа-Броссе Э. В. История и современность. Тбилиси.

Чирикба 1998: Чирикба В. Грузино-абхазский конфликт: в поисках путей выхода. // Грузины и абхазы. Путь к примирению. Москва.

Шнирельман, 2003: Шнирельман В. А. Войны памяти. Мифы, идентичность и политика в Закавказье. Москва.

J. Kvitsiani (Tbilisi)

The causes of Abkhazian conflict in post-soviet historiography

Summary

The work represents unsettled problems of Abkhazia in the process of democratic building that is important hindering factor for country's social and cultural integration. The causes of desintegrating factors in relation with Abkhazian conflict are also discussed. Most part of scientific literature connected with the issue including Abkhazian ethnic issues is politicizing and often has subjective, conferral character.

Georgian and Abkhazian scholars evaluate the process that took place in the 20th c. in Georgia in the context of local history of the Georgian-Abkhazian relations and they give priority to demonstrate subjective factors. It should be emphasized that their evaluations are less connected with cultural civilization methodological approaching of Georgian-Abkhazian relations as well as with the current modernized processes taking place in the world in particular in Russia in the 20th century.

დ. შველიძე (თბილისი)

ე. ასტახიშვილი (თბილისი)

ალექსანდრე მეორე კახთა მეფის (1574-1605) საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან

XV–XVIII საუკუნეების ქართველი მეფეების ერთი ნაწილის პრორუსული საგარეო პოლიტიკა არარეალისტურ, უპერსპექტივო ხასიათს ატარებდა და ქვეყნისათვის ნეგატიური შედეგები მოჰქონდა (თეიმურაზ პირველი; ვახტანგ მეექვსე...). ამ მოვლენის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთს იმხანად არ ჰქონდა რეალური შესაძლებლობა ან ინტერესი, რათა საქართველოს საქმეებში ჩარევით ირან-ოსმალეთს დაპირისპირებოდა. ქართველი მეფეების მეორე ნაწილი უფრო რეალისტური პოლიტიკით გამოირჩეოდა და მათი პრორუსული კურსი კარგად ითვალისწინებდა რეგიონის გეოპოლიტიკურ კონიუნქტურას. რომელ ნაწილს უნდა მივაკუთვნოთ კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე?

რუსული ორიენტაციის პოლიტიკური კურსის ნამდვილი სულისჩამდგმელი სწორედ ალექსანდრე მეორე კახთა მეფეა. 1585 წელს კახეთის მეფის კარზე ჩამოვიდა რუსეთის ელჩობა ასტახანელ მეთოფეთა ასისტავ რუსინ დანილოვის ხელმძღვანელობით. დანილოვმა ალექსანდრე მეორეს გადასცა მეფე თევდორე ივანეს ძის (1584-1598) წერილი, რომელშიც რუსეთის ხელისუფალი კახეთის მეფეს პოლიტიკურ კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა. ამ დროისათვის კავკასიაში ვითარება ოსმალეთის სასარგებლოდ შეიცვალა. სამხრეთ კავკასია და სამხრეთ აზერბაიჯანი თავრიზითურთ, ხონტქრის ჯარებს ეკავათ. ოსმალებმა თბილისი და ქართლის ქალაქები აიღეს, კახეთის სამეფომ თავი ვასალობის პირობით გადაირჩინა, მაგრამ არავინ უწყობდა ეს რამდენ ხანს გასტანდა. კახეთს მოკავშირე სჭირდებოდა. ირანი ამ პერიოდში გაძევებული აღმოჩნდა კავკასიიდან.

ამგვარ პირობებში რუსეთის წინადადება კახეთისათვის პერსპექტიულად გამოიყურებოდა. თვით რუსეთისთვის აქტუალური იყო ჩრდილოეთ კავკასიაში პოზიციების შენარჩუნება და მოკავშირეების მოძიება. ოსმალეთი მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში ღამობდა გაბატონებას და თერგზე ციხე-სიმაგრის აგებასაც აპირებდა. რუსეთი ცდილობდა გამოეყენებინა კავკასიელების ანტიოსმალური განწყობილება. თვით დაღესტნელებიც კი, რომლებიც ოსმალეთის მოკავშირეები იყვნენ, მათს სრულ გაბატონებას კავკასიაში, ეწინააღმდეგებოდნენ.

ალექსანდრე მეორემ უკან გაბრუნებულ დანილოვს თავისი ელჩები – იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ჩერქეზი ყურშიტა გააყოლა. კახეთის ელჩობა რუსეთში 1586 წლის ოქტომბერში ჩავიდა. ასე დაიწყო რუსულ-ქართული ელჩობების ინტენსიური მიმოსვლა, რაც 1605 წლამდე გაგრძელდა. ამ პერიოდიდანვე საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში მთავარ საკითხს წარმოადგენდა რუსების დახმარებით კახეთის დაცვა ლეკებისაგან. კახთა მეფეებისათვის ოსმალური საფრთხე საერთო – ზოგადი საფრთხე იყო,

ხოლო კონკრეტული აგრესია, რომლის აღსაკვეთადაც ისინი რუსეთის ქმედით დახმარებას მოითხოვდნენ – დაღესტნელთა თავდასხმები გახლდათ. საერთო ჯამში, ოსმალეთ - დაღესტნის აგრესიის ფაქტორი ერთი და იმავე პრობლემის ორ მხარეს წარმოადგენდა. რაც მთავარია, ალექსანდრე მეორე რუსეთთან მიიყვანა არა რომელიმე სარწმუნოებრივმა პრიორიტეტმა, თუმცა არც უამისობა იყო, არამედ სრულიად კონკრეტულმა ვითარებამ – საშამხლოს მხრიდან მომდინარე თავდასხმების ნეიტრალიზების პრობლემამ.

1587 წლის 28 სექტემბერს ალექსანდრე მეორემ რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი მიიღო და ხელი მოაწერა „ფიცის წიგნს“. ეს აქტი კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღებას ნიშნავდა. მოლაპარაკებების დროს ქართველები რუსეთის დესპანებსა და მთავრობას არაერთხელ უცხადებდნენ: ჩვენმა მეფემ იმიტომ მიიღო რუსეთის ყმადნაფიცობა, რომ დაღესტნელებისაგან თავი დაეცვა რუსების დახმარებით; სხვა შემთხვევაში იგი დახმარებისათვის ირანს ან ოსმალეთს მიმართავდა... ამგვარ მასალებსა და ინფორმაციაზე დაყრდნობით, ივანე ჯავახიშვილი დაასკვნდა: „როდესაც ალექსანდრე მეფეს რუსთა მეფისაგან მფარველობის თხოვნა გადაუწყვეტია, ამის უმთავრესი ამამოდრავებელი მიზანი საქართველოს ოსმალეთისაგან, ან სპარსეთის მძლავრობისაგან თავის დაღწევა და უზრუნველყოფა კი არ შეადგენდა, არამედ ზურგის გამაგრება და თავდაცვა ჩრდილოელი მეზობლებისაგან, განსაკუთრებით შამხალის ტყვევნა-ცარცვა-გლეჯისაგან“ (ჯავახიშვილი 1969) თვითონ ალექსანდრეც ეუბნებოდა რუსეთის ელჩებს: შამხალი ჩემი დიდი მტერია, წავალ თუ არა ოსმალეთის ან სხვა რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ საომრად, მაშინვე შამხალი ჩემს რომელიმე სანაპირო ქვეყანას შემოესევა ხოლმე. ისე კი, ღამ-ღამობით, ქურდულად ჩემს ქვეყანას დაეცემა, ხალხს მიხოცავს, ტყვედ მიჰყავს და ძალით ამაჰმადიანებს. ამ მხრივ შამხალი ჩემთვის ოსმალზე უფრო უარესია. ამიტომ იყო, რომ ქართული ელჩობები მუდმივად ითხოვდნენ, რუსეთს დაელაშქრა საშამხლო და აღეკვეთა დაღესტნელთა მუდმივი თავდასხმები.

იყო თუ არა გამართლებული ალექსანდრე მეორის გადაწყვეტილება, შესულიყო რუსეთის მფარველობაში და რამენაირად აზარალებდა თუ არა სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლა, კახეთ-საქართველოს ინტერესებს, ან: საფრთხეს უქმნიდა თუ არა ეს ქვეყანას და ვისი მხრიდან? რუსეთის მფარველობა - მოკავშირეობაში შესვლა კახეთის სამეფოსაგან სრულიად გამართლებული პოლიტიკური გადაწყვეტილება ჩანდა. რუსეთი იყო ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო დაღესტნის თავდასხმების აღკვეთა და ოსმალეთის ექსპანსიის შეჩერება ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსეთმა დაგვიანებით, ზოზინით, მაგრამ მაინც გადადგა საამისო ნაბიჯები საშამხლოსა და ოსმალეთის წინააღმდეგ. 1591 წელს მოეწყო რუსთა და ყაბარდოელთა ერთობლივი ლაშქრობა საშამხლოზე. ამავე დროს, რუსეთმა ხელში ჩაიგდო თერგის ციხე-ქალაქი, სუნჯის ციხე, მდ. ყოისუს ხეობა და გზა გადაუკეტა ოსმალურ ექსპანსიას ყირიმის დარუბანდისაკენ. მართალია ამ აქტივობამ კახეთისათვის საშამხლოს პრობლემა ვერ გადაწყვიტა, მაგრამ საამისო იმედები კი გააღვივა. რუსეთისადმი კახეთის ლტოლვას ისიც აძლიერებდა, რომ 1590 წელს ზავი დაიდო ირანსა და ოსმალეთს შორის. ირანი დროებით შეურიგდა სამხრეთ კავკასიის დაკარგვას და რევიონში აქტიურ როლსაც, დროებით მაინც, გამოემშვიდობა. ფაქტობრივად საშამხლოს პრობლემის მოგვარების სფეროში კახეთისათვის ერთადერთ რეალურ ძალას რუსეთი წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ როდესაც რუსეთში 1592 წელს კახეთის მორიგი ელჩობა ჩავიდა, თავად იორამისა და კირილე არქიმანდრიტის ხელმძღვანელობით, მოსკოვისაგან იგი კვლავ დაბეჯითებით ითხოვდა საშამხლოს დაპყრობას, თერგ-კახეთის გზის გათავისუფლებას და ტარკში რუსული ჯარის ჩაყენებას.

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის შეღწევის ცდებს იმიტომ მივაქციეთ ყურადღება, რომ ამით დავადასტუროთ ალექსანდრე მეორის რუსული პოლიტიკური კურსის მაშინდელი რეალისტური ხასიათი. რუსეთი ჩართული იყო ოსმალეთის წინააღმდეგ ომში, რომელსაც იმხანად „საღვთო ლიგაში“ გაერთიანებული ევროპის სახელმწიფოები აწარმოებდნენ. ზემონახსენები ზასეკინის ექსპედიციაც ამ ომის ეპიზოდი გახლდათ. ამ სამხედრო ოპერაციის სერიოზულობაზე ისიც მეტყველებს, რომ 1591 წელს ყირიმის ხანი ღაზი გირეი შეუთანხმდა შვედეთის მეფეს, მოაწყო გრძელი ლაშქრობა მოსკოვზე და საშინლად დაარბია იქაურთა. ოსმალეთმა კი კატეგორიულად მოსთხოვა რუსეთს ჯარების გაყვანა ჩრდილოეთ კავკასიიდან და, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსკოვზე ლაშქრობით დაიშუქრა. რუსეთის საბედნიეროდ, ოსმალეთს ავსტრიამ აუტეხა ომი და მას მოსკოვის დასახსრებად აღარ ეცალა.

ამით გულმოცემულმა რუსეთმა 1593 წელს მორიგი ლაშქრობა მოაწყო დაღესტანზე. რუსებს ქართველებიც უნდა მიხმარებოდნენ და დაღესტნისათვის სამხრეთიდან შეეციათ. რუსებს ტარკი უნდა აეღოთ და შამხლის ტახტზე მისი მეორე ძმა დაესვათ, რომლის ქალიშვილიც ალექსანდრე მეორის ვაჟზე, გიორგი ბატონიშვილზე იყო დანიშნული. ეს პოლიტიკური ქორწინება კახეთ - საშამხლოს მომავალი კეთილმეზობლური ურთიერთობების გარანტი უნდა გამხდარიყო. არსებული სიტუაცია ალექსანდრეს რეალური ოპტიმიზმის საფუძველს აძლევდა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა. რუსებმა, როგორც ჩანს, სწორად ვერ შეაფასეს დაღესტნის გეოგრაფიული ფაქტორი და მთიელების სამხედრო შესაძლებლობები. თავდაპირველი წარმატებების შემდეგ ისინი სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. საბოლოოდ მათ მხოლოდ დახოცილთა სახით 3000 მეთოფე ჯარისკაცი დატოვეს დაღესტნის მთებში და უკუიქცნენ. სხვათა შორის, ამ ექსპედიციის დამარცხებაში რუსები კახეთის მეფესაც სდებდნენ ბრალს, რადგან ამ უკანასკნელმა არ ან ვერ შეასრულა დადებული პირობა, არ დაეხმარა რუსებს და სამხრეთიდან არ შეუტია საშამხლოს.

ამ ლაშქრობის მარცხის შემდეგ მოსკოვ-კახეთში კვლავ გრძელდებოდა ელჩების ინტენსიური მიმოსვლა. კახეთის მეფე ახლა ყაზი-ყუმუხში სთხოვდა რუსებს ციხის ჩადგმას. შემდგომ ელჩობებს სერიოზული შედეგი არ მოუტანია, მაგრამ, როგორც ჩანს, ალექსანდრე მეორე კვლავ არ კარგავდა მოსკოვის გააქტიურების იმედს და არც თუ უსაფუძვლოდ.

1601 წლიდან კვლავ დაიწყო სამხადისი დაღესტანში ფართომასშტაბიანი ლაშქრობის მოსაწყობად. სწორედ ამ წელს დაბრუნდნენ მოსკოვიდან გრემში კახეთის მეფის ელჩები თავადი სოლომონი და მდივანი ლევანი. მათ თან ჩამოჰყვათ რუსეთის ახალი მეფის ბორის გოდუნოვის (1598-1605) ელჩები ივანე ნაშჩოკინი და ივანე ლეონტიევი, რომლებმაც ალექსანდრე კახთა მეფეს საშამხლოზე რუსთა მორიგი ლაშქრობისა და თერგ-კახეთის გზის გახსნის განზრახვის ამბავი ჩამოუტანეს.

1601 წლის რუსების ლაშქრობა დაღესტანში ჩაიშალა, მაგრამ იდემ აქტუალურობა შეინარჩუნა და კვლავ დღის წესრიგში დადგა 1604 წელს. ჩვენც აქ შევჩერდეთ, რადგან 1603 წლიდან გეოპოლიტიკური ვითარება შეიცვალა და ძირეულად განსხვავდებოდა 1603 წლამდე ვითარებისაგან. პირველ რიგში, ზემოგანხილული მოვლენების ფონზე უნდა დავასკვნათ, რომ 1585-1605 წლებში, კახეთის მეფე ალექსანდრე მეორის პრორუსული ორიენტაცია არ იყო არც გულუბრყვილო და არც სუსტი დიპლომატიის მატარებელი, არამედ გონივრული და პრაგმატული გახლდათ. ალექსანდრე კარგად ითვალისწინებდა, როგორც რეგიონის გეოპოლიტიკურ, ისე საერთაშორისო ვითარებას და ენერგიუ-

ლად ცდილობდა კახეთის ჩრდილო საზღვრის უშიშროების უზრუნველყოფას რუსეთის დახმარებით. დროის ამ მონაკვეთში რუსეთი წარმოადგენდა რეალურ ძალას და პოტენციურად შეეძლო გამხდარიყო კახეთის სამეფოსათვის სასურველი მეზობელი, ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრებით.

ახლა პასუხი გავცეთ კითხვას – რუსეთთან 1585–1603 წლებში ურთიერთობით და მისი მფარველობა - მოკავშირეობით, კახეთის სამეფოს ექმნებოდა თუ არა საშიშროება ყიზილბაშური ირანის მხრიდან და კახეთ-რუსეთის ურთიერთობა იყო მიმართული თუ არა ირანის წინააღმდეგ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1578 წლიდან დაწყებული, ოსმალეთ - ირანის ომში, ოსმალეთმა სამხრეთ კავკასიის დიდი ნაწილი დაიპყრო და ირანი სომხეთ - საქართველო - აზერბაიჯანიდან გააძევა. იგივე მდგომარეობა დააფიქსირა 1590 წლის ზაფხულში. ამ ზაფხულის შემდეგ ირანის ახალი მბრძანებელი შაჰ - აბასის ენერგიულად ემზადებოდა რევანშისათვის და დაინტერესებული იყო ანტიოსმალური კოალიციით. ამ პერიოდში მისი ურთიერთობა რუსეთთან ძირითადად სოლიდარული გახლდათ. კახეთის სამეფო რომ რუსეთის მფარველობაში შევიდა, ამას ნამდვილად უნდა გაეღიზიანებინა შაჰ-აბასი, მაგრამ მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ოსმალეთის განდევნა სამხრეთ კავკასიიდან. ამის გამო, იგი განსაკუთრებულად არ შემფოთებულა კახეთ-რუსეთის ახალი ურთიერთობით – ორივენი ირანის მოკავშირეებად აღიქმებოდნენ. მთელი 1585–1603 წლების განმავლობაში, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც კახეთსა და რუსეთს შორის დაახლოება მოხდა, ირანის შაჰს არ გამოუმუდავებია კახეთის მიმართ თავისი უკმაყოფილება. ირანის შაჰის კარს კარგად ესმოდა და მხედველობაში იღებდა იმ გარემოებასაც, რომ რუსეთ-კახეთის მფარველობა-კავშირი, მიმართული იყო ოსმალეთ-საშამხლოს წინააღმდეგ. კახეთის მთავარი მოტივაცია იყო შამხალის ნეიტრალიზაცია.

გარდა ამისა, მთელი აღნიშნული პერიოდი განმავლობაში კახეთის მეფე მუდმივად აფიქსირებდა ირანის შაჰის ერთგულება - ვასალობას და ხარკმოსაკითხსაც მუდამ უგზავნიდა მას. შაჰ-აბასი იმ გარემოებასაც გაგებით ეკიდებოდა, რომ გარკვეულ პერიოდში, როდესაც ოსმალთა სარდალმა მუსტაფა ლალა ფაშამ აღმოსავლეთ ამიერკავკასია დაიპყრო, ალექსანდრე მეორემ ოსმალეთის ვასალად ცნო თავი, რადგან არ შეეძლო ოსმალეთისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ამ ყველაფერს მაშინდელი ირანელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნშიც ობიექტურად აღნიშნავდა. განსხვავებით ზოგიერთი თანამედროვე ქართველი ისტორიკოსისაგან, ისკანდერ მუნში მაღალ შეფასებას აძლევდა ალექსანდრე მეფის გონიერებას, პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობასა და გამოცდილებას: „ალექსანდრე - ხანი... თავისი სწორი მსჯელობითა და გამჭრიახობით უგამოჩინებულფსი ადამიანი იყო ახალგაზრდათა და მოხუცთა შორის და ეშმაკობისა და მოხერხების მხრივ ბებერი მეელი იყო.“

ირანელი ისტორიკოსი კარგად იცნობდა საქართველოს მაშინდელ ვითარებას და საკმაოდ ადგილსაც უთმობდა თავის ნაშრომში, ალექსანდრე მეორის დამოკიდებულებას შაჰ-აბასის ირანთან. მოვიყვანოთ რამდენიმე ამონარიდს ისკანდერ მუნშის თხზულებიდან: ალექსანდრე ხანი „სუფიანთა ირანის მოხარკეთა და მორჩილთა და ბრძანების შემსრულებელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა“, – წერს მუნში. „იმ (იგულისხმება ირანის შაჰი თამაზი - ავტორები) ხელმწიფის სიცოცხლის განმავლობაში მუდამ მორჩილების ფართო გზას ადგა და მტკიცედ და ყოველ წელს ხარკს იხდიდა“. შემდგომი შაჰის მოჰამედ ხოდაბენდეს დროსაც, მიუხედავად ოსმალეთისადმი დროებითი კომპრომისისა, მუნში გაგებით წერს: „თუმცა ოსმალეებს დამორჩილდა ალექსანდრე, მაგრამ მომავლის ფიქრიც

ჰქონდა, კაცს შაჰის კარზე ისტუმრებდა, ერთგულებას უცხადებდა ხელმწიფეს, ძღვენსა და საჩუქრებს აგზავნიდა და ხელმწიფური წყალობის ღირსი ხდებოდა“. იგივეს აკეთებდა ალექსანდრე კახთ ბატონი შაჰ-აბასის დროსაც, რათა შეენარჩუნებინა მისი კეთილგანწყობა და საფრთხის ქვეშ არ დაეყენებინა თავისი ქვეყანა ირანელთა მხრიდან. ისკანდერ მუნშის სიტყვებით, 1597–98 წლებში „საქართველოს ხელმწიფეების ალექსანდრე ხანისა და სიმონ ხანისაგან მაღალი ტახტის საფეხურებთან მოვიდნენ ელჩები და აზნაურები; ერთგულება და მორჩილება განაცხადეს. გამოეგზავნათ იოსებ მშვენიერსავით ლამაზი ყმაწვილები და ჰურიების ბუნების მთვარის სახის მქონე ქალწულნი, საქართველოს დიდებულთა შვილები, რომელნიც შეეფერებოდნენ ხელმწიფის ჰარამხანასა და სამოთხისებურ მეჯლისში სამსახურს. მეფეებმა შაჰს გულწრფელი ერთგულება განუცხადეს“ ირანი და რუსეთი თანაბრად ეგუებოდნენ იმ გარემოებას, რომ კახეთის სამეფო – ორივე მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოს ვასალურ ქვეყანას წარმოადგენდა. ყოველ შემთხვევაში, კახეთის ასეთი ორმაგი ვასალობის სტატუსი გარკვეულ პერიოდში, ირანისთვის მისაღებ ნორმას წარმოადგენდა და ხმამაღალი პროტესტი კახეთის არც ერთ „პატრონს“ არ გამოუთქვამს. რუსი მეცნიერი ა. პ. ნოვოსელცევი აღნიშნავს, რომ მაშინდელი რუსეთ - ირანის მეგობრული ურთიერთობის გულწრფელობა, მართალია, არ უნდა გაიდევალდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ინტერესთა დამთხვევის გამო, ამ პერიოდში, რუსეთ-ირანის ურთიერთობა მეგობრულ ნიადაგზე ვითარდებოდა“.

დაახლოებით ამგვარ „მეგობრულ“ (ირან-რუსეთი), „მფარველობით“ (კახეთ-რუსეთი) და „მოსარკეობით - ვასალურ“ (კახეთ -ირანი) ურთიერთობაში მიმდინარეობდა მოვლენები სამ სახელმწიფოს – რუსეთს, ირანსა და კახეთს შორის, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა წინააღმდეგობათა გამწვავების ზღვარს. წინააღმდეგობებმა 1603 წლიდან დაიწყო გამოძვლავნება, ხოლო წინააღმდეგობათა კვანძი ყველაზე სუსტ რგოლში, კახეთში გაიხსნა 1605 წელს. გავიხსენოთ და დავაფიქსიროთ – რატომ მოხდა ასე და რა როლი მიუძღვის ამაში ჩვენთვის ამჟერად ყველაზე საინტერესო ისტორიულ პერსონას – ალექსანდრე მეორეს; რა როლი ითამაშა ამ დროს განვითარებულ დრამატულ მოვლენებში რუსეთ - კახეთისა და ზოგადად რუსეთ - საქართველოს ურთიერთობებმა.

1603 წლის გაზაფხულზე შაჰ - აბასმა ახალი ომი წამოიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ. სუფიანთან ბრძოლაში ირანელებმა დაამარცხეს ოსმალები, აიღეს თავრიზი, ნახიჩევანი და ალყა შემოარტყეს ერევანს. გარემოცვა ათ თვეს გაგრძელდა. შაჰმა დასახმარებლად ჯარებიანად იხმო ქართველი მეფე - ვასალები. ქართლის მეფე გიორგი მეათე (1600-1606) სწრაფად გამოცხადდა მასთან, ხოლო ალექსანდრე მეორემ ისე დააყოვნა, რომ აბასს მასთან კახთა მეფის გამაჰმადიანებული შვილის კონსტანტინე მირზას გაგზავნა დასჭირდა. როგორც კარგად ინფორმირებული ისტორიკოსი ისკანდერ მუნში მოგვითხრობს: კონსტანტინემ „ხან ტკბილი სიტყვით, დაპირებებითა და მუქარით დაითანხმა მამამისი დამორჩილებოდა ამ სამეფო გვარს (სუფიანებს, ავტორები) და მოსულიყო შაჰის კარზე და ნებით თუ უნებლიეთ ერევანში მოიყვანა“.

ალექსანდრეს შეეოვნების ერთ - ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ იგი რუსეთიდან მნიშვნელოვან ინფორმაციას ელოდებოდა. ბოლო ელჩობა მოსკოვში ალექსანდრემ 1603 წელს იენისში გაგზავნა. ბერძენი არქიმანდრიტი კირილე ქსანტოპულო და მდივანი საბა მოსკოვში 1604 წლის თებერვალში ჩავიდნენ. კახეთის მეფე დაჟინებით მოითხოვდა საშამხლოზე ლაშქრობას. მეფე ბორის გოდუნოვმა საქართველოსკენ 1604 წლის მაისში გამოგზავნა თავადი მიხეილ ტატიშჩევი და ივანოვი. ელჩები კახეთში 12 აგვისტოს ჩამოვიდნენ. ამ დროისათვის ალექსანდრე მეორე ერევნის ალყაზე შაჰ-აბასთან იმყოფებოდა.

არ არის გამორიცხული, რომ ალექსანდრე სწორედ რუსეთის ელჩებს ელოდებოდა, რომლებსაც მის თხოვნაზე, აპირებდნენ თუ არა რუსები საშამხლოზე ლაშქრობას, პასუხი უნდა ჩამოეტანათ. მამის ერევნის ალყაზე ყოფნის გამო, ელჩები გიორგი ბატონიშვილმა მიიღო. ელჩებმა იმედგადაწურულ კახელებს მოულოდნელი ამბავი ჩამოუტანეს – ბორის გოდუნოვის ბრძანებით მოსკოვში დიდი მზადება მიმდინარეობდა საშამხლოზე სალაშქროდ.

როგორც ჩანს, რუსები ირან-ოსმალეთის ახალმა ომმა გამოაცოცხლა. გარდა იმისა, რომ მათ დაღესტანში და, ზოგადად, ჩრდილოეთ კავკასიაში ფეხის ჩადგმა უნდოდათ, მათ კასპიისპირეთში შემოდღევის იმედიც გაუჩნდათ. ჯერ კიდევ შაჰ-აბასის მამა ხოდაბენდუე ჰპირდებოდა მოსკოვს, დერბენტსა და ბაქოს, თუ რუსები ირანს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში დაეხმარებოდნენ. 1604 წელს რუსი ელჩები აბასს მამამისის დაპირებას შეახსენებდნენ, რაზედაც შაჰი ორაზროვან პასუხს იძლეოდა: დერბენტი და ბაქო იმ შემთხვევაში იქნება რუსეთის, თუ რუსები მათ აიღებენო. შაჰ-აბასს სრულიადაც აღარ უნდოდა მამამისის მიერ დაპირებული ტერიტორიების გაჩუქება. მას მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაუფლება სურდა და არა დროებით, არამედ სამუდამოდ. ამას ისიც ადასტურებს, რომ ერევნის აღების შემდეგ, 1604 წლის ზაფხულში, შაჰის ბრძანებით, აღმოსავლეთ სომხეთიდან ირანში 300 000 სომეხი იქნა გადასახლებული. რამდენიმე ათეული ათასი მცხოვრები ირანში აზერბაიჯანიდანაც გადაასახლეს. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დასამკვიდრებლად გამზადებულ აბას პირველს, რა თქმა უნდა, აღარ ეპიტნაებოდა თავისი „მეგობრისა“ და „ძმის“ – რუსეთის მეფის კავკასიაში შემოდღევის პერსპექტივა. ამიტომ იყო, რომ ერევნის აღების შემდეგ, შაჰმა გიორგი მეათე უპრობლემოდ გამოისტუმრა ქართლში, ხოლო ალექსანდრე ხანი კი ირანში იახლა, რათა ეს უკანასკნელი რუსეთის ელჩებს არ შეხვედროდა.

კახეთისათვის მთავარი მოვლენები დაღესტანში განვითარდა. ბორის გოდუნოვმა დიდი თანხა გამოყო სამხედრო ექსპედიციის მოსაწყობად – 300000 რუბლი. თავდაპირველად 8 000 მეთოფე იყო სალაშქროდ გამზადებული, რომლებსაც 4 000 დაემატა ყაზან-ასტრახან-თერგიდან. მეთოფე - „სტრელებს“ კაზაკები, ნოღაელები, ჩერქეზები და რუსთა მოკავშირე სხვა მთიელებიც დაემატნენ. ზოგი მონაცემებით, ლაშქრობაში 50 000 კაცი იღებდა მონაწილეობას. 1604 წლის გაზაფხულზე რუსების ჯარი ივანე ბუტურლინის მეთაურობით დაღესტანში შეიჭრა. მან ჯერ ვაკე და მთისწინეთი დაიკავა, შემოდგომაზე ენდირეი დაიპყრო, ბრძოლით აიღო ტარკი და აქ ციხის მშენებლობა დაიწყო. რუსებმა ციხის მშენებლობა მდინარე ტუზლუკზეც დაიწყეს. ალექსანდრე მეორე ამ ყველაფრის საქმის კურსში იყო. რუსები მას ყველაფერს აცობინებდნენ. თითქოს ხორცი ესხმებოდა კახეთის მეფის იმედებს. ცხადია, რუსეთის მეფეს თავისი ინტერესები ამოძრავებდა და, მეორე მხრივ, ირანისა და სხვა სახელმწიფოების ანტიოსმალური კოალიციის ე. წ. „სადვთო ლიგის“ სამოკავშირეო ვალდებულებებსაც ასრულებდა, მაგრამ დაღესტან-საშამხლოს მორჯულება არავისთვის ისეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემას არ წარმოადგენდა, როგორც კახეთის სამეფოსათვის.

1605 წლის ზამთრიდან წარმატებული ლაშქრობის მსვლელობა რადიკალურად შეიცვალა. დამპყრობლის წინააღმდეგ მთელი დაღესტანი აღსდგა. ლეკები თანდათანობით ავიწროებდნენ რუსების ჯარს, რომელიც მალე აღმოჩნდა გამოკეტილი ტარკში. ამავე დროს, დაღესტნელებს ოსმალებიც მიეხმარნენ. ბუტურლინმა ტარკი მოწინააღმდეგეს ჩააბარა და უკუიქცა. რამდენიმე დღის შემდეგ ყარამანის ველზე ყუმუხელებმა პირწინადად გააანადგურეს უკუქცეულ რუსთა რაზმები. რუსი ისტორიკოსების შეფასებით, და-

დესტანში მიძიმე დამარცხებამ კატალიზატორის როლი ითამაშა რუსეთში დაწყებულ მრავალწლიან არეულობაში.

რუსეთის ჯარის განადგურებამ კახეთის მეფის ალექსანდრე მეორის იმედები დაასამარა. 1605 წლის 8 მარტს ის და მისი გამაჰმადიანებული შვილი კონსტანტინე მირზა კახეთში დაბრუნდნენ. მათ შაჰისაგან დავალებული ჰქონდათ შირვანიდან ოსმალების განდევნა და ხანის ტახტზე კონსტანტინეს დასმა. როგორც ჩანს, ამ დროისათვის ალექსანდრემ ჯერ კიდევ არ იცოდა ბუტურლინის ექსპედიციის განადგურების შესახებ და შირვანში ლაშქრობას აყოვნებდა. კონსტანტინეს შაჰის საიდუმლო დავალებაც ჰქონდა: ალექსანდრესა და ბატონიშვილ გიორგის მკვლელობა, თუ ისინი დააყოვნებდნენ შაჰის დავალების შესრულებას. 12 მარტს კონსტანტინემ „პირნათლად“ შეასრულა შაჰის დავალება – ყიზილბაშებს საკუთარი ძმა და მამა დაახოცინა.

ზემოგანხილული მოვლენების გახსენება კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში ალექსანდრე მეორის პრორუსული პოლიტიკის რეალურობას. მართალია, კახეთის მეფე სახიფათო თამაშს ეწეოდა, მაგრამ ამას მოითხოვდა მისი ქვეყნის მდგომარეობა. კახეთს ან უნდა გადაეჭრა დაღესტნის პრობლემა, ან ოსმალებს მიმსრობოდა და რუსეთ-ირანს დაპირისპიებოდა. ვინ დაამტკიცებს იმას, რომ ასეთ შემთხვევაში მისი პოლიტიკა გამართლებული იქნებოდა? ალექსანდრე მეორე შორსმჭვრეტელი და გამოცდილი პოლიტიკოსი იყო. მისი მიზანი – ჩაერთო რუსეთი დაღესტნის განეიტრალების პროცესში – იმხანად მკვეთრად არ ეწინააღმდეგებოდა ირანის ინტერესებს. ბუტურლინის დამარცხებამ ჩაშალა ალექსანდრეს გეგმები და ამ ვითარებაში მას არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო. შესაძლოა მან ბოლომდე ვერ გათვალა შაჰ-აბასის პოლიტიკური ვერაგობის საზღვრები და საბოლოოდ მისი ინტრიგის მსხვერპლი შეიქმნა.

ძეგამის 1605 წლის 12 მარტის ტრაგედიით მთავრდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ერთი ციკლი. კახეთის მეფეებმა რუსეთის დახმარებით დაღესტნის ნეიტრალიზების მიზანი ვერ განახორციელეს, თუმცა ამ მიმართულებით ბრძოლა, ისტორიულად სრულიად გამართლებული იყო.

ალექსანდრე მეფის პოლიტიკის დამარცხება, საქართველოს გამოუვალი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარეობდა და არა მისი დიპლომატიის შეცდომებიდან. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც - ამ პერიოდის რუსეთი არ წარმოადგენდა ისეთ ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოების დამოუკიდებლობას.

ლიტერატურა

ისკანდერ მუნში 1969: ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი.

ჯავახიშვილი 1967: ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი მეოთხე. თბილისი.

ჯავახიშვილი 1967: ი. ჯავახიშვილი, იქვე. ჩიტრებუღია ს. ელოკუროვის წიგნიდან: Сношения России с Кавказом. Москва.

Новосельцев 1961: А. П. Новосельцев, Русско-иранские политические отношения во второй половине XVI в. «Международные связи России до XVII в.». Москва.

Сеидова 2007: Гюльшан Сеидова, Азербайджан во взаимоотношениях севевидской империи и русского государства в XVII веке (по русским источникам). Баку- Нахичеван.

D. Shvelidze (Tbilisi)

E. Astakhishvili (Tbilisi)

From the history of the foreign politics of Alexander the II _ the King of Katheti (1574-1605)

Summary

The Georgian kings' ruling in the country from the 15th to the 18th centuries developed unrealistic politics with regard to the neighboring Russia (Teimuraz the I, Vakhtang the VI). The reason for its being unrealistic was as follows: Russia had neither the capability nor interest to oppose either Iran or Ottoman Empire by developing alliance with Georgia. There were the other kings of Georgia who pursued more realistic politics since they took into account the region's geopolitical situation in a given historic period.

One should mention the foreign political objectives pursued by Alexander the II the king of Kakheti that aimed at allaying with Russia. Alexander the II claimed to be the subordinate to both Russia and Iran simultaneously and thus did not formally oppose the latter. At this point in history Iran and Russia were considered to be allies against the Ottoman Empire.

The Pro-Russian politics of Alexander the II was realistic since at this point in time Russia started to gain control over the North Caucasus. In 1591, 1593 and 1604 Russia made efforts to invade the North Caucasus. These invasions should stop the attacks of Dagestan and thus were in the best interests of the Georgian kings. The raids of the Russians over Dagestan were unsuccessful. Therefore, Alexander the II was unable to fulfill his plans and was rather dissatisfied.

Д. Швелидзе (Тбилиси)

Э. Астахишвили (Тбилиси)

Из истории внешней политики Александра II – царя Кахети (1574-1605)

Резюме

Прорусская внешняя политика одной части грузинских царей 15-18 веков носила нереалистический, неперспективный характер и приносила стране негативные результаты (Теймураз I, Вахтанг VI). Основная причина этого явления состояла в том, что у России в ту пору не было реальной возможности или интереса своим вмешательством в дела Грузии противопоставить себя Ирану и Турции. Другая часть грузинских царей выделялась более реалистической политикой, и их прорусский курс хорошо учитывал геополитическую конъюнктуру региона в конкретный исторический период.

В связи с этим нужно отметить внешнюю политику, которую вел царь Кахетии Александр II. Она была ориентирована на союзничество-покровительство России. Александр II одновременно объявлял себя вассалом России и Ирана, и этим формально не противопоставлял себя Ирану. В тот период Иран и Россия являлись дружественными государствами и вместе воевали с Турцией.

Прорусский внешнеполитический курс Александра II был реалистичным, так как Россия активно старалась укрепиться на Северном Кавказе. Россия в то время не довольствовалась только обещаниями. В 1591, 1593 и 1604 годах она трижды устраивала походы на Северный Кавказ. Эти походы отвечали интересам Кахетинского царства, и их результатом должно было быть прекращение разбойничьих нападений дагестанцев. Походы России оказались неудачными, и это нарушило планы Александра II.

После поражения войска Бутурлина и смерти Александра Второго, до царствования Петра I, у России уже не было реального интереса и возможности активно вмешиваться в кавказско-грузинские дела и противостоять Ирану-Турции.

ც. ჩხარტიშვილი (თბილისი)

საქართველო-დაღესტნის კულტურული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი XIX ს-ის ქართულ პრესაში

ეთნოსებს შორის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესწავლა ყოველთვის აქტუალური იყო ისტორიულ მეცნიერებაში როგორც თეორიული, ისე წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით.

XIX საუკუნის ქართული პერიოდული პრესა საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ კავკასიელი ხალხების ისტორია საკმაოდ მდიდარი მასალის საფუძველზე.

ამ კუთხით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „მნათობი“, „იმედი“ და სხვ., საიდანაც ჩანს, რომ ქართველი საზოგადოება ყოველთვის დაინტერესებული იყო ჩრდილო კავკასიის ხალხთა ცხოვრებით, მისი კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლებისა და ისტორიის პრობლემებით. კავკასიელი მთიელების შესახებ ბევრი საყურადღებო მასალაა დაბეჭდილი ქართულ გაზეთებსა თუ ჟურნალებში. პრესაში გამოქვეყნებულ კორესპოდენციებსა და წერილებში „იბეჭდებოდა მასალები დაღესტნელი ხალხის ისტორიის, ეთნოგრაფიის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ“ (ცერცვაძე 1969).

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერია თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ჩრდილო კავკასიის ხალხების მიმართ საკმაოდ მკაცრი, არაობიექტური და უკომპრომისო იყო, რუსულ საზოგადოებაში არსებობდა ხალხი, რომლებიც მიზნის მისაღწევად განათლების შეტანას ამ რეგიონში ანიჭებდა უპირატესობას. ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „დაღესტნელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა სწავლა-განათლებას თბილისშიც იღებდა“ (ღუდუშაური 1955).

XIX ს-ის ქართული პრესის მესვეურები ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხის, დაღესტნელების განათლების აუცილებლობაზე აშკარად მიუთითებდნენ. გაზეთ „კავკასის“ მეათე ნომერში დაბეჭდილია სტატია „შენიშვნები დაღესტანზე“, რომელიც გადმოიბეჭდა ქართულ პრესაში. სტატიის რუსი ავტორი ამტკიცებს, რომ ამ მხარის მთიელებისა და განსაკუთრებით დაღესტნის დასამშვიდებლად და სამუდამოდ დასამორჩილებლად ყველაზე უფრო მომეტებულ სარგებლობას ხალხში განათლების გავრცელება მოიტანსო – „ეს ხალხი მხნე, პატიოსანი და შრომისმოყვარე ხალხია, მხოლოდ გონიერებით და ღმობიერებით შეიძლება მათი დამორჩილება და ერთადერთი საშუალება ამისა მათში განათლების გავრცელება არისო“ (დიუმა №11 1878).

თუ რუსები და თურქები მათ გარუსებასა და გათურქებას ელტვოდნენ და მორჩილებაში მოსაყვანად პრიორიტეტს განათლებას აძლევდნენ, ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები სულ სხვა გზით ფიქრობდნენ ამის გაკეთებას. საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება ამის თაობაზე: „ჩვენ სულ სხვა გზით უნდა ვიაროთ... არც

რუსების, არც ოსმალების გზა ჩვენ ქართველებს არ გამოგვადგება. მთიელთა ეროვნული გადაგვარების აზრი ჩვენ ფიქრადაც არ უნდა გვქონდეს... მხოლოდ მათი ენისა და ზნე-ჩვეულებათა ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა და ჩვენი მეზობლების განათლება უნდა იყოს ჩვენი მიზანი“ (ჯავახიშვილი 1983). ივანე ჯავახიშვილი რატომღაც დაღესტნელებს გამოყოფს დანარჩენ ჩრდილო კავკასიელებისაგან. მათ იგი მოიხსენიებს ტერმინით „მთიული“. გარდა ამისა, ივანე ჯავახიშვილის აზრით, დაღესტნის ცენტრში განათლების შეტანა არის ის საფუძველი, რაზეც დაღესტნელებსა და ქართველებს შორის კეთილმეზობლობა და კეთილგანწყობა დამყარდება, რომ მათი განათლება ქართველებმა უნდა აიღონ საკუთარ თავზე. ამისთვის იგი სამ მთავარ მიზეზს ასახელებს: 1. „კავკასიაში ჰეგემონია ქართველების ხელთ არის“. 2. კავკასიის მთიელთა და დაღესტნის ენების შესწავლა ჩვენ ქართველთათვის ისედაც საჭიროა და თვით ჩვენი დედაენის ღრმა სამეცნიერო შესწავლისათვისაც აუცილებელია. ამასთანავე ვითარცა მეზობლებს ამ ენების შესწავლა სხვებზე უფრო ადვილად შეგვიძლიან. 3. თვით ჩვენივე მომავალ პოლიტიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვა გვიკარნახებს, რომ ჩვენს ჩრდილოეთის მეზობლებს საკუთარი ეროვნული შემეცნება და მწერლობა ჰქონდეთ და არა გადაგვარებული პანრუსული და პანთურქული... რომ ჩვენი მოღვაწეობის შედეგი ნაყოფიერი უნდა იყოს და ჩვენი და მთიულ-დაღესტნელთა შორის ძმობისა და სულიერი კავშირის გრძნობას მტკიცე საფუძველი შეუქმნას“ (სართანია 2010).

როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილის მსჯელობა დიდად სცდება სამეცნიერო ინტერესების ფარგლებს და იგი საქველმოქმედოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პოლიტიკას გვეკარნახობს. ამ გეგმის სრული მასშტაბით განხორციელება, რომელიც შემდეგ რუსთა მეშვეობით საგრძნობლად შეფერხდა, მოგვცემდა დაღესტნის საოცნებო შედეგს და, ალბათ, თავიდან აგვაცილებდა იმ კატაკლიზმებს, რაც დატრიალდა XX ს-ის ბოლოსა და XXI ს-ის დამდეგს.

ივ. ჯავახიშვილამდე სასკოლო განათლების მდგომარეობას დაღესტანში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. ისინი კარგად გრძნობდნენ განათლების აუცილებლობას მეზობელ ხალხებში, რაც საწინდარი იქნებოდა მთელი კავკასიის მომავალი განვითარების საქმეში.

ილია საერთოკავკასიური ინტერესებიდან გამომდინარე ქართული პრესის ფურცლებზე წერდა: საკუთარი კეთილდღეობა ჩვენი მეზობლის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული, რომ მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძვნდება, ვერ აშენდება [6].

სახალხო განათლების განვითარებას დაღესტანში ხელს უწყობდნენ ქართველი პედაგოგები ი. შანოვაძე, პ. კონჭუსიძე. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ს. აბულაძე, ე. ლოლობერიძე, ი. მდივნიშვილი, ი. ნიჟარაძე გაერთიანებული იყვნენ „დაღესტნის ოლქის ტუხემეცურ-მუსულმანური განათლების საზოგადოებაში“, რომელიც დაარსდა თემირ-ხან-შურაში 1905 წელს. ყოველივე ეს ხელს უწყობდა დაღესტნურ-ქართული კულტურული ურთიერთობის გაღრმავება-გაფართოებას.

ქართველ და დაღესტნელ ხალხთა მჭიდრო კულტურულ ურთიერთობას ადასტურებს უხვი ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ფოლკლორული მასალა. ჩანს, რომ ამ კულტურული კონტაქტების შედეგად დაღესტანში ქართულ დამწერლობას შეუღწევია. ამას მოწმობს დაღესტანში აღმოჩენილი ქართულ-ხუნძური წარწერები. დაღესტანში სოფ. დათუნას მახლობლად შემონახულია უგუმბათო ქართული ტაძრის მსგავსი ქრისტიანული ტაძარი, რომელიც დათარიღებულია X ს-ის დასასრულისა და XI ს-ის დასაწყისით.

ქართველ და დაღესტნელ ოსტატებს შორის მჭიდრო და მეგობრული კავშირი არსებობდა. ამას საფუძვლად ედო თვით დაღესტნისა და საქართველოს კეთილი ურთიერთობა. საქართველოს ხელოსნური წარმოების ნაკეთობანი შეჰქონდათ დაღესტანში, დაღესტნისა კი – საქართველოში.

დაღესტანში მიმდინარე განათლების პროცესებთან დაკავშირებით, რომელიც ძირითადად რელიგიური ხასიათის იყო, საინტერესოა პეტრე უსლარის ნაშრომი „Воспоминание муталина“, რომელიც თბილისში გამოქვეყნდა. წიგნში აღწერილია მოსწავლეების ცხოვრება-სწავლების შესახებ, სადაც ასწავლიდნენ გაუგებარ არაბულ ენაზე ყურანსა და მუსულმანურ დოგმებს.

გაზეთ „დროების“ სიტყვებით: „სხვადასხვა ხალხებს შორის ლაპარაკი დასავლეთ დაღესტანში ხდება არაბულ ენაზე, აღმოსავლეთ დაღესტანში ადერბაიჯანის თათრულზე. ლექსები მაჰმადიანნი არიან, ამიტომაც მათი სწავლა-განათლება ყურანზეა დაფუძნებული“ [7].

ამრიგად, წარმოდგენილი მასალის საფუძველზე აშკარად გამოჩნდა, რომ XIX საუკუნის რუსეთი, მიუხედავად მისი აქტიური აგრესიული პოლიტიკისა, ძალიან მოხერხებულად და შეფარულად, წინასწარ მომზადებული ცდილობდა კულტურისა და განათლების გზით მიეღწია თავისი საბოლოო მიზნისათვის – კავკასიის იდეოლოგიური დამორჩილებისათვის.

ლიტერატურა

დროება 1878: გაზ. „დროება“, 1878, 11 იანვარი, №11.

დროება 1883: გაზ. „დროება“, 1883, №69. 5 აპრილი.

დროება 1881: გაზ. „დროება“, 1881, №88. 23. მარტი.

სართანია 2010:დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოს და კავკასიის მომავლისათვის.

ღუღუშაური 1985: გ. ღუღუშაური, ქართველი და ჩრდილოკავკასიელი. ხალხების კულტურული ურთიერთობა. თბილისი.

ცერცვაძე 1996 : კ. ცერცვაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორია XIX ს-ის ქართულ პრესაში. თბილისი.

ჯავახიშვილი 1983: ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად. ტ. II. თბილისი.

Ц. Чхартишвили (Тбилиси)

Некоторые вопросы грузино-дагестанских культурных взаимоотношений

Изучение культурно-исторических взаимоотношений между этносами всегда являлось актуальным в исторической науке, имея как теоретическое, так и практическое значение.

Грузинская периодическая печать XIX века дает нам возможность представить историю кавказских народов хоть и не совсем в полной форме, однако на основе довольно богатого материала.

В этом отношении особенно следует отметить значение таких грузинских политических и литературных газет, как «Дроэба», «Иверия», «Цнобис пурцели», «Квали», «Мнатоби», «Имеди» и др.

Грузинское общество всегда интересовалось и интересуется жизнью народов Северного Кавказа, их культурой, литературой и искусством, проблемами их истории и просвещения. Так было и в XIX веке. В грузинских газетах и журналах напечатано о кавказских горцах много материалов, которые обращают внимание. На страницах прессы в статьях и корреспонденциях, в частности, печатались материалы об истории, этнографии, культуре и социальном быте дагестанского народа [1, 89].

Несмотря на то, что Россия, исходя из своих политических интересов в отношении кавказских народов, вела себя жестко и бескомпромиссно, часть русского общества для достижения цели считала важным и необходимым развитие просвещения в регионе. В связи с этим знаменателен и тот факт, что «значительное количество дагестанцев получало образование в Тбилиси» [2, 115].

Представители грузинской прессы указывали на необходимость просвещения самого непокорного народа - дагестанцев. Ввиду этого была перепечатана статья из газеты «Кавказ» (1878, №10), в которой русский автор утверждал, что для умирения и окончательного покорения горцев, в особенности дагестанцев, было бы наиболее полезным распространение просвещения в народе - это отважный, честный и трудолюбивый народ, лишь только разумом, мягкостью и лояльностью можно было бы его покорить, и единственным средством для осуществления этого следовало бы признать распространение в нем просвещения [3, 2].

В то время как русские и турки обычно стремились к обрусению и отуречиванию дагестанцев и для приведения их в полную покорность приоритет придавали просвещению, грузинские ученые и общественные деятели наметили другой путь действий. В этом отношении интерес представляет мнение Ив. Джавахишвили: «Мы должны идти совсем другим путем... нам, грузинам, вовсе не подойдет путь, избранный русскими и турками. Мы никаким образом не должны помышлять о национальном изменении горцев... Лишь только всестороннее научное изучение языка, нравов, обычаев и просвещение наших соседей должно быть нашей целью [4, 42]. И. Джавахишвили не случайно выделяет дагестанцев среди других северных кавказцев. Он пользуется термином «горец». Кроме того, по мнению Ив. Джавахишвили, внесение просвещения в центр Дагестана явилось бы той мерой, на основании которой установилось бы между дагестанцами и грузинами добрососедство и благорасположение. Их просвещение грузины должны всецело взять на себя. Для этого ученый видит три главные причины:

1. Гегемония на Кавказе находится в руках грузин. 2. Изучение горских и дагестанских языков для нас, грузин, само собой нужно и необходимо для изучения нашего родного языка. Вместе с тем, как соседям, нам легче изучение этих языков, чем другим; 3. Сама забота о нашем политическом благополучии диктует нам, что наши северные соседи имели свое национальное самосознание, своих национальных писателей, а не прорусских или протурецких. Наша деятельность должна создать прочную основу для братства и духовной связи между нами и горцами – дагестанцами» [5, 26].

Как становится очевидным, Ив. Джавахишвили не преследует сугубо научных интересов, а касается и вопросов национально-государственной политики. Исполнение в полной мере этого плана, затем в значительной мере приостановленного русскими, имело бы определенные последствия и, наверно, избавило нас от тех катаклизмов, которые имели место в конце XIX-XX вв.

Состоянию школьного образования большое значение придавали такие выдающиеся представители грузинской культуры, как Илья Чавчавадзе, Акакий Церетели, Якоб Гогобашвили и др. Они хорошо понимали значение и необходимость просвещения в соседнем народе, которое способствовало бы развитию всего Кавказа в будущем.

Исходя из общекавказских интересов, И. Чавчавадзе писал следующее на страницах кавказской прессы: «Наше благополучие зависит от благополучия нашего близкого соседа, на его несчастья наше счастье не может основываться, выстроиться» [6].

Развитию народного образования в Дагестане способствовали грузинские педагоги И. Шагновадзе, П. Кунчухидзе. Следует отметить и тот факт, что грузинские педагоги С. Абуладзе, Е. Гогоберидзе, И. Мдивнишвили, И. Нижарадзе являлись членами «Общества туземецко-мусульманского просвещения в Дагестанском округе», которое было основано в 1905 году в Темир-Хан-Шуре.

В общем все это способствовало углублению и расширению грузино-дагестанских взаимоотношений.

Тесные культурные связи между грузинским и дагестанским народами подтверждаются многочисленными этнографическими, археологическими и фольклорными материалами. Последствием этих культурных контактов было проникновение в Дагестан грузинской письменности, о чем свидетельствуют грузино-аварские надписи, обнаруженные в Дагестане. Здесь, близ деревни Датуна, сохранился христианский храм наподобие бескупольных грузинских храмов, датированных концом X – началом XI вв.

Между грузинскими и дагестанскими мастерами издавна существовали тесные дружеские отношения. Основу этому создавали добрососедские связи обеих стран – Дагестана и Грузии. Изделия грузинских ремесленников привозили в Дагестан, из Дагестана – в Грузию.

Во второй половине XIX века в грузинской периодической печати систематически публиковались корреспонденции о быте, культуре и просвещении дагестанского народа.

В связи с процессом просвещения, который, в основном, имел религиозный характер в Дагестане, интерес представляет книга Петра Услара «Воспоминание муталиба», которая была опубликована в Тифлисе. В ней описаны жизнь и обучение учащихся, которых учим Корану и мусульманским догмам на непонятном для них арабском языке.

Как писала газ. «Дрозба», «В Западном Дагестане разговор между разными народами происходит на арабском языке, в Восточном Дагестане – на азербайджано-татарском. Лезгины – мусульмане, поэтому их просвещение основано на Коране» [7].

Со второй половины XIX века в грузинской периодической печати опубликовано множество статей, содержание которых, в основном, касается грузино-дагестанских взаимоотношений.

Литература

As to burials of Samtavro N123, 174 and 276 together with swords of the I, IV and V sub-type are found iron knives a handle and a blade which are made from an integral iron piece (tab. IX_{1,4}; X_{3,23}). On the Samtavro burial-ground these knives are characteristic for monuments containing Scythian objects. (II half of the 7th c.-6th c. BC.). Therefore, it is possible to date these complexes by the middle of the 7th c. BC. That fact that on the joint of two adjacent chronological groups objects characteristic them (in this concrete case defining for 8th c.-I half of the 7th c. BC - an iron sword with figured handle and characteristic for I half of the 7th c.-6th c. BC. an iron knife (the bended knife)) coexist in a short interval of time, doesn't need to be proof. From the data given above we confirm the following: the chronological separation of iron swords with figured handles from the Scythian weapon is relevant.

The structure of Samtavro burials N123, 174, 276 points to that fact that the existence of this weapon (8th c.-I half of the 7th c. BC.), time of the life of each sub-type can't be determined exactly. In spite of the fact that typological classification of iron swords with figured handle is constructed on their approximate chronological alternation, taking into account structure of containing complexes of the 8th c.-I half of the 7th c. BC. the coexistence of sub-types of this weapon is supposed.

The area of the iron swords with figured handles, a large number of these swords in this area and variety of their sub-types and variants, underscore that in the second quarter of the I millennium the Central Transcaucasia and East Anatolia were unified in one big metallurgical area for manufacturing of a certain type of weapon.







- ნ. გობეჯიშვილი (თბილისი)
- მ. ფუთურიძე (თბილისი)

კოლხური და ყობანური კულტურების პრობლემური საკითხები

კოლხური და ყობანური კულტურების (თუ კოლხურ-ყობანური კულტურის) პრობლემურ საკითხთა წრიდან ერთ-ერთი ყველაზე რთული და სადაო მათი იდენტობის პრობლემა რჩება. ამის შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა მეცნიერებაში, რისი უპირველესი მიზეზიც, ვფიქრობთ, ის არის, რომ სისტემური ხასიათის კვლევა და ამ კულტურის (კულტურების) ყველა კატეგორიის ძეგლთა კომპარატიული კონტექსტით შესწავლა არ ჩატარებულა. როგორც ჩანს, ურთიერთგააზრების გარეშე მხოლოდ რომელიმე ერთი ტიპის მასალის საკვლევად ცალ-ცალკე აღება, თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანის, როგორცაა ლითონის ან კერამიკის ნიმუშები, არ არის მართებული პრინციპი ამ საკითხის გადაჭრისათვის. კოლხური და ყობანური კულტურების პრობლემა არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო პოტენციალის და მასალების კარგ კოორდინირებას მოითხოვს, არამედ საკითხისადმი კომპლექსურ მიდგომასაც.

კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი დიდი ხანია იქცევა მკვლევართა ყურადღებას. ბრინჯაოს ხანის ამ მნიშვნელოვან კულტურულ ერთობებზე საინტერესო კვლევები აქვთ წარმოებულნი ბ. კუფტინს, ე. კრუპნოვს, ა. იესენს, ა. კრუგლოვს, ვ. კოზენკოვს, ო. ლორთქიფანიძეს, თ. მიქელაძეს, მ. ბარამიძეს, ლ. ფანცხავას, ლ. სახაროვას, რ. პაპუაშვილს, ჯ. აფაქიძეს, ნ. სულავას, ს. რეინჰოლდსა და სხვებს. ამ კულტურათა შესწავლის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, რადგან თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკურ ტენდენციებს რუსეთში, რომლის მიზნებსაც ხშირად, სამწუხაროდ, ემსახურება მეცნიერება, მათ შორის არქეოლოგიაც, რეალური ისტორიული სურათის რეკონსტრუქცია იქ აშკარად უმართებულოდ ხდება. ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ქართული სამეცნიერო წრეებიდან სწრაფ და გადამწყვეტ რეაქციას მოითხოვენ რუსულენოვან პუბლიკაციებში გამოთქმულ თვალსაზრისებზე. ყოველი ასპექტი ამ პრობლემური საკითხისა, რომელიც კოლხურ და ყობანურ კულტურებს (თუ კოლხურ-ყობანურ კულტურას) ეხება, შესასწავლი, კომპლექსურად გასააზრებელი და გადაუდებლად გამოსაცემია.

რუსი, ოსი თუ სხვა ეროვნების მეცნიერთა მიერ ხშირად არასწორი შეფასებები ეძლევა კავკასიის რეგიონის აღნიშნულ ორ მნიშვნელოვან კულტურულ წრეს და მათი ინტერპრეტირება ხშირად მცდარი გზით მიმდინარეობს. ამ კულტურათა შემოქმედ ხალხთან დაკავშირებით მათ მიერ ყოველგვარ დასაბუთებას მოკლებულ მოსაზრებებსაც ვხვდებით. ერთ-ერთი ასეთი საკითხია, მაგალითად, ყობანური კულტურის შემოქმედ და მის შემკვიდრე ეთნოსად ოსების მიჩნევა, რომელთა წინაპრები – ალანები, გაცილებით გვიან არიან კავკასიის მთიანეთში შემოსულნი.

კოლხური და ყობანური კულტურების შესწავლა მათი მრავალფეროვანი მატერიალური კულტურის ძეგლთა სრულად და სისტემურად გააზრების გარეშე შეუძლებელია. ის გვიან ბრინჯაო-აღრე რკინის ხანის წამყვანი მნიშვნელობის არტეფაქტების – თიხის ნაკეთობათა, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის მასალათა გვერდით, ტორევეტიკის და სხვა ტიპის ნიმუშების სპეციალურ კვლევასაც მოითხოვს. სწორედ მთელი ამ მრავალფეროვანი ტიპის არტეფაქტების **ურთიერთმიმართებითი თვალთახედვით** და მასშტაბურად შესწავლა (აუცილებლად პოლიტიკისაგან დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად) არის იმის გარანტია, რომ კოლხური და ყობანური კულტურების მთავარი შინაარსი, როგორც დამოუკიდებელი თუ ერთიანი ფენომენისა, გაირკვეს და ნათლად დასაბუთდეს საბოლოოდ.

კავკასიის სიძველეთა მიმართ ინტერესი XIX საუკუნეში გაჩნდა, ხოლო XX საუკუნის პირველი ნახევარი გადამწვევტი ეტაპი გახდა კავკასიის არქეოლოგიაში, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას გვიან ბრინჯაოს ეპოქის კულტურათა კვლევის თაობაზე. ჯერ კიდევ ჩრდილო კავკასიის ძეგლების ცნობილმა მკვლევარმა ეგვიპტი კრუპნოვმა გამოყო ის ოთხი კულტურული არეალი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას და დასავლეთ ამიერკავკასიას მოიცავდა. ესენია: ყუბანისპირეთის, ყობანის, კაიაკენტ-ხარაჩოისა და კოლხეთის კულტურები. ამ უკანასკნელს იგი უწოდებდა კოლხეთის, და არა კოლხურ კულტურას, ალბათ, იმ მიზეზის გამო, რომ ამ კულტურის შემქმნელ ხალხში მარტო ქართულ ეთნიკურ ერთეულს არ ხედავდა.

ჩვენ ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ დასავლურ-ქართულ (კოლხურ) და ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში გავრცელებულ კულტურებზე, რომელიც ყობანურის სახელითაა ცნობილი. ბევრჯერ აღნიშნულა ამ კულტურებს შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რომელთა წარმოჩენით ხდებოდა მსჯელობა ამ კულტურათა მატარებელი ტომების წარმოშობასა თუ ეთნიკურ კუთვნილებაზე. ფაქტია, რომ საერთო ნიშნები მათ შორის უფრო ჭარბობს, რაც მჭიდრო კავშირსა და გარკვეულწილად ეთნიკურ სიახლოვეზეც მეტყველებს.

უადრესად პრობლემური რჩება აღნიშნული ორი წრის ძეგლების ერთ კულტურად თუ მათი დამოუკიდებელი, მაგრამ ერთმანეთთან ახლოს მდგარ კულტურებად, მოაზრების პრობლემაც. აქ მკვლევართა შორის არა მარტო აზრთა სხვადასხვაობაა, არამედ საკმაოდ მერყევი ვარაუდებიც გამოითქვა. ეს სწორედ ის საკითხია, რომელიც მხოლოდ სპეციალურად წარმართული სისტემური კვლევის შედეგად შეიძლება დასაბუთდეს.

დღეისათვის კოლხურ და ყობანურ (თუ კოლხურ-ყობანური) კულტურათა ურთიერთმიმართების შესწავლის პრობლემატიკაში იკვეთება შემდეგი საკვანძო საკითხები, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და მათი გადაჭრა მნიშვნელოვანია. ამ პრობლემურ საკითხებს ჩვენ ასე ჩამოყალიბებდით:

1. ამ კულტურათა გენეზისი და პერიოდიზაცია.
2. კოლხურ და ყობანურ კულტურათა ლოკალური ვარიანტების და თითოეული მათგანის ძეგლების სინქრონიზაციის საკითხები.
3. მათ შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების სრული ნუსხის დიფერენცირება.
4. ამ ორი კულტურული წრის მატერიალური კულტურის ძეგლთა, პირველ რიგში კერამიკისა და ლითონის ნაკეთობათა, კომპარატიული ანალიზი.
5. კოლხური და ყობანური კულტურების სივრცობრივი ურთიერთკვეთისა და შეხების წერტილები რეგიონების მიხედვით და სხვა.

მოკლე აქცენტს გადაკეთებთ კოლხური და ყობანური კულტურის გენეზისის პრობლემებზე და მასთან დაკავშირებულ იმ ზოგად შეხედულებებზე, რომელიც ჩრდილო კავკასიელ მკვლევრებს შორისაა გავრცელებული.

ყობანური კულტურის ძირითადი კერა დღევანდელი ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაა, საიდანაც ის გავრცელდა დასავლეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით, სადაც ამ კულტურის ლოკალური ვარიანტები გამოიყო (კოზენკოვა 1981, 29). ყაბარდო-ბალყარეთისა და გარკვეულწილად, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე გავრცელდა ყობანური კულტურის დასავლური ვარიანტი, ხოლო ჩეჩნეთ-ინგუშეთში – აღმოსავლური.

ყობანური კულტურის წარმოშობის პრობლემა დღესაც მწვავედ დგას, რასაც ხშირად რუსული პოლიტიკური სუბიექტურობისთვის სასარგებლო საფუძვლად იყენებენ. დიდი განსხვავება დასავლეთის, რუს და კავკასიელ არქეოლოგებს შორის, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. ბოლო პერიოდში მომრავლდა ოსი მკვლევრების ნაშრომები ყობანის კულტურაზე, რომლებიც მასში ირანულ საფუძველს ეძებენ, ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთად კი მოჰყავთ ცხოველური სტილი, რომელიც აქ ირანული წრის არსებობის დამადასტურებელ შედეგად მიიჩნიათ. ზოგიერთი ჩრდილოეთ კავკასიელი ავტორი გაცილებით უფრო შორს მიდის და ფანტასტიკის სფეროში მოქცეულ ჰიპოთეზებს აყენებს. 2005 წელს ქ. ნალჩიკში გამოცემულ ნაშრომში რუსლან ტილოვი ყობანური კულტურის ზომორფული სტილისა და სხვა ელემენტების მომხრობით, ასკვნის, რომ ყობანური კულტურის შემოქმედი ტომები თურქულ და გერმანულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნოდნენ (ტილოვი 2005, 10). ამ ყველაფერს კი იგი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ყობანელთა შთამომავლები არიან დღევანდელი ყარაჩაი-ბალყარელები, რომელთა ენის მეშვეობითაც იხსნება ყობანური კულტურის ბევრი საიდუმლო. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა, მაგრამ შინაარსობრივად განსხვავებული, ჩეჩენ და ინგუშ მკვლევარებს შორისაც, მათი უმრავლესობა ყობანური კულტურის შემქმნელ ეთნიკურ ბირთვად ნახურ ენაზე მეტყველ ტომებს მიიჩნევს. ეს მოსაზრება, გარკვეულწილად ემყარება იმ ფაქტს, რომ ნახურ ენაზე მეტყველი ჯგუფები უძველესი დროიდან სახლობდნენ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, რასაც ქართული საისტორიო წყაროების მოშველიებითაც ამყარებენ. კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ლეგენდას კავკასიის სხვადასხვა ხალხთა წარმოშობისა და განსახლების არეალის შესახებ.

ჩრდილოეთ კავკასიელ მკვლევართა ნაშრომები საკმაო ტენდენციურობით გამოირჩევა. მათი დიდი ნაწილი საკუთარი ეთნოსის პოზიციებიდან მსჯელობს და ამ კულტურის სხვადასხვა ელემენტების ახსნას, ხშირად ლინგვისტური, ეთნოგრაფიული თუ სხვა მეცნიერული თუ არამეცნიერული მეთოდებით ცდილობს.

ცნობილი არქეოლოგი ვეგენი კრუპნოვი, იმ დროისთვის მის ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, მსჯელობდა კოლხურ და ყობანურ კულტურებს შორის განმასხვავებელ და საერთო მომენტებზე (კრუპნოვი 1957, 59). იგი განმასხვავებელი ნიშნების სიმრავლეს უსვამდა ხაზს და საერთო მომენტების სიმცირეზე მიუთითებდა: „დასავლეთ საქართველოში ძირითადად გვხვდება ორმოსამარხები და ქვევრსამარხები, ხოლო ქვასამარხები იშვიათობაა. ასევე, კერამიკის ფორმები და ორნამენტი განსხვავდება ყობანურისგან, იშვიათად გვხვდება მაღალი აბზინდები, დიდი საკინძები, სპირალისებური ხელის რგოლები, საიდაყვეები და სხვა. ჩრდილო კავკასიაში კი არ გვხვდება თოხები, ტყავის საჭრისები და წაღლები.“ ამავდროულად, იგი აღნიშნავდა, რომ კოლხეთის კულტურა მაინც სიახლოვეს იჩენს ყობანის და ყუბანისპირეთის კულტურებთან სამეურნეო-კულტურული ასპექტით. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, ე. კრუპნოვის შეხედულებით, რომელსაც ძნელია არ დაეთანხმო, თერგის, ყუბანისა და რიონის აუზის მკვიდრი ძვ. წ.-ის

I ათასწლეულის შუახანებამდე ერთ ენობრივ ჯგუფს, იბერიულ-კავკასიურს, განეკუთვნებოდნენ (კრუპნოვი 1957, 64).

კოლხური და ყობანური კულტურების წარმოშობის თაობაზე სხვადასხვა შეხედულებებიდან, კრუპნოვის მოსაზრება ყობანური კულტურის ადგილობრივ წარმოშობასთან დაკავშირებით, ეჭვს ნაკლებად იწვევს, თუმცა ამ პრობლემის გადაწყვეტა დღემდე ვერ მოხერხდა. არადამაჯერებელი ჩანს ყობანური ცულის პროტოტიპის ძებნა ქვის ცულებში, ე.წ. „პიატიგორსკის“ ტიპის ცულები, რომლებიც ქვისგანაა დამზადებული, საეჭვოა იყოს გვიან ბრინჯაოს ხანის ცულის პროტოტიპი, როდესაც ბრინჯაოს ცულები გვიან ბრინჯაოს ხანის პერიოდზე ადრე იყო გავრცელებული. თუმცა ამ ქვის ცულებს შესაძლოა ჰქონოდათ უფრო საკულტო ან საზეიმო-რიტუალური დანიშნულება ან დასაშვებია საბრძოლოც, მაგრამ სამეურნეო საქმიანობაში მათ არ გამოიყენებდნენ.

ყობანური კერამიკა არ ავლენს მჭიდრო კავშირს წინამორბედი ხანის კერამიკულ მასალასთან, თუმცა, როგორც ფიქრობენ, გარკვეული კავშირი შეინიშნება ზოგადად ფორმის მიხედვით. მეცნიერთა ნაწილი ვერ ხედავს ასევე კავშირს კოლხურსა და ყობანურ კერამიკას შორის და საერთო მომენტებად მარტო იარაღს, მცირე პლასტიკის ნიმუშებსა, სამკაულსა თუ დეკორს მიიჩნევს (Reinhold 2003). ა. სკაკოვის მოსაზრებით, ყობანურ კულტურაში გავრცელებული დაკრძალვის წესი, რომელიც ძირითადად ქვასამარხებს ეხება, სამხრეთ კავკასიის მთიანი ნაწილიდან უნდა შესულიყო (სკაკოვი 2009, 15).

ყობანური კულტურის წარმოშობა შუა ბრინჯაოს ეპოქის ლოკალური კულტურული წრიდან, რომელსაც ა. სკაკოვი პირობითად უწოდებს დიგორულს, გარკვეულწილად შეიძლება ეჭვს იწვევდეს, რადგან ამ ეპოქის ლიმიტირებული რაოდენობის მასალა არა თუ ყობანურ კულტურასთან, არამედ ერთმანეთთანაც არცთუ ისე ძლიერ მსგავსებას ავლენს. ა. სკაკოვის მიერ პირობითად „დიგორულად“ წოდებული კულტურა, მისი აზრით, მოიცავდა არა მარტო ოსეთს, არამედ რაჭას, ბაღყარეთსა და სვანეთის ნაწილს (სკაკოვი 2001, 188-196).

ლითონის პროდუქცია ზოგადად და ასევე მხატვრული ხელოსნობის მრავალფეროვანი ნიმუშები სწორედ ის მასალაა, რომელიც ყველაზე აშკარა იდენტურობას ამჟღავნებს კოლხური და ყობანური წრის კულტურის ძეგლებს შორის და რომელზე დაყრდნობითაც მკვლევართა ერთი ნაწილი უშვებს კიდევ მათი ერთ კულტურად მოაზრების შესაძლებლობას. (Панцхава, Сулава, Папуашвили 2003, 102)

ამიტომ, მხატვრული ლითონის სპეციალურად კვლევა ის ასპექტია, რაც უდავოდ საგანგებო ყურადღებას საჭიროებს ჩვენს მიერ დასმული საკითხის გადაჭრის საქმეში. ამ მასალათა შორის საგანგებო ღირებულების მქონეა სიტულები. სიტულები კოლხური და ყობანური კულტურების ერთ-ერთი სიმპტომატური და მრავალმხრივ საყურადღებო მასალაა, რომელიც ნათელს ფენს გვიან ბრინჯაოს ხანის მხატვრულ ხელოსნობის განვითარების რთულ პროცესს. ჩვენი აზრით, ლითონის ჭურჭლის საგანგებოდ შესწავლას მნიშვნელობა აქვს კოლხური და ყობანური კულტურების ერთიანობის ან მათი დამოუკიდებელ კულტურულ ფენომენებად მიჩნევის საკითხის გარკვევისათვისაც.

ამ თვალსაზრისით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კოლხური და ყობანური კულტურების მრავალ საერთო და საინტერესო ნიმუშთა შორის ყურადღებას იპყრობს საკმაოდ დახვეწილი და ორიგინალური ბრინჯაოს სიტულები. მათი გავრცელების არეალი ფართოა, მაგრამ ძირითადი ცენტრი მათი დისტრიბუციისა მაინც ცენტრალური კავკასიაა, განსაკუთრებით კი დღევანდელი რაჭის, ლეჩხუმის, ისტორიული დვალეთის, ოსეთის და ყაბარდო-ბაღყარეთის ტერიტორია. კოლხურ-ყობანური სიტულები გაცილებით შორსაც არის აღმოჩენილი, რაც მათ პოპულარობასა და სავაჭრო-ეკონომიკური დანიშნულებით გამოყენებასაც მოწმობს. ამის დამამტკიცებელია ამ სიტულების მსგავსი

მოყვანილობის ჭურჭლის ნიმუშთა აღმოჩენა უკრაინასა და თურქეთში, არარატის მთის ძირას (საქართველოს არქეოლოგია 1959, 220).

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ტორევეტიკის ნიმუშები საკმაოდ მრავალფეროვნებით ხასითდებიან და კოლხურ და ყობანურ კულტურებში ისინი ლითონის დამუშავების დიდ ტრადიციასა და განვითარების მაღალ დონეზე მიგვიტოლებენ.

აქ მხოლოდ ზოგადად აღვნიშნავთ, რომ ტორევეტიკის ნაწარმის ზოგი ტიპი კოლხურ და ყობანურ კულტურებში განვითარების შედარებით უფრო გვიანდელ ეტაპზე ჩნდება და რკინის ფართოდ ათვისების ხანაში მათი წარმოება ცალკეულ რეგიონში პიკსაც კი აღწევს. საკმე გვაქვს ლითონის ჭურჭლის ისეთ სახესთან, რომელიც ქართულ ენაში “სარწყელის”, ხოლო ლათინურში „სიტულის” სახელითაა დამკვიდრებული. ქართული სახელწოდება გაცილებით უფრო ფართოდ დატვირთვის მქონეა, ამიტომ ყურადღება გამახვილებულია მის ლათინურ შესატყვისზე – „სიტულაზე”, რომელიც ზუსტად ასახავს მასალის ტიპს. ამასთანავე, ეს ტერმინი საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში აქტიურად ფიგურირებს და მისი გამოყენება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც მიზანშეწონილი ჩანს.

გვიანი ბრინჯაოს ხანის თითქმის ყველა სახის სიტულების დიდი ნაწილი სამარხეული მასალიდან მომდინარეობს, გაცილებით იშვიათად კი – განძებიდან. რადგან ჩვენ კარგად არ ვიცნობთ გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კოლხური და ყობანური კულტურების სამოსახლოებს, ამიტომ სიტულების აქ აღმოჩენის ფაქტი, ჯერჯერობით, არაა ცნობილი ან არ არსებობს ცნობა ამის თაობაზე. ალბათ უფრო მართებული იქნება, თუ ამ ორი კულტურის სიტულები სამომავლოდ ყოველთვის ერთმანეთთან კონტექსტში და ერთად იყოს გაანალიზებული და არა ცალ-ცალკე, რადგან ასე უფრო გამართლებული იქნება საერთო თუ განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა და აღწერა ამ კატეგორიის მასალაში.

ყობანური კულტურის მასალა ძირითადად რუსეთის მუზეუმებშია დაცული, მსგავსად თლიას სამაროვნისა, ხოლო რაჭის მთიანეთის, კერძოდ კი ბრილის მასალა, ჯერჯერობით, გამოუქვეყნებელი და ძირითადად მიუწვდომელი რჩება. სიტულების სრულყოფილად კვლევა მთელი აუცილებლობით მოითხოვს რუსულენოვან სამეცნიერო სივრცეში გამოსული სტატიებისა და იქაურ მუზეუმთა ფონდებში დაცული მასალების გაცნობას, რომელიც ბოლო სამ ათწლეულში დაგროვდა. ამიტომ, ასეთი დაბრკოლების გამო, ვთვლით, რომ ეს დეფიციტი მომავალ ხელსაყრელ შემთხვევებში, აუცილებლად შეივსება ახალი მონაცემებით და, შესაბამისად, უფრო დააკონკრეტებს და გაამდიდრებს იმ ტიპოლოგიურ ჯგუფებს, რომლებზეც ჩვენ ამჟამად ვმუშაობთ. ყოველივე ეს დაგვეხმარება თვალის გავადევნოთ ტორევეტიკის განვითარების ეტაპებს გვიანიბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ და ყობანურ კულტურებში, ასევე, ბრინჯაოს ჭურჭლის სხვადასხვა სახეებს შორის ერთმანეთთან კავშირს, ფორმათა მსგავსებებსა და მათ ჩამოყალიბებას.

როგორც ვხედავთ, კოლხური და ყობანური კულტურების პრობლემატიკაში სადაო და ზოგჯერ პოლარულად განსხვავებული პოზიცია ბევრია. ამ საკითხების გარკვევის და რეალური ისტორიული სურათის აღდგენის საუკეთესო საშუალებას შექმნის კავკასიელი, უცხოელი და რუსი მკვლევარების არა მხოლოდ ნაშრომთა დროულად ხელმისაწვდომობა, ასევე კავკასიის, ევროპისა და რუსეთის (დღეისათვის ეს ხდება ძირითადი პრობლემა) მუზეუმებში დაცულ უმდიდრეს კოლექციებზე მუშაობა, არამედ ამ საკითხებზე მომუშავე მკვლევარების მიერ ამ რთული საკითხების კოორდინირებული კვლევა.

ლიტერატურა

- აფაქიძე 2002:** ჯ. აფაქიძე, გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია. სადოქტორო დისერტაცია, თბილისი
- გიგოლაშვილი 1999:** ე. გიგოლაშვილი, ძვ.წ. V-IV საუკუნეების ტორევეტიკის ძეგლები კოლხეთში. თბილისი.
- ფანცხავა 1988:** ლ. ფანცხავა, კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბილისი.
- საქართველოს არქეოლოგია 1959:** საქართველოს არქეოლოგია თბილისი.
- სახაროვა 1965:** ლ. სახაროვა, ბრინჯაოს უძველესი მხატვრული ჭურჭელი საქართველოში. “საბჭოთა ხელოვნება, №12. თბილისი.
- სულავა 2000:** ნ. სულავა, თლიას სამაროვნის ფიგურებიანი კომპლექსების დათარიღებისათვის. “ძიებანი”, 2000, №6. თბილისი,
- ქართლის ცხოვრება 1955:** ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილი რედაქციით, ტ. I. თბილისი. http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_1.html
- მიქელაძე 1974:** თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბილისი.
- ჯაფარიძე 1950:** ო. ჯაფარიძე, „კოლხური ცული“. “ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. უზეუმის მოამბე”, ტ. XVI. თბილისი.
- Иессен 1950:** А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе”. Известия ГАИМК, вып. 120. М.-Л.
- Иессен 1951:** А. Иессен, Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века, МИА т. 23. - М.-Л.
- Козенкова 1996:** В. Козенкова, Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке (Узловые проблемы происхождения и развития Кобанской культуры). Москва.
- Козенкова 1989:** В. Козенкова, Кобанская культура. Восточный вариант. САИ. Вып. В2-5 Москва.
- Козенкова 1982:** В. Козенкова, Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры. Восточный вариант. САИ. Вып. В 2-5. Москва.
- Крупнов 1960:** Е. Крупнов, Древняя история Северного Кавказа. Москва.
- Куфтин 1960:** Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды. т. 2. Тбилиси.
- Панцхава 1986:** Л. Панцхава, Некоторые вопросы колхидской и кобанской культур. “Вестник Гос. Музея Грузии”. XXXVIII-В. Тбилиси.
- Панцхава, Сулава, Папуашвили 2003:** Л. Панцхава, Н. Сулава, Р. Папуашвили, Колхидская, кобанская или колхидско-кобанская? Кавказоведение. № 4. Тбилиси.
- Скаков 2004:** А. Скаков Протокобанская эпоха на Кавказе. Кавказ: история, культура, традиции, языки. Материалы международной научной конференции, посвященной 75-летию Абхазского института гуманитарных исследований им. Д.И. Гулия 28-31 мая 2001 г. Сухуми.
- Скаков 2009:** А. Скаков, Некоторые проблемы истории северо-западного Закавказья в эпоху поздней бронзы-раннего железа. КСИА Евразия: механизмы культурных перемен. вып. 223.
- Техов 1980:** Б. Техов, Тлийский могильник (комплексы XVI-X вв. до н.э.) т.1, Тбилиси.
- Техов 1981:** Б. Техов, Тлийский могильник (комплексы IX-первой половины VII в. до н.э.) т.2, Тбилиси.
- Техов 1985:** Б. Техов, Тлийский могильник, т. 3. Тбилиси.
- Born 1984:** Н. Born, meisterwerke Kaukasischer Bronzeschmiede. Berlin.
- Reinhold 2003:** S. Reinhold, Traditions in radingions: Some thoughtits on late bronze age and early iron age burial costumes from the Northern caucasus. *European Journal of Archaeology* Vol. 6(1).

N. Gobejishvili (Tbilisi)

M. Puturidze (Tbilisi)

Problematic issues of Colchian and Koban cultures

Colchian and Koban cultures (or Colchis-Koban culture) have many problematic issues from which one of the most difficult and controversial is a problem of their identity. There are different viewpoints among the scientists, primary reason of which, we think, is that the systemic research and comparative analyzes of all aspects of these cultures (or culture) have not been conducted. Apparently, an analyze of only one single type of materials, even such important ones as metal or ceramic samples separately, without inter-conception of all materials, is important but it is not a valid principle for the solution of this problem. Resolving the problematic issues of Colchian and the Koban cultures needs not only good coordination between the scientific potential and materials of different countries, but also the complex approach to these issues.

Interrelation of Colchian and Koban cultures had long attracted the attention of researchers. Interesting and important research are conducted in the works of B. Kuphtin, E. Krupnov, A. Iessen, A. Kruglov, V. Kozenkova, O. Lortkipanidze, T. Mikeladze, M. Baramidze, L. Pantskhava, L. Sakharova, R. Papuashvili, J. Apakidze, N. Sulava, S. Reinhold and others. Today study of this issue is especially important, because if we take into account political trends in Russia, whose goals unfortunately are often served by the science, including archeology, the reconstruction of the real historical picture, there is very complicated. Recent developments demand a rapid and decisive response from the Georgian scientific circles to the standpoints expressed in Russian-language publications. Each aspect of the problem, that is connected with Colchian and Koban cultures must be urgently studied and published.

Russian, Ossetian and the scientists of other nationalities are often inaccurate in their assessments about these two cultures of the region and their interpretation is often going on the wrong way. Example of such an issue is in the linking of the Koban culture legacy to the ethnic Ossetians, while they are descendants of Alans, who resettled in the mountains of Caucasus much later.

The study of Colchian and Koban cultures is impossible without full and systematical research and understanding of diverse cultural heritage materials. Besides the leading artifacts of Late Bronze - Early Iron Age - clay objects, bronze and iron metallurgy materials, toreutics and other cultural patterns also require special research. Owing to this large-scale studies of these various types of artifacts (independently and impartially from the politics) is a guarantee that the main essence of Colchian and the Koban cultures, as an independent or joint phenomena, will be eventually interpreted and substantiated.

The interest towards the antiquities of Caucasus emerged in the 19th century and the first half of 20th century became a crucial stage in the archeology of the Caucasus, especially it must be said about the research of Late Bronze Age cultures. Yet the famous researcher of the monuments of North Caucasus Evgeni Krupnov allocated four cultural areas, which included the northern Caucasus and Western Transcaucasia. These are: Pri-Kuban, Koban, Kayakent – Khorochay and Colchis cultures. The last one he called Col-

chis, not the Colchian culture, perhaps the reason was that he considered different ethnic groups as its creators, alongside with Georgian ethnic tribes.

This time we are focusing only on the cultural areas of western-Georgia (Colchian) and the central part of North Caucasus, known as Koban culture. The common and distinctive features of these cultures were pointed out multiple times, depending on which the origin or ethnic belonging of these tribes were discussed. But the fact is that the common signs are dominant, that shows a close union and some ethnic relations.

Considering of these two cultural areas as one independent or as two related separate cultures is still an extremely problematic issue. There are differences not only between researchers, but also very hesitant opinions were expressed. This is precisely the issue that only the systematic study can substantiate.

At present, in the the study of the problematic issues of interrelations of Colchian and Koban cultures (or Colchian – Koban culture) following key issues are distinguished, that are of particular interest and important to resolve. We could form these issues in such way:

1. The genesis and periodization of these cultures.
2. The synchronization issues of local varieties of Colchian and Koban culture and their cultural monuments.
3. The full list of differentiation of common and distinctive features.
4. Comparative analyze of the materials from these cultural areas, first of all ceramics and metal products.
5. Intersecting spots by regions of Colchian and Koban cultures, and etc.

We will do a brief focus on the problems of the genesis of Colchian and Koban cultures, and the related general considerations, which is common among the researchers of North Caucasus.

The main hub of Koban culture is a territory of nowadays North Ossetia. The area, from which it spread towards the west and east, where local varieties of this culture were allocated (Kozenkova 1981, 29). Kabardino - Balkaria and partially Karachaevo - Cherkessia are the territories where western type of Koban culture was distributed. The Eastern type of Koban culture occupied nowadays Ingushetia and most of Chechnya.

The problem of the origin of Koban culture is still acute and often used for the Russian political subjectivity. There is much difference between the Western, Russian and Caucasian Archaeologists, whose expressed opinions are different from each other. Recently, multiplied the works of Ossetian researchers who seek Iranian roots for Koban culture and assert their opinions with the animal style, which they consider as an evidence of the existence of Iranian cultural patterns. Some of the North Caucasian authors go much further, and make assumptions within the field of fiction. For example, Ruslan Tilov in his work based on the zoomorphic style and other elements of Koban culture, concludes that the Koban culture creators belonged to the Turkish or German language groups (Tilov 2005, 10). All of this leads him to the conclusion that the descendants of “Kobanians” are modern Karachay- Balkars, whose language unbinds many secrets of Koban culture. The situation is almost similar, but with different content among the Chechen and Ingush researchers. Most of them consider Nakh language speakers as an ethnic core of Koban culture. This assumption is partially based on the fact that the speakers of the Nakh language groups lived in the central part of the Caucasus from ancient times. Georgian written sources are used to strengthen this opinion, in particular "Kartlis Tskhovreba", which kept the legend about the origin and resettlement of the people of the Caucasus.

The works of most researchers from the North Caucasus are based. Many of them speak from the position of their nation and try to use Ethnographic, Linguistic and other scientific or non-scientific methods to explain various features of Koban Culture.

Evgeni Krupnov according to the archaeological material of that time discussed common and distinguishing elements of Colchian and Koban cultural areas. (Krupnov 1957, 59). He marks the multiplicity of distinguishing patterns, and the lack of common features: "Pit-graves and pitcher-graves are mainly found in western Georgia, while cist-tombs are rare. Also, ceramic forms and ornaments differ from the Koban ones, high buckles, large fasteners, spiral hand rings, elbow sleeves and some other elements are rare. The hoes, leather cutters and elongated axes are not found in the North Caucasus. "At the same time, he stated that the Colchis culture still occurs in the vicinity with Koban and Pri-kuban cultures in economic and cultural aspects. This is not surprising, because according to Krupnov, and it's hard not to agree with him, the residents of Terek, Kuban and Rioni basins till the second half of I millennium BC belonged to the one language group – Ibero-Caucasian. (Krupnov 1957, 64).

From the different opinions about the origin of Colchian and Koban cultures, Krupnov's consideration about the local origin of Koban culture causes the least doubt, but this problem is not yet solved. It seems unconvincing to seek Colchian-Koban axe prototype in the stone, so-called "Pyatigorsk" type axe. It is unlikely to be the prototype of the Late Bronze Age axe, because it was released too earlier than the Late Bronze Age bronze axes. However, stone axes may have been the religious or ceremonial axes for ritual purpose or for fighting, but they had no use in agricultural activities.

Koban ceramics do not demonstrate a close relation with the previous era ceramic materials, however, as it is thought there is a connection in the shape. The scientists also are not seeing the connection between the ceramics of Colchian and Koban cultures and consider only weapon, small plastic objects, jewelry and décor as the shared elements of these cultural areas. (Reinhold 2003). In the opinion of A. Skakov funeral customs of Koban culture, which mainly deals with cist-tombs, were originated from the mountainous part of the south Caucasus. (Skakov 2009, 15).

The origin of Koban culture from the Middle Bronze Age local cultural circle, which is A. Skakov conditionally calls "Digorian", may cause suspicion, because the limited amount of material from this era doesn't reveal close similarities not only with Koban culture, but within each other. Conventionally "Digorian" culture, according to A. Skakov occupied not only Digoria, but also Racha and parts of Svaneti and Balkaria. (Skakov 2001, 188-196).

Metal products in general, and also various features of handicraft items, reveal the similarity of Koban and the Colchian materials. According to this some scientists consider these two areas as a part of one culture. (Pantskhava, Sulava, Papuashvili 2003, 102).

Therefore, the study of metal objects and artistic work will undoubtedly require our special attention to resolve the issues raised in our case. Among these materials situlas are of the special value. Situlas of Colchian and Koban cultures are one of the symptomatic and noteworthy material and reveal the complex process of the developing Late Bronze Age artistic handicraft. In our opinion, the study of metal vessels is the high importance in the research of relations of Colchian and Koban cultures. Situlas have a wide distribution area, but their main distribution center is the Central Caucasus, especially Racha, Lechkhumi, historical Dvaleti, Ossetia and Kabardino-Balkaria. Colchian - Koban situlas are found far away in Ukraine and Turkey, near the Ararat mountain (Archaeology of Georgia 1959, 220).

It must be outlined that toreutical samples are diverse and reveal the oldest traditions and high level of metal processing development in Colchian and Koban cultures.

Late Bronze - Early Iron Age Situlas come mostly from the burials, in some cases from hoards. Because we do not know well the Late Bronze - Early Iron Age settlements of Koban and the Colchis, there is no fact of their discovery.

Koban culture materials, like the artifacts from Tli Cemetery of Georgia are preserved in the museums of Russia. The Brili cemetery materials from Racha remain unpublished and largely inaccessible.

Therefore, because of such obstacles, we believe that this deficit will be filled with new data and, therefore, be more specific and enrich the typological groups, which we are currently working on. This will help us to see the stages of turetical development as well as the connection between the different types of bronze vessels, their transformation and origin of forms.

As we can see, in the problematic issues of Colchian and Koban cultures controversial aspects and sometimes radically different positions are common. Resolving these issues and restoring real historical picture depends on the accessibility of the new works of Caucasian and foreign researchers and the work on the rich collections kept in the Georgian, Russian and European museums, as well as coordinated work of different scientists.

References

Apakidze 2002: J. Apakidze, Late Bronze and Early Iron Age chronology of the Colchian culture. Doctoral dissertation. Tbilisi (in Georgian).

Gigolashvili 1999: E. Gigolashvili, Turetical materials in Colchis V-IV c. BC, Tbilisi (in Georgian).

Japaridze, 1950: O. Japaridze, "Colchian axe" (in Georgian).

Pantskhava 1988: L. Pantskhava, The monuments of art and handicraft of Colchian culture, Tbilisi (in Georgian).

Archaeology of Georgia 1959: Archaeology of Georgia, Tbilisi (in Georgian).

Sakharova 1965: L. Sakharova, The ancient artistic bronze vessels in Georgia, "Sabchota Khelovneba" N 12, Tbilisi (in Georgian).

Sulava 2000: N. Sulava, Dating of the complexes with fibulas from Tlia Necropolis. "Dziebani", 2000, N 6, Tbilisi (in Georgian).

Kartlis Tskhovreba 1955: S. Kaukhchishvili edition, vol. I, Tbilisi, http://www.amsi.ge/istoria/qc/garTlis_cxovreba_1_1.html (in Georgian).

Mikeladze 1974: T. Mikeladze, Investigations of the history of the population of Colchis and south - eastern Black Sea coast. Tbilisi (in Georgian).

Reinhold 2003: S. Reinhold, TRADITIONS IN TRANSITION: SOME THOUGHTS ON LATE BRONZE AGE AND EARLY IRON AGE BURIAL COSTUMES FROM THE NORTHERN CAUCASUS. European Journal of Archaeology Vol. 6(1).

Born 1984: H. Born, meistertserke K aukasistsher ronzezhshmiede B, Berlin.

Иессен 1950: А. Иессен А, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе ", Известия ГАИМК, вып. 120, М.-Л.

Иессен 1951: А. Иессен А, Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века, МИА т. 23. - М.-Л.

Козенкова 1996: В. Козенкова, Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке (Узловые проблемы происхождения и развития Кобанской культуры). - М.,.

Козенкова 1989: В. Козенкова, Кобанская культура. Восточный вариант, САИ. Вып. В2-5, Москва.

Козенкова 1982: В. Козенкова, Типология и хронологическая классификация предметов Кобанской культуры. Восточный вариант, САИ. Вып. В2-5. Москва.

Крупнов 1960: Е. Крупнов, Древняя история Северного Кавказа. Москва. **Куфтин 1960:** Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. 2, Тбилиси.

Панцхава 1986: Л. Панцхава, Некоторые вопросы колхидской и кобанской культур, "Вестник Гос. Музея Грузии", XXXVIII-B, Тбилиси.

Панцхава, Сулава, Папуашвили 2003: Л. Панцхава, Н. Сулава, Р. Папуашвили, Колхидская, кобанская или колхидско-кобанская? Кавказоведение. № 4. Тбилиси.

Скаков 2004: А. Скаков Протокобанская эпоха на Кавказе. Кавказ: история, культура, традиции, языки. Материалы международной научной конференции, посвященной 75-летию Абхазского института гуманитарных исследований им. Д.И. Гулиа 28-31 мая 2001 г. Сухуми.

Скаков 2009: А. Скаков, Некоторые проблемы истории северо-западного Закавказья в эпоху поздней бронзы-раннего железа. КСИА Евразия: механизмы культурных перемен. вып. 223.

Техов 1980: Б. Техов, Тлийский могильник (комплексы XVI-X вв. До н.э.) т.1, Тбилиси.

Техов 1981: Б. Техов, Тлийский могильник (комплексы IX-первой половины VII в. До н.э.) т.2, Тбилиси.

Техов 1985: Б. Техов, Тлийский могильник, т. 3, Тбилиси.

Н. Гобеджишвили (Тбилиси)

М. Путуридзе (Тбилиси)

Проблемные вопросы колхидской и кобанской культур

резюме

Колхидская и кобанская культуры уже давно привлекли внимание исследователей. Это особенно важно сегодня, если мы примем во внимание политические тенденции в регионе. Этим политическим целям, и в первую очередь России, к сожалению часто служит наука, в том числе и археология. Реконструкция исторических картин там происходит с искажениями. Изучения этих культур без системного осмысления всех аспектов материальной культуры не будет иметь результатов. Все различные типы артефактов должны быть осмыслены с точки зрения крупномасштабных исследований, независимо от политики и беспристрастно, что будет гарантией полного и объективного изучения колхидской и кобанской культур.

ვ. ჯაფარიძე (თბილისი)

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის (თანამედროვე აფხაზეთის)

ახ. წ. I ათასწლეულის არქეოლოგიის საკითხები

კოლხეთის, მისი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის (თან. აფხაზეთის) არქეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებული საკითხები დღემდე დიდ ინტერესს იწვევს. ეს, პირველ რიგში, ეხება პრეისტორიული ხანის ძეგლებს, რადგან აქ არქეოლოგიური კულტურებისა და მათი ვარიანტების გამოყოფის მეტი შესაძლებლობა არსებობს. თანამედროვე აფხაზეთის ფარგლებში უკანასკნელ ათწლეულებში სავსე სამუშაოების მნიშვნელოვნად შეზღუდვის მიუხედავად, მაინც გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურასა და, განსაკუთრებით, საინფორმაციო ველებში. ამ საკითხებისადმი მიძღვნილი სტატიები და ცალკეული ნაშრომები. კერძოდ, ინტერესს იწვევს კოლხური კულტურის ლოკალური ვარიანტების გამოყოფის ცდები. იგი სამაროვანთა შესწავლის ახალ მონაცემებს ეყრდნობა. ნაკლებად გვხვდება ინფორმაცია სამოსახლოების ტოპოგრაფიისა და ხასიათის შესახებ, რასაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დიდი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიური კულტურების განსაზღვრისა და მისი წყაროებით ცნობილ ცალკეულ ეთნიკურ ერთეულებთან იდენტიფიკაციის თვალსაზრისით.

ჩვენი კვლევა ეხება ახ. წ. I ათასწლეულის (ანუ გვიანანტიკური და ადრებიზანტიური ხანის) ძეგლების შესწავლის მდგომარეობას და ამის მიხედვით, არქეოლოგიური კულტურების კვლევის შესაძლებლობას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ უცხოელ, ძირითადად რუს მეკლევართა, ადრეულ ცნობებს აფხაზეთის ძეგლებზე და სოხუმში მოღვაწე, ასევე არაადგილობრივ, მოღვაწეთა ცდას შეეგროვებინათ ინფორმაცია ძეგლებზე, ადგილობრივი სამეცნიერო დაწესებულებები მნიშვნელოვნად გვიან, გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ჩაერთვნენ სავსე კვლევებში.

აქ, გასაგები მიზეზების გამო, ვერ შევძლებთ მეტ-ნაკლებად ვრცლად შევეხოთ, როგორც სავსე სამუშაოების ყველა შედეგებს, ასევე, სათანადო ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურას.

საჭიროა აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლის შესახებ, რომლებიც თავიდანვე იქცევდნენ ყურადღებას და მოექცნენ კიდევ კვლევის სფეროში, სხვა შემთხვევაში ძეგლების მნიშვნელოვანი ჯგუფის კვლევა ახალმშენებლობებს დაუკავშირდა.

ჩვენი დაკვირვების სფეროში ძირითადად ძეგლების სამი ჯგუფი ექცევა: I. ნაქალაქარები (ციხე-ქალაქები) – ჩრდილო-აღმოსავლეთ ზღვისპირისა – სებასტოპოლის-ცხუმი (ანტიკური ხანის დიოსკურია), ძველ ბერძნულ კოლონიზაციასთან დაკავშირებული პუნქტი; გიენოსი (თან. ოჩამჩირესთან) და ასევე ცნობილი ბერძნული წყაროებით (ფსევდო სკილაქსი და სხვ.), სადაც გათხრები პორტის მშენებლობის გამო; უკვე გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო იქ პიტიუნტი-ბიჭვინთა, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს უკიდურესი, მნიშვნელოვანი, რომაულ-ბიზანტიური სტრატეგიული პუნქტი და

ვრცელი დასახლება; II. საფორტიფიკაციო ნაგებობები – წყაროებით ცნობილი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და, ზოგ შემთხვევაში, ეთნიკური ერთეულების ცენტრები (მაგ. წიბილიუმი); ცალკეული ციხეები და, რიგ შემთხვევაში, მათთან დაფიქსირებული ნასახლარები; III. სამაროვნები, ძირითადად ადგილობრივ დასახლებებთან (წიბილიუმი და სხვ.) დაკავშირებულნი და, ჩვენი საკითხისთვის ასევე მნიშვნელოვანი, რომაული და ადრებიზანტიური ხანის ერთეული სამარხები.

გასულ საუკუნეებში, ძირითადად 60-იანი წლებიდან, შედარებით ფართო მასშტაბის გათხრებმა სებასტოპოლისსა და პიტიუნტში მნიშვნელოვანი არქიტექტურული, ძირითადად საფორტიფიკაციო, საკულტო და საქალაქო ცხოვრების ძეგლები გამოავლინა. ამათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პიტიუნტის რომაულ-ბიზანტიური კასტელის ფარგლებს გარეთ, მნიშვნელოვან, რიგ შემთხვევაში, სატაძრო კომპლექსების შემცველ დასახლებათა ნაშთების გამოვლენა, რაც მათი ხასიათის განსაზღვრის აუცილებლობის საკითხს აყენებს. ჩვენ უკვე გვქონდა შესაძლებლობა, გამოგვეთქვა დამოკიდებულება შავიზღვისპირეთის რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქის, მაგ. ოჩამჩირე-გიენოსისა (ჯაფარიძე 2006, 218–246) და სებასტოპოლის-ცხუმის (ჯაფარიძე 2010, 216–236) განვითარების ცალკეული ეტაპების შესახებ. ამის შესაძლებლობას იძლევა გასული საუკუნის 60-იან წლებში აქ განხორციელებული არქეოლოგიური ძიება. შემდეგ, უპირატესად 80-იანი წლებიდან, აღნიშნულ ნაქალაქარებზე აფხაზეთის სამეცნიერო დაწესებულებები და სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპედიციები, რუსეთის ფედერაციის სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომელთა მონაწილეობით, აგრძელებდნენ კვლევებს. მოპოვებულია დამატებითი არქეოლოგიური მონაცემები გიენოსისა (შამბა 1988) და სებასტოპოლისის ნაქალაქარის შესწავლისათვის (შამბა 2005). მნიშვნელოვანი სიახლით აღინიშნა, კვლევების მეორე ეტაპზე, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ექსპედიციის მუშაობა ბიჭვინთის ნაქალაქარზე, რომელმაც შესაძლო მიეკვლია, აგრეთვე, სამაროვნისთვის (ლორთქიფანიძე 1991, 117–156).

საინტერესო მონაცემებია გამოვლენილი ზღვისპირის ნაქალაქარების, პირველ რიგში კი, დიოსკურია-სებასტოპოლისის პოლიტიკური თუ ეკონომიკური რადიაციის ზონაში (ვორონოვი 1979, 49–36). ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ეშერის ანტიკური ხანის ნაქალაქარის მრავალწლიანი გათხრების მონაცემები (შამბა 1980).

ცნობილი სოხუმის სტელა (ლორთქიფანიძე 1966, 93–106) დღემდე რჩება ქ. დიოსკურიის ფარგლებში ანტიკურ სამაროვანთან დაკავშირებულ ერთადერთ მეტყველ ძეგლად. აქ დიდ ინტერესს იძენს ადრეული, ძვ.წ. VI ს, იონურ-როდოსული კერამიკის ახალ აღმოჩენათა შემთხვევები, თვით სოხუმშიც და, ჩანს, დიოსკურიის რადიაციის ზონაშიც; ამასთან, ცხადია, ეს მასალა მიუთითებს გზებზეც. სავარაუდოა, რომ დიდი მონაკვეთი გზისა, მთისწინა ზოლის გავლით, კოდორის ხეობისა და წებელდისაკენ მიემართება. ამ მონაკვეთში, უკვე ამ დროს, მას სდარაჯობს ე. წ. პაცხირის ციხე (თუ ი. ვორონოვს სწორად აქვს განსაზღვრული ძირითადი ნაგებობის შესაბამისი კულტურული ფენა და არ ცდება მასალის დათარიღებაში, რადგან ფენები, სტატიის მიხედვით ჩანს, ადრეული იყო). შესაძლოა, ამ გზითაც ხვდებოდა წებელდაში უკვე რომაული ხანის იმპორტი, გვიანელინისტური და ახ. წ. I საუკუნეებისა, რაც გათხრებითაც არის დოკუმენტურად დადასტურებული; ამანაც განაპირობა წებელდის (და კოდორის ხეობის) მნიშვნელოვან სტრატეგიულ მონაკვეთად ჩამოყალიბება. ამავე დროს, ჩვენთვის აშკარაა, კოდორის შესართავიდან (სკურჩა) ფუნქციონირებს, კავკასიონის გადასასვლელებისკენ მიმართული გზა (სათანადო ძიების ჩატარებაა საჭირო ამ გზის შესასწავლად). ახ. წ. პირველ

საუკუნეებში, ზღვისპირეთის სტრატეგიული პუნქტებიდან დიდ მნიშვნელობას იძენს პიტიუნტი (აფაქიძე 1975, 13-17). ჩვენ აქ არ ვეხებით მისი და სხვა პუნქტების გამაგრების სისტემებს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად გამოვლენილი და შესწავლილია; ახლა მეტ ინტერესს იწვევს ქალაქის „ხორისა“ და უფრო ვრცელი რეგიონის („ქვეყნების“) ადგილობრივი დასახლებები. ასეთი კვლევები კი, მიზანმიმართულად, სამწუხაროდ, ჯერ სათანადოდ არ ჩატარებულა. ეს გარკვეულად ართულებს სებასტოპოლისისა და სხვ. ნაქალაქარებისა და მათთან მიმდებარე დასახლებების ეთნიკური ატრიბუციისა და სოციალური რაობის რკვევას. ასეთ ვითარებაში დიდ მნიშვნელობას იძენს მიმდებარე სამაროვნები, რაც, ჯერ-ჯერობით, მხოლოდ პიტიუნტთან არის დადასტურებული, თუმცა იგი, თავისი ხასიათით, ძირითადად, თითქოს, რომაულ-ადრებიზანტიურ ციხიონთან დაკავშირებული კონტიგენტისთვის ჩანს გამართული; ამასთან, შეინიშნება ადგილობრივი ელემენტის მონაწილეობაც. სხვა პუნქტების, მაგ. ქ. გიენოსის, გათხრების პროცესი, ძირითადად აქ არსებულ ბორცვს დაუკავშირდა და, ჩანს, არ იყო ნაქალაქარის ხორისა და სამაროვნის ძიების შესაძლებლობა. მაინც, ახ. წ. VI ს. ქრისტიანული ტაძრის კვლევის დროს გამოვლენილი იყო კრამიტით ნაშენი, ძირითადად გვიანანტიკური ხანით დათარიღებული, მნიშვნელოვანი ინვენტარის შემცველი სამარხები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასევე რომაულ-ადრებიზანტიური ხანით უნდა დათარიღდეს სოხუმის სახელმწიფო მუზეუმის, ოჩამჩირის ფონდში დაცული მასალის მცირე ჯგუფი (გამოვლენილია გიენოსში გასული საუკუნის 30-ან წლებში განხორციელებული გათხრებით) მთელი, ამიტომ, შეიძლება, სამარხეული რიგი ჭურჭლებისა, რაც აქ უკვე ნამდვილად ადგილობრივი მოსახლეობის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

ძეგლების მეორე ჯგუფში – საფორტიფიკაციო ნაგებობები – ზღვისპირის აღნიშნული ნაქალაქარების სასიმაგრო ნაგებობების (კასტელუმების) გარდა, ადგილობრივი ციხე-სიმაგრეებიც შედის. შესწავლილთაგან მნიშვნელოვანია, ისევე ზღვისპირთან ახლოს მდებარე, მაგრამ განსხვავებული ტოპოგრაფიის მქონე ანაკოფიის ციხე-სიმაგრე (თრაპში 1961, 88–148), აფხაზეთის საერისთავოს ცენტრი. აქ გამოვლენილია მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობები (ზღუდე-კოშკები); ციტადელის მონაკვეთი კი ცნობილია სხვადასხვა, მათ შორის, სატაძრო ნაგებობით. სამაროვანი, რამდენადმე მნიშვნელოვანი სამარხები, ჯერჯერობით, აქ გამოვლენილი არ არის.

როგორც საფორტიფიკაციო, ასევე სამაროვნების კვლევის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობისაა კოდორის ხეობაში, კერძოდ წებელდის მონაკვეთში შესწავლილი საფორტიფიკაციო ნაგებობები და მათთან დაკავშირებული ნასახლართა ნაშთები, აგრეთვე, სამაროვნები, რაც კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს ძეგლების კომპლექსური კვლევების დროს.

დიდია პირველი აფხაზი არქეოლოგის მ. თრაპშის დამსახურება წებელდის ძეგლების, კერძოდ კი სამაროვნების შესწავლის საქმეში (თრაპში 1971). შემდგომ, 1980 წლიდან დიდი მასშტაბის გათხრებს წებელდაში (ციბილიუმის ციხეზე და მიმდებარე რეგიონში) წარმატებით აწარმოებდა დ. გულიას სახ. ენის, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ექსპედიცია ი. ვორონოვისა და ა. ბლაჟბას ხელმძღვანელობით. წიბილიუმზე, ადრე, მ. მილერის ნაწილობრივ გათხრილ ქრისტიანულ ტაძარს და სხვასაც შეისწავლიდა ლ. ხრუშკოვა (ხრუშკოვა 1982, 147-177). დღეს, როგორც აღნიშნავენ, ამ ციხის გათხრები დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. გამოვლენილია საფორტიფიკაციო და საზოგადოებრივი ნაგებობები, ტაძრები და სხვ. დიდ ინტერესს იწვევს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი, კულტურული ფენების სხვადასხვა დონეებთან დაკავშირებული

არტეფაქტები, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ნაწარმი. ამ მონაცემების საფუძველზე ი. ვორონოვი საფორტიფიკაციო კომპლექსის წარმოქმნას ზოგადად ახ. წ. VI ს. შუა წლებით განსაზღვრავს. აქ არ შევეხებით წიბილიუმის ციხის ქრონოლოგიის საკითხებს, იგი ცალკე მსჯელობის საგანია. მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის, რომ წიბილიუმის და მასთან სისტემით დაკავშირებული ციხე-სიმაგრეების (შაპკა, ახ-ისთა, ბათი, აფუშთა, პალი და სხვ.) არქეოლოგიური გათხრებისა და დაზვერვითი სამუშაოების წინასწარი, ძირითადი მონაცემები გამოქვეყნებულია.

აღინიშნა, რომ თითქმის ყველა ამ სასიმაგრო ნაგებობებთან დაზვერვებით დადასტურებულია ნასახლართა ნაშთები და, რაც მნიშვნელოვანია, სამაროვნები. დღეისათვის, წებელდის სამაროვნის გარდა, ლიტერატურით ცნობილია ახაჩარხუს, ალარხუს, აბ-გიდძრახუს და სხვა სამაროვნები. სამაროვანი გამოვლენილია და შესწავლილია სოფ. აფხაზეთის ათარასთან (გუნბა 1978, 5-7, 109-114).

სათანადო კვლევების შედეგად დადგენილი დაკრძალვის წესისა და ინვენტარის მიხედვით გამოიყო სპეციფიკური არქეოლოგიური კულტურა – „წებელდის კულტურა“. აქ არ შეგუდებით ამ არქეოლოგიური კულტურის ზოგი მახასიათებელი ელემენტების შესახებ მსჯელობას. იგი ფართოდ არის განხილული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში და მითითებულია აქ წარმოდგენილ სტატიაშიც; ჩვენც გამოვხატეთ დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ი. ვორონოვის წიგნზე – „Тайна цибельдинской долины“ დაწერილ რეცენზიაში (ჯაფარიძე 1973, გვ.). ვფიქრობთ, ამ კულტურის გამოყოფა და აფხილუბისადმი მიკუთვნება, ძირითადად, რეალობას მოკლებული არ უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მაშინვე ვუჩვენეთ თუ რამდენად რეალური შეიძლება იყოს ამ კულტურის ზოგი ელემენტის დადასტურებით. თუნდაც მომიჯნავე რეგიონში, განისაზღვროს, ზოგადად, კულტურის გავრცელების არეალი და მისი მატარებელი ეთნიკური ჯგუფების (ტომების) ვინაობა.

დიდ მნიშვნელობას იძენს, წებელდის კულტურის შესწავლის თვალსაზრისით მასში ადრეული – ახ. წ. I-III სს და მოგვიანო – ახ. წ. VI – Vსს კომპლექსების გამოყოფა.

წებელდის სამაროვნების მონაცემები კვლავ საჭიროებს გაღრმავებულ კვლევას. ეს ეხება ქრონოლოგიის, კოლხეთის სხვა რეგიონებთან კონტაქტების და, რაც მთავარია, კულტურის გენეზისისა და კონტინუიტეტის საკითხების შესწავლას; მდ. კოდორის ხეობაში ამ მნიშვნელოვანი კულტურის ელემენტები შემჩნეულია ისტორიული მისიმიელების განსახლების ფარგლებში (და უფრო ჩრდილოეთით). ამავე ხეობაში შუა საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნასახლარებისა და ქრისტიანული ტაძრების ნაშთებია აღმოჩენილი. ისინი კი, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ შეუსწავლელია და ჩვენი ცოდნა ამ ძეგლებზე, ძველ მკვლევართა (მაგ. დ. ბაქრაძე, პ. უვაროვა და სხვ.) მონაცემებზეა დამყარებული. ეს აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანი ხარვეზია.

შემდეგი რეგიონი, რომელსაც მკვლევარები რომაული ხანის სამარხების აღმოჩენების გამო მიაქცევენ ყურადღებას – ისტორიული წყაროების პიტიუნტისა და დღევანდელი ქ. გაგრის მონაკვეთია. პიტიუნტის ნეკროპოლის შესახებ უკვე აღინიშნა. როგორც ითქვა, შედარებით ღარიბად წარმოდგენილი აქ გამოვლენილი სამარხები, სამაროვნის ხასიათის გამო არქეოლოგიური კულტურის განსაზღვრისთვის უმნიშვნელო მონაცემებს იძლევიან. გაგრის რეგიონით ამ შემთხვევაში მკვლევართა დაინტერესება განპირობებულია ისტორიულ წარსულში მისი სავარაუდოდ მჭიდრო ეთნიკური და კულტურული კონტაქტების გამო, მომიჯნავე, კავკასიონის ქედს გადაღმა არსებულ მონაკვეთთან. აქ ყურადღება ექცევა ქ. სოჩისა და მის აღმოსავლეთით, აღმოჩენილ ძვე-

ლებს (მაგ. „Красная поляна“-სა და სხვ.); შავიზღვისპირეთში ადრევე გამოვლენილ ძეგლ-თაგან ხშირად უთითებენ ა. სპიცინის (სპიცინი 1907) გამოქვეყნებულ მონაცემებს, აქ აღმოჩენილი V ს. სამაროვანის შესახებ. ვიმეორებთ, ეს მონაცემები ძალიან ნაკლებია და ამაზე მიგვანიშნებს გასული საუკუნის 70-80-იანი წლების ლიტერატურაც (ვორონოვი 1969, 43-58, ვორონოვი, ბლაჟბა, 1962). ამ მხრივ ყურადღებას იქცევს გ. შამბას (შამბა 1974, 48-65) დაზვერვა გაგრის რაიონში; შეისწავლებოდა მდ. ხაშუპსის, აჩმარდასა და ლაფსთას მთის წინა რეგიონი. აქ გამოირჩევა ხაშუპსის სამაროვანი. იგი იქვე არსებული ციხის კომპლექსს უნდა უკავშირდებოდეს (ადრე აქ დაზვერვა ჩატარებია მ. თრაპაშსა და ო. ჯაფარიძეს). ინტერესს იწვევს გაგრის დარღვეული სამარხის კომპლექსიც, რომელიც ე. წ. წებელდური ტიპის ცულს შეიცავდა. ამგვარი ცული ნაპოვნი იყო ხაშუპსის სამარხშიც, წაგრძელებულ ფოთლისმაგვარ შუბისპირთან ერთად, რომელიც ასევე დამახასიათებელია წებელდის სამაროვნების კომპლექსებისათვის.

შემდეგ ამ მონაცემებზე ყურადღება საგანგებოდ გაამახვილა ი. ვორონოვმა (ვორონოვი 1979, 49-61), რომელმაც სანიგების არქეოლოგიური კულტურის ძიების დროს შედარებით ახლადგამოვლენილ მასალებზე გაამახვილა ყურადღება; კერძოდ, გაგრის ციხესთან ახლოს, ჩანს, შემთხვევით გამოვლენილ სამარხის ნაშთებზე. აქ აღმოჩენილი იქნა ფერადი მინით ინკრუსტირებული სატევარი და ასევე ინკრუსტირებული აბზინდა; ნაპოვნია ე. წ. წებელდური ცულიც; აქვე, ტექსტში (ვორონოვი, 1979, 54) და ტაბულაზეც მოცემულია ჩვენ მიერ უკვე მითითებული ა. სპიცინის მიერ გათხრილი მდიდრული სამარხის მრავალრიცხოვანი ინვენტარი, რომლის თარიღი, ზოგადად, ახ. წ. VI-VII ს. პირველი ნახევრით არის დათარიღებული (ვორონოვი 1979, 54, სურ. 37). ინტერესს იწვევს ჩრდილო კავკასიაში უღელტეხილებით გარდამავალი გზის მონაკვეთში, კერძოდ „Красная поляна“-ში შემთხვევით გამოვლენილი სამარხის ინვენტარი, რომელშიც შაპურ I (243-273 წწ.) დროინდელი ირანული ტორეგტიკის ნიმუშთან ერთად ვერცხლის კესარიული მონეტები, კერძოდ, ადრიანეს (121-122) პერიოდის დიდრახმაც, იყო ნაპოვნი. ასახელებული ავტორი და სხვებიც ყურადღებას ამახვილებენ ე. წ. წებელდური ტიპის ძაბრისებურპირიან დოქზე (ვორონოვი 1979, 56, სურ. 39). სამარხთა ეს კომპლექსები სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას; კერძოდ, აქ გამოვლენილი, იტალიკურ ცენტრში (ახ. წ. I დასაწყისში) დამზადებულ ვერცხლის სურისა და ამავდროულად სამაროვანზე ნაპოვნი ვერცხლის სასანური თასის (შაპურ I-ის დროისა) გამო. ეს კი ამ რეგიონში ორი სხვადასხვა სამყაროს, ერთდროულად, კულტურულ და, შესაძლოა, პოლიტიკურ ნაკადებზე მიუთითებს. რატომღაც ი. ვორონოვი საგანგებოდ მიაქცევს ყურადღებას ბრინჯაოს რკალზე პრიზმატულად გამსხვილებულ სამაჯურებს, როგორც კულტურის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ელემენტს (ასეთებს, იგი, აღნუსხავდა დასახელებული „Красная поляна“-დან მნიშვნელოვნად (20-კმ-დე) დაცილებულ ადგილებშიც კი (ვორონოვი 1979, 56)).

ინტერესს იწვევს მაცესტის დასახლებაში 1966 წ. გათხრილი დაზიანებული სამარხი და ამიტომ, შესაძლოა, ნაკლები ინვენტარით. იგი საინტერესო ინვენტარი – ვერცხლის რომაული მონეტები, ისევე ადრიანესი და ვერცხლის თასია აღმოჩენილი (შამბა 1970, 232-237). აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს სამარხი არაფერს ისეთს არ შეიცავს, რითაც შეიძლებოდა მასში დაკრძალულის ეთნიკური ვინაობის დადგენა.

საყურადღებოა ქ. სოჭის შემოგარენის ის მასალები, რომლებიც შემთხვევით არის გამოვლენილი და დაცულია ქ. სოჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ვორონოვი 1979, 5).¹

¹ (ჩვენ გვქონდა კარგი შესაძლებლობა პირადად გავცნობოდით ამ მასალას, ისევე როგორც, გამთხრელთა ხელისშეწყობით, ს. ლოს ბრწყინვალე აღმოჩენებს რომელსაც ჩვენ ქვემოთ შევვხებით. ს. ლოს აღმოჩენის შესახებ იხ. ივანოვა, გოლუბევი 1961, გვ. 284-292.

ნაპოვნია: ვერცხლის ჭურჭლების ფრაგმენტები; ოქროს ფირფიტებისგან ნაკეთები, ფრინველებით შემკული სამკაული, რომლებიც ძალიან გვაგონებს ამგვარ სამკაულს კლდეეთიდან (ლომთათიძე 1957, 30–36, ტაბ.1); ასევე, ოქროს სხვა ნივთებს, მათ შორის გემშიან ბეჭედს, მინის ნაკლულ ჭურჭელს ბერძნული წარწერით, რომელიც ალექსანდრიულ ნაწარმად არის მიჩნეული და თარიღდება ახ. წ. I-II ს. მეორე ნახევრით. ამის მიუხედავად, სამარხში ნაპოვნი ერთწილადი ვერცხლის მშვილდსაკინძის მიხედვით, ა. ამბროზის ტიპოლოგიაზე დაყრდნობით, კომპლექსის თარიღი ახ. წ. II ს-ის ბოლო-III ს. პირველი ნახევრით არის დათარიღებული (ვორონოვი 1979, 57) და დაკავშირებულია სანიგებთან. ჩვენი აზრით, სამარხის თარიღი, დაზუსტებას საჭიროებს; ამასთან, სამარხის მდიდრული ინვენტარი რომის აღმოსავლურ, პროვინციალურ სახელოსნოებში (ბოსფორზე?) უნდა იყოს დამზადებული, რასაც ფართო გავრცელება ჰქონდა; ამის მაგალითია გონიოს განძიც (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი 1980, 19-23) (ანალოგიებს ასახელებენ მცხეთის არმაზისხევის მდიდრული სამარხების ინვენტარშიც). ამას გარდა, არეალი ამგვარი ნაკეთობებისა, სარმატულ კულტურასაც რომ უკავშირებენ, ტერიტორიულად შეიძლება კიდევ უფრო ფართო არეალშიც მოვიაზროთ (ამაზე სხვა დროს). ასეთ ვითარებაში როგორღა შეიძლება ეს მონაცემები სანიგების ეთნიკური ვინაობის განმსაზღვრელი იყოს?

ინტერესს იწვევს სოჭთან ახლოს დაფიქსირებული, შეიძლება ითქვას, სულ ახალი აღმოჩენები, რომელთა შესახებ ინფორმაციას ვხვდებით ჩვენი აფხაზი კოლეგების 2008 წ. იზმირში (თურქეთი) დაგვემილ პაფლაგონია-პონტოს საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალებში. მასში აღინიშნება სანიგების განსახლების არეალში ადრე გამოვლენილი მასალებისა და ახალი საინტერესო აღმოჩენების შესახებ. კერძოდ, გამახვილებულია ყურადღება ახ. წ. III ს. პირვ. ნახევრის მდიდრულ სამარხზე, იქ ნაპოვნ – ოქროსა და ვერცხლის სამკაულზე, ვერცხლის ჭურჭელზე, ბერძნული წარწერით, სადაც, წინასწარული განსაზღვრით, იხსენიება „მეფე ბაკური...“ (ვ. ბჟანია, დ. ბჟანია 2008, 21-22). ეს ინფორმაცია, ძეგლების გადარჩენის მიზნით გაკეთებული, ცხადია, ინტერესს იწვევს.

დასასრულ, აქ აღძრულ პრობლემატიკის გამო, კვლავ დავუბრუნდებით მდ. ოდორის ხეობის ძეგლებისა და „წებელდური კულტურის“ საკითხებს. აღნიშნულ რეგიონში, მართლაც, სახეზეა კულტურის თავიანთი ხასიათი. ისევე, როგორც სპეციფიკურია დაკრძალვის წესი; იგი მნიშვნელოვნად მრავალფეროვანია (ძირითადად გავრცელებულია ინჰუმაცია, დადასტურებულია კრემაციაც და სხვ.). დაკრძალვის წესი, მისი კონსერვატულობა, არქეოლოგიური კულტურის ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს. მაგრამ მიუხედავად წებელდის რეგიონისთვის დამახასიათებელი ეს წესი ჯერ-ჯერობით მაინც, არ არის დადასტურებული აფხაზეთის იმ რეგიონში, სადაც ი. ვორონოვი და სხვებიც ხედავენ აფსილთა მონათესავე ტომებს – სანიგებსა და სხვ. შეუსწავლელია აღნიშნული რეგიონის სამოსახლოების ტოპოგრაფია და ხასიათი, საფორტიფიკაციო ნაგებობები, რომ არაფერი ვთქვათ მეურნეობის ხასიათზე, ხელოსნობის დარგებზე და სხვ.

ამასთან, გასათვალისწინებელია წებელდის კულტურის ზოგიერთი ელემენტის გავრცელება ისტორიული აფსილიის ფარგლებს გარეთ; კერძოდ, უკანასკნელ ხანებში წებელდის სამარხებისთვის დამახასიათებელი კერამიკა (მაგ. ძაბრისებურპირიანი დოქები) და ცულები ნაპოვნია ფიჭვნარის (ქობულეთთან) ანტიკური ხანის სამაროვნის რომაულ-ადრებიზანტიური ხანის სამარხებში, ასევე დასავლეთ საქართველოში, არაერთგან დადასტურებულია კოდორის ხეობის სიღრმეში, სავარაუდოდ, მისი მისიმიანთა განსახლების ფარგლებში და უფრო ჩრდილოეთით. ე. წ. წებელდური ცულების ერთგვარ

ანალოგიად ევროპულ „ფრანცისკებსაც“ ასახელებენ (ი. ვორონოვი). მათ უფრო ახლო ანალოგიად ჩვენ ევროპულ „ბარტახტებს“ მივიჩნევთ. გვაქვს გარკვეული ასევე ევროპული, რომაულ-ბიზანტიური კერამიკის ცალკეული ელემენტების მსგავსებისა წებელდურ მასალასთან. იქნებ ეს ანალოგიები უფრო ლაზიკის (და აფსილიის) რომაულ-ბიზანტიურ სამყაროსთან შედარებით ფართო ეკონომიკურ და სამხედრო კონტაქტებზე მიუთითებდეს. არც ის არის გამორიცხული, რომ მასალის ერთი ნაწილის შედარებით ერთგვაროვნება და დაკრძალვის წესის მრავალფეროვნება (ერთი სამაროვნის ფარგლებშიც კი) წებელდის რეგიონში, სამხედრო (თუ გასამხედროებელი) კონტინგენტების არსებობითა და ეთნიკური სიტრეღითაც იყოს განპირობებული. გასათვალისწინებელია აღნიშნული ძეგლები პირველი გამთხრელის, არქეოლოგ მ. თრაფშის მოსაზრება, რომ კოდორის ხეობაში დადასტურებულ კულტურას გენეტიკური კავშირი აქვს კოლხური კულტურის ადრეულ, წინაანტიკურ კულტურასთან (თრაპში 1971, 12-13). ზემოთ აღნიშნული საკითხები გაღრმავებულ კვლევებს საჭიროებენ.

დასასრულ, მნიშვნელოვანია, რომ საფრანგეთში, პარიზის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის პროფ. მიქელ კაზანსკის ინიციატივით ფრანგულ ენაზე გამოიცა ი. ვორონოვის ნაშრომი "Могилы Аспилов" (ვორონოვი, 2007), ხოლო სამარხების ქრონოლოგიისა და ცალკეული საკითხების კვლევას მიეძღვნა ნაშრომის II ტომი (კაზანსკი/მასტიუკოვა 2007), ეს კი კოლხეთის (თანამედროვე აფხაზეთით) ახ. წ. I ათასწლეულის არქეოლოგიის საკითხების კვლევებს მნიშვნელოვნად წასწვევს წინ.

ლიტერატურა

აფაქიძე 1975: ა. აფაქიძე, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. პიტიუნტი, I. თბილისი.

ბჟანია, ბჟანია 2008: V. Bzhanian, D. Bzhanian, The Early Mediaeval Monuments from the Land of the Saniges. The Paphlagonia and Pontus Conference, 2008/Izmir, Turkey.

გუნბა 1978: М. М. Гунба, Новые памятники цебельдинской культуры. Тбилиси

ვორონოვი 1969: Ю. Н. Воронов, Археологическая карта Абхазии. Сухуми.

ვორონოვი, ბლაჟბა 1982: Ю. Н. Воронов, О. Х. Бгажба. История изучения археологии Абхазии (до 1975 г.), Тбилиси

ვორონოვი 1979: Ю. Н. Воронов, Материалы по археологии Абазгии и Санигии (II-VII вв.). Материалы по археологии Абхазии. Тбилиси.

ვორონოვი 1979: Ю. Н. Воронов, Ахул-Абаа население античного времени в окрестностях Сухуми. Материалы по археологии Абхазии. Сухуми. Материалы по археологии Абхазии. Тбилиси.

ივანოვა, გოლუბევი 1961: М. И. Иванова, П. М. Голубев, Находка в Лоо, СА, 1961, №3, Москва

ლომთათიძე 1957: გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი. თბილისი.

ლორთქიფანიძე 1966: ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბილისი.

ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი 1980: ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი, გონიოს განძი, თბილისი.

ლორთქიფანიძე 1991: გ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბილისი.

თრაპში 1961: М. М. Трапш, Археологические раскопки в Анакопии в 1957-1958 гг. ВВ, XIX, 1961.

თრაპში 1971: М. М. Трапш, Культура цебельдинских некрополей, труды, том 3, Тбилиси.

შამბა 1974: Г. К. Шамба, Погребение в II в. н. э. из Мацести. СА, 2. Москва.

შამბა 1980: Г. К. Шамба, Эмерское городище. Тбилиси.

შამბა 2005: Г. К. Шамба, Древний Сухум. Сухум.

შამბა 1988: Г. К. Шамба, Гиэнос. Тбилиси.

ჯაფარიძე 2006: ვ. ჯაფარიძე, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ანტიკური ქალაქების დემოგრაფიული სიტუაციის საკითხი. ოჩამჩირე-გიენოსი. საისტორიო ძიებანი, VIII-IX, თბილისი.

ჯაფარიძე 2010: ვ. ჯაფარიძე, ცხუმის (ცხომის) ქალაქისა და მისი „ქვეყნის“ არქეოლოგიისათვის. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (კრებ. „თეიმურაზ მიბჩუანი-70“), თბილისი.

ხრუშკოვა 1982: Л. Г. Хрушкова, Три церкви в горной Абхазии (раскопки 1977-1979 гг.). ВВ. 43. Москва.

Kazansky 2007: Mastykova A., Tsibilium II La nécropole apside de Tsibilium.

В. Джапаридзе (Тбилиси)

**Вопросы археологии северо-западной Колхиды (совр. Абхазии)
в I тысячелетии н. эсы**

Изучение памятников северо-западной Колхиды вызывает большой интерес до сегодняшнего времени. В первую очередь это касается памятников преисторической эпохи, т. к. там существует большая возможность выделения археологических культур и их вариантов. Несмотря на ограничение археологических полевых работ в Абхазии, в научной литературе появляются исследования теоретического характера, например, вопрос выделения локальных вариантов колхидской культуры. Оно там существенно основывается на новые данные раскопок некрополей. Меньше имеем информацию о топографии и характере поселений на данной территории, что имеет немаловажное значение для полного определения культуры и ее соотношения с отдельными этническими группами. Наша информация касается вопросов изучения памятников римско-византийской эпохи, на основе чего можно было бы ставить вопрос выделения археологических культур.

Если не считать более ранних работ с целью собирания материалов и информации о памятниках, более значительные исследования научными учреждениями в основном были начаты в 60-х годах прошлого столетия. Здесь трудно будет изложить все данные полевых и научных исследований.

В сферу наших наблюдений входят 3 группы памятников: I. Городища (города-крепости) северо-восточного Причерноморья — Себастополис-Цхуми (античная Диоскурия); Гиенос (около г. Очамчире), где раскопки были начаты еще в 30-ых годах прошлого столетия; Питиус — значительный стратегический пункт северо-восточного Причерноморья, обширное городище. II. Фортификационные сооружения-крепости внутри страны. Их часть по данным источников является центрами сравнительно больших поселений; III. Некрополи. Они фиксируются при сравнительно больших поселениях и отдельные, в основном случайно обнаруженные погребения.

В 60-х годах прошлого столетия в Себастополисе и Питиунте были обнаружены архитектурные, в основном фортификационного и культового и др. характера, памятники. Вызывают определенный интерес обнаруженные поселения, в отдельных случаях с храмами, за пределами комплекса; их характер еще не определен.

Для нашей темы особое значение имеет III группа памятников — некрополи. Можно сказать, лишь с 50-ых годов 20-го столетия стало возможным восполнить пробел в связи с выявлением и изучением некрополей I тысячелетия н. э. До того были известны лишь единичные, случайно обнаруженные погребения и их инвентарь. Один из таких случайно обнаруженных остатков погребений был исследован в 1946 г. в с. Ольгинское близ Цебельды (Н. Гзелишвили, 1946).

Для научного определения обряда захоронения и характера инвентаря погребения важное значение имеют обнаруженные некрополи в Кодорском ущелье, с. Цебельда и др. По обряду

захоронения и специфики инвентаря была выделена цебельдинская культура, специфичная для Колхиды. Не будем обсуждать вопросы об отдельных элементах этой археологической культуры. У нас была возможность по этому поводу высказать свое мнение при рецензировании книги Ю. Воронова «Тайна Цебельдинской долины» (Джапаридзе 1973).

Принадлежность этой археологической культуры к племени апсилов в основном не вызывает сомнений. Тогда же мы указали на то, что появление отдельных элементов цебельдинской культуры даже в соседних регионах не может быть определяющим фактором этнической принадлежности живущих там племен.

Отдельно следует рассмотреть в будущем вопрос археологических культур, их соотношения с определенными этническими группами. Нам кажется, что на сегодня трудно выделить культуры генихов, санигов, мисимян и многих других перечисленных в источниках. Более отчетливо выделяют культуру апсилов, благодаря раскопкам М. М. Трапша (Трапш 1971). Раскопки памятников Кодорского ущелья (Цебельда, Шапка и др.) были продолжены, и на сегодняшний день и, большей частью, издан археологический материал первостепенной значимости (Трапш 1971, Воронов 1975, Воронов 1998).

Мы уже имели возможность частично высказаться по поводу некоторых вопросов, касающихся цебельдинской культуры. Несомненно эта культура имеет ряд специфических данных, что, как уже отмечалось, дает возможность говорить об ее локальном характере. В месте с тем следует учесть и распространение отдельных элементов этой культуры за пределами исторической Апсолии, напр.: Керамику цебельдинских погребений все чаще находят при раскопках памятников Западной Грузии, как в прибрежной зоне, напр., в Пичвнари (Юго-Западная Грузия), так и во внутренней Эгриси (Лазика); также, погребения типа цебельдинских были обнаружены в верховьях р. Кодори, явно в регионе расселения мисимян и, возможно, других племен. Участились находки и цебельдских топоров, типологически близкие их аналогии известны и за пределами Западной Грузии. Мы склонны думать, что, связывать их с европейскими "франциссками" (Ю. Воронов) менее правдоподобно, их близкими аналогами следует считать т. н. бартахты (Bartacht), что возможно, является результатом широких контактов Лазики (и Апсолии) довольно с просторным регионом римско-византийского мира, экономического, а также политического характера. Не исключено, что некоторая однородность материалов связана и перемещением значительного количества воинских контингентов. На экономические связи указывают материалы раскопок прибрежных городо-крепостей (Питиунта (Апакидзе 1978), Себастополиса (Трапш 1969), Гиеноса (Шамба 1988) и др.), Цебельды (Трапш 1971).

Следует вернуться к вопросу об этнической принадлежности, отдельных этнических групп по данным археологии. В книге «История Абхазии» авторами выделяется вопрос о санигах и об их материальной культуре. Авторы расплают данными из трех пунктов, причем по характеру и хронологии, не совсем совместимыми и, что больше удивляет, все они были обнаружены только на территории Северного Кавказа. Среди этих материалов особо выделяется комплекс женского погребения из с. Лоо (близ Сочи) (Иванова, Голубев 1961). Материалы, как нам известно, полностью еще не опубликованы. Сравнительно полно их описал Ю. Воронов (Воронов 1990).

Комплекс из погребения с. Лоо (серебряная посуда, золотые серьги, фибулы, стеклянный кубок с греческой надписью и др.) не содержит ничего специфического, чтобы можно было отнести эти предметы только к культуре санигов; часть их правда, может быть, и является продукцией босфорских мастерских.

Комплекс из Лоо в научной литературе часто приводится как ближайшая аналогия найденных в Колхиде (ср. Клдееи (Ломтатидзе 1957), Бори, Гонио (Лордкипанидзе, Микеладзе, Хахутаишвили 1980) и др.) Несколько поздними могут быть аналогии из Иберии, в первую очередь, предметы украшений из погребений Армазисхеви (Мцхета).

В конце отметим, что вопросы этнической атрибуции упомянутых в источниках племен Западного Закавказья и их соотношения с археологическими культурами, требуют дальнейших исследований.

Литература

Апакидзе 1978: Апакидзе А. М. "Великий Питиунт". Археологические раскопки в Пицунде. Великий Питиунт, Том III, Тбилиси.

Воронов 1975: Воронов Ю. Н. Тайна Цебельдинской долины. Москва.

Воронов 1990: Воронов Ю. Н. Сочи и его окрестности. Краснодар.

Воронов 1998: Воронов Ю. Н. Древняя Апсилия. Сухуми.

Гзелишвили 1947: Гзелишвили И. А. Остатки кремаций в глиняных сосудах в Абхазии. Сообщения АН ГССР, том.VIII, №1-2. Тбилиси.

Джапаридзе 1979: ვ. ჯაპარიძე. წებულის კულტურის ისტორის ზოგიერთი საკითხისთვის. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. ტ. II, თბილისი.

Иванова, Голубев: Иванова М. И., Голубев П. М., Находки в Лоо. СА, 1961, №3, Москва.

Ломтатидзе 1957: გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბილისი.

Лордкипанидзе, Микеладзе, Хахутаишвили 1980: Лордкипанидзе О. Д., Ломтатидзе Т. К., Хахутаишвили Д. А., Гонийский клад. Тбилиси.

Трапш 1969: Трапш М. М., Сухуми в позднеантичное время. труды, том III.

Трапш 1971: Трапш М. М., Культура цебельдинских некрополей, труды, том. III. Тбилиси.

Шамба 1988: Шамба С. М., Гиенос I, Тбилиси.

V. Japaridze (Tbilisi)

Some questions on archeology of North-West Colchis (I millennium)

Summary

During the last two decades some significant monuments of different epochs have been revealed and studied in Abkhazia. Most of them belong to the prehistoric period. Especially interesting are the results of recent excavations on some sites of Antique and Early Byzantine epochs (Eshera, Gienos, Sebastopolice etc.). Unfortunately, due to the certain reasons my data with regards to these monuments is not complete.

I have scarce recent information about the monuments of Roman and Byzantine epochs, and especially the burial grounds. From this point of view monuments of the Late Antique period from Gagra region are of particular interest (accidental finds, without documentation).

Results of relatively recent excavations in Tskhumi-Sebastopolice proved to be interesting as well: several Christian temples and some Byzantine remains have been found there. My special interest attracts I half of I millennium A.D., as after this time we have increasing amount of information about the ethnical groups, historical geography and other data of historical Colchis (territory of contemporary Abkhazia).

Identification of ethnical groups is rather difficult, especially when there is a little archaeological data. Thus I think that speaking about the archaeological cultures of Heniokhs, Apsiles, Abazgs, Sanigs and Misimians of the first centuries A.D. according to these data is premature.

Significant data from this point of view has been revealed after excavation of archaeological monuments of Kodori gorge. Beginning from the 60-ies of the past century should be mentioned the merit of archaeologist M. Trapsh. Further excavations filled our knowledge with more information about other monuments of the region, political and cultural center of which is considered to be Tsebelda. Thus the idea of separation of the Tsebelda culture and connection of it with specific ethnical entity we consider to be acceptable. Besides, searching the old settlements of Apsiles in the Basin of Phasisi River has no ground, as well as the attempt of identification of Sanig and Heniokh cultures (I. Voronov). Dissemination of separate elements of the "Tsebeldian Culture" in the upper reaches of Kodori River (Gentsvisi, Chkhalta, etc.) is not sufficient for identification of ethnical entities on this territory.

I consider the fact of revealing remains of Christian temples and settlements of VI century A.D and of the following period in such strategically important place as Sebastopolice to be very important. Scientific research of remains and cultural layers is still in the agenda of the scientists.

Cultural identification of the Christian temples of early and later periods requires complex research. From this point of view it is very important to take into the account relatively recent data from the village Reka (location Sachino), where the unique complex was damaged during the construction works. In this location several Byzantine fortresses, 6 temples and settlements of the same period, and also the Bronze Age settlement have been revealed (V. Bzhania). I hope than in future we will have the opportunity of getting more information about these monuments. Further research of archaeological monuments of Abkhazia requires collaboration of Georgian and Abkhazian archaeologists and relevant institutions.

ეთნოლოგია

Ethnology

Этнология

Т. М. Айтберов (Махачкала)
А. Р. Шихсаидов (Махачкала)

Первые арабоязычные письменные памятники, обнаруженные в Дагестане

Территория расселения табасаранцев (*къапъган*) является одним из древнейших центров мусульманской культуры на всем северо-восточном Кавказе. Связано данное обстоятельство с тем, что население Табасарана, прилегающего к Дербенту, где со времен Масламы Омейяда расселились десятки тысяч арабов, приняло ислам в пределах VIII – начале IX в. Сделано это было добровольно и без какого-либо шума, заметного окружающим, постепенно. Неудивительно поэтому, что в Табасаране находят старинные (XI – XII вв.) арабские надписи, вырезанные на камне, а вот теперь обнаружены нами арабские документы середины XIV в., имеющие местное происхождение.

Соответственно, документы, которые названы, являются ценнейшими историческими источниками для изучения далекого прошлого как табасаранцев, так и их соседей по региону. Касается это, причем, не только экономики и общественных отношений, но и языка. Дело в том, что эти арабские документы (XIV в.) несут в себе отдельные табасаранские слова (прежде всего названия предметов быта), а это – самая ранняя фиксация дагестаноязычного словарного фонда, выполненного арабскими буквами.

I. Акт о разделах имущества между наследниками Шакрака, сына Ахмада (748/1347-48 г.)

В 1979 г. Археографическая экспедиция сектора Востоковедения ИИЯЛ (ныне ИИАЭ ДНЦ РАН), при участии авторов этих строк, обнаружила в мечети даргинского селения Уркарах Дахадаевского района (Республика Дагестан) арабскую рукопись религиозного содержания, носящую название *Кисас ал-анбийя*, которая дошла до нас без начала и конца (всего 50 листов)¹. Написана она черными чернилами, *каلامом*, на листах (23 x 16 см) плотной по своей внутренней структуре, толстой, желтовато-белой (ныне) бумаги восточного изготовления. Частично огласованный текст (10 x 16 см) написан весьма красивым *наسخом* - его разновидностью, характерной и для Ближнего Востока XIV в., а также и несколько более раннего времени.

Акт о разделах написан на листах 19 б - 20 б серовато-черными по цвету (на данный момент) чернилами, широко заточенным тростниковым *каلامом*, на полях названной выше рукописи из Уркараха. Почерк документа - *наسخ*; начертание некоторых букв (например, «ба», «та», «лам», «нун» - в ее конечном написании, а также «ра» и «зейн» в их начальном написании) имеет четкие параллели в памятниках дагестанской эпиграфики XIII - XIV вв.²

¹ Ныне она, то есть *Кисас*, хранится в Рукописном фонде Института истории, археологии и этнографии Дагестанского научного центра Российской АН СССР (далее РФ ИИАЭ). Ф. 14. № 2381.

² См.: *Шихсаидов А. Р.* Эпиграфические памятники Дагестана X-XVII вв. как исторический источник. М. 1984. С. 46, 82, 83, 334, 336.

Текст акта частично огласован. В нем употреблены – для передачи звуков табасаранского языка, не имеющих достаточно близких параллелей в арабском – следующие две буквы: «кяф» с тремя точками вверху и «та» с тремя точками вверху. Первая буква при этом передает, видимо, звук *g* либо *kl*, а вторая - *mImI*. В конце акта стоят три значка, похожие по форме начертания на цифру «два» в её арабском написании. Это будет, скорее всего, арабское Тамма, тамма, тамма, что можно перевести как «конец».

В разбираемом документе содержатся табасаранские слова (*бархал, батImIул, курмяс, мукъу*)³, отражающие реалии быта, имевшие место в доме Шакрака и понятные его наследникам, а также свидетелям, присутствовавшим при написании *Акта о разделах*. Имеются в тексте последнего и дагестанские топонимы (пашнии принадлежавшие Шакраку), объясняемые, хотя бы отчасти табасаранским языком. Поэтому есть основания считать, что «Акт о разделах» сообщает о событиях 748/ 1347 - 48 г., происходивших на территории распространения табасаранского языка. Здесь обращают на себя внимание два факта. Первый оракт при составлении *Акта о разделах* присутствовал в числе свидетелей в 1348 г., носитель редкого на северо-восточном Кавказе имени «Асмад» (*А-с-м-д*). Второй - в селении Хив (Хивского района) РД сохраняется надгробие некоего Асмада – сына Иусуфа, скончавшегося в 758 / 1356 - 57 г.⁴ Для отождествления этих двух Асмадов, живших в первой половине XIV в. на территории, где употреблялся и употребляется табасаранский язык, основания, по-видимому, есть. Следовательно, вполне вероятно, что события, описываемые в *Акте о разделах* локализовать следует на территории нынешнего Хивского района.

Почерк, которым написан анализируемый акт, является весьма древним. Особенности написания некоторых букв - на это выше нами уже обращалось внимание - позволяет отнести его к XIV в. Вместе с тем, однако, местонахождение *Акта о разделах* имущества, кстати происходивших в весьма влиятельной и богатой табасаранской семье - на полях, а также отсутствие печатей или хотя бы *тамг* наводят на мысль, что здесь мы имеем дело не с подлинным текстом древнего документа, а с его очень старой копией. Возможно при этом, что относится она к XIV в.

П е р е в о д текста

Шакрак⁵ - сын Ахмада - умер во вторник двадцать пятого числа месяца *раджаб*⁶. После него остались, однако, [шариатские] наследники (*варис*): две его дочери, его жена и его сестра. Имя одной из дочерей Шакрака - Сафра⁷, имя другой - Азай⁸, имя его жены - Кисрин, имя его сестры – Каджума.

Каджума – сестра Шакрака умерла, оставив после себя дочь, которая уже была тогда женой Кабли⁹. Они заспорили тут по поводу наследства, [доставшегося от] Шакрака, и в конце концов разделили это наследство между двумя его дочерьями, его женой и дочерью его сестры. Долю

³ При работе над табасаранским языковым материалом, встреченным как в этом, так и других актах мы пользовались любезными консультациями, проф. М. Г. Юсуфова и сотрудника ИИЯЛ К Т. Шалбузова.

⁴ Шихсаидов А. Р. Указ. раб. С. 64 - 66.

⁵ В тексте: *Ш-к-р-к*.

⁶ Видимо, 25 раджаба 748 □. х., что соответствует 1.XI. 1347 г.

⁷ В тексте: *С-ф-раи*.

⁸ Можно иначе: *Аза*.

⁹ Над *кяф* стоят три точки; чит. Габли (?)

дочери его сестры, которую звали Каджума, составили следующие пашни и луга: одна пашня [находящаяся в] Йакардия¹⁰ размером в сандас¹¹; один луг [находящийся в] Йакардия размером в вурдуф¹²; одна пашня [охватывающая] весь Гариная¹³.

Этот раздел [т.е. его правомочность и обоснованность] засвидетельствовали: Дагал-бек¹⁴, Аммар¹⁵, Занки¹⁶, Амур¹⁷ и Кимким¹⁸.

Этим разделом они стали довольны и, как результат, рассеялись по своим домам.

Затем они, однако, опять заспорили, но уже по поводу домашнего имущества (къумашина)¹⁹.

Из [всего] домашнего имущества, причитающегося наследникам, перешло дочери сестры Шакрака²⁰ следующее: шесть ратлов чистой конопли; один бархал²¹; один калак²², в котором [помещается] восемь сандасов муки. Кабли и его жена перенесли это выделенное [им] домашнее имущество в свое селение.

Они заспорили затем по поводу доли [от] крепости, усадьбы (*дур*²³ загона и «концов» (*хашийа*)²⁴. Примирились на [условии предоставления] взамен этих признаков владельческого достоинства (*малака*)²⁵ - батила²⁶ в пять ратлов²⁷; одного бархала; одного курмаса²⁸; сорока локтей конопляной ткани²⁹; одной бычьей шкуры; одного муку³⁰.

Это примирение заключил Мухаммад-Факих, сын Бакур-Йусуфа.

Свидетели этого примирения: Дагал-бек, Асмад, Аммар из селения Кахран³¹, Абдул, Усман, Кудай³² и Амур.

Воскресенье, семнадцатое число месяца шаввал семьсот сорок восьмого (1348) года после хиджры избранного пророка.

«А кто изменит это после того, как слышал, то грех будет только на тех, которые изменяют это. Поистине Аллах - слышащий, знающий!»³³.

¹⁰ Над *кяф* стоят три точки. В тексте: *Й-к-р-диа*, чит. *Ягардия* (?).

¹¹ В тексте: *с-н-д-с*.

¹² В тексте: *в-р-дуф*.

¹³ Чит. *Гъаринакъ // Гъаринахъ*.

¹⁴ В тексте: *Д-г-л-б-к*; чит. *Даггал-бек*.

¹⁵ Чит. *Гаммар*.

¹⁶ Чит. *Занги*.

¹⁷ Чит. *Гамур*.

¹⁸ Можно иначе: *Ким-ким-р*.

¹⁹ Местное искажение тюркского *къумач*.

²⁰ В тексте: *его*.

²¹ *Бархал* (табас.) «палас».

²² В настоящее время табасаранцам слово *калак* - примерным значением «вместилище» - неизвестно. Обращает на себя внимание тут, однако, то, что в соседнем (родственном табасаранскому) даргинском языке имеется слово *гавлаг* «мешок»; <к персидскому *кулак* «корзина, коробочка». Вполне возможно поэтому, что слово *калак*, имелось в табасаранском языке XIV в. и обозначало нечто вроде: мешок, торба, корзинка и т. д.
Заказ 949

²³ Можно иначе: «жилища (*дарг*. мн. Ч. – *дур*).

²⁴ Возможно, речь идет о службах, входивших в систему укрепленной усадьбы.

²⁵ Можно иначе: «за эти объекты владения».

²⁶ *Батмил* (табас.) «кастрюля».

²⁷ Это арабское по происхождению название меры объема было употребляемо во многих языках Дагестана. [См. Материалы по метрологии народов Дагестана. // Вопросы истории Дагестана. Махачкала, 1974. Вып. I. С. 167 - 178, 182].

²⁸ *Курмяс* (табас.) - разновидность паласа.

²⁹ В тексте: *одежд из конопли*.

³⁰ *Мужу* (табас.) - лемех.

³¹ В тексте: *К-х-ра-н*.

³² Можно иначе: *Куда*.

³³ Коран, II, 177, (181).

Кабли — с ним Амур³⁴ - перенес назначенное ему в свой дом, согласно этому примирению и при этих свидетелях.

Конец³⁵

II. ДВА АКТА О ПРОДАЖЕ ЧЕЛОВЕКОМ ПО ИМЕНИ ГАБЛИ ПАШНИ И ЛУГА, НАХОДЯЩИХСЯ В МЕСТНОСТИ ЯГАРДИИ, НЕКОМУ ВАЛАС-АХМАДУ И ЕГО ЖЕНЕ КЕСРЕН (ПОСЛЕ 1348 г.)

Документы эти начертаны той же рукой, которой написаны и *Акт о разделах имущества, имевших место между наследниками Шакрака - сына Ахмада*. Находятся эти два *Акта о продаже* на полях той же самой рукописи, именуемой *Кисас ал-анбийа*, которая была в 1979 г. обнаружена в Уркарахе;

см. л. 21а.

Табасаранский звук *кI*, отсутствующий в арабском языке, передан в тексте арабской буквой *кяф*.

В *Актах о продаже* упоминаются Габли и Кесрен, известные нам из *Акта о разделах*, датированного 1348 г. Кроме того, в первых двух актах из числа названных арабоязычных документов речь идет о продаже пашни и луга, расположенных в местности Ягардия, которые, согласно *Акту о разделах*, являлись долей жены Габли, перешедшей ей по наследству от Шакрака. Следовательно, эти *Два акта о продаже* были составлены после 1348 г. По причинам, о которых уже говорилось в предисловии к *Акту о разделах*, есть основания считать, что разбираемые здесь *Два акта о продаже* являются старой копией, снятой, возможно, в XIV в.

Перевод текста

Каблн продал Балас-Ахмаду³⁶ и его жене пашню Йакардиа³⁷: *за*³⁸ одного быка, черный щит и за один из ярбакских³⁹ луков.

Кабли продал затем Балас-Ахмаду и его жене Кесрен еще и луг, находящийся на Йакардиа: за⁴⁰ одну корову, сорок локтей конопляной ткани⁴¹, и за подушку из камки (*камха*)⁴².

Эти два акта засвидетельствовали: Амур⁴³, Даджи-Муса⁴⁴, Убхар-Салма⁴⁵, Аммар сын Али-Даджаджа и Гасар⁴⁶. В этом месте [были] тогда, причем, и другие люди, поименно не записанные.

³⁴ В тексте: *А-М-Р*.

³⁵ Это слово написано в арабском тексте акта аббревиатурой.

³⁶ В тексте: *Б-л-с...*

³⁷ Над арабской буквой «кяф» стоят здесь три точки.

³⁸ Букв. *за стоимость*.

³⁹ Чит. *ярбакI* (табас.) – селение Кубачи; в авар. УргъабекI.

⁴⁰ Букв. *за стоимость*.

⁴¹ Букв. *одежда из конопли*.

⁴² Разновидность шелковой ткани, парчи.

⁴³ После этого имени собственного («Амур»), также как и после других таких же имен стоит арабское слово «один».

⁴⁴ *Даж* (табас.) — «осел».

⁴⁵ Не исключено, что произносить следует *Убхад-Салтан*.

⁴⁶ В тексте: *Гъ-с-р*.

**III. АКТ О ПРОДАЖЕ ЧЕЛОВЕКОМ ПО ИМЕНИ ГАБЛИ
ПАШНИ, НАХОДЯЩЕЙСЯ В МЕСТНОСТИ ГАРИНАК, НЕКОМУ АСМАДУ И
ЕГО ЖЕНЕ САЛВАН
(ПОСЛЕ 1348 г.)**

Документ этот начертан той же рукой, которой написаны и *Акт о разделах имущества, имевших место между наследниками Шакрака - сына Ахмада*. Находится *Акт о продаже* на полях той же самой рукописи Кисас ал-анбийа»; см. л. 20 - б.

В *Акте о продаже* упоминаются Габли и Асмад, известные нам из *Акта о разделах*, датированного 1348 г. Кроме того, в первом документе речь идет о продаже пашни, лежащей в местности Гаринак, которая, согласно Акту о разделах, от 1348 г., являлась долей жены Габли - в наследстве, оставленном ей Шакраком. Следовательно, *Акт о продаже* был составлен после 1348 г.

По причинам, о которых уже говорилось в предисловии к *Акту о разделах*, есть основание считать, что *Акт о продаже* является старой копией, относящейся, возможно, к XIV в. Добавим, что названный вывод подтверждается здесь фактом пропуска в тексте документа (III) объема сосуда, отданного в уплату за пашню: «батил, в который [помещается столько-то]».

Перевод текста

Кабли продал Асмаду и его жене Салван⁴⁷ пашню [лежащую в местности] Гаринак: за⁴⁸ одну красную корову; один батил, в который [помещается столько-то]⁴⁹; тулак⁵⁰; за двадцать с половиной локтей хлопчатой ткани⁵¹.

Эту продажу засвидетельствовали: Ахир-Аммар⁵², Дагал-бек, брат Кабли [по имени] Гамр⁵³, Мал-хан⁵⁴, сын Дабаргани⁵⁵.

⁴⁷ В тексте: *С-л-ван* или, может быть, *С-л-ваз*.

⁴⁸ Букв. *за стоимость*.

⁴⁹ Объем пропущен, как думается, при переписке, то есть при копировании текста акта.

⁵⁰ В тексте: *тI-лакъ* или *тI-лаф*.

В современном табасаранском языке *тIулакъ* «обмотки».

⁵¹ Букв. *одежды*.

⁵² Можно иначе: *другой Аммар*.

⁵³ В тексте: *Гъ-м-р*.

⁵⁴ В тексте: *М-л-х-н*.

⁵⁵ В тексте: *Д-б-р-гъани*.

ტ. მ. აიტბეროვი (მაჰაჩყალა)
ა. ი. შიხსაიდოვი (მაჰაჩყალა)

დაღესტანში აღმოჩენილი პირველი არაბული ხელნაწერები

რეზიუმე

თაბასარანელებით დასახლებული ტერიტორია მუსლიმური კულტურის ერთ-ერთი უძველესი ცენტრია მთელს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში. ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ თაბასარანელები სახლობდნენ დერბენთან ახლოს, სადაც მუსლამ ომეიდეს პერიოდიდან, მე-8 საუკუნის ბოლოსა და მე-9 საუკუნის დასაწყისში, ათასობით არაბი ჩამოსახლდა და მოიტანა ისლამი. ეს პროცესი მიმდინარეობდა თანდათანობით, ნებაყოფლობით, რაიმე აურზაურის გარეშე. ამასთან დაკავშირებით, თაბასარანში ქვაზე შესრულებული ძველი არაბული წარწერები (XI-XII სს) აღმოაჩინეს. ამჟამად აღმოჩენილია XIV საუკუნის ადგილობრივი წარმოშობის არაბული დოკუმენტები.

ეს დოკუმენტები ღირებული ისტორიული წყაროებია როგორც თაბასარანელების, ისე მათი მეზობლების ისტორიის შესასწავლად. ის გვაწვდის ინფორმაციას არა მხოლოდ ეკონომიკასა თუ სოციალურ ურთიერთობებზე, არამედ ენაზეც. თაბასარანული სიტყვები აღმოჩნდა არაბულ დოკუმენტებში (XIV ს.). ეს არის ყველაზე ადრე დაფიქსირებული არაბული ასოებით დაწერილი დაღესტნური ლექსიკური ფონდი.

დოკუმენტები აღმოჩენილი იქნა არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1979 წელს დახადავის რაიონის სოფელ ურკადის მეჩეთში (დაღესტნის რესპუბლიკა).

T. Aitberov (Mahachkala)
A. Shikhsaidov (Mahachkala)

The first Arabian manuscripts discovered in Dagestan

Summary

The territory settled by the Tabassarans is one of the oldest centers of Muslim culture in whole North-East Caucasus. It is caused by the fact that the Tabassarans who settled near Derbend where since the period of Muslam Omeide thousands of Arabians had settled, took Islam in the end of the 8th and at the beginning of the 9th c. This process took place gradually, voluntarily without any fuss. Owing to this in

Tabassaran the old (11-12th cc.) Arabian inscriptions on a stone were discovered. At present the Arabian documents of local origin (14th c.) were discovered.

These documents are valuable historical sources in studying Tabassarans' history as well as their neighbors' one. It concerns not only economy and social relations but a language. The Tabassaran words reflecting the living articles occur in the Arabian documents (14th c.). This is the earliest fixation of Dagestaniaan vocabulary fund in Arabian letters.

The documents were discovered by archeological expedition in 1979, in the mosque of Urkadi of the Dakhadaev region (Republic of Dagestan).

გ. გოცირიძე (თბილისი)

სოციალურ ურთიერთობათა ტრადიციული სისტემების ტრანსფორმაციის ზოგიერთი ასპექტი კავკასიის ხალხთა კომუნიკაციურ კულტურაში

კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობებისა და ტრადიციული სოციალური ინსტიტუტების წარმოშობის საფუძვლები შორეულ წარსულშია საძიებელი.

საკომუნიკაციო კულტურის, ამ მეტად რთული და უნიკალური მოვლენის შესწავლა თანამედროვე ანთროპოლოგიური და ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

ხასიათდება რა მოქმედების ფართო სპექტრით, ხალხთა ურთიერთობის ტრადიციული სისტემები და მათ შორის სოციალური ინსტიტუტები, ქცევის ეტიკეტთან ერთად, ეთნიკურ-ყოფითი პროცესების კომპლექსური კვლევის ერთიან სიბრტყეშია მოქცეული; ამ პროცესების კვლევისათვის, წმინდა ეთნოლოგიურ მონაცემებთან ერთად ეთნოლინგვისტური და ეთნოფსიქოლოგიური მონაცემებიცაა გასათვალისწინებელი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა დარგებისაგან განსხვავებით (სოციოლოგია, ფილოსოფია), რომელთაც ეტიკეტი მხოლოდ ქცევის მოტივაციურ ქმედებად მიაჩნიათ, ეთნოლოგიურ მეცნიერებას ეს პრობლემა აინტერესებს უფრო ფართოდ და ღრმად, კულტურულ-ისტორიულ ჭრილში, როგორც ყოფითი კულტურის ორგანული ნაწილი, რომელიც თავის მხრივ საზოგადოების განვითარების ცალკეული ეტაპების ამსახველია. ამდენად მიგვაჩნია, რომ ურთიერთობის სისტემა და ქცევის ეტიკეტი წარმოადგენს თავისებურ კომუნიკაციურ ფენომენს (მეტაენას) სოციუმის სოციალური ბუნებისა და მისი ისტორიული ფორმირების თავისებურებათა გარკვევისათვის, რაც თავის მხრივ, ვლინდება მოცემული ეთნოსის თვითშეგნებასა და მენტალობაში (ბლაუნოკოვი 1999).

ჩვენი ღრმა რწმენით, კომუნიკაციური, ანუ როგორც ახლა მას უწოდებენ ლექსტონიკური, ტიპის კულტურა შეიძლება მივაკუთნოთ ზეპირი ისტორიების სფეროს, არანაკლებ ფასეულს, ვიდრე წერილობითი წყაროები, თუმცა წერილობით წყაროები, თავის მხრივ, გვაწვდიან უაღრესად საინტერესო და ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მონაცემებს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით (კომუნიკაციური კულტურის შესახებ იხ. თჰადაფსოევი 2000, 51; კვიციანი 2010, 31).

დღეს ორი საუკუნის მიჯნაზე (XX-XXI) ანუ მესამე ათასწლეულის დასაწყისში, გამძაფრებული ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების, საყოველთაო გლობალიზაციის, ვესტერნიზაციის და ურბანიზაციის პირობებში სოციალურ ურთიერთობათა კვლევა, მათი მეცნიერულ-შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობის დადგენა განპირობებულია კულტურულ ისტორიული მემკვიდრეობის გადარჩენისა და დაცვის აუცილებლობით. ასეთ ამოცანათა რიცხვს, უნიკალურ ხუროთმოძღვრულ და სხვა სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებთან ერთად, განეკუთვნება სო-

ციალური-საკომუნიკაციო სისტემებიც მათ შორის სტუმართმოყვარეობის, ანუ მამამშეობის, სხვისშვილობის, ყონალობის, ნათლიობის და სხვა ინსტიტუტები.

ეთნოლოგთა გარკვეული ნაწილი აღნიშნულ ინსტიტუტებს ხელოვნური ნათესაობისა და აღზრდის სისტემათა შემადგენლობაში განიხილავს, ჩვენი აზრით კი ყველა ისინი შეიძლება გაერთიანდეს ერთი საერთო ქუდის ქვეშ, კერძოდ, ლექტონიკური ტიპის საკომუნიკაციო კულტურაში, რომელიც ყოველთვის ეყრდნობოდა და ახლაც ეყრდნობა თვითრეგულირების ხალხურ მექანიზმს, მისი დროსა და სივრცეში მომხდარი ცვლილებების – ტრანსფორმაციის გათვალისწინებით, ამასთან ერთად ყოველი სოციალური ინსტიტუტი ზოგადად კავკასიური ცივილიზაციის იდენტიფიკაციის გამომხატველიცაა (თჰალაფსოვეი 2000. 51).

ვ. ცივიანის სიტყვებით რომ ვთქვათ: ტრადიციულ ინსტიტუტებში, მათ სოციალურ-ეკონომიკურ, ყოფით და რელიგიურ ასპექტებში, ეთნიკურ ნორმებში, შეზღუდვებსა და აკრძალვებში ჩადებულია ეთნოსისათვის დამახასიათებელი ეროვნული კულტურის მახასიათებლები, მათი თავისებურებები, ადამიანის (პიროვნების) სოციალური სტატუსის და იმუნიტეტის, მენტალობისა და იდენტობის ნიშნები, რომელთა ერთიანობა კომუნიკაციური კულტურის თავისებურ მოდელს აყალიბებს (ცივიანი 1964, 76). გარკვეული მოსაზრების გამო ჩვენ აქ არ შევუდგებით ცნების – „კავკასიის ცივილიზაციის“ შესახებ არსებულ თეორიულ შეხედულებათა ანალიზს და მიგვაჩნია, რომ ეს პრობლემა საგანგებოდისკუსიის საგნად რჩება (იხ. აბდულატიპოვი 1995, თჰალაფსოვეი 2000; თოფჩიშვილი 2011; კვიციანი 2007; კვიციანი 2010 და სხვა).

წინამდებარე სტატიაში შევხებით მხოლოდ ურთიერთობის ტრადიციულ სისტემათა ტრანსფორმაციის ზოგიერთ ასპექტს კავკასიის ხალხებში, სახელდობრ: ათალიკობის (მამამშეობის), გაძიძავების, შვილად აყვანის ჩვეულებებს.

ათალიკობა. ათალიკობა კავკასიის ხალხებში ყველაზე ძველი სოციალური ინსტიტუტია, რომელიც ეთნოგრაფიულ სინამდვილეს თითქმის გასული საუკუნის 30-50 წლებამდე შემორჩა. ის კარგად ახსოვთ დღევანდელ ინფორმატორებსაც. თუმცა თავდაპირველი სახით თითქმის აღარსად არ არის შემორჩენილი, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ გამონაკლის შემთხვევებს.

ტერმინი „ათალიკი“ თურქული წარმოშობისაა და „მამამშეობის“ - აღმზრდელს, გამზრდელს ნიშნავს. ძველ დროში მიღებული წეს-ჩვეულებების თანახმად, შეძლებული ოჯახები - თავადაზნაურები თავიანთ შვილებს (უმეტესად ვაჟებს) გასაზრდელად აძლევდნენ საგანგებოდ შერჩეულ ოჯახებს, სადაც ბავშვი გარკვეულ ასაკამდე (12-14 წ.) იზრდებოდა. ამ ოჯახის უფროსი ბავშვის „ათალიკი“ ანუ მამამშეობე ხდებოდა. ეს იმდენად ძლიერი, ტრადიციული ჩვეულება იყო, რომ დღესაც კავკასიის ცალკეულ რეგიონებში (მათ შორის საქართველოში, აფხაზეთში, სამეგრელოში, სვანეთში, რაჭაში, იმერეთში, კახეთში) შემორჩენილია ძალზე საინტერესო გადმოცემებით. მისი არსებობისა და მოქმედების შესახებ ირკვევა, რომ „ათალიკს“ ოჯახი ირჩევდა არა თავისი გვარის (თავისი სისხლით ნათესავეების) წრიდან, არამედ სხვა გვარიდან (ჯავახიშვილი 1977, 97). ოსებშიც ათალიკებს სხვა გვარში, კარგი შეძლების მქონე „ძლიერი მამაკაცების წრიდან“ - „ფარსაგლაგებს“ ირჩევდნენ. მასთან ერთად ირჩევდნენ ძიძებს, „უმაკებს“, „კნეკებს“, რისთვისაც ოფიციალური „ხელისუფლის“ ნება არ იყო საჭირო (ჯავახიშვილი 1998, 98).

ათალიკების ფუნქციაში (მოვალეობაში) შედიოდა ახალგაზრდის ფიზიკური და მორალური აღზრდა, მასში შრომითი ჩვევების გამომუშავება, მხედრული და საბრძოლო წესების დაუფლება, იარაღის ხმარების, ადათობრივი სამართლის ცოდნა, ეტიკეტის,

სტუმართმოყვარეობისა და სუფრის ტრადიციების ათვისება და სხვა, რისი გამოვლინებაც ე. წ. „ინიციატიურ“ წესებში შედიოდა.

როცა აღზრდისათვის საჭირო ყველა პირობა შესრულდებოდა და აღზრდილს სათანადო ასაკი შეუსრულდებოდა, „გასხვისებული შვილი“ თავის ოჯახს – ნამდვილ მშობლებს უბრუნდებოდა. ეს იყო მთელი პროცესი, რომელსაც თან ახლდა აღმზრდელი (ათალიკი) და ძუძუმტეები, რძით დაძმობილებულები. აღზრდილის მამა ამ დღისათვის საგანგებო ლხინს (ნადიმს) მართავდა და მასზე იწვევდა არა მხოლოდ ახლო ნათესავებს, არამედ მეზობლებს და ყმა-გლეხებსაც კი (მათთვის ცალკე სუფრა იმლებოდა). მადლიერების ნიშნად ათალიკი გაზრდილის მამისგან ღებულობდა სხვადასხვა საჩუქარს, ფულს, ნატურალურ პროდუქტებს, საყოფაცხოვრებო საგნებს, ტანსაცამელს, ჩოხა-ახალუხს, ცხენს, რქოსან პირუტყვს, იარაღს და სხვა. ხშირად ყველაფერი ეს საკმაოდ ფასეულ სიმდიდრეს წარმოადგენდა მაგ. ოსებში ათალიკს აძლევდნენ 100 სულ ცხვარს, სპილენძის ჭურჭელს, კარგ იარაღს, ცხენს, რამდენიმე სულ საქონელს და მსახურს – მოახლესაც კი. ამასთან ცნობილია ისიც, რომ მათში „ემცევი“ (ანუ აღმზრდელი, გამზრდელი) აღზრდილის კარზე ყოველთვის მიღებულ პირად ითვლებოდა და მას საზოგადოებაშიც პატივით ეპყრობოდნენ, ასეთივე პატივით ექცეოდნენ ძიძასაც (ჯავახიძე 1998, 98). ოსთა მსგავსად ათალიკობის ანუ გაძიძავების ჩვეულება გავრცელებული იყო კავკასიის ყველა სხვა ხალხში. საქართველოში იგი ძველი დროიდან დასტურდება. მაგ. რაჭველები თავიანთ შვილებს ხშირად აძიძავებდნენ ყაბარდო-ბალყარეთში ყონალებთან (კერძომოკეთებთან – კერძებთან), ასევე იქცეოდნენ ქართველების მიმართ თავად ყაბარდოელები, ჩერქეზები, აჭარლები (რეხვიაშვილი 1977, 17).

ჩრდილო კავკასიაში თავიანთი „ათალიკები“ და „ყონალები“ ჰყავდათ სვანებსაც და მეგრელებსაც. აღმოსავლეთ საქართველოდან კი – ფშაველებს, თუშებს, მთიულებს, კახელებს, ისინი უმეტესად დაღესტნელებთან მეგობრობდნენ (ომარაშვილი 2008, 01, აზიკური 1998, 78).

რაც შეეხება საკუთრივ ყონალობის ინსტიტუტს, რომელიც სტუმართმოყვარეობის ტრადიციიდან არის აღმოცენებული, უდიდესი როლი შეასრულა კავკასიის ხალხთა ურთიერთობების განმტკიცებაში. ის აფერხებდა და აჩერებდა უთანხმოებების ცალკეულ შემთხვევებს, როგორც წესი, არ ხდებოდა კონფლიქტები და დაპირისპირებები. პირიქით ძალიან ხშირად სადავო საკითხების გადაწყვეტაში „აქსაკალებთან“ (უხუცესებთან) ერთად ყონალებიც მონაწილეობდნენ. უფრო მეტიც, ამ უნიკალური ინსტიტუტების მეოხებით XIX საუკუნეში ჩრდილო კავკასიაში (ძირითადად ყაბარდო-ბალყარეთში) შეიქმნა ქართველთა დასახლებები, რომელთა შთამომავლები ახლაც იქ ცხოვრობენ. აქ დასტურდება ქართული წარმოშობის მთელი რიგი ბალყარული გვარები, რომელთა ძირები ქართულია, თვითშეგნებაში შემონახულია ძველი გადმოცემით მიღწეული ეროვნული ცნობიერების ნიშნები (რწმენა ქართველობის შესახებ) და იდენტობის სხვა მახასიათებლები. რაც შეეხება ენას და რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, ამ მხრივ ვითარება აშკარად შეცვლილია (მუსუკაევი 2003, 170; გოცირიძე 2010, 65).

დავუბრუნდეთ ათალიკობას. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ათალიკობას ხშირად აიგივებდნენ რძით დანათესავების სისტემასთან, რადგან ათალიკებს ოჯახებში ყოველთვის ჰყავდათ ძიძები, რომლებიც თავისი რძით კვებავდნენ და ამით ანათესავებდნენ ერთმანეთთან სხვადასხვა ეთნოსის შვილებს. ამდენად, რძით ნათესაობა უტოლდებოდა სისხლით ნათესაობას. ოსებში ასეთი გამოთქმაც კი არსებობს: „რძე ისე შორს მიდის, როგორც სისხლი“ (ჯავახიძე 1998, 98).

რძით დანათესავებულები „ძუძუმტეები“ ძმებად ითვლებოდნენ და ამ ნათესაობას მთელი ცხოვრება ინარჩუნებდნენ, ესმარებოდნენ ერთმანეთს ჭირსა და ღვინაში და ამავე დროს მტკიცედ იცავდნენ გარკვეულ აკრძალვებს, მაგ., ურთიერთშორის ქორწინების ეგზოგამიურობას. ეს აკრძალვები მათ შთამომავლობაშიც გადადიოდა.

ათალიკობა და რძით დანათესავების ჩვეულება განსაკუთრებით მტკიცედ, რელიგიურად იყო გავრცელებული აფხაზებში. აფხაზურად ათალიკს „აბაზე“ ეწოდებოდა, ძიძას კი „აზაკე“. ბზიფის ხეობაში გავრცელებული იყო ტერმინი „აადზარა“, რაც ქართულად ძიძას ნიშნავს (ბახია – ოქრუაშვილი 2011, 51).

აბუყის აფხაზებში რძით ნათესაობის აღსანიშნავად მოქმედებდა ტერმინი „ახ-აშთარა“, ხოლო ბავშვის გამზრდელს – ძიძას, გადიას „ახუფხუს“ ეძახიან. ადათის მიხედვით აფხაზებიც თავიანთ ძეებს აღსაზრდელად აუცილებლად სხვა გვარის წარმომადგენლებს აძლევდნენ და არა მხოლოდ თავიანთ აზნაურთა წრიდან შერჩეულებს, ყმა-გლეხებშიც აძიძავებდნენ. აფხაზი თავადის ქალი, როგორც წესი, თვითონ არ აწოვებდა პირმშოს ძუძუს, ამიტომ რიგ შემთხვევაში ძიძა სახლში მოჰყავდათ (ბახია-ოქრუაშვილი 2011, 53).

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის გაძიძავება ხშირი მოვლენა იყო. ასეთ წესს იცავდნენ მაგ. თავადები: შერვაშიძეები, აფაქიძეები, ჩაჩბები და სხვა (ინალ-იფა 1989, 741; ჯანაშია 2086, 91).

ეს ფაქტი კი თავის მხრივ კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს წარსულში ქართველთა და აფხაზთა მჭიდრო კულტურული და ნათესაური ურთიერთობების არსებობაზე.

ახლა მოკლედ შევეხოთ სოციალურ ინსტიტუტთა მეცნიერულ კვალიფიკაციებს.

ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ამ თემასთან დაკავშირებით ცალსახა აზრი არ არსებობს. მ. კოვალევსკის მიხედვით, „ათალიკობის“ ინსტიტუტის წარმოშობა გვაროვნული საზოგადოების არქაულ პერიოდს უკავშირდება. ის წერდა, რომ ჩერქეზებში ამას იმიტომ ჩადიდებდნენ, რომ პოლიგამიური ქორწინების ფარგლებში შეუძლებელი იყო ბავშვის მამის ვინაობის დადგენა (კოვალევსკი 1980, 11). მ. კოვსინი, რომელიც ნაწილობრივ იზიარებდა კოვალევსკის მოსაზრებებს, თვლიდა, რომ ამ ჩვეულების მეოხებით კაკასიის მთიელები აჩერებდნენ ან აფერხებდნენ შიდა გვაროვნულ შუღლს და რაღაც თანხმობას ამყარებდნენ ერთმანეთს შორის. მკვლევრის აზრით ათალიკობამ უდიდესი როლი შეასრულა ეთნოსთა შორის ურთიერთობაში გვაროვნული საზოგადოებიდან ფეოდალურში გარდამავალ საფეხურზე (კოსვენო 1951, 97).

ი. სმირნოვა ამტკიცებდა, რომ აღნიშნულ სოციალურ ინსტიტუტში ნათლად იკვეთება მატრიარქატის ნიშნები, რადგან ათალიკებს ოჯახები ირჩევდნენ საკუთრივ დედის ნათესავების მხრიდან. ავტორი იქვე იმასაც დასძენს, რომ ათალიკებს ფეოდალურ ხანაში თავდაზნაურები საგანგებოდ არჩევდნენ არა მხოლოდ ფეოდალური წრიდან, არამედ ყმა-გლეხებიდანაც, რომელთაც ასევე აწოვდათ ამ პირობებზე წასვლა, რადგან კარგ ანაზღაურებას და საჩუქრებს ღებულობდნენ (სმირნოვა 1951, 71).

ივ. ჯავახიშვილი, ეყრდნობოდა რა ქართლის ცხოვრების („მოქცევაი ქართლისა“) ტექსტს (სადაც ტერმინი „აღმზრდელი ქალია“ მოხსენიებული), ამ ჩვეულების არსებობას საქართველოში უძველესი დროიდან მიიჩნევდა და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ თავდაპირველად ათალიკი მამაკაცს ერქვა, შემდეგ კი ძიძაზე (მეძუძურ ქალზე) გადავიდა, რადგან ის – ძიძა ათალიკის (მამამძუძის) სახლში ცხოვრობდა (ჯავახიშვილი 1977, 121).

ეთნოლოგი ნუგზარ მგელაძე არ ეთანხმება აზრს მამამძუძეობის ინსტიტუტის არქაულ-გვაროვნულ საზოგადოებაში წარმოშობის თაობაზე და წერს, რომ თუ ასეთი

რამ იყო, მაშინ ის გადმონაშთის ხასიათის სახით უნდა შემორჩენოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსაც (მხედველობაში აქვს თუშეთი, ფშავი, მთიულეთი). ვფიქრობთ, ავტორი გადმონაშთში საკუთრივ გვაროვნული საზოგადოების ნიშნებს გულისხმობს და არა თავად ინსტიტუტს, რადგან ინსტიტუტი (სხვისიშვილობა, გაძიძავება), ყონალობასთან ერთად, მთელს კავკასიაში და მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის რეგიონებშიც ძველი დროიდან ჩანს და ყოფაშიც კარგად იყო დამკვიდრებული (აზიკური 1998, 37; ომარაშვილი 2008, 71).

აფხაზეთის მაგალითზე ათალიკობის ინსტიტუტის შესახებ ვრცლად მსჯელობს ს. ბახია-ოქრუაშვილი. მკვლევარი თვლის, რომ ათალიკობა აფხაზებში ქართულიდან უნდა იყოს შეთვისებული ფეოდალურ ხანაში, რადგან ეს ინსტიტუტი, მისი აზრით, წმინდა ფეოდალური წარმონაქმნია, ფეოდალიზმი კი იმ სახით, რა სახითაც ის საქართველოში იყო ჩრდილო კავკასიის ხალხებში, მაგ., ადიღეელებში (საიდანაც უნდა იყვნენ ისინი წამოსულები) არ არსებობდა (ბახია-ოქრუაშვილი 2011, 180).

ჩვენ ვფიქრობთ, აქ ავტორი ცოტა არ იყოს უზუსტობას უშვებს, რადგანაც, ჯერ ერთი, უნდა ითქვას, რომ ფეოდალიზმის ცნება ძალიან ფართოა. არსებობს ფეოდალიზმის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის მთური ფეოდალიზმი და, მეორეც, სოციალური ინსტიტუტების გენეზისის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ მოვლენათა განვითარების სტადიურ ხასიათს მოცემული სისტემის ფარგლებში, მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და ეთნოფსიქოლოგიური ფაქტორების გათვლისწინებით. ასე რომ ათალიკობა, რომელიც კავკასიის ხალხებში ესოდენ გავრცელებული იყო, შესაძლოა აფხაზებსაც და ადიღეელებსაც ჰქონდათ ჩვენგან დამოუკიდებლად.

რაც შეეხება განხილული სოციალური ინსტიტუტების ტრანსფორმაციას.

როგორც ზემოთ ვთქვით, ათალიკობა (მამამძუძეობა) თავდაპირველი ფორმით თანამედროვე ყოფაში თითქმის არსად აღარ გვხვდება გარდა ცალკეული, გამონაკლისი შემთხვევისა. ასევე აღარ არის შემორჩენილი ძმადნაფიცობის, სხვისშვილობის ძველი ინსტიტუტები, მაგრამ მათ შორის ყველაზე რელიეფურად და ნათლად იკვეთება ძიძად აყვანის ჩვეულება. ის რაღაც ფორმით შემონახულია, მხოლოდ განსხვავებით ძველი ძიძებისგან, თანამედროვე ძიძა ბავშვს ძუძუს კი არ აწოვებს თავისი რძით, არამედ ზრდის მას. ასეთი ძიძები უფრო „აღმზრდელები“ არიან.

Сефербеков 2009: Сефербеков Р. И., Магомедов И.А. Когда охотник «вышел прогуляться»: Условный охотничий язык табасаранцев // Родина.. № 6.

Сефербеков 2000: Сефербеков Р. И. Традиционные религиозные представления табасаранцев (боги и демоны; верования, связанные с животными). Махачкала.

Сефербеков 2009: Сефербеков Р.И. Языческие боги и демоны аварцев-андалальцев // Этнографическое обозрение. № 4. С. 61.

Алиев, Сефербеков 2007: Алиев М.О., Сефербеков Р. И. Мифологические персонажи аварцев-койсубулинцев // Обозреватель – Observer. Москва. № 12.

რ. სეფერბეკოვი (მაჰაჩყალა)

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ერთი კათარტიკული წეს-ჩვეულების შესახებ თაბასარანელებში*

მსოფლიოს მრავალ ხალხებსა და დაღესტნის არაერთ ეთნოსში (1, 2), მათ შორის თაბასარანელებშიც, არსებობდა ნათესების, პურის ყანის ღვთაების რწმენა. კრიტიკული, არაორდინალური სიტუაციების ფონზე ხდებოდა ხოლმე ამ ღვთაების განსახიერება ზომორფულ და ანთროპომორფულ იპოსტასებში. მაგალითად, მოუსავლიანობა სამი წლის განმავლობაში თუ გაგრძელდებოდა, ასეთ შემთხვევაში თაბასარანელებს მიაჩნდათ, რომ “ყანა გათვალეს” (“ხუტლიზ ულ დაპნუ”). თაბასარანის ზოგიერთი სოფლის (ზემო და ქვემო იარაკი, ტურაგი, ჩერე, მეჟგიული, ჩუეკი, კანდიკი და სხვ.) ხანდაზმული მცხოვრებლები მიიჩნევდნენ, რომ გათვალვის გასაუვნებელყოფად აუცილებელი იყო სახნავ-სათესი მიწის შებილწვა (“განწმენდა წაბილწვის მეშვეობით”). ამ მიზნით სრულდებოდა განსაკუთრებული რიტუალი, რომელსაც აძლევდნენ ასეთ ახსნა - განმარტებას: “ხუტილ მურდალ, ჩირქინ აპუზ - ხუ ლიბცნუ ქუნდუ” (“ყანა რომ წაბილწოს მასზე ძაღლმა უნდა გაიაროს”). თითქმის XX საუკუნის 60-იან წლებამდე სრულდებოდა შემდეგი წესი: ყანაში მიჰყავდათ ძაღლი, კლავდნენ მას, ხოლო ლეშს თოკს ჩააბამდნენ, ყანაში დაათრევდნენ და თან წარმოთქვამდნენ: “ჰამუ ხუდ’ინ ჩუყან ჭარარ აღშ, ჰადმუყან დჷ ხინი კულარ ხუტლი’ იშრი!” (“დაე, აღმოცნენდეს ყანაში იმდენივე თავთავი, რამდენიც ბეწვი აქვს ამ ძაღლის ტყავს!”). რიტუალის დასრულებისას ძაღლის ლეშს ასო-ასო აქნიდნენ და ყანაში მიმოისროდნენ. სოფ. იარგილში ძაღლის ლეშს უბრალოდ დამარხავდნენ ხოლმე ყანაში. სოფ. ჯულიში ძაღლის ნაცვლად გარეულ ღორს იყენებდნენ, ხოლო სოფ. ქვემო იარაკში კატაც გამოიყენებოდა ძაღლის მსგავსად.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული მოტივირება, ანუ მიწის წაბილწვა ძაღლით და ღორით, მუსულმანური შეხედულების მიხედვით “უწმინდური” ცხოველებით (სოფ. მეჟგიულის მცხოვრებლებში არსებობს შეხედულება, რომ ძაღლი და ღორი შექმნილები არიან ადამიანის ჭიპლარისა და ასოს ჩუჩის ჩამონაჭრებისაგან), გაჩენილი უნდა იყოს უფრო გვიანდელ პერიოდში და იგი ისლამის გავლენასთან ჩანს დაკავშირებული. ჯერ კიდევ ს. ტოკარევი მიუთითებდა რელიგიის საწესჩვეულებო მხარის სიმყარეზე წეს-ჩვეულებათა ისტორიული განვითარებისა და იდეური გააზრების ცვალებადობის პროცესში (3). ამ ცხოველთა რიტუალური მოკვდინება თავდაპირველად შესაძლოა ყოფილიყო ყანის სულისათვის მსხვერპლის შეწირვა, მისგან ნაყოფიერების გამოთხოვის მიზნით. ის ფაქტი, რომ მსხვერპლად ძაღლი, ღორი და კატა შეიწირებოდა, ჩანს, იმაზეც უნდა მიანიშნებდეს, რომ, თაბასარანელთა წარმოდგენით, ყანის ღვთაება სწორედ ამ იპოსტა-

* რუსულიდან თარგმნა ლ. აზმაიფარაშვილმა

სებში იყო განსახიერებული. აღსანიშნავია, რომ მსგავსი განსახიერებები დასავლეთ ევროპის ხალხთა აგრარულ წეს-ჩვეულებებშიც გვხვდება: ბოლო ძნა, რომელშიც ყანის სული იყო განხორციელებული, იტალიელების, ფრანგების, ბელგიელების, ჰოლანდიელების, გერმანელების, ავსტრიელების, შვეიცარიელების, ინგლისელების მიერ მოიაზრებოდა “კურდღლის”, “მგლის”, “ძაღლის”, “კატის”, „მამლის“, „მწყერის“, „ჭაკის“, „ღორის“, „დედაბრის“, „ქალიშვილის“ და სხვათა სახით. მკის დასრულებისა და უკანასკნელი თავთავების მოჭრის აღსანიშნავად ფრანგები ხშირად იყენებდნენ გამოთქმებს: “სამკალის კურდღლის მოკვლა”, “მგლის მოკვლა”, “ძაღლის მოკვლა”, “მწყერის მოკვლა”, “კურდღლის დაჭერა”, “კატის დაჭერა” და სხვ.

გათვალვის გაუვნებელყოფისა და ნაყოფიერების აღდგენის მიზნით რიტუალური მოკვდინება ცხოველებისა, რომელთა სახითაც მოიაზრებოდა ყანის ღვთაება (სული) შეიძლება დაუკავშირდეს სამიწათმოქმედო სემანტიკის შემცველ მითებსაც მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგარ ცხოველზე / ღვთაებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ “სიკვდილისა” და “მკვდრეთით აღდგომის” მოტივი დაკავშირებულია მონადირულ მითთან მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგარ ცხოველზე და სამიწათმოქმედო მითთან მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგარ ღვთაებაზე (8). მაგიური და ღვთაებათა მოსამადლიერებელი წეს-ჩვეულებები ძველ მონადირეთა და მიწათმოქმედთა მიერ სრულდებოდა სარეწაო ცხოველის კვლავ წარმოებისა და ყანის მოსავლიანობის გაზრდის მიზნით. მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგარ მცენარეულ ღვთაებებზე არსებულ სიუჟეტს ვ. კოტოვიჩი მიიჩნევდა “ძველ სამიწათმოქმედო ცივილიზაციათა მითოლოგიური სისტემების ერთ-ერთ ძირითად სიუჟეტად”, რომელიც “შემადგენელი ნაწილია ზოგადად ნაყოფიერების კულტისა და ღრმა შინაგანი საზრისით არის დაკავშირებული წარმოდგენებთან სიკვდილისა და სიცოცხლის ერთიანობაზე, რომლებიც სიცოცხლის უსასრულობის შესახებ მოგვითხრობენ”.

უნდა აღინიშნოს, რომ ძაღლი და ღორი ადამიანის მიერ მოშინაურებული პირველი ცხოველებია. ძაღლი როგორც ნათესების მცველი, ძველ მიწათმოქმედთა შეხედულებების თანახმად, უნდა იყოს შემადგენელი ნაწილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტისა – მარცვლისა და მიწის ნაყოფიერების კულტისა. საგულისხმოა ისიც, რომ ნაყოფიერებასთან სწორედ ეს ცხოველებია დაკავშირებული – ძაღლი და ღორი ხომ საკმაოდ ნაყოფიერად მშობი არსებები არიან და მათი მონაწილეობაც რიტუალში შესაძლოა მიზნად ისახავდა მათი ნაყოფიერების ყანისათვის გადაცემას, ვინაიდან მიწათმოქმედები “განსაკუთრებულ განსხვავებას ცხოველისა და მიწის ნაყოფიერებას შორის ვერ ხედავდნენ”.

ამრიგად, ვფიქრობთ, წარმოდგენილი მასალა მოწმობს, რომ სახნავ-სათეს მიწაზე ძაღლის, ღორის და კატის რიტუალური დაკვლის თაბასარანული წეს-ჩვეულება უნდა უკავშირდებოდეს ყანის სულის რწმენას, მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგარი ცხოველის / ღვთაების მითიურ სიუჟეტს.

პურის ყანის სული თაბასარანელთა წარმოდგენებში ანთროპომორფულადაც რომ სახიერდებოდა, ჩვენი აზრით, საცნაური ხდება შემდეგი ექსტრაორდინალური სიტუაციის ფონზე. მაგალითად, თაბასარანული ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კალენდრით “ირან“-ის პერიოდში (აპრილის მეორე დეკადა – მაისის დასაწყისი) მარცვლეული მცენარეები ზოგჯერ ავადდებოდნენ. როცა თავთავები გაივსებოდნენ რბილობი მათში ხმობას იწყებდა – “ირან დიდარი ირაქ შულუ” (“ირანის” დროს “ირაქით” ავადდებიან). ამ სენისაგან ნათესების გადარჩენის მიზნით ყანაში თავთავებს შორის უნდა გაეკვლო წითლებით შემოსილ ქალს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თაბასარანელთა მეზობლად

კორჩაგის ხეობის მკვიდრი ლეზგიების წესის მიხედვით, ქალები მკის პერიოდში ყვითელი ფერის ტანსაცმლით იმოსებოდნენ ხოლმე.

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ ხსენებული ექსტრადინამური სიტუაციები (მოუსაველიანობა, თავთავთა სნეულება) თაბასარანელთა სამიწათმოქმედო ციკლებში (ხენა-თესვა, მკა) ავლენენ პურის ყანის ღვთაების (სულის) ზომორფულ და ანთროპომორფულ იპოსტასებს. მიწათმოქმედ ხალხთა წარმოდგენებში პურის სულის ზომორფული და ანთროპომორფული განსახიერების შესახებ მიუთითებდა ჯ. ფრეზერიც

ზემოთ აღწერილ სამიწათმოქმედო წეს-ჩვეულებებთან გარკვეულ სემანტიკურ მსგავსებებს ავლენენ თაბასარანელთა ზოგი სამონადირეო წეს-ჩვეულებები. ეს ეხება ტაბუს და სანადირო თოფთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს. არ შეიძლებოდა თოფის თხოვება ვინმესთვის, მასზე გადაბიჯება (განსაკუთრებით ქალებისათვის). თოფს მაინც თუ გადააბიჯებდნენ, აუცილებელი იყო უკანვე გადმობიჯება. თუ მონადირე ახლო მანძილიდან რამდენჯერმე ესროდა ნადირს და ვერ მოახვედრებდა, ითვლებოდა, რომ თოფი გათვალეს. გათვალვის გასაუვნებელყოფად მიმართავდნენ თოფის შებილწვის რიტუალს (“თუქენგ მურდალ აპუბ”, ზედმიწ. “თოფის მურდალად ქმნა”): მონადირე შარდავდა საკუთარ თოფზე, მის ზედაპირზეც და ლულაშიც. შემდგომი გათვალვისგან რომ დაეცვათ თოფი, ღვედის დასამაგრებელ ადგილას, ღვედის ქვეშ, ავი თვალისაგან დასაფარავად ჩამოკიდებდნენ ხოლმე მომკვდარი ცხოველის ან ფრინველის მცირე ზომის მილაკოვან ძვალს.

კათარტიკულ და აპოტროფიკულ მაგიასთან დაკავშირებული ანალოგიური წეს-ჩვეულებები და რწმენა წარმოდგენები მკვიდრობდნენ თაბასარანელთა მითოლოგიაშიც. ისინი უკავშირდებოდნენ მითოლოგიურ წარმოდგენებს სახლის სულის შესახებ. ადამიანები, რომლებსაც ხშირად აწვალებდა სახლის სული, მისგან თავის დაღწევის მიზნით, ასრულებდნენ განსაკუთრებულ წესს. სახლის სული კვლავაც რომ არ გამოჩენილიყო და ზედ არ დასცხრომოდა ადამიანს დასახრჩობად, ამისთვის მიმართავდნენ რიტუალურ თვითშებილწვას: პურს ჭამდნენ ფეხსადგილში და იმავდროულად ბუნებრივ საჭიროებასაც იკმაყოფილებდნენ. იგივე წეს-ჩვეულება ჰქონდათ ანდალაელ ხუნძებსაც. ყოისუბუელი ხუნძები ამგვარ ქმედებას ერიდებოდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ამის შემდგომ მეტად ვეღარ შეძლებდნენ გარდაცვლილი ნათესავ-ახლობლების სიზმარში ხილვას.

ამრიგად, სამიწათმოქმედო და ცალკეული სამონადირეო წეს-ჩვეულებების, აგრეთვე სახლის სულთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების შესახებ არსებული მასალა მოწმებს, რომ თაბასარანელებში არსებობდა განსაკუთრებული კათარტიკული წესი. ჩვენ მას ვუწოდებთ “რიტუალური შებილწვის წესს განწმენდის მიზნით”. ეს წესი გამოიყენებოდა გათვალვის საწინააღმდეგოდ და დემონოლოგიურ პერსონაჟთა მზაკვრობისგან დასაცავად, მოუსაველიანობის შემდგომ მიწის ნაყოფიერების აღსადგენად, სანადირო თოფის მარცხიანობის გასანეიტრალებლად.

თაბასარანელთა აგრარული და სამონადირეო წეს-ჩვეულებებისა და მითოლოგიის შემდგომმა შესწავლამ პერსპექტივაში საშუალება უნდა მოგვცეს ავადგინოთ მათი ტრადიციული სულიერი კულტურის უფრო სრული სურათი.

R. Seferbekov (Mahachkala)

On one catartic custom connected with agriculture in Tabassarans

Summary

The paper deals with catartic (purifying) ceremony in agricultural and hunting ceremonies as well as in one of mythologies of the Dagestani ethnoses – Tabassarans. As the author considers Tabassarans believed in the deity (soul) of a grain field that appeared in zoo- anthro-pomorphic role. It revealed itself in extraordinary situation – three-year's running of bad harvest that was attributed to the evil eye; illness of cereals especially in the period of folk calendar. In order to neutralize the evil eye they carried out special "ceremony of ritual profanation to be cleaned.". With that end they brought a dog (boar, cat) in a field, killed it and dragged a dead body on a field. In conclusion of the ceremony they buried a dog in the field. According to the author's viewpoint the ceremony is connected with the plot of well-known hunting and agricultural myths about dying and reviving of animal/deity.

Anthropomorphic role of deity was revealed during the sickness of grains. In order to cure it a woman in red cloth had to walk through a grain field.

An analogous ceremony was a hunting ritual of Tabassarans. If it was suspected that unsuccessful hunting was connected with the evil eye in order to neutralize the evil eye and to revive a killing power of a weapon they profaned it as well.

Ceremony of ritual self-profanation occurred in the sphere of pagan belief of Tabassarans. A man who was often suffered by a house spirit in dream, run to it In order that a house spirit would not come again it was usual to eat bread in latrine to manage natural needs.

Thus, conceives of catartic ceremonies in agriculture and hunting rituals and in the mythology of Tabassarans demonstrate their ancient traditions of hunting and agriculture as well as rich spiritual culture.

ქ. ქუთათელაძე (თბილისი)

ნაყოფიერების ქაღალდების სახელწოდებები ქართული ეპოსისა და წყაროების მიხედვით ქართულ მენტალობაში

ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის მეფე საურმაგმა „...შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანინა და ამართა გზასა ზედა მცხეთისასა“ (ლეონტი მროველი: 1954, 27). მოცემულ ცნობას ვახუშტი ბატონიშვილიც იმეორებს: „ამან აღმართა კერპნი აინან და დანიან გზასა ზედა მცხეთისასა“ (ვახუშტი ბატონიშვილი: 1973, 58). ამ ფაქტს „მოქცევაჲ ქართლისაჲც“ ადასტურებს, თუმცა იგი კერპების აღმართვას საურმაგ მეფის გარდა, მის შემდგომ მეფე მირდატსაც მიაწერს: „და შემდგომად მისა (ფარნავაზი – ქ. ქ.) დადგა მეფედ საურმაგ. ამან აღმართა კერპი აინინა გზასა ზედა და იწყო არმაზს შწნებად. და მისა შემდგომად მეფობდა მირვან და აღმართა დანინა გზასა ზედა წინარეჲ, და აღაშენა არმაზი“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ: 1963, 82). ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ მირვან მეფე იმავე გზაზე აღმართავს კერპს (აღბათ აახლებს) და ამთავრებს არმაზის მშენებლობას. ქ. სიხარულიძის აზრით, „საურმაგმაც და მირვანმაც ტრადიციაზე დაყრდნობით ჯერ აღმართეს ღვთაების (საფიქრებელია, ქაღალდების) გამოსახულება, როგორც ქალაქის მფარველისა¹ (რაც სწორედ „დიდი დედის“ საყოველთაოდ ცნობილი ფუნქციაა) და ამის შემდეგ შეუდგნენ არმაზის შენებას“ (სიხარულიძე 2006, 18). მ. ჩხარტიშვილს მიაჩნია, რომ „ეს ქაღალდთა „ნანა/ნინა“, ნინ/ნან კი მისი აზრით, ნიშნავს ქალბატონს და დედას (ჩხარტიშვილი 2009, 72). მკვლევარს „აი“ და „და“ მარცვლები ერთი და იგივე ღვთაების სახვადასახვა იპოსტასებად მიაჩნია. – „ანუ აინინასა და დანინას სახით საქმე გვაქვს ერთი ქაღალდების ორი მდგომარეობის გამომსახველ კერპებთან“ (ჩხარტიშვილი 2009, 72). ამ ღვთაებას ვ. ბარდაველიძე „დიდ დედა ნანას“ უწოდებდა და მზის ღვთაების იპოსტასად თვლიდა (Бардавелиძე 95). მ. ჩხარტიშვილი არ გამორიცხავს, რომ ღვთაება დაკავშირებული ყოფილიყო მზესთან. მას აინინა, როგორც თვითონ უწოდებს, „გამთენიის, ანუ აისის ნინად“ მიაჩნია, „ანუ ქაღალდების იმ კერპად, რომელსაც ამომავალი მზის სხივი ეცემოდა, ხოლო დანინა (დანანა) – დაისის ნინად (თუ ნანად), ანუ ქაღალდების იმ კერპად, რომელსაც ჩამავალი მზის სხივი ეცემოდა“ (ჩხარტიშვილი 2009, 72-73). მ. წერეთელი მიიჩნევდა, რომ თავდაპირველად წყაროში უნდა ყოფილიყო არა აინინა და დანინა (დანანა), არამედ აინინა და ნინა, ანუ ნანა, რომლებიც „უნდა იყოს ორი სახელი ურთიერთისაგან ოდნავ განსხვავებული ქალ-ღმერთისა, ანუ ორი სახე ერთისა და იმავე ქალ-ღმერთისა“. იგი მას უკავშირებდა ინანა/იშთარს, „ქალის სახელი ნანა და ნინა კი მთელს მცირე აზიაში იყო გავრცელებული და აგრეთვე საქართველოში“ (წერეთელი 1924, 110-111).

¹ ისევე, როგორც შუმერულ მითოლოგიაში ინანა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში „აინინა“ ხშირად ანაჰიტასთან არის გაიგივებული. საკითხის დაყენება, რომ ერთი ღვთაება მომდინარეობს მეორისგან, სუბიექტური იქნებოდა, რადგან სავსებით ბუნებრივია, დიდი დედის კულტის ორეული და მსგავსი ქალღვთაებები სხვადასხვა კულტურებში, სადაც მეურნეობის ტრადიციულ დარგებს (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ნადირობა, ხელოსნობა) მისდევდნენ, დამოუკიდებლად აღმოცენებულიყვნენ. თუმცა, რელიგიური სინკრეტიზმის შედეგად, ხდებოდა მსგავსი ფუნქციების და სიმბოლიკის შექმნა, რომელიც გამოხატავს ღვთაების უნივერსალურ ბუნებასა და არსს. ამიტომ ნაკლებ გასაზიარებელია ის ფაქტი, რომ ნაყოფიერების ეს ქალღვთაება ხელოვნურად შემოტანილი იყოს და მას არანაირი კავშირი ჰქონდეს ქართულ მენტალობასთან. უმდიდრესმა ქართულმა ხალხურმა ეპოსმა მრავალი ფოლკლორული მასალა შემოგვინახა, რომელიც ფაქტიურად ასაბუთებს ნაყოფიერების ამ ქალღვთაების ადგილობრივი ვარიანტის თავყვანისცემას საქართველოში.

ერთ-ერთ ასეთ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ ქართული ხალხური ზღაპარი „ანანა“, რომლის სიუჟეტი სცილდება ჩვეულებრივი ზღაპრის სტრუქტურას და მრავალ მითოსურ პლასტს შეიცავს, სადაც ქალღმერთ ინანასთვის (ან მისი მსგავსი ქალღვთაებების) დამახასიათებელი ატრიბუტიკაა შემონახული. ზღაპრის მთავარი გმირი არამიწიერი წარმოშობის ქალი „ანანა“, ეცხადება, ბაღში მოსეირნე უფლისწულს „დაწერილი ქალაქის“ სახით, რომელიც შემდეგ მშვენიერ ქალად იქცევა. მისი მცენარეული სახეა მწვანელი (კამა და პრასი). მართლაც, უფლისწულის ბაღში მწვანელის ორი კვალი იყო გაგვლებული, აქედან ერთი კვალი პრასის იყო, მეორე კი – კამის. უფლისწული ისე არ ისაძილებდა, თუ იმ კვლებთან არ დაჯდებოდა². „ანანა“ გრძნეული ქალია, იგი მთიდან იბარებს ირმებს, წველის მათ და ირმის ადუღებულ რძეში ბანაობს, თითისტარით აბრეშუმს რთავს. ქალღმერთისთვის დამახასიათებელი არაბუნებრივი ქმედების მიბაძვით უფლისწულის ჩვეულებრივი მოკვდავი ცოლები იღუპებიან. უფლისწული საბოლოოდ ე.წ. „ანანასთან“ რჩება. საინტერესოა ის, რომ სანამ უფლისწული ანანასთან დაქორწინდებოდა, მან, ღორის სისხლში ამოთხვრილმა, სიკვდილის სცენა გაითამაშა. ანანამ სისხლში მოთხვრილი ხელმწიფის შვილი რომ დაინახა, შესძახა:

„მზეო – დედავ, მამავ – მთვარევ, ვარსკვლავებო, ჩემო მზეო, ჩამოუშვით ოქროს სკამი, აღარ არის ხელმწიფეო!“

ამ სიტყვების შემდეგ მართლაც გაიხსნა ცა და ჩამოვიდა ოქროს სკამი, ხელმწიფის შვილიც ადგა და ანანას გადაეხვია. ისინი ცოლ-ქმარი გახდნენ (ხალხური სიბრძნე: I, 1963, 435-436)³. ცის გახსნა და ოქროს სკამის ჩამოშვება სწორედ ქალღმერთის ასტრალური სახის – ცისკრის ვარსკვლავისთვის, ანუ ქართულ ეპოსში მოხსენიებული „შუქურვარსკვლავისთვის“ არის დამახასიათებელი (იხ. ქვემოთ). არ არის გამორიცხული, რომ უძველესი ქართული ლექსი მნათობთა თავყვანისცემის შესახებ – „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი“ – ასევე სწორედ ინანა/ანანას კულტზეც მიუთითებდეს. შუემრულ მითოლოგიაშიც „ცის დედოფლად“ მოხსენიებული ინანა მთვარის ასულად

² ზ. კიკნაძის სწორი შენიშვნით, შუამდინარელი მეფეებისთვის მებაღეობა საკრალური მნიშვნელობისა და მეფის ბაღს საკულტო დანიშნულება ჰქონდა. ასეთ მებაღე-მეფეს კი ინანა/მთარი შეიყვარებდა და ხელს უმართავდა (ზ. კიკნაძე: 1976, 206-208). უდრ. მეფის სექსუალური კავშირი ინანას ქურუმ მთავარ ქალთან, როგორც მეფისა და ქალღმერთის შერწყმის მისტერია მის საპატივცემულოდ გამართულ დღესასწაულების დროს.

³ უფლისწულის მიერ ღორის სისხლში ამოთხვრა, სიკვდილის სცენის გაითამაშება და მკვდრებით აღდგომა, რომლის შემდეგ ანანასთან ქორწინდება, მაშინვე გვაგონებს ინანა-დუმუხის, კიბელა-ატისასა და აფროდიტე-ადონისის ღვთაებრივ წყვილს და მათ ურთიერთობას.

მიიჩნევა. „მზისა და მთვარის ასულად“ მოიხსენიება აგრეთვე, ერთ-ერთი აფხაზური ზღაპრის პერსონაჟი მზეთუნახავი ქალი, რომელიც „მზესავით ნათელს გამოსცემდა“ (კავკასიის ხალხთა ფოლკლორი 2008, 101)⁴.

ქართული ხალხური ზღაპრის მთავარი მოქმედი პერსონაჟი „ანანა“ კავშირს ამჟღავნებს „დიდი დედის“ კულტთან, რომელიც ბუნების კვდომა-აღდგომის განმსაზღვრელია⁵. მისი ატრიბუტიკაა თითისტარი, როგორც სიმბოლო მარადიული ციკლური ბრუნვისა (Энциклопедия символов 1990, 210). აბრეშუმის ძაფის დართვა და მისგან ქსოვილის მოქსოვა ძვირადღირებულ საქმედ ითვლება, რომელსაც ქართულ ხალხურ ზღაპრებში ყოველთვის ღვთაებრივი წარმოშობის ქალი ანხორციელებს. ქართულ-ხალხურ ზღაპრებში აბრეშუმის ძაფით ქსოვასთან დაკავშირებულია, ასევე, ღვთაებრივი წარმოშობის „ლერწმის ქალი“⁶, რომლის მიერ მოქსოვილი აბრეშუმის ხალიჩა ფასდაუდებელია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში აბრეშუმის დართვის დროს მასრად კანაფის ღრუ ღეროს იყენებდნენ, რომელსაც ღრუ ნაწილით თითისტარზე წამოაგებდნენ და ძაფს დაახვევდნენ (ნ. აბესაძე: 1963, 96), კანაფი კი დიდი ქალღმერთის მცენარეული სახეა (იხ. ქვემოთ). აბრეშუმი იმდენად ძვირი ჯდებოდა, რომ იგი სელნარევი შეიძლება ყოფილიყო (აბესაძე 1963, 86). ამიტომ არის, რომ ღერწმისგან⁷ წარმოშობილი ქალი (ქალღვთაება) თითისტარით აბრეშუმის ძაფის დართვისა და ქსოვის საიდუმლოსაც ფლობს⁸. აბრეშუმის ნაქსოვის განსაკუთრებულობა მის ღვთაებრივ წარმოშობაზე მიუთითებს. ძალზედ საინტერესოა ქართულ ხალხურ ზღაპრებში ერთ შემთხვევაში თითისტარის⁹ და მეორე შემთხვევაში ქალის „აღვის ხედ“ („სიცოცხლის ხედ“) გადაქცევა¹⁰.

⁴ ამ ზღაპარში მზე მარობითი სქესის არის. აფხაზური ზღაპრის ტექსტშიც დაფიქსირებულია მდუღარე რძეში განაზნის პროცესი, რაც ბუნებრივია, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის შეუძლებელია, მას მხოლოდ ღვთაება თუ შეძლებს, ან მისი რჩეული, რაიმე ჯადოსნური ნივთის დახმარებით. მზისა და მთვარის ასულმა თავის რჩეულს ჯადოსნური ბეჭედი მისცა, რომელიც ამ უკანასკნელმა აღუდებულ რძეში ჩააგდო, განიბანა და უვნებელი ამოვიდა, ამის შემხედვარე აბუხარი ბატონი კი, რომელიც მზისა და მთვარის ასულის ცოლად შერთვას ცდილობდა აღუდებულ რძეში ჩაიხარშა. მზისა და მთვარის ასული ღვთაების სახე რომ არის მიუთითებს ზღაპრის ტექსტში მოხსენიებული საკრალური ციფრი 12 (12 არშინი თეთრი და შავი ქსოვილი, 12 ვედროიანი კასრი), რომელიც შემერულ მითოლოგიაში ქალღმერთ ინანას უკავშირდება. ქართულ ფოლკლორში მოხსენიებული „მზის ასული“ ასევე, ფლობს სასწაულთმოქმედ ბეჭედს. ასეთ ბეჭედს ქართული ხალხური ზღაპრებიდან „ისრის მასრის სანდლის ქალი“ („ლერწმის ქალი“) ფლობს, ქართული ეპოსიდან კი „ქალი შროშანი“ და „თამარი“.

⁵ ვ. ბარდაველიძის აზრით, დაწერილი, მწვანელი, აბრეშუმის ნაჭერი, სხვა ნივთებთან და მცენარეებთან ერთად ე. წ. „ბატონებისადმი“ მისართმევე ხეზე კიდებდნენ.

⁶ „ლერწმის ქალი“ წყლის ნაყოფიერებასაც უნდა უკავშირდებოდეს. მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში ღერწმის არის განწმენდის სიმბოლო, შესაძლოა იმიტომ, რომ იგი დაკავშირებული იყო წყალთან (Энциклопедия символов Москва Санкт-Петербург, 1990, 779). ორი გადახლართული ღერწმი იშთარის – სიყვარულისა და ნაყოფიერების ბაბილონელი ქალღმერთის სიმბოლო იყო, რომლის პარალელურ მითოლოგიურ სახეს უნდა წარმოადგენდეს „ლერწმის ქალი“. ამასთან დაკავშირებით იხ.: ავტორის სტატია „ლერწმის ქალი“.

⁷ ქართულ დიალექტებში ღერწმის ბევრ სხვა მცენარესაც ეწოდება, რომელიც გარეგნულად შეიძლება მისი მსგავსი იყოს, ბიოლოგიურად კი სხვა სახეობას მიეკუთვნებოდეს. ღერწმად მოიხსენიება ჩვეულებრივი სელი, ღელი, ისლი/ისრი

⁸ ხალხურ ეპოსში ხშირად ფიგურირებს „აბრეშუმის ბუდე“, საიდანაც ამოფრინდება შევარდენი, ზოგ შემთხვევაში ქორი, ან ორბი აბრეშუმის ბუდეში დებს იაგუნდის კვრცხს და მარგალიტის ნაშიერს ჩეკს. ქართულ ხალხურ ზღაპარში „მზეთუნახავის ცხვირსახოცი“, იხსენიება აბრეშუმის ცხვირსახოცი, რომელსაც კლდეში მცხოვრები მზეთუნახავი ქალი შვიდ წელიწადში ერთხელ ქსოვდა და კლდიდან აგდებდა (ხალხური სიბრძნე: II, 1964, 104).

⁹ ქართული ხალხური ზღაპარი „სამი ძმა და ერთი და“ (ხალხური სიბრძნე: II, 1964, გვ.141).

¹⁰ აღვის ხედ ყოველთვის ხისგან წარმოშობილი ქალი გადაიქცევა, რომელიც განსაცდელის ქამს ჯერ ყოველთვის თევზად იქცევა, შემდეგ მის შემთხვევით გადარჩენილ ფხაზე აღვის ხე იზრდება, შემდეგ მისი ნაფოტი კი ისევ ქალად გადაიქცევა. გარდასახვა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ხე-ქალი-თევზი-ხე-ქალი. ქალი ამ შემთხვევაში თვითონ განასახიერებს ხეს, როგორც სამყაროს კოსმიური ღერძს.

ზემოაღნიშნული ზღაპრიდან ანანას შემდეგი ატრიბუტიკაა ირემები და მათი მოწველა. ირემი ზოგადად დიდი დედის – ნაყოფიერების ქალღვთაების, რომელიც იმავდროულად მონადირეთა და ტყის ნადირის მფარველიცაა, წმინდა ცხოველად არის მიჩნეული. ქართულ ხალხურ ზღაპრებში ირემი ან ირმის ბეწვი სიმდიდრისა და სიუხვის სიმბოლოა. ირმის რქეში განბანვა ან რაიმეს გარეცხვა კი საკრალურია. ძალიან ხშირად ირემი ნადირთღვთაების ზომორფული სახეც არის¹¹.

ზემოაღნიშნული „ანანს“ პარალელურად მაშინვე გვაგონდება აფხაზურ მითოლოგიაში „ანანა-გუნდას“ ნაყოფიერების კულტის სახელწოდება, რომელიც მეფუტკრეობის და ნადირობის ქალღმერთად, ასევე შვილოსნობისა და მშობიარეთა მფარველ ღვთაებად ითვლებოდა (სიხარულიძე 2006, 55). მისადმი გამართული რიტუალები იმართებოდა გაზაფხულზე ფუტკრების გამრავლების დროს და ზაფხულში თაფლის აღების წინ¹². ხალხის რწმენით ანანა-გუნდას ადგილსამყოფელი იყო იქ, სადაც ბევრი ველური ფუტკარი¹³ იმყოფებოდა. ასეთ ადგილად მიჩნეული იყო სოხუმის მახლობლად, მდ. გუმისთის ხეობაში, დიდი კლდე, რომელსაც „ანანტავრი“ („ანანას ადგილ-სამყოფელი“) ეწოდებოდა. ეს კლდე საკრალურად ითვლებოდა და მასზე ასვლა აკრძალული იყო. მხოლოდ წარმატებულ მონადირეებს უმართლებდათ, რომ დაენახათ „ანანა-გუნდა“ (Мифологический словарь 1990, 45). აფხაზებში დიდხანს იყო რწმენა, რომ თუ ვინმე თაფლით სავსე ფიჭიან ხეს იპოვინდა, ის წარმატებული იყო და მას ანანა-გუნდა მფარველობდა. მეგრელები ამ ღვთაებას „ჯარა-გუნას“, ან „ჯგერაგუნას“ უწოდებდნენ.

ზემოაღნიშნულ ღვთაებათა ერთ-ერთი სახე უნდა იყოს ნართულ ეპოსში მოიხსენიებული „აგუნდა მზეთუნახავი“. მას ოქროსფრად მზინავი აბრეშუმით კულულებიანი თმა კოჭებამდე სწვდებოდა. „აგუნდა მზეთუნახავი ჯერ მზესაც თვალით არ უნახავს“, მაგრამ მისი თაყვანისმცემლის ნართი აცამაზის ჯადოსნური ოქროს სალამურის მოსმენის შემდეგ მან კოშკიდან გადმოიხედა (ნართები 1988, 284). ის აცამაზს ცოლად გაყოლა იმ შემთხვევაში შეჰპირდა, თუ იგი ეზოში ერთ წელიწადს დაბადებულ 100 ირემს შემორეკავდა (ნართები 1988, 285) პირობის შესრულების შემდეგ აგუნდა მზეთუნახავი ცოლად გაჰყვა ნართ აცამაზს. მის საქორწილო ვერცხლის ეტლში 7 ქორბუდა ირემი იყო შებმული. მისი მზითვი 7¹⁴ ურმით გაიტანეს.

„ანანას“ სახელის ფიგურირება ქართულ და კავკასიურ ზეპირსიტყვიერებასა და ფოლკლორში კავკასიისა და ქართველ ტომებში დიდი ქალღმერთის ინანას მსგავსი ნაყოფიერების ქალღვთაების სახელწოდებები ქართული ეპოსისა და . . .

¹¹ აღნიშნულს ადასტურებს ქართულ ხალხურ ზღაპარში – მონადირის შვილი – მოხსენიებული თეთრი ირემის მაგიურობა, რომელშიც ნადირთღვთაების სახე უნდა დაინახოთ (ხალხური სიბრძნე: I, 1963, 173-176).

¹² ქ. სიხარულიძის თქმით, აფხაზები ამ ქალღვთაებას ძროხას სწირავდნენ, კერძოდ, გათხოვილ ქალს მამისეული სახლიდან გაუგზავნიდნენ ძროხას, რომელსაც, მონიშნის მიზნით, ყურის წვეტს აჭრიდნენ. ამ ძროხის მოზვერს ყოველწლიურად ღვთაებას სწირავდნენ, თუ ძროხას დეკუელი შეეძინებოდა, მაშინ ანანა-გუნდას ფქვილისგან დამზადებულ პროდუქტს სწირავდნენ (ქ. სიხარულიძე: 2006, 55).

¹³ მითოლოგიაში ფუტკარი არის შრომისმოყვარეობის, შემოქმედების, სიბრძნის, მოკრძალების სიმბოლო, რომელიც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ბერძნულ მითოლოგიაში უმაღლესი და უზენაესი ღვთაების გადამრჩენია თაფლით გაზრდილი ღვთაება, ან ადამიანი კი განსაკუთრებული სიძლიერით და ამტანობით გამოირჩეოდა. ბერძნულად მელისას, ან მელიტას სახელწოდებით მოიხსენებდნენ ფუტკარს და თაფლს. ფუტკარი ითვლებოდა მცირე აზიური ღვთაების კიბელეს, ბერძნული არტემიდეს და დემეტრას ატრიბუტად, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო. ქალღმერთ დემეტრას ქურუმ ქალებსაც „მელისებს“ ეძახდნენ, როგორც მოწვევრიგებული კულტის მსახურებს. პეროდოტეს თქმით, „მელიტას“ ასირიელები ბაბილონში აფროდიტეს ეძახდნენ (პეროდოტე 1975, ტ. I, 86). ეფესოს არტემიდას ქანდაკებაზე ნაყოფიერების ქალღვთაების დამახასიათებელი სხვადასხვა ატრიბუტიკიდან გამოსახულია ავრეთვე, ირემებისა და ფუტკრის გამოსახულება.

¹⁴ მითოლოგიური დატვირთვით 7 არის სამყაროს, მარკოკოსმოსის აღმნიშვნელი და განსაზღვრავს მთლიანობას. 7 არის ასევე „დიდი დედის“ ციფრი (Энциклопедия символов Москва Санкт-Петербург, 1990, 63).

ოფიერების კულტის გავრცელების სიძველეზე მიუთითებს. ჩეხენებსა და ინგუშებში თავ-
ვანს სცემდნენ „ნანა-ანას“ კულტს, რომელიც განასახიერებდა გაღმერთებულ დედა-მიწას.
იგი განასახიერებდა ცისკრის ვარსკვლავს, რომლის ზურგს უკან მზე ჩადიოდა. ან-
თიადი, დილის ციცი მისი ნათება არის. მითოლოგიური წარმოსახვით ქალური საწყისი
არსებობდა ანას¹⁵ წიაღში, რომლისგან წარმოიშვება ყველა სულიერი. სხვადასხვა
მითებში მის ქმრად მიიჩნეოდა ხან ცა, ხან მზე, ხან კი კოსმიური ხარი. თესვის წინ
მოსავლიანობასთან დაკავშირებულ ღოცვებს ადავლენდნენ მოზარდ-ქალწულები მიწის
განაყოფიერების რიტუალით (Мифологический словарь 1990; 189, 76).

ქართულ ეპოსში „ნანა“-ს სახე წარმოდგენილია ქართულ ხალხურ სააკვნო
სიმღერებში და საყმაწვილო ნიმუშებში, რომელიც ძირითადად ძილისპირულებს მოიცავს.
მასში მნიშვნელოვანი მასალა მოიპოვება ქალური ნაყოფიერების, ბუნების დიდი დედის
მიმართ აღვლენილი ვედრების შესახებ. ყრმა, რომლის მფარველადაც მიიჩნევა ღვთაება
„ნანა“, „ცისკრის ვარსკვლავს“ არის შედარებული. ის კი ღვთაების ასტრალურ სახეს
წარმოადგენს. ამ ტიპის ერთ-ერთ ლექსში „ნანი ნანა“ ვკითხულობთ:

ნანი, ნანა, ნანინა, ტბილი ძილით დაიძინე,

გულს ნათელი დაიფინე, ეს აკვანი ცუდი ხისა;

შენ ხარ ვარსკვლავი ცისკრისა” (ხალხური სიბრძნე IV, 1965, 261)

მეგრული „ნანა“-ს მიხედვით, ყრმა, რომელიც აკვანში წვეს მზისა და მთვარის
მსგავსია, ცაზე დაბადებულია, მზისა და მთვარის „გაზრდილია“. იგი „გაფურჩქნილ
ვარდს“ არის შედარებული (ნ. კაპანაძე: 2009, 221).

„ნანა“-სთან მიმართებით, საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება ნართულ
ეპოსში მოხსენიებულ 99 ნართის დედა „სათანეი გუაშა“-სთან, რომელიც დიდი
ქალღმერთის არქეტიპი უნდა იყოს. იგი მნათობს არის შედარებული, რომელიც თავის
უმცროს შვილს ნანას უმღერის: „მზეს ეცილება ქალი მნათობი, მნათობი ქალი საამოდ
მღერის: – შიში ნანიო, უა ნანიო“ (სიხარულიძე 2006, 54).

საყმაწვილო ტიპის ლექსებში ხშირად არის მიმართვა: „ეე ნაო“, ან „ეე ნანა“
(ხალხური სიბრძნე IV, 1965, 261), „ნანა, ნანა ბატონო“, „ნანა, ნანა გეთაყვა“ (ხალხური
სიბრძნე IV, 1965, 260), „იაენანა“, „ვარდონანა“ (ხალხური სიბრძნე: IV, 1965, 261), „ნანა,
ნანა, ნანის ნანა იავნანინაო“, „ნანა, ნანა, ნანასა“ (ხალხური სიბრძნე IV, 1965, 262-263),
„ნანინა, ნანა, ნანინა“ (ნ. კაპანაძე: 2009, 220). სვანური ნანა-ს ტექსტიდან საინტერესოა –
„ნანა ნანინას ვუმღერი ოფ ნანილად“ (კაპანაძე 2009, 222), მეგრული „ნანა“-დან კი –
„ნანაია ნანას სქუა, ნანას ჭირიმა“ (კაპანაძე 2009, 221).

ხალხური ეპოსიდან „ნანი ნანის“ პარალელურად გვხვდება „დან-დანი, დან“
ფორმა (ხალხური სიბრძნე: IV, 1965, 264), რაც ერთი და იგივე არსის სახელწოდების
სხვადასხვა ფორმა უნდა იყოს. ს. ს. ორბელიანი ნანას განმარტავს ორი მნიშვნელობით:
1. – საამო, სანდომი, 2. – დანანა. აქედან გამომდინარე მეფეთა ცხოვრებაში მოხსენი-
ებული „აინინა“ „ნანას“ ფონეტიკური ფორმა უნდა იყოს, „დანანა“ კი მისი სახესხვაობა.
გადამწერმა ისტორიკოსმა იგი შესაძლოა სხვადასხვა სახელად აღიქვა, თუმცა ორივე
სახელი ერთი ღვთაების სახელწოდებაა. მართლაც, ინგილოურ „ნანაში“ „ნანი ნანა“-ს
მაგიერად მოიხსენიება „დაი-დაი“. მაგ.: „დაი-დაი შეილო დაი ... დაიზინ შეილო დაი“ (გ.
ალიბეგაშვილი: 1992, 245). გ. ალიბეგაშვილის თქმით, „ფურის წველისას წარმოსათქმელი

¹⁵ არსებობდა ანას განსაკუთრებული ცხოველყოფილი კულტი („ანაინე“). ივ. ჯავახიშვილს სიტყვა დედა-
მიწის ღვთაების აღმნიშვნელ სახელად მიაჩნდა „ნერჩი“, რომელიც „ქართლ-კახეთში ამ ჟამად მი-
ღებულ ადგილის დედა-ს უდრის“ (ივ. ჯავახიშვილი: 1992, 184)

ყველა ტექსტი, როგორც წესი, მიმართვაში იმეორებს ერთ სიტყვას, ესაა „დედა“. ხევსურულად - „დედეო, დედო“, მესხურად - „დედაჯან“, ან „დედიჯან“, „ანამჯან“, „დედიშ დედოს“. სამეგრელოში - „დი, დი-ი-აშ“. მეგრულად „დი“, ანუ „დიდა“ იგივე დედაა, ლეჩხუმში - „დე-თი-დეთი“, კახეთში, „დი-ი-დო, დი-იდო“, გურიაში - „მო დედა, მოდედანა“. ხევსურულად დედე, ადეე, მადეე ძროხას ეძახდნენ საძოვარზე გარეკვის დროს, ხოლო ძროხის მოსახმობი სიტყვებია - „დედაო“, ნწა-დედო, დედოჲო! ნწა-დედოჲო, ნწადეე (დლონტი 1974, 204). ქიზიყურ და ქართლურ დიალექტზე ძროხას, რომლის გაჩერებაც სურთ წველის დროს შემდეგნაირად მიმართავენ: დიდო, დიიდო, დიიდოჲო (დლონტი 1974, 207). მესხურად მეწველ ძროხას „დედე“-ს უწოდებენ (დლონტი 1974, 203). ძროხის საალერსო სიტყვად ინგილოურ დიალექტზე „ნინიმა“- ის ამბობენ (დლონტი: 1974, 421). რძე, ძუძუს წოვა აღძრავს დედის მოგონებას და ამიტომაცაა ფურის წველის მიმართვაში სიტყვა „დედა“. დედის რძეს ფურისა ცვლის. ზღაპრებში ფური ობლის ქომბაია, მისი აღმზრდელი და მასაზრდოებელი“¹⁶ (ალიბეგაშვილი 1992, 231).

„ჩვილის მოფერების ერთ-ერთი ფორმა არის „ადანდალო, დანდალო“. „ადანდა/დანდა“ „დან/დანი“-ს მსგავსი უნდა იყოს. რაც შეეხება „ალო“-ს, იგი შეიძლება მიუსადაგოდ ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ აკენის სიმღერებში „ლო-ლო/ა-ლო-ლო“ (ოს.), „ლაუ, ლაუ“ (აფხ.), „ლიაუ/ლიაო“-ს ფორმას, რომლებიც იგივეა, რაც ქართულად „ნანა“ (კავკასიის ხალხთა ფოლკლორი 2008, 1075, 1086).

ქართული „დედა“-ს სვანური „დედე“-ს და მეგრული „დიდა“-ს ეკვივალენტი უნდა იყოს „ნენა, ნენე, ნინა, ნანა“, რაც ასევე დედას ნიშნავს¹⁷.

ქართულ დიალექტებშიც (გურ., აჭარ.) „ნენე“/„ნენა“ იგივე დედაა, აჭარულად ნე-ნეე/ნენაე ბებიას, დიდედას ნიშნავს (დლონტი 1974, 420), რომელიც სიტყვა-სიტყვით დიდ დედას აღნიშნავს. ნან/ნინ ძირით სიტყვები დედას, ბებიას ნიშნავს სხვა კავკასიურ ენებშიც. აფხაზურად „ნან“ დედისა და ბებიის მიმართვის ფორმაა (კავკასიის ხალხთა ფოლკლორი: 2008, 1089). ვაინახურად და წოვა-თუშურად „ნან“ ფორმით მოიხსენიებენ დედას¹⁸, უდიურში დედა მოიხსენიება „ნანა“ - დ, რუთულურში „ნინ“, ყუმუხურში (ლაკურში) „ნინუ“ - დ (ჯავახიშვილი 1992, 687, 688), დიდოურში კი „ენინუ“ - ს ფორმით (ჯავახიშვილი 1992, 159). მკვლევარ მ. ჩხარტიშვილს მიაჩნია, რომ „ნანა“ და „ნინო“ არის არა საკუთარი სახელი, არამედ დედის სინონიმები. „ნინო უნდა იყოს ამ სიტყვის წოდებითი ფორმა“ (ჩხარტიშვილი 2009, 125, 122). ქართული ენის დიალექტებში ბებია/დიდედის აღმნიშვნელი საინტერესო ფორმებია შემორჩენილი, რომლებიც გვეხმარება აინ-ინა/ანანა/ანა-ს და დან-ანა-ს იდენტურობის დამტკიცებაში. მესხურ დიალექტზე დიდ-ედა/ბებია „დიდა“ ფორმით აღინიშნება, გურულ დიალექტზე „დედამანია“ ბებია ქალს ნიშნავს (ალ. დლონტი: 1974, 203). ყველაზე საინტერესო ფორმად ზემო აჭარულ დიალექტზე „დიდ-ი ანა-ე“ და „დიდანა“, გურულ/აჭარულ დიალექტზე - „დიდნენე“ მივიჩნევ, რომელიც ასევე, ბებია/დიდედას ნიშნავს (ალ. დლონტი: 1974, 207). უნივერსალური ქალღვთაების ქართული ჰიპოსტასიც რომ მფარველობდა ხენა-თესვას, მესაქონლეობასა და ტრადიციიდან გამომდინარე მევენახეობას, ამტკიცებს ლინგვისტური მონაცემები. ქიზიყურ დიალექტზე „დედან“-ი („დედან“) გუთნის ის ნაწილია, რომელიც სახნისის მარცხნივ

¹⁶ ირმის (ღვთაებასთან უნდა იყოს გაიგივებული) ძუძუს წოვა და განსაკუთრებული სიძლიერე.

¹⁷ ივ. ჯავახიშვილის თქმით, კავკასიურ ენებთან მსგავსება არის დედის სახელთან დაკავშირებითაც, კერძოდ, ხინალულურად და აღულურად არის „დედა“, კერულად ლეზგიურად „დედე“, ბუღუზურად - „დიდა“ (ივ. ჯავახიშვილი: 1992, 612)

¹⁸ წოვა თუშები „ნან“ სახელწოდებით დედმოიხსენიებენ.

სწორად არის დაყენებული და მასზე ფრთაა დაყრდნობილი. ქართლური დიალექტით „დედან“-ი ვაზის ტანია, „რომელზეც გასხვლის შემდეგ ნეკს ტოვებენ“, მთიულურ დიალექტზე კი ბუდე, პერანგია, „რაშიაც ხბო იბადება“ (აღ. ღლონტი: 1974, 203)¹⁹.

ანანა/ნანა/ნინას ფონეტიკური ფორმა უნდა იყოს „ინანი“. მას უკავშირდება ქართლური ნაყოფიერება და შვილიერება²⁰. ინანის პარალელური ფორმა უნდა იყოს „მინანი“. ამ მხრივ, საოჯახო ლექსებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ლექსმა „თორმეტი ვაჟის დედამა“:

მინანის დედა ნანულობს მინანის გათხოვებასა

მინან კი არა ნანულობს ორის აკვნისა რწებასა,

ექვსჯერ ბოსელში შესვლასა, თორმეტის დაბადებასა“ (გ. ალიბეგაშვილი: 1992, 234).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ შუმერულ მითოლოგიაში 12 ინანას წმინდა რიცხვად ითვლებოდა (შდრ. წელიწადის 12 თვე). „ინან/მინანი“ ქალღმერთის სახელწოდების ერთ-ერთი ვარიანტი უნდა იყოს. იგი ნაყოფიერებისა და მშობიარეთა, ასევე ბავშვების მფარველს განასახიერებს. „მინანის“ მსგავსი ფორმა უნდა იყოს „მანან/მანანო“, რომელთაც ერთი ქართული იავნანის მიხედვით, ბავშვისთვის „ძილი მოაქვთ გუდითაო“.

ქალღვთაების ატრიბუტიკიდან მნიშვნელოვანია საწესო ლექსები „იაგუნდის მარანშია“ და „ია ვკრიფე, ვარდი ვშაღე“, რომელთა კომბინირებულ ვარიანტს შეიცავს ძველი ქართული საგალობელი „იავნანა“, სადაც ღვთაებისადმი მიმართვის „ნან“, „ნინ“²¹ ფორმა ფიქსირდება:

...იაგუნდის მარანშია, იავ ნანინაო, ღვინო სდგას და ლალი სტევივის, ვარდო ნანინაო

შიგ ალვის ხე ამოსულა, იავ ნანინაო, ტოტები აქვს ნარგიზისო, ვარდო ნანინაო

ზედ ბუღბული შემომჯდარა, იავ ნანინაო, შავარდენი ფრთასა შლისო, ვარდო ნანინაო

ია ვკრიფე, ვარდი ვშაღე, იავ ნანინაო, წინ ბატონებს გაუშაღე, ვარდო ნანინაო”

(ქართული პოეზია: 1985, 9-10; ხალხური სიბრძნე: IV, 1964, 286).

ნინ/ნან/ან/დინ/დან სეგმენტით მრავალი დიდი ქალღმერთის სახელწოდება იწყება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა მითოლოგიაში, მაგ.: ნინლილი²², ნინგალი²³, ნინ-მას/დინგირმახი²⁴, ნინჰურსაგი/დამქინა/დამგალნუნ²⁵, ნინნანა²⁶, ნინინსინა²⁷ ნინნათა²⁸, ნინუ/ნინო²⁹, ანატი³⁰, ანაპიტა³¹, დანუ³².

¹⁹ გუდამაყრულ დიალექტზე „დედა“ ორ ძნას ნიშნავს (აღ. ღლონტი: 1974, 203)

²⁰ ქართული მითოლოგიის მიხედვით, „ინანი“ ახალგაზრდა ქალი ყოფილა, რომელსაც წისკვილში ყოფნის დროს დასძინებია, დილას კი დაორსულებულს გამოღვიძებია, არასასურველი ფეხმძიმობის შედეგად დედას სახლიდან გაუგდია. ინანს წისკვილთან ახლოს კლდისთვის შეუფარებია თავი. მას ოქროსქონიანი ტყუპი ვაჟები გაუჩნია. ინანის დედას უნანია შვილის გაგდება და მის საძებნელად ტყე-ღრეში დაეხეტებოდა. თუმცა ინანმა აღარ ისურვა დედის ნახვა (ზ. კიკნაძე: 2007, 91).

²¹ ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მეგრულად „ენა“-ს „ნინა“ ჰქვია, სვანურად კი „ნინ“ (შდრ. დედა-ენა)

²² შუმერულ მითოლოგიაში ქალღმერთი (ქალბატონი ქარი?), ენლილის მეუღლე შესაძლოა, „დედა-ღვთაების I პიპოსტასი ყოფილიყო (Мифологический словарь: 1990, 392).

²³ შუმერულად „დიდი ქალბატონი“, მთვარის ღმერთის ნანას მეუღლე (Мифологический словарь: 1990, 392).

²⁴ შუმერულ მითოლოგიაში დედა-ღვთაება, რომელიც ენქისტან ერთად გვევლინება, როგორც ადამიანთა შემქნელი (Мифологический словарь: 1990, 392).

²⁵ შუმერულ მითოლოგიაში დედა-ღვთაება („ტყიანი მთის ქალბატონი“), ტექსტებში მისი ეპითეტია „ყოველთა ღმერთთა დედა“, „დედა ყველა შვილისა“. ბაბილონურ ტექსტებში გაიგივებულია დამქინასთან (დამგალნუნი), ითვლებოდა ენქის მეუღლედ (Мифологический словарь: 1990, 171, 392).

²⁶ იგივე ინანა

²⁷ („ქალბატონი ისინა“) შუმერულ მითოლოგიაში ქ. ისინის მფარველი, გაიგივებულ იქნა ინანასთან. იგი ითვლებოდა შუმერული ცის ღმერთის ან-ის ქალიშვილად (Мифологический словарь: 1990, 392).

²⁸ ხურიტულ მითოლოგიაში იშთარის მსგავსი სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთის – შაუშქას მხლებელი (Мифологический словарь: 1990, 392).

²⁹ ხურიტულად ნინევის იშთარი (Мифологический словарь: 1990, 259).

აქადურ მითოლოგიაში მოიხსენიება სიყვარულის, ნაყოფიერებისა და ომის ქალღმერთი „ნანაი“. იგი ახლოს დგას შუმერულ ინანასთან და აქადურ იშთართან. შესაძლოა იგი იშთარის მეორე სახელწოდებაც ყოფილიყო ელინისტურ ხანაში „ნანას“ კულტი გავრცელდა სირიასა და ირანში. სომხურ მითოლოგიაში უზენაესი ღმერთის არამაზდის ასულად მოიხსენიება „ნანე“, რომლის სახელწოდებაც უნდა მომდინარეობდეს აქადური „ნანაის“ სახელიდან (Мифологический словарь 1990, 379). „ნანე“ ითვლებოდა ასევე „დიდ დედად“. სომხურ ზეპირ სიტყვიერებაში „ნანემ“ მიიღო დიდების, დედის მნიშვნელობა (გვ. 379). „ნანეს“ კულტი შემდგომ გადაეჯახვა დედა-ქალღმერთის **ანაპიტას**³³ კულტს, რომელიც გავრცელებული იყო ირანულ და სომხურ მითოლოგიაში³⁴.

შესაძლოა, „**ინინა/ანანა/ნანა/ანა**“ სახელი შუმერული მითოლოგიის ნაყოფიერების ქალღმერთის, მთვარის ასულის ინანასაგან მომდინარეობდეს, რომელიც ცისკრისა და მწუხრის ვარსკვლავად არის მიჩნეული. მისი ალტერნატიული სახელწოდებებია **ინინი, ენინი, ნინინი, ნინანა, ნინარი, ინინა, ენინა, ირინა, ნანა** და **ნინ**. ეს სახელწოდებები, როგორც წესი მომდინარეობს უფრო ადრინდელი **ნინ-ანა**-საგან, რაც „**ცის ქალბატონს**“ ნიშნავს. შესაძლოა იგი უკავშირდებოდეს ასევე, ხურიტულ დედაღვთაებას „**ჰანანაჰანაჰ**“-ს.

ინანას აქადური შესატყვისია იშთარი, რომელმაც შთანთქა ბევრი შუმერული და ხურიტული ღვთაება მაგ.: ხურიტული **ნინუ**, ან **ნინო** გახდა ნინევის იშთარი, როგორც აშურის მეუღლე (Мифологический словарь: 1990, 259-260). იგი შეიძლება წარმოგვიდგეს „**ანუნ**“-ის, „**ნიტა**“-ს, „**ნანაი**“-ს სახელწოდებით³⁵. გ. გიორგაძის თქმით, ხეთური ტექსტების მიხედვით, „მეფესთან ერთად დიდ როლს თამაშობდა დედოფალი, რომელიც, ატარებდა ხათურ ტიტულს „**თავანანა**“-ს (ამავე ტიტულით აღინიშნებოდა, როგორც წესი, ტახტის მემკვიდრის დედა საერთოდ იყო იგი დედოფალი თუ არა)“ (გ. გიორგაძე: 1988, 55). მ. ჩხარტიშვილი მიიჩნევს, რომ „თავანანას ზუსტი შესატყვისია დედოფალი, ანუ დედა უფალი, ე. ი. პირველი უფროსი ქალბატონი“ (მ. ჩხარტიშვილი: 2009, 123).

ზემოაღნიშნულ ქალღვთაებათა ასტრალური სახე ე.წ. „მწუხრისა და ცისკრის ვარსკვლავის“ სახელწოდებით ცნობილი, პლანეტა ვენერაა. სულხან საბა ორბელიანის

³⁰ დასავლეთ სემიტურ მითოლოგიაში ნადირობისა და ომის ქალღმერთი, ქალწული მეომარი, მოკვდავი და მკვდრებით აღმდგარი ღმერთი ბაალის და, ან საყვარელი. უგართში მას „ხალხის რძალს“ ეძახდნენ.

³¹ პარალელს ავლენენ ასტარტესთან, რომლებიც შემდეგ ერთიანდებიან ატარგატისის მითოლოგიურ სახეში ირანულ მითოლოგიაში წყლისა და ნაყოფიერების დიდი ქალღმერთი

³² კელტურ და ირლანდიურ მითოლოგიაში უწოდებდნენ ღმერთების დედას (Мифологический словарь: 1990, 46).

³³ „არდვისურა ანაპიტა“ ირანულ მითოლოგიაში ითვლებოდა წყლისა და ნაყოფიერების ქალღმერთად, რომელიც იყო აპურამაზდას შვილი. ქალღმერთის სახელის ნაწილი ირანში ჩამოყალიბდა „ნაპიდის“ ფორმით, როგორც პლანეტა ვენერას სახელწოდება და მისი პერსონიფიკაცია. სომხურ მითოლოგიაში შევიდა ანაპიტა-ს (ანაპიტი) ფორმით, ძველბერძნულ ძეგლებში იხსენიება „ანაპიტიდა“ (ანატის), მცირე აზიური წარმოშობის ქალღმერთი. სომეხთა წარმოდგენით, იგი იყო ნაყოფიერებისა და სიყვარულის ქალღმერთი, ასევე, შვილი (ან ცოლი) არამაზდის. მას მიიჩნევდნენ „დიდ დედად“, „დიდ ქალბატონად“, „სიბრძნის დედად“, სომეხთა მფარველად. ელინისტურ ხანაში იგი გააიგივეს არტემიდესთან (Мифологический словарь: 1990, 46).

³⁴ სომხურ მითოლოგიაში შესაძლოა **ანაპიტა** და **ასტიხი** ნაყოფიერების, სიყვარულისა და წყლის ერთი და იგივე ღვთაების ორი სახელი იყო, თუმცა შემდეგ ცალ-ცალკე ჩამოყალიბდნენ. „ასტიხი“ („**ვარსკვლავი**“) იყო წყლის, სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთი, ვაჰანგის სატრო. სახელი მომდინარეობს პლანეტა ვენერას სიმბოლოსაგან. ელინისტურ ხანაში იგი გააიგივეს აფროდიტესთან. სომხური კალენდრის მიხედვით, შუა ზაფხულს, (როდესაც მთავრდებოდა ძველი წელი და იწყებოდა ახალი) იმართებოდა ე.წ. „**ვარდვარის**“ დღესასწაული („ვარდი“, ან „წყალი“). მას სწირავდნენ ვარდებს, უშვებდნენ მტრეებს და რიტუალის მონაწილენი ერთმანეთს წუწავდნენ წყლით (Мифологический словарь: 1990, 70)

³⁵ ის შეიძლება გაიგივეს იქნას წინა აზიის მითოლოგიურ ღვთაება იშხართან, რომელიც სხვადასხვა ფონეტიკური ფორმით მოიხსენიება. მაგ.: ელამში – აშხარა, ბაბილონში – ეშხარა, უგართში – უქხარა, ხურიტებთან – იშხარა (Мифологический словарь: 1990, 260).

განმარტებით, ცისკრის ვარსკვლავი არის „მთიები“, ანუ „აფროდიტი“³⁶ (ორბელიანი: 1991, I, 338). იგი აფროდიტს აგრეთვე **ასპიროზის** სახელითაც მოიხსენიებს (ორბელიანი: 1991, I, 70): „აფროდიტი იგი არს, რომელსა ცისკრის ვარსკვლავად უკმობენ. ესე მოვლის სიმრგვალებსა ცისასა ერთსა წელიწადსა. ოდესმე ვალს ღამე და ოდესმე დღისით. ოდეს საცისკროდ აღმოვალს ეწოდების მთიები, ხოლო ოდეს სამწუხროდ აღმოვალს ეწოდების აფროდიტი ... ამისას იტყვიან სახე აქვს ქალწულისა, ჳელთა აქვს პურიო“ (ორბელიანი: 1991, I, 73). ქართული ენის ქიზიყურ დიალექტში შემორჩენილი სიტყვა „ნანათ“ (შდრ. ნათება/განთიადი), რაც გარიჟრაჟს, განთიადის პირველ ნიშანს ნიშნავს (აღ. ღლონტი: 1974, 408)³⁷. ფშაურად კი „სისკარი“ (ცისკარი) ვარსკვლავის აღმნიშვნელია, რომელშიც ალბათ უფრო პლანეტა ვენერა უნდა იგულისხმებოდეს და იგი ნაყოფიერების დიდი ქაღალმერთის ასტრალურ სახეს წარმოადგენდეს. ქართულ ენაში დამკვიდრდა „ვარსკვლავის“ აღმნიშვნელი ქალის სახელი **ეთერი**, რომელიც ზ. კიკნაძის თქმით, ძელებრაული სახელია³⁸.

ქართულ ენაში პლანეტის („მარსის“, ან „ვენერას“), როგორც მოცემცემე ვარსკვლავის სახელწოდებად დამკვიდრდა „**მარეს-მარის**“. „**მარის-ვარსკვლავი**“ იგივე „**შუქურ-ვარსკვლავია**“. შინაარსობრივად იგი უფრო ქალური საწყისის აღმნიშვნელი რომ უნდა ყოფილიყო მიუთითებს უძველესი საწესო ლექსი „**ღარჩი ჩვენთან ნათელ მარესო**“, რომელიც შეიძლება ითქვას „დიდი დედის“ ქართული ღვთაებისადმი აღვლენილი ერთ-ერთ უძველესი მავედრებელი ტექსტი უნდა იყოს. იგი გაზაფხულის მოსვლისა და ბუნების აღორძინების მაუწყებელი ვედრებაა, რომელსაც ნაყოფიერების დიდი ქაღალმერთი განსაზღვრავს და წარმართავს. სახელწოდება „**ნათელ-მარესი**“ ამ შემთხვევაში ზედმიწევნით გამოხატავს ღვთაების ასტრალურ სახეს, რომელიც პლანეტა ვენერასთან ასოცირდება. მისთვის დამახასიათებელია თეთრი ფერი (თოვლივით თეთრი მკერდი, კანაფის თეთრი ღერო, ბუნების თეთრად მორთვა), ოქროსფერი, მხრებზე დაყრილი დაღაღები. თეთრი ფერი ღვთაებრივი ფერია, რომელიც ზეცას განასახიერებს. ნაყოფიერების ქაღალმერთისთვის დამახასიათებელი თეთრი ფერი ასევე, მის ღვთაებრივ ბუნებაზე მიუთითებს. „ნათელ-მარესი“ „ველზე გაშლილ ყვავილს“ და „კანაფის თეთრ

³⁶ აფროდიტეს ერთ-ერთი სახელია „დიონა“ (Мифологический словарь: 1990, 189), ან „ანადიომენა“. აფროდიტე მცირე აზიური წარმოშობისაა. გარდა სილამაზისა და სიყვარულისა აფროდიტე ითვლებოდა აგრეთვე, ნაყოფიერების, მარადიული გაზაფხულისა და სიცოცხლის ქაღალმერთად. აქედან მომდინარეობს მისი ეპითეტები: „წმინდა ბადიანი“, იგი ყოველთვის არის ვარდების, .. იების, ნარცისების, შროშანის გარემოცვაში. იგი არის აგრეთვე, ქორწინებისა და მშობიარობის მფარველიც, აგრეთვე „ბავშვის გამომკვებავი“. თავისი აღმოსავლური წარმოშობით იგი ახლოს დგას ფინიკურ ასტრატასთან, ბაბილონურ იშთართან და ეგვიპტურ ისიდასთან (Мифологический словарь: 1990, 189, 76). აფროდიტე მოიხსენიება აგრეთვე, როგორც „ურანია“ - ციური, როგორც ამაღლებული ციური სიყვარულის ქაღალმერთი.

³⁷ ს.ს. ორბელიანის განმარტებით, „რიჟურაჟი/გარიჟრაჟი“ გაცისკრების შედეგია (ორბელიანი: 1993, II, 11). ანუ ეს სიტყვა ცისკართან არის დაკავშირებული. საბა ცისკარს უწოდებს „მოწვევასა განთიადისასა“ (ორბელიანი: 1991, I, 338). უფრო კონკრეტულად: „გაცისკრება-არს უწინარესი განთიადისა, ხოლო განთიადი არს მოწვევა ნათლებისა, ხოლო რიჟურაჟი აღმოჩენა ნათლებისა...ხოლო აღიონი რა დღე და ღამე გაირჩეოდეს“ (ორბელიანი: 1991, I, 152). ბერძნულ მითოლოგიაში განთიადის ქაღალმერთი არის ეოსი, რომელსაც რომაული „ავრორა“ შეესაბამება. „მის გამოჩენაზე ყველა ვარსკვლავი იღვავა და ქრება, მხოლოდ ცისკრის ვარსკვლავი ესაღმება ქაღალმერთს“ (ა. გელოვანი: 1983, 171).

³⁸ მითოლოგიურ სამყაროში ეთერს ბუდეში ზრდის ორბი, რომელიც საკვებს უზიდავს უღამაზეს ქაღალმულს. ისიც ქართულ მითოლოგიაში არსებული ზემოაღნიშნული ქაღალმეთების ერთ-ერთი სახეა. ერთ-ერთ ქართულ ხალხურ ზღაპარში ხელმწიფის ასულის „ვარსკვლავს“ სატრფოს აბესალომი ჰქვია (ხალხური სიბრძნე, I, გვ.474)

ღეროს“ არის შედარებული, რომელსაც გარდა მხატვრულობისა, საკრალური დატვირთვაც უნდა ჰქონდეს. ღვთაებას მოსვლას მაისის თვეში ევედრებიან – „დარჩი ჩვენთან, ნათელ-მარესო, მთაში მაისი მობრძანდება“. მაისის მოსვლა პირუტყვის ნაყოფიერებასთან იყო დაკავშირებული³⁹. მაისის წვიმა ცხოველმყოფელი რომ არის ახლად აღორძინებული ბუნებისათვის, მიუთითებს ძველი ქართული ხალხური ლექსი „**შიდი მაისის ნამი**“⁴⁰. იგი ცხოველმყოფელია ბალახეულობის (მწვანელიც), მინდვრის ყვავილებისა და კანაფის ამოსვლისთვის, რომლებიც ქალღმერთის მცენარეულ სახეს წარმოადგენს. ამ მცენარეებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდათ ადამიანებისთვის, რადგან მათ იყენებდნენ სამეურნეო დარგების (მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, კანაფისა და სელის პროდუქციის წარმოება, რომელსაც გარდა სამეურნეო მნიშვნელობისა, რიტუალური დატვირთვაც ჰქონდა) განვითარებისთვის. ქალღვთაების მიმართ აღვლენილ მავედრებელ ტექსტში მოიხსენიება „ირმის ჯოგები“ და „წყაროები სარაჯისა“. „**ნათელ-მარესი**“ ნაყოფიერების ქალღმერთის ბუნების დიდი დედის მსგავსია, რომლის წმინდა ცხოველი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ირემია⁴¹.

ნათელ-მარესის მსგავსად, რძესავით თეთრი სხეული აქვს ნართულ ეპოსში ნართების „დიდ დედას“ – ზემოაღნიშნულ სათანეი გუაშას, რომელიც „უმზოდ ათობს და უმთვაროდ ბრწყინავს“. იგი ფლობს ღვთაებისთვის დამახასიათებელ ცოდნას ძაფის დართვისა და ქსოვის შესახებ, რომელსაც ასევე ამჟღავნებენ ქართულ ფოლკლორში დაცული დიდი ქალღვთაების ქართული არქეტიპები („ანანა“, „ღერწმის ქალი“).

ქალღმერთისთვის დამახასიათებელი თოვლივით თეთრი დიდი მკერდი ნაყოფიერების განმსაზღვრელია. მას უნდა უკავშირდებოდეს რძის ნაყოფიერება, რომელიც განსაზღვრავს ადამიანებსა და პირუტყვში გამრავლების, წველადობის, ნაშიერის გამოკვების პროცესს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ტოპონიმი – სალოცავი ქვაჯვრის სახელწოდება „**ძუძუებიანი ქალი**“ (ჩამწერი - ს. მელიქიძე, მთქმელი – გ. დემეტრაშვილი, 1982).. „**ძუძუ-ქვას**“ უწოდებენ აგრეთვე, ჯავახეთში სოფ. მურჯახეთის მახლობლად აღმართულ ქვას („**მარინედ**“ წოდებული), რომელსაც სომხები „**კათ ქარ**“-ს („**რძის ქვა**“) ეძახიან. ეს ქვა ნაყოფიერების გამომხატველი რომ იყო ამტკიცებს თუნდაც ის, რომ აქ ბერწი და ურძეო ქალები, ან საქონელი მოჰყავდათ. რძის ნაყოფიერებისათვის ქალები ღოცულობდნენ, საკმევლს უკმევდნენ და ცხიმს უსვამდნენ. **სამშიდლის ნაქალაქარის მენჭირზე** კი, რომლის კონკრეტული სახელწოდება არ შემორჩენილა, სალოცავად გადიოდნენ უშიდლო და გასათხოვარი ქალები, ასევე ორსული ქალები მშიდლობიანი მშობიარობისთვის, დღეობა ღვთისმშობლის მიძინების დღეს ტარდებოდა. ლ. მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს, რომ „**ძუძუს ქვის**“ მსგავსი უნდა ყოფილიყო მცხეთის პირდაპირ და არაგვს გაღმა მდებარე ბორცვის ჯვარზედაც, რომლის ფერდობზე „**ძუძუს-წყარო**“ ცნობილი. მის ანალოგიად მკვლევარს მანგლისის პირდაპირ ალგეთს გაღმა ე.წ. **Камен-**

³⁹ „ჩქარა მოდი მაისო, ცხვარმა ძუძუ აივსო, ბეწიკუამ ბატკანმა პირი ზისცვრით გაივსო“ (ხალხური სიბრძნე: IV, 1964, 284)

⁴⁰ „შიდი მაისის ნამი თავზე დამედინა, შიდი-შიდი ნაწნავი ზურგზე დამეჭიმა“ (ხალხური სიბრძნე: IV, 1964, 285). ქართულ ხალხურ ეპოსში მაისი ნამს, ან წვიმას ცხოველმყოფელი მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთ ქართულ ხალხურ ზღაპარში „მზის ასული“, მოიხსენიება ირემი, რომლის რქებიც ცას სწვდებოდა. იგი კვლავ ზიდავს თავის რქებს. ზღაპრის ტექსტის მიხედვით, ირემმა მაისის წყალი უნდა დალიოს და რქები გაცვივა (ხალხური სიბრძნე: IV, 1964, 106, 107). რქების გაცვივა და შემდეგ ახლის ამოსვლა სამყაროს ციკლურობის და ბუნების აღორძინების ალგორითული სახეა.

⁴¹ (შდრ. ზემოთ მოხსენიებულ „ანანას“ მიერ მთიდან ირემების ჩამორეკვა).

ნაია ნევესტკა – ქვათარძალი მიაჩნია, რომელსაც „მარიამჯვარი“ ეწოდება⁴². ამ ქვას ჩვენი წინაპრები და შემდეგ მანგლისელი რუსები გვალვის დროს წვიმის მოყვანას ევედრებოდნენ. აღნიშნული მეგალითური ძეგლების მაგალითზე, წყლისა და ქალური საწყისის, როგორც ნაყოფიერების სათავეს ერთ არსში გააზრება ალბათ ნაყოფიერებისა და გამრავლების პროცესის სიმბოლური გამოხატულება უნდა ყოფილიყო, რადგან თავისთავად წყალი ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია ნაყოფიერებისა და სიცოცხლისათვის, მისი შემდგომი გამრავლებისათვის, რომლის არსი ქართულ მითოლოგიაში ვრცელდება როგორც ადამიანებზე ასევე ცხოველებსა და მცენარეებზე⁴³. ზემოთ მოხსენიებული „ნათელ მარეხიც“ მსგავსი ღვთაება უნდა ყოფილიყო.

ნაყოფიერების დიდი დედის ერთ-ერთი იპოსტასი უნდა იყოს სვანურ მითოლოგიაში შემორჩენილი „ლამარია“⁴⁴, რომელსაც მიწისა და მარცვლეულის ბარაქიანობას, შვილიერებას და მამაკაცთა სქესის სიმრავლეს შესთხოვდნენ. ქ. სიხარულიძეს მიაჩნია, რომ იგი ბევრ საერთოს ამჟღავნებს ღვთაება „ბარბარესთან“ და „შეიძლება ითქვას, რომ ეს ღვთაებები ... დედა ქალღმერთის ორგვარ განსახიერებას წარმოადგენენ“ (ქ. სიხარულიძე: 2006, 42). არგუმენტად მკვლევარს სვანური ხალხური ლექსი „ბარბოლოლაში“ მოჰყავს, რომელიც ბარბარესადმი მიძღვნილია, თუმცა „ლამარიას სახელი იხსენიება“⁴⁵:

„ჯიჰიერში მობრძანდები, გზაზე მწვანე ფოთლებს გიყრით, სუნი ასდის სარაჯ-თაფლის ლამარიას დადგმულ ტაბლას“ (ქ. სიხარულიძე: 2006, 42).

ამ მხრივ, იგი უფრო „ნათელ მარეხს“ ჰგავს. მათ საერთო ასტრალური სახეც უნდა ჰქონდეთ, რადგან ვ. ბარდაველიძის თქმით, „ლამარია“ „ცისკრის ვარსკვლავს“ განასახიერებდა (ვ. ბარდაველიძე: 63).

„ნათელ მარეხს“, რომელიც ველზე გაშლილ ყვავილს არის შედარებული შეესაბამება ერთი ხალხური ლექსიდან: „პარალო მინდვრის ყვავილო, სასუნებლო იაო“. ამ შემთხვევაშიც „პარალე“ ღვთაების სახელწოდება უნდა იყოს. ქალღვთაების მცენარეულ სახედ მინდვრის ყვავილები ჩანს. შუმერული მითოლოგიის მიხედვით, ინანას „ველის დედოფალსაც“ უწოდებენ, რადგან მას თავზე „ველის გვირგვინი“ ახურავს („მენდინა“). ხეთურ ტექსტებში იშთარი მოიხსენიება, როგორც „მინდვრის იშთარი“ (ანტიკური კავასია: 2010, 304.) სახელწოდება ქალღვთაების მეორე მხარეს ბუნების გაცოცხლება-ნაყოფიერებას და მფარველობას გულისხმობს. ქართული ხალხური ეპოსიდან მაშინვე გვახსენდება „მინდორთ ქალი“ და „ველის ყვავილი“, რომლის დები „ია“ და „ვარდი“ იყვნენ. შუმერული ინანა, აქადური იშთარი, ქართული „ნათელ-მარეხი“, „ველის ყვავილი“ და „მინდვრის ქალი“ ერთი უნივერსალური ქალღვთაების კერძო გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. „მინდვრის იშთარის“ მსგავსად ქართული მითოლოგიიდან საინტერესო სახეა მზე-ქალი, რომლის ეპითეტი ხევსურულად არის „მინდორის ჯვარი“. ჯვარი ამ შემთხვევაში ღვთაებას ნიშნავს. გუდამაყრულ დიალექტზე მას „პირიმზე – ფუძის

⁴² ქალქებად ცნობილი მეგალითური ქვებია აგრეთვე ქალ-ქვა სოფ. საბუედან და ქალ-ქვა („ქვათარძალი“) გურიის სოფ. ლიხაურიდან, რომელიც „...თითქოს ქალის ფორმისაა და „გაცხოველება-გაცოცხლების“ მნიშვნელობით აღჭურვილი“ (ლ. მელიქსეთ-ბეგი: 1938, 110).

⁴³ შუმერული ქალღმერთ ინანას ერთ-ერთი ატრიბუტია „სარწყავი არხი უხვი წყლის მომტანი“ (ზ. კიკნაძე: 1976, 266). ბუნებისა და წყლის ნაყოფიერების ერთ ღვთაებაში გააზრება მითოლოგიური სამყაროდან მაშინვე გვაგონებს დიდი დედის – სპარსული ღვთაების „ანაჰიტა“-ს - „ნოტიო მიწისა და წმ. წყალთა ქალღმერთის“ კულტს.

⁴⁴ ერთი ვერსიით სვანებს დროშა „ღემი“ ლამარიამ უბოძა (ქ. სიხარულიძე: 2006, 43)

⁴⁵ ვ. ბარდაველიძეს ბაბარ/ბარბაღეს მზის ქალღმერთად მიიჩნევდა, სვანური ლამარია კი განასახიერებდა ცისკრის ვარსკვლავს (ვ. ბარდაველიძე: 1941, 63)

ანგელოზს“ ეძახიან. ვ. ბარდაველიძე მას მზის ქალღმერთად მიიჩნევდა (В. В. Бардавелидзе: გვ. 93), თუმცა, პირიმზე უფრო მანათობელს, ლამაზს უნდა ნიშნავდეს, რომელიც იგივედგება მზეთუნახავთან, ან მზის ასულთან. მართლაც, „პირიმზე“, გარდა იმისა, რომ ფშაურ, მოხევეურ და მთიულურ დიალექტზე ყვავილის სახელია, გუდამაყრელი მთიულები მას თამარ დედოფალს უწოდებდნენ და წმინდანად თვლიდნენ (ღლონტი: 1974, 438). ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე, უძველესი ქართული ხალხური სიმღერა „**ია და ვარდო თამარო**“, სადაც მისამღერში პარალელ მოიხსენიება.

თამარი იხსენიება, როგორც „ია“ და „ვარდი“, და „შუქურვარსკვლავი“, ანუ ცისკრის ვარსკვლავი, რომელიც ინანა/იშთარის მსგავსი ქალღმერთთა ასტრალური სახეა.

„ია და ვარდო თამარო, პარალო პარი პარალო,
შენა ხარ შუქურვარსკვლავი, პარალო პარი პარალო,
ცას შენ გაუხსენ კარია, პარალო პარი პარალო,
ვერავინ ვნახე სიტურფით, პარალო პარი პარალო,
შენი ბადალი ქალია, პარალო პარი პარალო“.

„თამარი“ მოიხსენიება აგრეთვე, საძეობო სიმღერებში, რომლებიც ე. ვირსალაძის თქმით, „ნაყოფიერების საგაზაფხულო სიმღერათა ციკლს ეკუთვნის“, მაგ.: „დაუძახე თამარსა, თამარ ჩვენი რძალია⁴⁶, ნეკ ბეჭედი აბია“, ან კიდევ: „დაუძახეთ თამარსაგო, თამარ ჩემი რძალიაგო, მიქელაძის ქალიაგო, იმას რომ კაბა აცვია მთელი რაჭის ფასიაგო“ (ე. ვირსალაძე: 1964, 152). მართალია, აღნიშნულ ტექსტებში თამარი მოიხსენიება, მაგრამ აქ უფრო მისი მითოსური **არქეტიპი იგულისხმება**.

ზემოაღნიშნული ქალღვთაება გეხვედება აგრეთვე, „შროშანის“ სახელწოდებით. იგი მოიხსენიება უძველეს ქართულ საწესო საფერხულო ლექსში „**ქალი შროშანი**“, რომელიც ეძღვნებოდა გაზაფხულის მოსვლის მომასწავებელ ღვთაებას. იგი უნივერსალური დიდი ქალღმერთის თვალსაჩინო სახეს წარმოადგენს, რომელიც შემოვჭა ქართულ ეპოსში.

„ქალსა ვისმე ერქვა შროშანო, ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედიო,
ბეჭდის თავსა მოლი მოსულაო, მოლის თავსა ნაძვი⁴⁷ ასულაო,
ნაძვის თავზე ორბს ბუდე ჰქონდა⁴⁸, ბუდე იყო აბრეშუმისა,
კვერცხი ჰქონდა იაგუნდისა, ლეკვი ჩეკა მარგალიტისა ...“
(ხალხური სიბრძნე: III, 1964, 175).

ზემოაღნიშნული ქართული ლექსის შემთხვევაში „შროშანი“ არა რომელიმე ქალის კერძო სახელია, არამედ ღვთაებრივი სიწმინდით გამორჩეული, ნაყოფიერების მფარველი ქალური არსის მცენარეული სახე. თუმცა ერთ-ერთ ვარიანტში ქალის სახელად „**შუშანა**“

⁴⁶ შდრ. „ანატი“ სემიტურ მითოლოგიაში ნადირობისა და ომის ქალღმერთი, რომელსაც ქ. უგარიტში „ხალხის რძალსაც“ ეძახდნენ (Мифологический словарь: 1990, 146), ასევე „მარიამჯვარს“ მანგლისთან, როგორც აღვნიშნე, მანგლისელი რუსები „**Каменная невестка**“-ს, ანუ „ქვითარძალს“ ეძახდნენ, „ქვითარძალა“ ჰქვია აგრეთვე, გურიის სოფ. ლიხაურიდან „გაცხოველება-გაცოცხლების“ მნიშვნელობით აღჭურვილ ქვას.

⁴⁷ შუმერულ მითოლოგიაში ინანა მოიხსენიება, როგორც „მორწყული ნაძვი გირჩეობანი“ (ზ. კიკნაძე: 1964, 266)

⁴⁸ შუმერულ მითოლოგიაში შობის (მუდ) აღმნიშვნელი იდეოგრამა გამოხატავს „კვერცხებზე დაბუდებულ ფრინველს“ (ზ. კიკნაძე: 1976, 201)

მოიხსენიება (ხალხური სიბრძნე: IV 1965, 22)⁴⁹, რომელშიც შესაძლოა მცენარე „შუმ-ვარდი“, იგივე „პატარძალა“ და „ციციცნათელა“ იგულისხმებოდეს.

ე.წ. „დიდი დედის“ მსგავსი ქალღვთაება ანტიკურ წყაროებში აღწერილია ქ. ფაზისში, რომელსაც ქალღმერთი „ფასიანე“ ჰქვია: „ფაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთ ფასიანესი. გარეგნობის მიხედვით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, ასევე მისი სავარძლის წინ წვანან ღომები და თვით ის ზის როგორც ფიდიასის ქანდაკება ათენის მეტრონში“ (ანტიკური კავკასია: 2010, 304.)

ქალღვთაების სახელწოდებებიდან მნიშვნელოვანია ნადირობის ქალღმერთის, ნადირთა მფარველის სახელწოდებები – „ტყაში მაფა“ (ტყის დედოფალი) და „დიოფალი დალი“. გარდა ამ სახელებისა იგი მოიხსენიება, როგორც „ტყის ანგელოზი“, „კლდის ანგელოზი“, „ნადირთ პატრონი, „ნადირთ მწყემსი“. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ „დალ“ ძირით კავკასიურ ენებში მოიხსენიება ღმერთი, ღვთაება⁵⁰. ქართულ ხალხურ პოეზიას შემორჩა ერთი სამგლოვიარო ლექსი „დალაი“, რომელიც გ. ალიბეგაშვილის თქმით, სამგლოვიარო ჰიმნია სვანური „ზარის“ მსგავსად: „დალაი თქვით დალაი მხედრებო! – დალაი, დალაი“. „იგი წარმოითქმის მკვდრის პატივსაცემად გამართული დოდის წინ ... შემთხვევითი არაა აგრეთვე მისი თანხვედრები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების მითოსურ არსებათა სახელებთან. ჩეჩნებსა და ქისტებშიც გვხვდება „დალაობა“. გლოვისას ისინიც იგივე სიტყვებს წარმოთქვამენ: „დალაი, დალაი, ვაი დალაი, დალაი“ (გ. ალიბეგაშვილი: 1992, 100-102). ყოველივე ეს კი ამტკიცებს კავკასიაში მცხოვრები აბორიგენი მოსახლეობის, კავკასიური კულტურისა და მენტალობის ერთობას, კავკასიის ხალხთა ორგანულ კავშირს ერთმანეთთან. ე. ვირსალაძის აზრით, ეს ის ღვთაებაა, რომლის საგალობლები „დელიას“, ან „დიელი და ლაღეს“, „დილიღმეს“, „რიო დილას“, თუ „ნანა დილას“ სახით შემორჩა ჩვენს ხალხურ სიმღერებს“ (ე. ვირსალაძე: 1964, 112). დალის ღვთაებაც ასტრალურად მთიების, ანუ ცისკრის ვარსკვლავს უკავშირდებოდა. ქართულ ხალხურ ზღაპრებში მრავლადაა ქალღმერთის მსგავსი პერსონაჟები, რომლებიც სხვადასხვა სახით ურთიერთობენ რჩეულ მონადირეებთან.

ამრიგად, ჩემ მიერ განხილული მასალა რეალურად ცხადყოფს ნაყოფიერების დიდი ქალღმერთის არსებობას ქართულ მენტალობასა და ხალხურ ეპოსში, რომლის სახელწოდებებიც ლინგვისტურ და ისტორიულ წყაროებშიც დაფიქსირდა. ღვთაების სახელწოდებათა მრავალფეროვნება მიუთითებს, რომ მას საკმაოდ ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული ჩვენი წინაპრების აზროვნებაში. ქართულ ხალხურ ეპოსში შემორჩენილი ქალღმერთის სახე უნივერსალური ღვთაების კავკასიური ვარიანტი უნდა ყოფილიყო, რომელიც მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული წინა აზიის კულტურასთან და მსგავსებას ამუღავნებდა ძველი აღმოსავლეთის დიდ ქალღმერთებთან.

⁴⁹ ლექსის ამ ვარიანტში ტექსტს ემატება შემდეგი: „ბეჭდის თვალსა სანთელი ენთო, სანთლის თავსა ბოსტანი იყო“, დანარჩენი კი იგივეა (ხალხური სიბრძნე: IV 1965, 22)

⁵⁰ მაგ.: „ვეინახის ხალხში უზენაეს ღვთაებას ეწოდება დელა, დეილა ანუ დალი. ამავე დროს წოვა-თუშები, ჩაჩნები და ინგუშები დალ, დელე და მსგავსი დიალექტური ფორმებით აღნიშნავენ იმას რასაც ქართველი მთიელები „ხატსა“ და „ჯვარს“ ეძახიან, ე.ი. ღვთაებას, წმინდანს, საერთოდ საკულტო ობიექტს“ (ე. ვირსალაძე: 1964, 111). ჩაჩნურ „დელა“-ს, წოვების „დალა“-ს, ინგილოურ „დელე“-ს შეესაბამება სვანური „დალ“-ის ფორმა.

ლიტერატურა

- ალიბეგაშვილი 1992:** გ. ალიბეგაშვილი, ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები. თბილისი.
- ანტიკური კავკასია 2010:** ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია, ტ. I. თბილისი.
- ბარდაველიძე 1941:** ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი საარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბილისი.
- Бардавелидзе :** В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племён.
- გელოვანი 1983:** ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი. თბილისი.
- გიორგაძე 1988:** გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა. თბილისი.
- Энциклопедия символов 1990:** Энциклопедия символов. Москва Санкт-Петербург,
- ვირსალაძე 1964:** ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი. თბილისი.
- კავკასიური ფოლკლორი 2008:** კავკასიური ფოლკლორი. თბილისი.
- კიკნაძე 2007 :** ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია. თბილისი.
- კიკნაძე 1974:** ზ. კიკნაძე, შუმერული მითოლოგია. თბილისი.
- მაკალათია 1972:** მ. მაკალათია, წყლის კულტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესწავლისათვის. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XVI-XVII. თბილისი.
- კაპანაძე 2009:** ნ. კაპანაძე, ბავშვის აღზრდის ხალხური სისტემა ქართულ ფოლკლორსა და ეთნოლოგიაში (საკვნო სიმღერები). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“, წლის ოქტომბერ-ნოემბერი (მასალები).
- მელიქსეთ-ბეგი 1938:** ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, მასალები არქაიკული მონუმენტალური ხელოვნების ისტორიისათვის, თბილისი.
- Меликсет-Бек 1914:** Л. Меликсет-Бек, Кахтубанский храм. Христианский Восток, Т. III, в. III. Тбилиси.
- Мифологический словарь 1990:** Мифологический словарь. Москва.
- მოქცევაი ქართლისაი 1963:** ილ. აბულაძე, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. წ. I. თბილისი.
- ორბელიანი 1991, 1993:** სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. ტ. I, ტ. II. თბილისი.
- სიხარულიძე 1955 :** ქ. სიხარულიძე, კავკასიური მითოლოგია. თბილისი.
- ლენტი მროველი:** ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი.
- ქართული პოეზია 1985:** ქართული პოეზია, ტ. 17. თბილისი.
- ქუთათელაძე 2006:** ქ. ქუთათელაძე, „მარიამჯვარი“, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძეგლები, VIII. თბილისი.
- ღლონტი 1974:** ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი, თბილისი.
- ჩართოლანი 1977:** მ. ჩართოლანი, ჩხუდანი – სვანური სახლის კერპი. სვანეთი I. თბილისი.
- ჩხარტიშვილი 2009:** მ. ჩხარტიშვილი, ქართული ეთნიკ რელიგიური მოქცევის ეპოქაში. თბილისი.
- წერეთელი 1924:** მ. წერეთელი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა. კონსტანტინოპოლი,
- ხალხური სიბრძნე 1963, 1964:** ხალხური სიბრძნე, ტ. I . ტ. II. თბილისი.
- ჯავახიშვილი 1992:** ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თხზულებანი 12 ტომად, ტ. IX. თბილისი.

К. Кутателадзе (Тбилиси)

Имена богинь плодородия в грузинском менталитете согласно грузинскому эпосу и источникам

Согласно грузинским источникам грузинские цари (Саурмаг и Мирдат) на Мцхетской дороге возвели два идола „Айнина и Данина“. Оба названия – это варианты имён одной и той же богини. Грузинский эпос и фольклор дают богатый материал об этой богине. Одним из примеров можно считать грузинскую народную сказку „Анана“, сюжет которой выходит за пределы структуры обычной сказки и содержит множество мифических пластов, где для богини Инана (или для похожей на неё богини) сохранена характерная атрибутика. Героиня сказки женщина неземного происхождения „Анана“, является перед гуляющим в саду принцем в виде *написанной бумаги*, которая затем превращается в необыкновенную красавицу. Её воплощение в растениях – укроп и лук-порей. Действительно, в саду принца были две грядки зелени, отсюда один ряд был укропный, а другой – лука-порея. Принц не начинал обедать, не посидев возле тех грядок. Для царей Междуречья садоводство имело сакраментальное значение, а сад царя имел культовое назначение. В такого садовода-царя влюблялась „Инана/Иштар“ и помогала ему.

„Анана“ – это волшебница, она проявляет знания, характерные для богини, созывает с гор оленей, доит их и купается в кипяченном оленьем молоке (омовение в молоке), веретеном (символ Великой Матери) прядёт шелк. Подражая „Анана“ все простые смертные жены принца погибают. В конце концов он остается с т.н. „Ананой“, . До женитьбы на „Анана“, принц разыграл сцену смерти, вымазавшись в свиной крови. Увидев измазанного в крови принца, „Анана воскликнула:

„Солнце - мать, отец – луна, звёзды – солнце моё, спустите золотой стул, нет больше царя“.

После этих слов, действительно, разверзлось небо и спустился золотой стул, принц встал и обнял *Анану*. Они стали мужем и женой. Разверзнутое небо и спуск золотого стула являются характерным именно для астрального вида богини – утренней звезды, или упомянутой в грузинском эпосе „Шукурварсквлави“ – („Цискрис варсквлави“ - утренняя звезда - планета Венера).

Не исключено, что древнейшее грузинское стихотворение о поклонении светилами – „Солнце - мать, луна- отец“ – также указывает именно на культ „Инана/Ананы“. И в шумерской мифологии Инана упоминается как *Царица неба* и считается дочерью луны. „Дочерью солнца и луны“ упоминается также персонаж из одной абхазской сказки – „писаная красавица“, которая „испускала сияние подобно солнцу“.

В грузинских народных сказках одним из видов богини является „Тростниковая женщина“ божественного происхождения, которая должна была быть связана с плодородием воды. В мифологии народов мира тростник это символ очищения, может быть потому, что он был связан с водой. Два переплетённых тростника были символом Иштар – Вавилонской богини плодородия, параллельным мифологическим лицом которой должна представляться „Тростниковая женщина“.

Тайной прядения шелка веретеном владеет и „Тростниковая женщина“, которая соткала шёлковой ковёр, не имеющей цены. Несколько таких ковров являются символов богатства и изобилия.

В грузинском быту во время прядения шёлка использовались полый стебель конопли и лён, которые представляли собой воплощение богини в растениях.

В народном эпосе часто фигурирует „шелковое гнездо“, откуда вылетает сокол, в некоторых случаях ястреб или белоголовый сип. В шелковое гнездо он кладет яхонтовое яйцо и высиживает жемчужного птенца. В грузинской народной сказке „Платок писаной красавицы“, упоминается шелковой платок, который один раз в семь лет пряла жившая в скале красавица и сбрасывала со скалы, а платок находил её избранный. Особенность шелковой ткани указывает на её божественное происхождение. В грузинских народных сказках очень интересным является превращение в одних случаях веретена, а в других случаях женщины в кипарис („Алвис хе« - древо жизни), а веретено считается атрибутом „Великой Матери“, как символ вечного движения вселенной.

Следующей атрибутикой богини является олень и его доение. Олень считается святым животным „Великой Матери“, которая одновременно является покровительницей охотников и лесных зверей. В грузинских народных сказках олень или оленья шерсть – это символ богатства и изобилия. Купание в оленьем молоке и стирка чего-либо является сакраментальным. Очень часто олень это зооморфный символ богини охоты.

Параллельно этому наименованию грузинской народной сказки – сразу же вспоминается наименование культа плодородия „Анана Гунда“ в абхазской мифологии, которая считается богиней пчеловодства и охоты, а также богиней рождаемости и родов.

Люди верили, что местом пребывания Ананы Гунды было то место, где много диких пчел. Таким местом считалась большая скала в ущелье р. Гумыста, около Сухуми. Это скала называлась „Анантаври“ (местопребывание Ананы). Это скала считалась сакраментальной и взбираться на неё запрещалось. Только удачным охотникам удавалось увидеть „Анану Гунду“. Менгрелы эту богиню называли „Джарагуна“, или „Джгерагуна“.

Один из видов вышеуказанных богинь, очевидно, является упомянутая в нартском эпосе „Прекрасная Агунда (характерные атрибуты – олень и цифра 7).

Чечено-ингуши поклоняются культу „Нана – Аны“, которая олицетворяла обожествлённую матушку-землю. Она была утренней звездой, за спиной которой опускалось солнце. Рассвет – утренняя заря являются её свечением. В мифологическом воображении женское начало находилось в недрах Аны, из которой произошли все живые существа. В разных мифах её мужем считалась то небо, то солнце, а иногда космический бык. Перед севом девушки – ополдростки осуществляли молитвы, связанные с плодородием вместе с ритуалом оплодотворения земли.

В грузинском эпосе „Нана“ представлена в произведениях для детей, которые в основном являются колыбельными. В них содержится значительный материал мольбы и просьбы о женском плодородии к Великой Матери природы. Дитя, покровительницей которого является богиня „Нана“, сравнивается с „Утренней звездой“. А она представляет собой астральное лицо богини.

В стихотворениях подобного типа часто встречается обращение: „Ээ на“, или „Ээ Нана“, „Нана, Нана, Батоно“, „Нана, Нана, Гетаква“, „Иавнана“, „Вардонана“, „Нана, Нана, Нанис нана Иавнананина“, „Нана, Нана, Нанаса“, „Нанина, нана, нанина“. Из текста сванской колыбельной интересно – „Нана нанинас вумгери оов нанилад“, а менгрельской колыбельной – „Нанаиа нанас скуа, Нанас чирима“. В этом отношении можно провести параллель с нартским эпосом, где матерью 99 нартов должна быть „Сатанеи Гуаша“ - архетип Великой Матери. Она

сравнивается со светилом, которое поёт своему младшему сыну колыбельную: „С солнцем соперничает женщина – светило, женщина – светило приятно поет: – **Шиши нанио, Уа нанио**“.

Из народного эпоса параллельно с „Нани нана“ встречается форма „**Дан-Дани, Дан**“, что является одной и тоже формой названия сути. С.-С. Орбелиани одним из значений **Наны** упоминает **Данану**. Исходя из этого, упомянутая в „Картлис цховреба“ „Аинина“ фонетическая форма „Наны“, а „Данана“ ухразновидность. Вполне вероятно, что историк-переписчик воспринял её как разные имена, хотя оба имени - название одной и той же богини. И, действительно, в ингилойской колыбельной вместо „Нани Нана“ упоминается „**Дан-Дан**“. Одной из ласкательных форм младенца является „**Адандало Дандало**“. „**Аданда/Данда**“ схожа с „**Дан/Дани**“. Что же касается „**Ало**“, её можно сравнить с формами „**Ло-ло/А-ло-ло**“ (ос.), „**Лау, Лау**“ (абх.), „**Лиау/Лиано**“, встречающимися в колыбельных на Северном Кавказе, что одно и тоже, с грузинской „**Нана**“.

Отражением сути плодородия должен быть тот факт, что, как правило, во всех текстах произносимых во время дойки коровы, повторяется слово „**Деда**“ (**Мать**). В Хевсурети, во время выгона коровы на пастбище, произносили „**Деде**“, а обратно с пастбища – „**Дедао**“, „**Нца - Дедао**“. В Месхети дойную корову называли „**Дед**“. На ингилойском диалекте ласкательным словом коровы упоминается „**Нинима**“. Молоко, сосание груди вызывают воспоминания матери, и потому во время доения коровы использовали слово „**Деда**“ (**Мать**).

Эквивалентом грузинской „**Деда**“, сванской „**Деде**“ и менгрельской „**Дида**“ должны быть „**Нена, Нене, Нина, Нана**“, что также обозначает «мать». И в грузинских диалектах (гур., адж.) „**Нене**“/„**Нена**“ „**Ненеи**“/„**Ненаи**“ это бабушка („**Дидеда**“), что дословно обозначает «большую мать». Слова с основой **Нан/Нана** и **Нин/Нину** и в других кавказских языках обозначают мать, бабушку. В диалектах грузинского языка сохранились интересные формы слов, обозначающих бабушку (большую мать), которые помогают в подтверждении идентичности Аинина / Анана / Аны с Дан-ан-ай. В месхетинском диалекте „**Дидеда**“/бабушка отмечается формой „**Дидиа**“, в гурийском диалекте „**Дедамания**“ обозначает «повивальную бабку». Самыми интересными формами мы сочли в аджарском диалекте „**Дид-и ана**“ (большая ана) и „**Дидана**“, в гурийско-аджарском диалекте – „**Диднене**“, которая также обозначает бабушку („**Дидеда**“ - **большая мать**). Таким образом на основании существования обеих форм, можем отметить, что „Аинина и „Данина“ – названия одной и той же богини. Значителен тот факт, что в менгрельском „язык“ называется „**нина**“, а в сванском „**нин**“, (ср. „**Деда-ена**“ - родной язык).

Фонетической формой Анана/Нана/нина должна быть „**Инани**“, и она связана с женским плодородием. Параллельной формой „**Инани**“ является „**Минани**“- мать 12 сыновей (ср. 12 – святая цифра шумерской богини Инаны). Инан/Минан один из вариантов названия богини, Которая воплощает в себе покровительницу плодородия и родов, а также детей. Формой, похожей на „**Минану**“ является „**Манан/Манано**“, которые, согласно одной грузинской колыбельной, детям „сон приносят в бурдюке“.

Сегментом Нин/Нан/Ан/Дин/Дан начинаются имена многих великих богинь в мифологии разных народов, из которых можно выделить: Нинлили, Нинмах/Дингирмах, Нинана (Инана), Нину/Нино (Иштар Ниневи), Дану (мать богов в кельтской мифологии). В аккадской мифологии упоминается богиня любви, плодородия и войны - „**Нанаи**“. Вполне возможно, что это второе имя Иштар. В армянской мифологии дочерью верховного бога Арамазды упоминается „**Нане**“, чье имя должно происходить от имени аккадской „**Нанаи**“. Впоследствии культ „**Нане**“ переплелся с культом богини-матери Анаиты.

Вероятно, имя Аинина/Анана/Нана/Ана происходит от богини плодородия Инаны, дочери луны шумерской мифологии, которую считают утренней и сумеречной звездой. Её альтернативные названия – Иннин, Еннин, Ниннин, Нинанна, Ниннар, Иннина, Еннина, Ирнина, Нана, Нин. Эти названия, как правило, происходят из более ранней Нин-Ана, что обозначает „Царица небесная“. Вероятно она связана с хурритской матерью-богиней „Ханнаханна“ („Hannahannah“). Очень интересно, также название хаттского титула „Таванана“, который обозначает царицу.

Астральным лицом выше указанных богинь является планета Венера, известная под названием „вечерняя и утренняя звезда“. По разъяснению С.-С. Орбелиани, мерцающую на рассвете звезду называли „Мтиеби“, а звезду, сверкающую вечером – „Афродитой“. Интересен тот факт, что в пшавском диалекте „сискари“ („цискари“) обозначает звезду, где наверное, подразумевается планета Венера. В грузинском языке укрепилось женское имя „Этери“, также обозначающее „звезду“. В грузинском языке сохранилось название планеты („Марса“, или „Венеры“), как мерцающей звёзды - „Марех-Марих“. То, что это название является обозначением женского начала, подтверждается древнейшим обрядовым стихотворением „Останься с нами Светлая Марех“ - ценнейший материал для того, чтобы в „Светлой Марех“ увидеть покровительницу природы „Великую Мать“. Это моление повествует о приходе весны и возрождении природы, которое определяет и управляет богиня плодородия.

„Марих варсквлави“ („Марих звезда“) это то же, что и „Шукурварсквлави“ (утренняя звезда). Название „Нател Марехи“ („Светлая Марех“) в этом случае должно быть в общем названием звезды, а не конкретным именем богини. Хотя, это имя точно отражает астральное лицо богини, которое более ассоциируется с планетой Венерой. Для неё характерен белый цвет (белоснежная грудь, белый стебель конопли, украшение природы в белый цвет), распущенные по плечам золотистые волосы. Белый цвет – это божественный цвет, который олицетворяет небо. Белый цвет указывает на её божественное начало.

Подобно „Нател-Марехе“ („Светлая Марех“) белоснежное тело имеет и Великая Мать нартов в нартском эпосе – Сатанеи Гуаш, которая „греет без солнца и блестит без луны“. Она владеет навыками прядения и ткачества, характерными для богини, что проявляют также грузинские архетипы (Анана, Тростниковая женщина), сохранившиеся в грузинском фольклоре.

Характерная для богини белоснежная грудь означает плодородие. С ней связана продуктивность молока, которая определяет процесс размножения, доения и выкармливания людей и животных. В связи с этим интересен топоним – название молельного каменного креста „Женщина с грудями“. „Дзудзус ква“ („Камень груди“), называемый „Марине“, воздвигнутый возле деревни Мурджахети в Джавахетии который армяне называют „Кат-кар“ („Молочный камень“). То, что этот камень обозначает плодородие, подтверждается хотя бы тем, что сюда приводят бесплодных женщин и животных, а также женщин, не имеющих молока. Для прибавления молока женщины молились, окуривали и смазывали камень жиром. А к менгиру городища Самшвилде, конкретное название которого не сохранилось, приходили молиться бездетные и незамужние женщины, а также беременные для благополучных родов. Праздник проводился в день Успения Богоматери. Л. Меликсет-Бек считает, что камень, подобный „Дзудзус ква“ („Камень груди“) должен быть напротив Мцхета, по ту сторону р. Арагви, на „Борцвис джвари“ („Крест холма“) на склоне которого т. н. «Дзудзус цкаро» („Источник груди“). Исследователь его аналогом считает т. н. „Каменную невестку“ („Кватардзали“), под названием „Мариамджвари“, находящуюся по ту сторону р. Алгети в районе Манглиси.

Одной из ипостасей Великой Матери плодородия должна быть „Ламария“, сохранившаяся в сванской мифологии, которую просили о плодородии земли и посевных, рождаемости и размножения людей мужского пола. Она олицетворяла утреннюю зарю, которая является предшественницей восхода солнца.

Названию „Светлая (ясная) Марех“, которая сравнивается с распустившимся в поле цветком, соответствует „Арале, полевой цветок (фиалка)“. В этом случае „Арале“ может быть названием божества. Воплощением богини в растениях, являются полевые цветы. Согласно шумерской мифологии, Инану называют и „Царицей поля“, т.к. голова её покрыта «полевой короной» (Мен-Дина). В хеттских текстах Иштар упоминается как „Полевая Иштар“. Это название подразумевает другую сторону богини – покровительство природы, её оживление – плодородие. Из грузинского народного эпоса сразу вспоминается „Миндорт Кали“ („Полевая Женщина“) и „Полевой Цветок“, чьи сестры были фиалка и роза. Шумерская Инана, аккадская Иштар, грузинская „Светлая Марех“, „Полевой Цветок“ и „Полевая Женщина“ должны быть восприняты как конкретное проявление одной универсальной богини. Похожим на „Полевую Иштар“ очень интересным является в грузинской мифологии лицо „Полевой Крест“ (крест в этом случае обозначает божество). На гудамкарском диалекте её называют „Пиримзе, („Солнцеликая“) – «ангел жилища» (на пшавском, мохевском и мтиульском диалектах это название цветка), её называли „царицей Тамар“ и считали святой. В связи с этим заслуживает внимания старинная грузинская песня - „Иа да вардо Тамаро“ („Тамар – фиалка и роза“), где в припеве упоминается „Арале“. Тамар упоминается, как „фиалка“ и „роза“ и „Шукурварсклави“, т.е. утренняя звезда, которая является астральным лицом богинь Инана/Иштар. „Тамар“ упоминается также в песнях, посвященных рождению сына, которые по словам Е. Вирсаладзе, относятся к циклу весенних песен плодородия.

Вышеуказанная богиня встречается также под именем „Лилия“ („Ландыш“). Она упоминается в древнейшем грузинском обрядовом хороводном стихотворении „Кали Шрошани“ („Женщина Лилия“), которое посвящалось божеству – предвестнику весны.

Богиня, похожая на т. н. „Великую Мать“, описана в античных источниках г. Фазиса, которую упоминают под именем „Пасиане“.

Согласно грузинскому эпосу и мифологии из имён богинь нужно отметить имена богини охоты, покровительницы животных - „Ткаши Мафа“ (Царица леса) и „Царица Дали“. Кроме этих имён, она упоминается как „Ангел леса“, „ангел скалы“, „хозяйка зверей“, „покровительница зверей“. Исследователи отмечают, что с корнем „Дал“ в кавказских языках упоминается бог, божество.

K. Kutateladze (Tbilisi)

The name of deity-woman of Fertility according to Georgian epos and sources

Summary

According to Georgian sources the kings Saurmag and Mirdat created two idols „Ainina and Danina“. Both of them are the variants of the same deity-woman on the basis of folklore material I don't except the fact that this idol wasn't brought in, but must have been sprung up in the Georgian cultural space. As one of the arguments of said above I can use the Georgian fairy-tale „Anana“. According to the text „Anana“ is a daughter of the sun and the moon, who falls in love with the prince. In all probability the ancient Georgian verse - „The sun is my mother, the moon is my father“ - points just to Anana's cult. In one of the Abkhazian fairy-tale the beauty of woman, „who illuminated like the sun“, is mentioned as „the daughter of the sun and moon“.

In Georgian folk fairy-tales one of the deity-woman faces is „The Reed Woman“ of divine origin. Maybe she represents the parallel mythological face of Ishtar, whose symbol was „two interfaced reeds“. The Great Goddess, whose variants are „Anana“ and „The Reed Woman“, possessed the secret of silk spinning and weaving. In Georgian folk fairy-tails spindle from one side and a woman's transformation into „cypress tree“ („Life Tree“) are considered as the attributes of „the Magna Matter“, as the symbol of eternal revolving of the universe.

Simultaneously with the name „Anana“ I remember the name of fertility cult in Abkhazian mythology – „Anana Gunda“, who was considered as the goddess of bee keeping, hunting and also as the protector of child-bearing and for women in child-birth.

The Chechen - Ingushes also worshipped „Nana-Ana's cult“, who personified idolized ground. Her astral face is „The Daybreak Star“, behind which the sun was setting down.

In Georgian epos the person of „The Great Mother of Nature Nana“ is considered to be the baby's protector. S.S. Orbeliani mentions „Danana“ as one of Nana's meanings. Hence, „Ainina“, mentioned in „The Kings Life“, must be the phonetical form of Nana, and Danana is its variety. The copyist historians probably took them as different names, though both names are of the same goddess.

In Georgian and Kartvelian (Megr., Svan.) languages „Nena, Nene, Nina, Nana“ means mother. In Georgian dialects (Gur., Adjar.) „Nene/Nena“ also means grandmother, grandma, which word for word means great mother. The words with the root Nan/Nana and Nin/Ninu mean mother, grandmother in different Caucasian languages. In Meskhetian dialect grandmother is denoted by the form „Didia“, in Adjarian dialect - „Didi Ana“ and „Didana“, in Gurian/Adjarian dialects - „Didnene“.

The phonetical form of Anana/Nana/Nina must be „Inani“. It is also connected with woman's fecundity. The parallel form of Inani is „Minani“, mother of twelve sons (c.f. 12 is Inana's sacred figure).

Probably the name of Ainina/Anana/ Nana/Ana was originated from the daughter of the moon Inana, who was the fertility goddess of Sumerian mythology. By the segments nin/nan/an/din/dan begins the name of many goddesses in different mythologies of the world, e.g. Ninana („The Princess of the Sky“ - Inana), Nino/Ninu (Ishtar of Ninevia), Nanai (the goddess of love, fertility and war), in Akadian mythology, maybe it is the other name of Ishtar. „Nane“ in Armenian mythology is mentioned as the daughter of supreme god – Aramazd. This name must be originated from Akadian name „Nanai“. Lately she united with the cult of mother-god of „Anahita“. It was the name of the mother goddess of fertility in Iranian and

Armenian mythology. Very interesting name is also the name of Khurit mother-god – „Hannahannah“ and Khatian title „Tavanana“, which means the queen.

The astral face of the goddesses mentioned above is the planet Venera, known under the name „evening and day-break star“. In S.S. Orbeliani's explanation the star twinkling at day-break is called „Mtiebi“ and the star twinkling in the evening – „Aphrodita“. It's worthy to denote, that in Pshavian „siskari“ („Tsiskari“) is star, where planet Venera must have been ment. In Georgian language settled the woman's name Eteri, which denotes a star („varskvlavi“). In Georgian language the name planet („Mars“, or „Venera“), as of twinkling star settled the name **„Marekh-Marikh“**. „Marekh-Varskvavi“ is the same as „Shukurvarskvlavi“ (Day-break Star). „Bright Marekh“ must be the protector of nature – „Magna Mater“. She directs the awakening of the nature and coming of spring.

To „Bright Marekh“, which is compared with the flower blooming in the field, corresponds the phrase from a folk verse „Harale, the field flower, violet for smelling at“. In this case „Harale“ must be the name of goddess as well. The plant appearance of the goddess are the field flowers. In Shumerian mythology Inana's name is „The Princess of the Field“, in Khetian texts Ishtar as „Ishtar of the field“. And here, I immediately remember from Georgian folk epos „The Field Woman“ and „The Field Flower“, whose sisters were „Violet“ and „Rose“. Shumerian Inana, Akadian Ishtar, Georgian „Bright Marekh“, „The Field Flower“ and „The Field Woman“ I must consider as concrete manifestation of universal Goddess. Like „Field Ishtar“ is very interesting the face of „Field Cross“ from Georgian mythology (cross in this case means goddess). In Gudamakarian dialect she is called „Pirimze“ (in Pshavian, Mokhebian and Mtiuletian dialects is means flower) – „Base Angel“, who was called Tamar the queen. The goddess spoken above is mentioned also as „Tamar“. In the ancient Georgian folkhymn with the name Tamar is connected „violet and rose“, where in refrain is mentioned „Harale“. Tamar is represented as „Violet“ and „Rose“ and „Shukurvarskvlavi“, or „Day-break Star“- (Venera), and the opener of the sky door, which is astral face of the goddesses like Inana/Ishtar. Tamar is mentioned also in ritual songs connected with the birth of a son, which belong to the cycle of fertility spring songs.

The „Magna Mater“ of fertility face is considered to be „Lamaria“, which is preserved in Svanetian mythology and who was asked for rich corn harvest and fertile soil, multiplicity of male and child-bearing. She personified the Day-break Star. The Megalit cult stones, representing abundance of milk and water, are known as „Marine“ („Breast Stone“) and „Mariamjvari“ („Kvatardzali“ – The daughter-in-law of the stone).

The Goddess mentioned above is met also under the name of „Shroshani“ (Lily of the valley). It is mentioned in the ancient Georgian ritual round dance rhyme „Lily of the valley woman“, which was devoted to the goddess, announcing coming of spring. Goddess like „Magna Matter“ is described in antique sources in Phazis and is mentioned under the name „Fasiane“.

From the names of the goddesses according to Georgian epos and mythology I name the goddess of hunting, the protector of the beasts – „Tkashi Mapha“ (The princess of the wood) and „Princess Dali“. Besides these names she is mentioned as „The angel of the wood, rock“, „The beasts patron“, „The beasts guardianship. The investigators denote, that in the Caucasian languages by the root „Dal“ is mentioned god, deity.

ლიტერატურა, ფოლკლორი

Literature, Folklore

Литература, Фольклор

ზ. კიკვიძე (თბილისი)

კავკასიის თემთა გენდერული ასპექტები ვაჟა-ფშაველას პოეტური ეპოსის მიხედვით

გენდერული კვლევები თავისი წარმოშობით, პრობლემატიკითა და პათოსით ფემინიზმის თეორიას ეფუძნება, თუმცა ის დღესდღეობით უფრო პლურალისტული, ფართო და ტოლერანტულია, ვიდრე კლასიკური ფემინიზმი. ახლა უკვე ყურადღება ეთმობა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას უფრო აბსტრაქტულ, სოციოლოგიურ კონტექსტში, მაგალითად, მასკულიზმისა და ფემინიზმის კონსტრუირებასა და გენდერის ალტერნატიულ მოდელებს.

ძველი საბერძნეთის დროიდან მოყოლებული ანგლოვეროპელი მამაკაცი უფრო მეტი სოციალური პრივილეგიებით სარგებლობდა, ვიდრე ქალი. თუმცა მასკულიზმისა და მამაკაცობის სხვადასხვაგვარი, მათ შორის, ერთმანეთის საპირისპირო გაგებაც არსებობდა. იყო დრო, როდესაც მასკულიზმმა ფიზიკურ ძლიერებასთან ასოცირდებოდა ან თავშეკავებულობასა და თავაზიანობასთან იყო გაიგივებული. მამაკაცობა ჰომოსოციალურ დაჯგუფებებს (რომელთა წევრები მამაკაცები იყვნენ) და საძმობს, ან კიდევ მჭიდრო ოჯახურ ურთიერთობებს უკავშირდებოდა. „ნამდვილ მამაკაცად“ ითვლებოდა ის, ვისაც ავტორიტეტისადმი მორჩილების ნებისმიერი ფორმა აღიზიანებდა და ისიც, ვინც ცხოვრებაში საკუთარი ადგილით კმაყოფილი იყო. აზრთა ეს მრავალფეროვნება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მასკულიზმის სოციალურ ხასიათს (როი 2007: 20).

გაცილებით ადრეული, წინარებერძნული სამყარო პრივილეგიულ მდგომარეობას ქალს აძლევდა. ამის მკაფიო დადასტურება შუმერული ცივილიზაციის მრავალ წყაროში, მითებსა და ეპოსებში მოიპოვება. ქალდმერთთა კულტის ძლიერება, უპირველეს ყოვლისა, ასახავდა საზოგადოების წევრებს შორის ქალის პრივილეგიურ მდგომარეობას.

კაცობრიობის კულტურული განვითარების კვალდაკვალ გენდერული იმპერატივი მამაკაცურმა ფენომენმა მოიპოვა. კვლევებში ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ დღემდე არსებული ისტორია ძირითადად მამაკაცებს მოიაზრებდა ლიდერებად და მსოფლიოს აქტივაციის პროცესების ძირითად მესაჭედ. ასეთი გენდერული მიმართება ზოგიერთ ენაში სემანტიკის დონეზეც კი ფორმდება. მამრი ასოცირდება უნივერსალურთან, საზოგადოსთან, ყოვლისმომცველთან. მდედრი უფრო ხშირად გამორიცხულია, ან კიდევ რაიმე კერძო შემთხვევას წარმოადგენს. მამრებთან დაკავშირებულ სიტყვებს ხშირად აქვთ დადებითი კონოტაციები. ისინი გადმოგვცემენ ძალაუფლების, პრესტიჟისა და წინამძღოლობის ცნებებს. ამის საპირისპიროდ, მდედრობითი სიტყვები უფრო ხშირად უარყოფითია, გადმოგვცემენ სისუსტეს, ქვემდგომობას, უმწიფრობას, უმნიშვნელოს გაგებას, ქალების აღმნიშვნელი სიტყვები უფრო ვიწრო შინაარსისაა, ვიდრე მამაკაცების (თორნი და ჰენლი, 1975:15).

უკანასკნელ დრომდე მამაკაცებიცა და ქალებიც სამყაროს მამაკაცური პერსპექტივიდან გაიზრებდნენ. მამაკაცური ფენომენი ითვლებოდა გონიერების საზომად. შესიტყვება „მამაკაცური ტვინი“, შესაძლოა, თქმულიყო ქალზეც, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ჭკუა-გონების შეფასება მასკულიზირის ფიქსაციითა და იდეალიზაციით ფორმდებოდა. თუმცა გენდეროლოგიამ წარმოაჩინა, რომ ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების, ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს არა ბიოლოგიური სქესი, არამედ კულტურული ფასეულობანი. გარემოსა და აქტუალური სოციალური სიტუაციის გათვალისწინებით კულტურა გამოარჩევს ადამიანის თავისებურებათა ერთ წყებას და ჩაახშობს მეორეს, რომლებიც არ ესადაგება მის არსებობას. ამიტომაც, რომ ქალი ხდება ქალური (ფემინური) და მამაკაცი – მამაკაცური (მასკულიზირი), რაც ხორციელდება მოცემულ კულტურაში მისი სქესის წარმომადგენლისათვის მისაღები ქცევის სტანდარტების ათვისების შედეგად [კიკვიძე 2010:21].

ამ თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო შესასწავლი აღმოჩნდა კავკასიის თემთა გენდერული ბალანსი, რომელიც უპირატესად ვლინდება რელიგიურ და ეთნოკულტურულ წესებში. კავკასიის მთების მკაცრმა გარემომ სწორედ ადათებსა და რიტუალებში შეინახა ყოფის უძველესი სოციალური ვითარება და მასში არსებული ქალისა და მამაკაცის დამოკიდებულებანი. როცა კავკასიის თემებზე ვსაუბრობთ, ვითვალისწინებთ რიტუალთა თავისებურებას, რაც განპირობებულია წარმართული, ქრისტიანული და მამულიანური სარწმუნოებების შერევით. აქვე დავებნთ, რომ რელიგიათა სხვადასხვაობა არ ყოფილა ხელისშემშლელი ფაქტორი სხვადასხვა თემში ჩამოყალიბებულიყო მსგავსი ეთნო-ყოფითი ნორმატივები.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დადასტურებულია კავკასიის ეთნიკურად მრავალფეროვანი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ქალისა და მამაკაცის მოვალეობათა და ქმედებათა სხვაობანი. მაგალითად, ფშაველებში ქალები და მამაკაცები სუფრასთან ცალ-ცალკე სხდებოდნენ და სუფრის დიასახლისიც სხვადასხვა ჰყავდათ. ცოლი ქმრის მორჩილი იყო. ქმარიც ცოლს დიდ პატივს სცემდა, როგორც თავისი ოჯახის ბურჯს. თან მიჰყავდა ხატსა თუ ქორწილში. ქალებს უფლება ჰქონდათ, კაცის სახლში არყოფნის დროს, სათემო და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა მიეღოთ. ამის გამო ვაჟა-ფშაველა აღნიშნავდა: „დედაკაცი მამაკაცზე მძლავრად, სასტიკად ებრძვის მძაფრს, სასტიკს ბუნებას, ეჯაგანება, არ უტყდება და თვით ეს ბრძოლა დიაცს მამაკაცად ჰქმნის (ხაზგასმა ჩვენია-ზ.კ.), მას ამსგავსებს, განა მარტო სიარულში? არა, ხმაც კი, მამაკაცისა აქვს... ფშაველ დედაკაცზე არ შეიძლება ითქვას, ვითომც ის მონობაშიც იყო მამაკაცის მიერ თავისუფლებას მოკლებული, პირიქით, ეს თავისუფლება დედაკაცს მეტიც მოსდის“ (ვაჟა-ფშაველა 1985: 608).

მწერალი ხევსურ ქალს ფშაველს ადარებს და ხაზს უსვამს, რომ ცხოვრების მკაცრი პირობები ადრიანად აკარგვინებს ქალს სინაზეს, რაც საზოგადოდ მიჩნეულია ფემინურობის გამომხატავ თვისებად. აქცევს მას დედაკაცად, ამ სიტყვის გარკვეული ვაგებით.

გეოგრაფიული გარემო და ცხოვრების ეკონომიკური სირთულე განსაზღვრავდა მთის მოსახლეობის გენდერულ მდგომარეობას. ამ შემთხვევაში შრომითი ქმედებების სიმძიმე განაპირობებდა ქალის მასკულიზაციას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოციუმის გენდერულ დაბალანსებაში რელიგიურ წარმოდგენებსაც განსაკუთრებული როლი ენიჭებოდათ. ადრინდელი პერიოდის ფშაგ-ხევსურთა სარწმუნოებაზე არ შეიძლება ცალსახად ვიმსჯელოთ, როგორც მხოლოდ წარმართულზე ან მხოლოდ ქრისტიანულზე.

ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმართული რიტუალური ქმედებანი იმდენად შეერწყა ქრისტიანულს, რომ ჩამოყალიბდა აღმსარებლობის უცნაური ფორმა: ქრისტიანული წმინდანებისადმი ნახევრად წარმართული მსახურება. ასეთი შერევა აისახებოდა ეთნო-ყოფით კულტურაში. არსებობდა მთელი რიგი აკრძალვები, რომელთა მიხედვით ქალს არ შეეძლო მონაწილეობა მიელო ხატის მსახურებაში.

რაც შეეხება კავკასიაში მცხოვრებ მაჰმადიანური რელიგიის აღმსარებელ ტომებს (ამ შემთხვევაში ქისტებსა და ჩერქეზებს), მათ ეთნო-ყოფაშიც ფიქსირდება ზოგად-კავკასიური ეტიკეტი. მაგალითად, ქისტეთში ტაბუდადებული იყო ქალისა და მამაკაცის ყოველგვარი კონტაქტი სხვა პირების თვალწინ. ქალი ვერ დაჯდებოდა მამამთილისა და მაზლის გვერდით, ვერ მიმართავდა მათ პირველი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ისლამურ საზოგადოებაში ქალს არ სცემდნენ პატივს. პირიქით. ყურანის განმარტებისას მიუთითებენ, რომ მისი სწავლება და წმინდა შუამავალი არ ანაწევრებს ქალს და მამაკაცს. მუსლიმანი ქალები ყოველდღიური ცხოვრების სრულყოფილებიან მონაწილეებად გვევლინებიან (მაკარაძე 2010).

კავკასიის სხვადასხვა ტომთა ურთიერთობის საფუძველზე გაფორმდა გენდერული დამოკიდებულების გარკვეული ნორმატივი, რომელმაც თავისი გამოვლენა ჰპოვა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აისახა ენობრივ ერთეულებში. ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული სადიაცო და სამამაცო ქმედებანი მოსახლეობაში აყალიბებდა ერთგვარ ქცევით კოდექსს. მისი არსი განისაზღვრებოდა იმ ფსიქო-მენტალური პრინციპებით, რომელიც ახასიათებდა მთის მოსახლეობის ცხოვრებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილება, რომელიც ხშირად გამოიყენება კულტურათა დასახასიათებლად და მათ შორის განსხვავების საკვლევად, მასკულინობა-ფემინობის განზომილებაა, რომელიც საზოგადოებაში ტრადიციულად ქალურად ან მამაკაცურად აღიარებული ღირებულებებისა და ნიშნების აქცენტირება-უგულებელყოფას აღნიშნავს (ბერეკაშვილი 2005: 308).

საზოგადოების მასკულინური ან ფემინური რაგვარობის განმსაზღვრელი სემანტიკები კოდირებულია ენაში, რადგან ენა ასახავს სოციუმის წევრთა თანაცხოვრების წესს; იმ კულტურულ გარემოს, რომელშიც მყოფობს ესა თუ ის ეთნოსი. იქნება ფრაზეოლოგიზმები, ხატოვანი სიტყვა-თქმანი, რომლებშიც გამოვლენილია საზოგადოების მსოფლხედვა და არსებობის წესი.

კავკასიური სოციუმისათვის დამახასიათებელი კულტურული ყოფა-ცხოვრება ორიგინალურად აისახა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხთა შორის ერთ-ერთი საინტერესო საკვლევი აღმოჩნდა მდედრობითისა და მამრობითის აღმნიშვნელი სიტყვები საზოგადოებრივ ყოფასთან დაკავშირებით, ანუ როგორ ვლინდებოდა ქალისა და მამაკაცის სტატუსი სოციალურ დონეზე და რომელს ენიჭებოდა პრიორიტეტი. აღმოჩნდა, რომ ვაჟას პოეტურ ეპოსში ფიქსირებული სოციუმის ზოგადკავკასიური მოდელი გენდერული თვალსაზრისით ადასტურებდა სადიაცო და სამამაცო ქმედებათა მკვეთრად გამიჯნულობას; საზოგადოების მახასიათებლად რიგ შემთხვევებში ფიქსირდება გადახრა ფემინიზაციისაკენ, მაგრამ უნდა მივუთითოთ, რომ აქ საზოგადოებრივი თანაცხოვრება უფრო მეტად ავლენდა ცხოვრების მასკულინურ წესს.

ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული პასაჟის შექმნისას, როგორცაა პეიზაჟის გადმოცემა, პოეტი ორმაგ ხერხს იყენებს. თუ ფემინური ასახავს სინაზეს, მშვენიერებას, სისუსტეს, ხოლო მასკულინური ძლიერებას, ახოვნობას, გონიერებასა და გამჭრიახობას,

ბუნების დახასიათებისასაც იკვეთება ის დამოკიდებულება, რაც განსაზღვრავს სოციუმის მენტალურობას. მაგალითად, ერთი მხრივ, პეიზაჟი მოცემულია ფემინური გაფორმებით. ძირითადად გამოყენებულია ქალის გარეგნული და შინაგანი ემოციების (რაც გამოსახულია ტირილის საშუალებით) მახასიათებლები: ბუნების ასახვის ფემინური ასპექტები იკვეთება შემდეგ მაგალითებში:

„დღემ დაიხურა პირბადე“;

„ქარი ქვითინებს, ღრუბელთა ზარი თქვეს შესაზარები“.

„დაბნელდა, წყალნი ტირიან, კალთა გვეხურვის დამისა“;

„ოცნება ტანჯულის ქვეყნის ქვითინებს მთისა წვერზედა“;

„საამო არის საცქერელად დიაცის უბესავითა;“

„მთებს აუხსნიათ პირბადე, დიაცებრ მანდილიანი“.

უმთავრეს შემთხვევაში, როცა სინაზისა და მშვენიერების განცდის შექმნა საჭირო, პოეტი იყენებს ქალურობის აღმნიშვნელ დენოტატებს, თუმცა იქ, სადაც ფიქრისა და განსჯის დეტალი უნდა წარმოიხინდეს, ბუნება მასკულინურ ელფერს იძენს:

„მთანი თავჩაჩქნიანები ფიქრს მისცემიან მწარესა“;

„ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“.

რა თქმა უნდა, ციტირებული სტრიქონები არ ასახავს უშუალოდ კავკასიურ გენდერულ სიტუაციას, აქ მწერლური პოზიცია ფიქსირდება. მაგრამ ეს ყველაფერი ნაზარდობია იმ სოციალურ-კულტურული გარემოთი, რომელშიც ცხოვრობდა თავად მწერალი და განიცდიდა მის მენტალურ გავლენას. მოვლენათა გენდერული სხვაობით ინტერპრეტაცია მკაფიოდ გამოხატული ეპოსში. სოციალური სქესი, მამაკაცისა და ქალის თავისებურებანი, მათ მიერ შესრულებული როლების თვალსაზრისით, განპირობებულია არა მხოლოდ ფიზიოლოგიური განსხვავებულობით, არამედ ისტორიულად. ეს თავისებურებანი ჩამოყალიბებულია აღზრდით, ტრადიციით, შრომითა იმ სახეებით, რომელსაც ასრულებენ ქალები და მამაკაცები (ირემაშვილი 2005: 194).

შესაბამისად მიუღებელია მოქმედებათა გათანაბრება, ან შერევა: ის, რაც ქალისათვის ჩვეულებრივი, ყოფითი და ყოველდღიური, ნორმატიული ქმედებაა, მამაკაცისათვის მიუღებელი და სამარცხვინოა. მაგრამ სამამაკაცო საქმე ქალისთვის, საზოგადოებაში მოქმედი წესების მიხედვით, აკრძალულია, თუმცა არა სამარცხვინო.

ქალისა და მამაკაცის სოციალიზაცია მეტნაკლებად დამოკიდებულია მათ როლურ პოზიციაზე. როლში შეიძლება ვიგულისხმოთ ისეთი სტატუსი, რომელსაც მოითხოვს საზოგადოება ან ასრულებს თავად პიროვნება. როლის მიღება-მიუღებლობაზე დიდ გავლენას ახდენს ერის წარსული და ამ წარსულით გამართლებული ტრადიციები, შეხედულებები, წარმოდგენები. იმის მიხედვით, თუ რამდენად გამძლეა ერში, ოჯახში, პიროვნებაში წარსულის განცდა, უნარი იმისა, შეუძლია თუ არა მას, შეეთვისოს და გააყვეს ახალს, უნდა ვიმსჯელოთ ეროვნული ტრადიციების მდგრადობაზე, რომლებმაც თავიანთი გავლენით შეიძლება დააჩქარონ ან შეანელონ პიროვნების ადაპტირება აწმყოსთან [ირემაშვილი 2005:180]. მამაკაცები და ქალები მთლიანობაში შეიძლება განვიხილოთ, როგორც განსხვავებული სოციალური სტატუსის ჯგუფები ყველა თანამდევით შედგით. მაღალსტატუსიანი ჯგუფები ფასდება კომპეტენციისა და ეკონომიკური წარმატების ტერმინებში, ხოლო დაბალსტატუსიანი სითბოს, გულითალობისა და ჰუმანურობის ტერმინებში.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში წარმოჩენილი ქალებიცა და მამაკაცებიც რამდენადმე ადასტურებენ იმ საერთო შეხედულებას გენდერულ სიტუაციაზე, რაც ასახულია

სპეციალურ ლიტერატურაში. მამრის სამოღვაწეო სფეროა იარაღი და ბრძოლა. პოემებში მათი ფუნქციური დატვირთვა ამბივალენტურია; ქვეყნის დაცვა და სახელის მოხვეჭა ვაჟაკთა ხვედრია; იარაღის უქმად ტარება ასოცირებულია სადედაკაცო (ქსოვა, ბეჭვა) საქმესთან და კაცთათვის სამარცხვინო ქმედებადაა დადგენილი.

ვაჟაკობა იზომება თოფისა და ხმლის მოხმარებით, მტრის მოკვეთილი მარჯვენის რაოდენობით („აღუდა ქეთელაური“); მასკულინობას გამოხატავს ლექსემა „ბიჭობა“, რაც გამოიხატება ჩერქეზი დემურის მიერ მოჭრილი ხელით თავმოწონებაში („სისხლის ძიება“). ეს მიღებულია საზოგადოების მიერ და ითვლება საამაყო საქმედ. მტრის მოჭრილი ხელი თუ დემურისა და მისი მეგობრისათვის არის კაიკაცობის საზომი, დემურის ცოლისათვის მხოლოდ სხვისი ვაჟაკობის დამცრობის გამოვლენაა. ქალური პოზიცია ამ შემთხვევაში აკრიტიკებს მასკულინურს. თუ ვინმე ეცდება დაარღვიოს სოციუმში ტრადიციით არსებული წესი, მისი ქმედება აუცილებლად იგმობა იმით, რომ მამაკაცი სასირცხვო ანუ დიაცურ საქმეს სწადის. ქეთელაურს მთელი შატილი რისხვით ეუბნება:

*„აიხსენ გველის-პირული,
დიაცთ გადუგდე ცხემლად;
ფარი-ქსლის ჩასაბეჭავად,
ხირიმ-გაუდვან გარადა;
დამბაჩა გამაადგებისთ
საბრუნლად თითისტარადა!
გამოჰქცევიხარ ქისტისშვილს
გადუქცევიხარ ქალადა.“*

თემა აღუდას მთავარ ბრალდებად უყენებს ისეთ მოქმედებას, რაც ნიშნავს მის მიერ ქალურის ანუ ფემინურის მიღებას. ამ შემთხვევაში საზოგადოების აზრი ერთიანია და ასეთ ქცევას არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც დასაგმობად თვლიან, რადგან სოციუმის ყოფა ეყრდნობა ქცევის მასკულინურ გამოხატულებას, რომელიც ყოველთვის დაპირისპირებულია ფემინურ აზროვნებასთან, რაც გამოვლინდება სათნოებასა და შეწყალებაში.

საოჯახო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული აზროვნება ასოცირებულია ფემინურ ლოგიკასთან. როცა გოგოთურს ცოლი აფშინას უსახავს ვაჟაკობის მაგალითად, ქმარი პასუხობს:

*„ნეტავ რას ამბობ, დიაცო?
ჭკვას რად არ ატან სიტყვასა?..
შენ ვინა გკითხავს უჯიშოვ,
თოფისასა და ხმლისასა?
შენ უნდა საჩუჩელს ეჯდე,
ან არა ჰქსოვდე წინდასა.“*

აქ ფიქსირდება საქმიანობის მიხედვით საოჯახო როლების მკაცრი გამიჯვნა. გენდერული დაპირისპირება თავს იჩენს აზროვნებასა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულებაში. თუ გოგოთურისათვის უმთავრესი სახელის მოხვეჭაა, ცოლისთვის უპირველესი მა-

ტერიალური უზრუნველყოფა. აზროვნების ფემინური გამოხატულება ასოცირებულია მომხვეჭელობასთან, ან ყოფით, ბანალურ კეთილდღეობასთან:

„სახლისადა ხარ ურგები,
რა სარჩოდ გამოგადგება
თათრების დაჭრილ ზურგები?“

„ცოლ-შვილ თუ უნდან ვაჟკაცსა,
შნოც უნდა ჰქონდეს ხარჯისა,
ჩვენ საქმე ვიცით დიაცთა,
რა გაგვეგება აბჯრისა“

კაკვასიის თემებში ქალური მენტალიტეტი, ვაჟას პოემების მიხედვით, ორგვარად წარმოჩინდება: ერთი, როცა ქალი ამართლებს ტერტულიანეს გამოთქმას – ქალი ჯოჯოხეთის კარიბჭეა და მეორე – როცა ქალი პატივდებული და დაფასებულია. დამოკიდებულებათა ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია იკვეთება როგორც ყოფით საქმიანობაში, ასევე ენობრივ კონოტაციებში.

ქალები, რომლებიც დაკნინებულად ხასიათდებიან, ძირითადად არიან ან გაუთხოვარნი, ან კიდევ ცოლები და არავითარ შემთხვევაში – დედები. მათი ძირითადი აღმნიშვნელებია სიტყვები: ცეცია, ვნებიანობით რეცია, ყბედია, სულელი. ქალი ასოცირდება ეშმაკთან:

„ეს სწორედ მოჩვენებაა,
ეშმაკეული ხმა არი!
ახლა რო ასდევ დიაცო,
ადგომის მიზეზ რა არი?“

„დიაცის ფიქრი წყეულ არს,
ვინ შევა იმის კვლევაში.“

ოპოზიტი – ქალი თუ კაცი – მხოლოდ მამრის პოზიციდანაა აღქმული, რადგან თუ კაცობა, რაინდობა იგივე ვაჟკაცობაა, ანუ საქებარია, ქალი გაიგივებულია ამ რაინდის გასართობ, საღალღობო საშუალებასთან: „რით არ ხჯობია რაინდი ღამის საღალღობ ცოლასა“. მდედრის დაკნინებულად წარმოჩენას ემსახურება არა მხოლოდ მათი ნეგატიური დახასიათება, არამედ ქალური თვისებების ფიქსაციაც მამაკაცებში. მათ მიერ ჩადენილი საქმეები, ხშირ შემთხვევაში საზოგადოების მიერ ფემინური თვისებების გამოვლენით აიხსნება. დამოკიდებულება აქაც ცალსახაა. აზროვნების მასკულინური წესი ვერ ეგუება მამაკაცში ფემინურის ანუ სისუსტის, სიბრაღულის, შემწყნარებლობის გამოვლენას და მამაკაცებისა და ქალების მიერ რისხვის ობიექტად რჩება. ამ შემთხვევაში ყურადღებას ისევ ვამახვილებთ ისეთ ქცევაზე, როგორცაა ტირილი. ის ყოველთვის უკავშირდება სისუსტეს. მაგრამ თუ მანდილოსნებისათვის ქალური ღირსებების მადანტურებელი ქმედებაა და მიჩნეულია სათუთი გრძნობების ერთგვარ სიმბოლოდ, მამაკაცისთვის თითქმის ყოველთვის მოიაზრება, როგორც ლაჩრობისა და უღირსობის მადანტურებელი ქცევა. მუცალის მოკვლამ აღუდა, როგორც ქალი, ისე აატირა. თანა-

გრძნობამ აუხილა მას თვალები და მტერში ადამიანი შეიცნო. ასე ემართება ლუხუმს, როცა მოკლული ლეკის შემხედვარეს ცრემლი მოადგება თვალებზე, მაგრამ ზეზვა მოაგონებს:

*„შენ შეგებრალა ურჯულო,
მოვიწყლიანდა თვალები;
უთუოდ, საით ენახე,
მოგაფურთხებდნენ ქალები.“*

ეთნიკური ყოფის ამსახველი ფაქტი, რომ ქალი აუცილებლად თავდახურული უნდა ყოფილიყო, გადატანით შემთხვევაში დამცრობისა და შერცხვენის ფუნქციას იღებს. ქვეყნის მოღალატე წიწოლას ეპითეტია „ღიაცი ჩიქილიანი“. სხვა შემთხვევაში დამონებული კახეთი შერცხვენილ ქალთან ასოცირდება:

*„მთელი კახეთი ქცეულა,
ჩიქილა-მოხდილ ქალადა,
არა სჩანს ხელის შამქცევი,
მტრის ამომყრელი ჯავრისა,
კაცი არ ჩნდება შემყრელი
და წინ გამძლოლი ჯარისა.“*

კონცეპტი „ჩიქილა-მოხდილი“ მიუთითებს მოსახლეობის დაუძღვრებას (*ფემინიზაცია*) და მასში მამრის (*მასკულიზურის*) დაკნინებას.

დამოკიდებულებათა დიამეტრალური პოზიცია ჩანს ქალის პატივისცემაში, თუ ეს ქალი დედაა. რადგან კავკასიის თემებში დედა მიჩნეული იყო ოჯახის ბურჯად და შვილების (სწირ შემთხვევაში ვაჟების, როგორც რაინდებისა და მებრძოლების) კარგი გამზრდელი. ამიტომ დედისადმი დამოკიდებულება აისახა ისეთ ფრაზეოლოგიზმში, როგორცაა, „თუ გაზრდის, – ფურმა გაზარდოს აი, მისთანა ხარია!“ მამაკაცთათვის დედის მიერ გაზრდილობა ერთ-ერთი ღირსებაა (*„დედამ გამზარდა მენაცა, ნეხეზი არა ვარ გაზრდილი“*), ასეთი დამოკიდებულება ძმადნაფიცობის პრინციპსაც საფუძვლად ედება. გენდერულ ურთიერთობაში დედობა ის მყარი მენტალიტეტია, რომელსაც ძალუმს, სოციუმის მიერ დადგენილ ტრადიციას გადაუხვიოს და თავის თავში ფემინური მოვალეობის გარდა შეითავსოს მყარად ჩამოყალიბებული მასკულიზური ფუნქცია. ამ მხრივ ვაჟა-ფშაველას პოემებში ფიქსირებული ორი მსგავსი მოვლენა უნდა შევუდაროთ ერთმანეთს. მხედველობაში გვაქვს რელიგიური რიტუალები და მათი დარღვევის ფაქტი.

„აღუდა ქეთელაურში“ მთავარ გმირს შეახსენებენ, რომ *„მამით არ მოდის ანდერძი, პაპითა-დ პაპის-პაპითა“* ე. ი. წარსულიდან მომდინარე ტრადიცია ასოცირებულია მამის ხაზთან, წინაპრად მოიაზრება მხოლოდ მამაკაცი. ამიტომ მას მართებს შეასრულოს თემში დადგენილი მასკულიზური წესები. მაგრამ აღუდა არა თუ მარჯვენას არ მოსჭრის მუცალს, არამედ არღვევს ხატობის წესს და ხევისბერის ნაცვლად ასრულებს რიტუალს. მის მიერ წესის დარღვევა აღქმულია, როგორც დადგენილი კანონის უგულვებელყოფა. ქეთელაურმა უღალატა სოციუმის პრინციპს და მისი პირველი ქმედება აღქმულ იქნა, როგორც ხასიათის ფემინურობის გამოვლენა. მეორე ქმედება (ხატში მოზვერის დაკვლა) აღარ ითავსებს ფემინურის მნიშვნელობას. პირიქით, ამ შემთხვევაში

აღუდა მასკულინურს არღვევს ისევ და ისევ მასკულინური ქცევით. მაგრამ მისი ქცევის შედეგი აუცილებლად თემიდან მოკვეთაა, როგორც სასჯელი სოციუმის წესების უგულებელყოფისათვის.

რელიგიური რიტუალის დარღვევით იწყება პოემა „ბახტრიონი“. მოხუცი სანათა ასრულებს ხევისბერის ფუნქციას (ხატში კლავს შესაწირს და ანთებს სანთლებს), რაც, რა თქმა უნდა, ხატის მსახურების წესების დარღვევაა. მაგრამ აქ იკვეთება გენდერულად დადგენილი საქმიანობის დარღვევაც. ამ შემთხვევაში ქალი საჯარეს არც კი უნდა გამოჩენილიყო („საჯარეს დიაცს რა უნდა? არ თუ ეშინის დავისა“). ფშაურ სალოცავებში ქალები მხოლოდ მათთვის დადგენილ ადგილას დგებოდნენ („განს მოშორებით დამდგარან, დიაცნი მანდილიანნი“). თუმცა მოხუც სანათას მიაჩნია, რომ ეს არის არა დადგენილი წესის დარღვევა, არამედ მამრული პრიორიტეტის გამყარება. ქალი პირდაპირ აპელირებს იმაზე, რომ ის ასრულებს არა ფემინურ საქმეს, არამედ მასკულინურს. ე.ი. არ არღვევს დადგენილ წესს მისი არმოშლით, – „უკაცურთ კაცობა გვმართებს, მანამ სული გვჩრავ პირშია“, ამ შემთხვევაში ის დედა – კაცია, ანუ ორმაგად პატივდებულია, როგორც დედა და როგორც მამაკაცურობის შემთავსებელი.

ქალის მიერ მამაკაცურის შეთავსებაზე საუბრისას ვაჟა-ფშაველას პოეტურ ეპოსში აუცილებლად უნდა დავაფიქსიროთ ქალების დამოკიდებულება ომთან, ბრძოლასთან. ამ შემთხვევაში ფუნქციათა მსგავსებას ვხედავთ ლელასა და ალაზას შორის. ორივე პერსონაჟი გაფორმებულია ფემინურობის გამომხატავი მხატვრული სახეებით. თუმცა ორივე ცდილობს, სწორედ ფემინურობის მომარჯვებით, სოციუმის მიერ დადგენილი მასკულინური ფუნქცია მოირგოს ისე, რომ ერთი წამითაც კი არ დაკარგოს საკუთარი ქალურობა. ლელამ მამის მაგივრად უნდა იბრძოლოს. მაგრამ მას ამის უფლებას არავენ მისცემს, რადგან გენდერული როლები გადანაწილებულია და მისი საქმე სახლისა და დაჭრილი მამის მოვლაა. ქალი მაინც ახერხებს მამაკაცური საქმის გაკეთებას თავისი ქალურობის საშუალებით და გმირულად კვდება. თუმცა მისი გმირობა აღიწერება არა მასკულინური, არამედ ფემინური ეპითეტებით. დაღუპული ლელას ატრიბუტი არის არა იარაღი, არამედ ფთილა – „მეორე ლელა ბაჩლელი, ქალი ხელ-ფარტენიანი“.

რაც შეეხება ალაზას, ის პოემაში მთლიანად ფემინური მოღალატის განსახიერებაა. მისი როლი სოციუმით დადგენილ ფორმატს არ სცილდება. დასაწყისში ის გვევლინება როგორც კარგი დიასახლისი და ქმრის თავმოწონების ობიექტი. მისი არც ერთი ქცევა ვერ გაიაზრება, როგორც მასკულინურში შეჭრა. ალაზას სოციუმში გაფორმებული გენდერული სტატუსს აიძულებს, დაემორჩილოს არსებობის „დედაკაცურ რჯულს“. ამიტომ ის იარაღს ვერ აიღებს ხელში და სტუმარს ვერ დაიცავს. მაგრამ შინაგანი ამბოხისა და საკუთარი დამოკიდებულების გამოსავლენად ის სწორედ ქალური ატრიბუტით, – ცრემლით უპირისპირდება ქისტების მოქმედებას. და რადგან „დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარვისა“, თითქოს ალაზა არაფერს ცვლის გენდერულ ბალანსში. მაგრამ მყარად ეურჩება არსებობის მასკულინურ წესს.

შეიძლება ითქვას, რომ ლელაცა და ალაზაც საკუთარი ფემინურობით ითავსებენ მასკულინურ ქცევას ისე, რომ არ დალატობენ თავიანთ ქალურობას და აქცევენ მას გენდერული თანასწორობის მისაღწევ საშუალებად.

სოციუმის მსოფლმხედველობის მასკულინური და ფემინური რაკურსების საფუძველზე იქმნება მყარი დენოტაციები, რომლებიც ვაჟა-ფშაველას პოემებში ფიქსირდება, როგორც:

1. მოვლენების მხატვრული ინტერპრეტაციის ფონი;

2. ლინგვისტური ერთეულების კონტრაციური გაფორმება;

3. რელიგიურ რწმენასა და რიტუალებში გამოხატული არსებობის წესის კონსტრაცია გენდერული განსხვავებებით.

ფაქტია, რომ კავკასიური ფენომენი, ითავსებს რა რელიგიურ სხვადასხვაობას, საზოგადოების გენდერული გაფორმებით ერთგვარია და მასში ბევრი მსგავსი და საერთო შეიძლება დაფიქსირდეს ვაჟა-ფშაველას პოეტურ ეპოსში ფიქსირებულია ფშავ-ხევსურეთის, თუშეთის, ქისტეთის, ჩეჩნეთის მოსახლეობის გენდერული ბალანსი. პოეტი მხატვრული სახეების შექმნისას ხელმძღვანელობს უკვე არსებული მიმართებებით და ქმნის კონტრაციების ფემინურ და მასკულინურ მოდალობებს, რომლებიც ენობრივი პარამეტრებით გამოხატავენ სოციუმის მსოფლმხედველობრივი და კულტურული არსებობის წესს.

ლიტერატურა

ბერეკაშვილი 2005: ბერეკაშვილი ნ., მასკულინობა და ფემინობა კულტურის დისკურსში // გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა, თბილისი.

ვაჟა-ფშაველა 1986: ვაჟა-ფშაველა, ფშავლები // თხზულებანი ტ. IX, თბილისი.

თორნი და ჰელი 1975: Thorne, B. & Henley, N. Difference and dominance: an overview of language, gender, and society. Language and Sex: Difference and Dominance, ed. by Thorne, B. & N. Henley, Mass.: Newbury House,

ირემაშვილი, ჭიაბრიშვილი 2005: ლ. ირემაშვილი, ქ. ჭიაბრიშვილი, გენდერი და საოჯახო როლები // გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა, თბილისი

კიკვიძე 2010: ზ. კიკვიძე ენა, გენდერი და ნაციონალიზმი, თბილისი.

მაკარაძე 2010: ე. მაკარაძე ქალი და ქალის უფლებები, www.ge.fgulen.com; რეგიონის ისტორია და ადამიანები// www.pankisi.org.history_geo

როი 2007: უილიამ გ. როი, ხმის მიცემის განსაკუთრებული მნიშვნელობა. შაზოგადობათა შექმნა: ჩვენი სამყაროს ისტორიული კონსტრუირება // გენდერის საკითხავი ლიტერატურა, თბილისი.

3. Киквидзе (Тбилиси)

Гендерные аспекты кавказских племен на материале поэтического эпоса Важа-Пшавела

Гендерные исследования, связанные своим происхождением, проблематикой и пафосом с феминистской теорией, в настоящее время более плюралистичны, широки и толерантны, нежели классический феминизм. Сейчас интерес обращён к взаимоотношениям мужчины и женщины в более абстрактном, социологическом контексте.

В процессе культурного развития человечества гендерный императив закрепился за мужским феноменом. В исследованиях отмечается, что история в качестве лидеров, управляющих процессами активации мира, в основном рассматривала мужчин. Подобная гендерная направленность в некоторых языках формируется даже на уровне семантики. Мужское начало ассоциируется с универсальным; женское же – либо исключается, либо является каким-либо частным случаем. Слова, связанные с мужчиной, часто имеют положительные коннотации. Они выражают понятия власти, престижа и предводительства. В противовес этому «женские» слова чаще являются отрицательными, выражают слабость, подчинённость, незначительность.

До последнего времени осмысление окружающего мира и мужчинами и женщинами происходило в мужской перспективе. Мужской феномен считался мерой разумности. Слово сочетание «мужской ум» могло быть сказано и по отношению к женщине, но даже в этом случае оценка разумности оформлялась через фиксацию и идеализацию маскулинности. Однако гендерология показала, что в формировании человека как общественного существа решающую роль играет не биологический пол, а культурные ценности.

С этой точки зрения достаточно интересным оказалось исследование гендерного баланса кавказских племён, который в основном проявляется в религиозных и этнокультурных порядках. Суровая среда кавказских гор именно в адатах и ритуалах сохранила древнейший социальный образ быта и существовавшие в нём взаимоотношения между мужчинами и женщинами.

В этнографической литературе отразились различия между обязанностями и поведением мужчин и женщин, характерные для населения Кавказа, многообразного с этнической точки зрения. Например, у пшавов мужчины и женщины садились за стол по отдельности, и даже хозяйки столов были разные. Жена подчинялась мужу. Муж относился к жене с большим уважением, как к оплоту своей семьи. Женщины имели право при отсутствии дома мужчины принимать участие в различных общественных делах. В связи с этим Важа-Пшавела писал: «Женщина сильнее, ожесточённее борется с суровой, жестокой природой, чем мужчина, не сгибается, и сама эта борьба делает женщину мужчиной».

Культурный быт, характерный для кавказского социума, нашёл в творчестве Важа-Пшавела оригинальное отражение. Среди других важнейших вопросов весьма интересным оказалось исследование слов, обозначающих мужские и женские признаки в связи с общественным бытом, то есть то, как проявлялся статус мужчины и женщины на социальном уровне и какому из

них отдавался приоритет. Было выявлено, что общекавказская модель социума, зафиксированной в поэтическом эпосе Важа-Пшавела, с гендерной точки зрения подтверждает чёткое разграничение женских и мужских поступков; в ряде случаев в качестве характерного признака общества отмечается отклонение в сторону феминизма, но следует отметить, что в общественном сожителстве здесь преобладал маскулинный порядок.

Мужчины и женщины, представленные в произведениях Важа-Пшавела, в некоторой степени подтверждают общий взгляд на гендерную ситуацию, нашедший отражение в специальной литературе. Сфера деятельности мужчины – оружие и борьба. В поэмах их функциональная нагрузка амбивалентна; защита страны и достижение славы – мужская участь; ношение оружия без применения ассоциируется с женским рукоделием (вязание, плетение) и для мужчин считается недостойным поведением.

Мужественность измеряется мастерством владения ружья и меча, количеством отрезанных вражеских десниц («Алуда Кетелаури»); маскулинность обозначается лексемой „ბოჭოღბს” - «bichoba» - (мужественность), которая выражает чувство черкеса Демура, который гордится отрезанной рукой врага («Желание мести»). Это принято обществом и считается достойным действием. Если для Демура и его друга отрезанная вражеская рука является мерой достоинства, храбрости, то для жены Демура это – лишь проявление унижения чужого мужества. Женская позиция в данном случае критикует маскулинную. Если кто-либо пытается нарушить традиционно закрепившийся в социуме порядок, то его поступок обязательно осуждается тем, что признаётся женским, «бабьим».

В кавказских племенах женский менталитет, по поэмам Важа-Пшавела, представлен в двойном видении: одно – когда женщина оправдывает высказывание Тертуллиана: «Женщина – врата дьявола», а второе – когда женщина уважаема и почитаема. Такое двойственное отношение отмечается как в бытовой деятельности, так и в языковых коннотациях.

Женщины, характеризующиеся как приниженные, в основном являются либо незамужними, либо замужними, но, ни в коем случае, не матерями. Рассуждая по поводу объединения женщиной в себе мужских качеств в поэтическом эпосе Важа-Пшавела, обязательно следует отметить отношение женщин к войне, борьбе. В данном случае сходство функций отмечается между Лелой («Бахтриони») и Агазой («Гость и хозяин»). Оба персонажа оформлены посредством художественных образов, выражающих феминность. Хотя обе пытаются примерить установленную социумом маскулинную функцию таким образом, чтобы ни на минуту не лишиться женственности. Лела должна сражаться вместо отца. Однако никто не позволит ей сделать это, поскольку гендерные роли распределены, и её дело – ухаживать за домом и раненым отцом. Благодаря своей женственности, ей всё же удаётся выполнить мужское дело, и она героически погибает. Хотя её героизм описывается не маскулинными, а феминными эпитетами.

Что касается Агазы, она в поэме полностью является воплощением феминной модальности. Её роль не выходит за грани установленного социумом формата. В начале она предстаёт, как хорошая хозяйка и объект гордости мужа. Ни один её поступок не воспринимается, как вторжение в маскулинное. Оформленное в социуме гендерное статус-кво вынуждает Агазу подчиняться «женскому образу» существования. Поэтому она не может взять в руки оружие и защитить гостя. Однако для того, чтобы выразить внутренний протест и собственное отношение, она противостоит действиям кистинцев именно с помощью женского атрибута – слез. Агаза как будто ничего не меняет в гендерном балансе, но твёрдо противостоит маскулинному порядку существования.

Можно сказать, что и Лела и Агаза, благодаря своей феминности, объединяют в себе маскулинное поведение, не теряя при этом женственности и превращая её в средство достижения гендерного равноправия.

На основе маскулинных и феминных ракурсов мировоззрения социума создаются устойчивые денотации, которые в поэме Важа-Пшавела фиксируются, как:

1. фон художественной интерпретации явлений;
2. коннотативное оформление лингвистических единиц;
3. констатация образа существования, выраженного в религиозной вере и ритуалах, через гендерные различия.

Факт, что кавказский феномен, объединяя в себе религиозные различия, однороден с точки зрения гендерной оформленности общества, и в нём может быть зафиксировано много схожих и общих реалий.

Z. Kikvidze (Kutaisi)

Gender aspects of the caucasian community according to the poetical epos of Vazha Pshavela

Summary

Gender balance in the Caucasian community and particularly in the mountains of eastern Georgia is denoted in ethno-ritual life and linguistic materials. Feminine and male activities are strictly demarcated. Accordingly, equalization or mixing of activities is unacceptable. Those activities, which are common, characteristic and routine to women are considered to be unacceptable and shameful to men. On the other hand, according to the social rules, male activities were prohibited to women, though not shameful.

According to the masculine and feminine viewpoint of the community, solid denotations are formed. Those denotations in Vazha Pshavela's poems are defined as:

1. Background of events' fiction interpretation
2. Connotative appearance of linguistic units
3. Rules of existence, expressed in religion belief and rituals, including gender differences

Ritual activities, ethnographical customs and phraseology in Vazha Pshavela's poetic epos give us an opportunity to distinguish several layers in gender relations.

According to the religious rules women's participation in a liturgy is strictly prohibited, as it should be delivered by a man. This gender standard is purposely disrupted in the exposition of "Bakhtrioni".

The field of male activities is considered to be weapon and struggle. In poems they have a functional sense and are ambivalent. Only the brave's can defend their country and gain fame. Carrying weapon idle is associated with female action (knitting, sewing) and is admitted to be shameful for men. Household activities and the corresponding reasoning are associated with famine logic and are elicited in lexical units; mostly in phraseology.

Gender balance in Pshav-khevsureti, Tusheti, Kisteti population is regulated by the phraseology used in poetic epos. In creating fiction characters the poet follows already existed relations and makes feminine and masculine modalities. With the help of linguistic parameters, those modalities express the rules of viewpoint and cultural existence.

თ. მღებრიშვილი (თბილისი)

ქართული საგაზეთო რეკლამის ისტორიიდან. II

„რეკლამა აკმაყოფილებს მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოების მოთხოვნებს და ცხოვრებისეულ სტანდარტს. ამის გამო იგი ექსპლოატატორული კლასის სოციალური იარაღია“ (2.344) – ასეთი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა რეკლამის მიმართ საბჭოთა კავშირში. ერთ ხანს მისი, როგორც „ბურჟუაზიული გადმონაშთის“ საჭიროებაც კი ეჭვქვეშ დადგა, მაგრამ სულ მცირე დროში რეკლამა ბოლშევიკური იდეოლოგიის აგიტაცია-პროპაგანდის მოხერხებულ საშუალებად იქცა და კომერციული რეკლამაც კი საბჭოურად „შეიფუთა“¹.

საბჭოთა რეკლამის ფენომენი ცალკე განსახილველი სპეციფიკური საკითხია, ამიტომ თემას რომ არ გადაუხვიოთ, მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ რეკლამა, რომლის მიმართ საბჭოთა მეცნიერები ნაკლებ ყურადღებას იჩენდნენ, იმპერიის დაშლისთანავე მათი კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტად იქცა. მან ქართველ ფსიქოლოგთა, ეკონომისტთა, სოციოლოგთა, ლინგვისტთა და სხვ. ყურადღებაც მიიპყრო. დაისვა ქართული რეკლამის ისტორიის შესწავლის საკითხიც. კერძოდ, 2001 წლის 17-23 სექტემბრის „კვირის პალიტრის“ ფურცლებზე დასტამბულ წერილში ე. მახარაშვილი გააკვირვებას და აღფრთოვანებას ვერ ფარავდა იმის გამო, რომ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ (1922-1923) რამდენიმე ნომრის ბოლო გვერდებზე აღმოაჩინა „სარეკლამო განცხადებები, რომლებიც არაჩვეულებრივ მასალებს იძლევა ძველი თბილისის შესახებ“ (2). აღნიშნული რეკლამების მიმოხილვის საფუძველზე ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ჩვენში რეკლამას კარგა ხნის ისტორია აქვს“ (2). ამაში ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამაც დაგვარწმუნა². როგორც გაირკვა, იმ დროისათვის, როდესაც ე. მახარაშვილის მიერ დასახელებული ჟურნალი გამოდიოდა, ქართული საგაზეთო რეკლამა თითქმის საუკუნეს ითვლიდა და რეკლამირების ამ სახეობაში საკმაოდ მდიდარი გამოცდილება გვქონდა. კვლევის შედეგად ისიც დადგინდა, რომ საგაზეთო რეკლამები საინტერესო მასალას გვაწვდიან არა მხოლოდ „ძველი თბილისის“ (2) მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებასა და ინტერესებზე, არამედ ქართული საგაზეთო რეკლამის ჩამოყალიბებისა და განვითარების საუკუნოვან ისტორიაზე, მომხმარებლის მისაზიდად იმხანად შემუშავებულ ხერხებსა და საშუალებებზე.

წინამდებარე ნაშრომში, რომელიც შევსებულია ახალი საილუსტრაციო მასალით, ვუბრუნდებით ზემოთ აღნიშნულ ხერხებსა და საშუალებებს და მათი განხილვისას

¹ იხ. ჩვენი ნაშრომი – Т. Мгебришвили. В. Маяковский о рекламе и его „агитки“. Международная конференция: Сопоставление как метод исследования и обучения языкам (15-20 июня 2005г.). Сб. науч.статьей МАПРЯЛ II. 2005, с 171-177.

² იხ. ჩვენი ნაშრომი – თ. მღებრიშვილი. ქართული საგაზეთო რეკლამის ისტორიიდან. თსუ სლავისტიკის ს/ს ცენტრის შრომები, №1, 2003, გვ. 52-69.

თანმიმდევრულად წარმოვიდგინოთ საგაზეთო რეკლამის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს XIX-XX სს. 20-იანი წლების საქართველოში.

ე.წ. „გამოცხადებანი“, რომლებიც XIX საუკუნის I ნახევრის პრესის /„ქართული გაზეთი“ (1819-21), „ტფილისის უწყებანი“ (1828-32), „კავკასიის მხარეთა უწყებანი“ და სხვ./ ფურცლებზე იბეჭდებოდა, ძირითადად, გაზეთის გამოწერისა და მომსახურების წესებს აცნობდა მკითხველს, პერიოდულად სახლების, ბაღების, ვენახების, წისქვილების იჯარით გაცემასა და სხვა საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში დახმარებას სთავაზობდა და გარკვეულ რჩევებსაც აძლევდა – მაგალითად, 1832 წლის „ტფილისის უწყებანი“ მომხმარებელს ურჩევდა, შეეძინა რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმი, რომელიც „წადებული იყო ლეიფციგის იარმარკასა ზედა“ და „სულ მალე ყველა ქვეყნისას აჯობებდა“¹, ხოლო 1845 წლის „კავკასიის მხარეთა უწყებანი“ კარგი განათლების მიღების მსურველთ სწავლის გაგრძელებას პეტერბურგის ლაზარევის სახელობის ინსტიტუტში სთავაზობდა².

XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს „გამოცხადების“ ტექსტის შემდგენლები მკითხველის მიზიდვას ახალი, უფრო ეფექტური ტექნოლოგიებით ცდილობდნენ. გაზეთის საერთო ტექსტისგან მუქი შტრიხით გამოკვეთილი ეს განცხადებები მსხვილ-შრიფტიანი სათაურებითაც იქცევეს ყურადღებას, ხოლო ტექსტი მხოლოდ მშრალი ინფორმაციით არ შემოიფარგლება და მთლიანად მომხმარებლის დაინტერესებაზეა ორიენტირებული. ასე მაგალითად, ფართო ასორტიმენტის პროდუქცია: „თოფები, რევოლვერები, კრაფტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალაღი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები – კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი“ არის წარმოდგენილი „ინგლისის მაღაზია“ „Moison de Confiance“-ის განცხადებაში³, რომელშიც პოტენციური მყიდველის მისაზიდად ხაზგასმულია, რომ ეს საქონელი იყიდება „25-დან 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში“, ხოლო ვინც „ქალაქს გარედამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნსარაფერს იხდის“.

მაღაზია მყიდველს ქართულ ჩაისაც სთავაზობს – აქ არ არის პირდაპირი მოწოდება, რომ მაინცდამაინც „ჩვენი ჩაი“ შეიძინოს, მაგრამ რჩევის სახით ჩართული ფრაზით – „შეადარე ჩვენი ჩაი მოსკოვის ჩაის“ მინიშნებულია, რომ უპირატესობა „ჩვენსას“ უნდა მიანიჭოს, რადგან იგი „მოსკოვის ჩაიზე“ გაცილებით იაფი დაუჯდება.

„გამოცხადებები“ თანდათან სარეკლამო განცხადების პრაგმატულ მიზანდასახულობას იძენს – აღნიშნული პერიოდის თითქმის ყველა განცხადებაში ობიექტი მიწოდებულია ისე, რომ წინა პლანზე წამოწეულია მისი ღირსებები, ხოლო მისდამი ინტერესის გასაძლიერებლად დროდადრო გამოცხადებულია ფასდაკლება და გარკვეული სახის შეღავათები.

XIX საუკუნის მიწურულისათვის „გამოცხადება“ გაზეთის ბოლო გვერდიდან თავფურცელზე გადაინაცვლებს და მის ტექსტში სარეკლამო განცხადების სხვა ნიშანთვისებებიც ჩნდება – საკმაოდ ხშირად არის ჩართული მოწოდება, შეიძინონ შეთავაზებული პროდუქცია, რომლის ზოგადი დახასიათებისას მოყვანილია მისი სიახლის, არაჩვეულებრიობისა და ორიგინალურობის დამადასტურებელი არგუმენტები – გაზ.

¹ „ტფილისის უწყებანი“ №1, 1832.

² „კავკასიის მხარეთა უწყებანი“. №11, 1845.

³ „დროება“ №36, 1884.

„ივერიის“ პირველ გვერდიდან არ ჩამოდის ა.ა. თუთაევის ქარხნის ნაწარმის „ზეთიანი საღებავების (კრასკების)“ რეკლამა¹, რომელიც ყურადღებას იქცევს, როგორც გაფორმებით (ქარხნის ნაწარმთან ერთად ილუსტრირებულია სხვადასხვა გამოფენაზე მიღებული ოქროსა და ვერცხლის მედლები), ისე ტექსტით, რომლის თანახმად ქარხანას ბადალი არ ჰყოლია „ტფილისსა და მთელს ქართლ-კახეთში“.

მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა ილუსტრირებული გაზ. „ცნობის ფურცლის“ სარეკლამო განცხადებები. პროფესიონალის ხელწერა ეტყობა განცხადებების ტექსტის კომპოზიციას, რეკლამირებული ობიექტის მიწოდების ფორმასა და სტილს. ამ მხრივ საინტერესოა ს.ი. ლაზარიშვილის განცხადება², რომელიც, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს კონკრეტული ადრესატისადმი მიმართვით – „მევენახეთა საყურადღებოდ“ და მსხვილი, მუქი შრიფტით გამოკვეთილი სათაურით – „ვერმოლერის აპარატები“. მომხმარებლის დაინტერესების მიზნით, ტექსტში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ აპარატი „ადგილობრივ გაკეთებულია და გაუმჯობესებული“, ხოლო ფალსი ფიცირების თავიდან ასაცილებლად, განცხადებაში ჩართულია ს. ი. ლაზარიშვილის გაფრთხილება: „გთხოვთ მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება: ჩემ გაკეთებულ აპარატებზე ამოჭრილია შემდეგი წარწერა: Механическое Водопроводное Заведение С.И. Лазарева. მეხანიკური ქარხანა ს.ი. ლაზარიშვილისა“.

მომხმარებლის ინტერესის გასაძლიერებლად განცხადების დასკვნით ფრაზაში, საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ „ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია“ და სხვა ქვეყნების ნაწარმთან შედარებით მას ის უპირატესობა აქვს, რომ „უფრო ბურჟიანი და გამძლეა“. აპარატის ამ ღირსებათა რეალობაში დასარწმუნებლად, მომხმარებლის ნდობის მოსაპოვებლად, განცხადების ბოლოს ნათქვამია: „რაშიაც ვთხოვ ყველას დარწმუნდნენ“. ეს თითქოსდა ტრაფარეტული ფრაზა მომხმარებელზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის არის გამოიზნული და მის ერთგვარ წამქეზებლადაც გვევლინება.

XX საუკუნის დასაწყისში რეკლამის არეალი საკმაოდ ფართოვდება. შესაბამისად, მისი თემატიკაც უფრო მრავალფეროვანი ხდება. მედიკამენტების რეკლამირებისას ჩნდება ახალი დეტალი – პრეპარატის ანოტაცია. სხვადასხვა პროდუქციის რეკლამაში ჩართულია გამაფრთხილებელი ფრაზები: „ერიდეთ, შეცდომაში არ შეხვიდეთ!“, „ფრთხილად იყავით!“, „მიაქციეთ ყურადღება...“ და სხვ.

ყურადღებას იქცევს და სასიამოვნოდ იკითხება ყველასათვის კარგად ცნობილი წყლების „მიტროფანე ლადიძისა და ამხ.“ განცხადება³, რომელშიც საუბარია სასმელის სასარგებლო თვისებებზე, „საამურ გემოსა და სუნზე“, „წყლის საუკეთესო ღირსებისათვის“ მიღებულ „დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებზე“. და ბოლოს, მისი უსაფრთხოება დამოწმებულია შესაბამისი ინსტანციიდან მიღებული სპეციალური ნებართვით: „ცნობილია უნებლად თბილისის გუბერნიის საკურნალო მმართველობისაგან (№5792)“. განცხადება გაფორმებულია საფირმო ნიშნით.

20-იანი წლების დასაწყისის საგაზეთო რეკლამების თანახმად, დასვენების, გართობის, მოგზაურობის, სამედიცინო და სხვა სახის მომსახურების საკმაოდ ფართო არჩევანი ყოფილა: 1922 წლის 18 ივლისს მსურველთ ეპატიჟება „რუსთაველის თეატრის ქვეშ „ქიმიონის“ (ყოფილი „ანონა“) გახსნაზე“⁴, „ყველაფრით უზრუნველყოფილი“ გემი

¹ „ივერია“, №139, 1897.

² „ცნობის ფურცელი“, №511, 1898.

³ თემი, №204, 26 იანვარი, 1915.

⁴ ბახტრიონი №4, 1922.

„დალმაცია“ მოგზაურობის მოყვარულთ სთავაზობს კრუიზს: „კონსტანტ., ბრინდიზ., ტრიესტ., და ვენეცია“¹, ხოლო ბათუმის ელექტროთეატრი „ტრიუმფი“, „მოწყობილი საზამთროთ ამერიკული სისტემით, მყუდროდ და თბილად“, „მარტო დიდებისათვის“ აწვობს „ქალების გულის მომხიბვლელის იური ნაგორნის წარმოდგენას“² და სხვ.

ცხოვრება თითქოს ჩვეული რიტმით, უდარდელადაც კი მიედინება, მაგრამ კომერციული რეკლამის ადგილი გაზეთების ფურცლებზე თანდათან იხლუდება და 20-იანი წლების საქართველოში მიმდინარე ძირეული სოციალურ-პოლიტიკური ძვრები რეკლამაზეც აისახება – ამის მაუწყებელია გაზ. კომუნისტის“ ფურცლებზე დასტამბული ახალი პოლიტიკური გაზეთის „მუშის“ სარეკლამო განცხადება³, რომელშიც გაზეთის რედაქცია არა მარტო თავის მომავალ გეგმებს აცნობს „ამხანაგ მუშებს“, არამედ თანამშრომლობას სთავაზობს და მოუწოდებს: „დაურიდებლათ გაამათრახეთ, ვინც ხელს გვიშლის საერთო მუშაობაში. ამ რაინდებს დღის სინათლეზე გამოსვლა ღვთის რისხვასავით ეშინიათ. გაზეთის ფურცლებზე მათი გამომხეურება ხელს შეუშლის მათ ბოროტ განზრახვას, ფრთას მოსტეხს მათ დამღუპველ საქმიანობას“ – ბოლშევიკური იდოლოგიის ეს ჭეშმარიტი პროდუქტი ზუსტად ესადაგება საბჭოეთის ხელისუფალთა სპეციალურ დირექტივას: „საბჭოთა რეკლამა არსებითად უნდა განსხვავებოდეს კაპიტალისტური რეკლამისგან და მას განვითარების სულ სხვა გზა უნდა მიეცეს ჩვენში, ვიდრე კაპიტალისტურ სამყაროში აქვს“ (199). სწორედ ამ მითითების საფუძველზე შეიქმნა რეკლამის სრულიად ორიგინალური ნაირსახეობა, რომლის შესახებ დასაწყისში უკვე მოგახსენეთ.

რაც შეეხება გასაბჭოებამდელ პერიოდს, ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართული საგაზეთო რეკლამა ერთი საუკუნის მანძილზე იმდენად დაიხვეწა, რომ გასული საუკუნის 20-იანი წლებისათვის ზოგიერთი რეკლამის ტექსტის კომპოზიცია, მომხმარებლისათვის რეკლამირებულ ობიექტზე ინფორმაციის მიწოდებისა და მასზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის გამოყენებული ხერხები და საშუალებები დღევანდელ სტანდარტებსაც კი უახლოვდება. მათი კითხვისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ რეკლამა, „ეს ხელოვნებისა და ხელოვნობის პოპულარული პირში“ (4.23) „სტიციური შემოქმედების“ (5.8) ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია.

ლიტერატურა

გრიგოლავა 1972: ვ. გრიგოლავა, რეკლამა და ფსიქოლოგია. თბილისი.

მახარაშვილი 2001: ე. მახარაშვილი, თბილისში კავკასიის საერთაშორისო რეკლამის ფესტივალი ჩატარდება. გაზ. „კვირის პალიტრა“. 17-23 სექტემბერი.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1984: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ 8. თბილისი.

ჩაჩანიძე 2000: მ. ჩაჩანიძე, რეკლამა, როგორც სოციალური ფენომენი. ჟურნ. „ბურჯი ეროვნებისა“. №12.

ხახუტაიშვილი 1998: ნ. ხახუტაიშვილი, საგაზეთო და სატელევიზიო რეკლამის ენის სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებანი. /სადოქტ. დის. ავტორეფ. თბილისი.

¹ ბათუმის ცხოვრება №5, 7 იანვარი, 1921.

² ბათუმის ცხოვრება №7, 14 იანვარი, 1922.

³ კომუნისტი, 17 ნოემბერი, 1922.

Т. Мгебришвили (Тбилиси)

Из истории грузинской газетной рекламы. II

«Реклама удовлетворяет только потребностям и жизненным стандартам буржуазного общества. Вследствие этого она является социальным оружием класса эксплуататоров» (2.344) – такое отношение к рекламе сформировалось в Советском Союзе. Одно время необходимость в ней, как в «буржуазном пережитке», была поставлена под сомнение, однако совсем скоро реклама превратилась в средство агитации-пропаганды большевистской идеологии и даже коммерческая реклама была «обернута» по-советски¹.

Феномен советской рекламы является специфическим вопросом, требующим отдельного рассмотрения, поэтому для того, чтобы не отойти от темы, ограничимся только лишь указанием того, что реклама, по отношению к которой советские ученые проявляли меньшее внимание, сразу же после распада империи стала одним из важных объектов их исследований. Она привлекла внимание также и грузинских психологов, экономистов, социологов, лингвистов и др. ученых. Был поставлен вопрос об изучении истории грузинской рекламы. В частности, 17-23 сентября 2001 года в письме, напечатанном на страницах газеты «Квирис палитра», Э. Махарашвили не скрывала своего удивления и восхищения, когда на последних страницах нескольких номеров «Журнала Галактиона Табидзе» (1922-1923) обнаружила «рекламные объявления, предоставляющие необыкновенный материал о старом Тбилиси» (2). На основании обзора указанных реклам автор пришла к выводу, что «реклама у нас имеет долгую историю» (2).

В этом нас убедило и проведенное нами исследование². Как выяснилось, к тому времени, когда выходил в свет названный Э. Махарашвили журнал, грузинская газетная реклама насчитывала почти целый век и обладала весьма богатым опытом в этом виде рекламы. В результате исследования было также установлено и то, что газетные рекламы предоставляют нам интересный материал не только о быте, жизни и интересах обитателей «старого Тбилиси» (2), но и о вековой истории формирования и развития грузинской газетной рекламы, методах и средствах, выработанных в то время для привлечения потребителя.

В настоящей работе, пополненной новым иллюстрационным материалом, мы возвращаемся к вышеуказанным методам и средствам и по мере их рассмотрения последовательно представим вам процесс формирования и развития газетной рекламы в Грузии с 20-х годов XIX века по 20-е годы XX века.

Объявления, которые печатались на страницах прессы первой половины XIX века («Картули газети (Грузинская газета)» (1819-21), «Тпилисис уцкебანი (Тифлисские ведомости)»

¹ см. нашу работу - Т. Мгебришвили. В. Маяковский о рекламе и его „агитки“. Международная конференция: Сопоставление как метод исследования и обучения языкам (15-20 июня 2005г.). Сб. науч. статьей МАПРЯЛ II. 2005, с 171-177

² см. нашу работу – Т. Мгебришвили. Из истории грузинской газетной рекламы. Труды Нии центра славистики ТГУ №1, Тб., 2003, с. 52-69 (на груз. яз.)

(1828-32)) в основном знакомили читателя с правилами выписки и обслуживания газеты, периодически предлагали помощь в аренде домов, садов, виноградников, мельниц и в решении других бытовых вопросов – например, «Тпилисис уцкебани (Тифлиссские ведомости)» за 1932 год советовали потребителю приобретать изделия российских фабрик и заводов, которые «были отправлены на Лейпцигскую ярмарку» и «в скором времени превзойдут товары всех других стран»¹, а в 1845 году «Кавкасиис мхарета уцкебани (Ведомости Кавказского края)» предлагали желающим получить хорошее образование, предлагали продолжить учебу в Петербургском институте им. Лазарева².

В конце 70-х годов XIX века составители текста объявлений старались привлечь читателя более эффективными технологиями. Эти объявления, выделенные жирным шрифтом из общего текста газеты, привлекают внимание также и своими крупношрифтовыми заголовками, а текст не ограничивается только лишь сухой информацией и полностью ориентирован на пробуждение интереса потребителя. Так например, продукция широкого ассортимента: «Ружья, револьверы, кровати, посуда, чайники, ключи, ножи, ложки, тазики, писчие перья, бумага, шоколад, какао, конфеты, варенья, магнезия, седла, клеенка, носки – мужские и женские, полотенца, макинтош коленкор» представлены в объявлении «Английского магазина» «Moison de Confiance»³, в котором для привлечения потенциального покупателя подчеркнуто, что этот товар продается «на 25-50 процентов дешевле, чем в другом каком-либо магазине», а «если кто-то иногородний выпишет товар до 1000 рублей, то не платит ничего за его отправку». Магазин предлагает покупателю и грузинский чай – здесь нет прямого призыва, что хочешь-не хочешь, а надо приобретать «наш чай», однако фразой, вставленной в виде совета – «Сравни наш чай с московским чаем» указывается, что предпочтение должно быть отдано «нашему», потому что он обойдется намного дешевле «московского чая».

Объявления постепенно приобретают прагматическую целенаправленность рекламного объявления – практически во всех объявлениях указанного периода объект преподносится таким образом, что на передний план выдвинуты его достоинства, а для усиления к нему интереса время от времени объявляются скидки и льготы определенного вида.

К концу XIX века «объявление» перемещается с последней страницы газеты на первую, и в его тексте появляются и другие признаки и свойства – весьма часто включен призыв к приобретению предложенной продукции, при общей характеристике которой приведены аргументы, свидетельствующие о его новизне, необыкновенности и оригинальности – с первой страницы газеты «Иверия» не сходит реклама «масляных красок», продукции завода А.А. Тутаева⁴, которая привлекает внимание как оформлением (наряду с продукцией завода проиллюстрированы золотые и серебряные медали, полученные на различных выставках), так и текстом, согласно которому завод не имеет равных «ни в Тифлисе, ни во всем Картли-Кахети».

Рекламные объявления газеты «Цнобис пурцели (Справочный лист)» проиллюстрированы на высоком полиграфическом уровне. Почерк профессионала чувствуется в композиции текста объявления, в форме и стиле его подачи. С этой точки зрения интересно объявление С.И. Лазаришвили⁵, которое, в первую очередь, привлекает внимание обращением к конкретному адресату – «к сведению виноградарей» и заголовком, выделенным крупным, жирным шрифтом –

¹ «Тпилисис уцкебани (Тифлиссские ведомости)» №1, 1932

² «Кавкасиис мхарета уцкебани (Ведомости Кавказского края)», №11, 1845.

³ „Дроеба (Время)“ №36, 1884.

⁴ «Иверия» №139, 1897

⁵ «Цнобис пурцели (Справочный лист)» №511, 1898.

«Аппараты Вермолера». С целью привлечения интереса потребителя в тексте заострено внимание на том, что аппарат «сделан и усовершенствован на месте», а для предотвращения фальсификации в заявлении включено предостережение С.И. Лазаришвили: «Просим обратить особое внимание: на сделанном мной аппарате вырезана следующая надпись: Механическое Водопроводное Заведение С.И. Лазарева».

Для усиления интереса потребителя в заключительной фразе объявления специально подчеркивается, что «цена доступна для всех» и по сравнению с изделиями других стран у него есть то преимущество, что «он более устойчивый и выносливый». Для того, чтобы убедиться в реальности этих достоинств и добиться доверия потребителя, в конце объявления говорится: «В чем прошу всех удостовериться». Эта вроде бы трафаретная фраза направлена на психологическое воздействие на потребителя и представляется даже в виде определенного подстрекателя.

В начале XX века ареал рекламы значительно расширяется. Следовательно, ее тематика также становится более разнообразной. При рекламе медикаментов появляется новая деталь – аннотация препарата. В рекламу различной продукции включаются предостерегающие фразы: «Остерегайтесь, не совершите ошибку!», «Будьте осторожны!», «Обратите внимание...» и др.

Привлекает внимание и с удовольствием читается объявление о хорошо всем знакомых водах «Митрофанэ Лагидзе и тов.»¹, в котором идет разговор о полезных свойствах напитка, «приятном вкусе и запахе», о «больших золотых и серебряных медалях», полученных «за наилучшие достоинства воды». В конце его безопасность удостоверяется специальным разрешением, полученным от соответствующей инстанции: «Признана безвредной лечебным управлением Тифлисской губернии (№5792)». Объявление оформлено фирменным знаком.

Согласно газетным рекламам начала 20-х годов, существовал весьма широкий выбор услуг по отдыху, развлечению, путешествиям, медицинских и другого вида услуг: 18 июля 1922 года желающие приглашаются на «Открытие «Химериони» (бывшего «Анона») под театром Руставели»,² обеспеченный всем необходимым пароход «Далмация» предлагает круиз любителям путешествий: «Констант., Бриндиз., Триест и Венеция»,³ а батумский электротئاتр «Триумф», «оснащенный на зиму американской системой, уютный и теплый», «только для взрослых» устраивает «Представление Юрия Нагорного, оболстителя женских сердец»⁴ и т.д.

Жизнь словно бы течет в обычном беззаботном ритме, однако место для коммерческой рекламы на страницах газет постепенно ограничивается, и происходящие в Грузии 20-х годов коренные социально-политические сдвиги отражаются и на рекламе. Об этом свидетельствует рекламное объявление новой политической газеты «Муша (Рабочий)», напечатанное на страницах газеты «Комунисти»⁵, в котором редакция не только сообщает «товарищам рабочим» о своих будущих планах, но и предлагает сотрудничество и призывает: «Без стеснения бичуйте тех, кто мешает нам в общей работе. Эти рыцари как божьего гнева боятся появиться на дневной свет. Их разоблачение на страницах газеты помешает им в осуществлении недобрых намерений, обломает крылья их губительной деятельности» – этот истинный продукт большевистской идеологии точно соответствует специальным директивам власти Советов: «Советская реклама существенно должна отличаться от капиталистической рекламы и ей у нас должен быть дан совершенно другой путь развития, чем в капиталистическом мире» (1,99). Именно на основании этого указания была создана абсолютно оригинальная разновидность рекламы, о которой мы уже говорили в начале.

¹ «Теми (Община)». 26 января, 1915.

² «Бахтриони» №4, 1922.

³ «Батумис цховреба (Жизнь Батуми)», №5, 7 января 1921

⁴ «Батумис цховреба (Жизнь Батуми)», №7, 14 января 1921

⁵ «Комунисти» 17 ноября 1922.

Что касается периода до советизации, на основании проведенного исследования можно сказать, что с 20-х годов XIX века на протяжении одного века грузинская газетная реклама была настолько усовершенствована, что к 20-м годам прошлого века композиция текста некоторых реклам, методы и средства, использованные для подачи потребителю информации о рекламируемом объекте и для психологического воздействия на него, даже приближаются к сегодняшним стандартам. При их прочтении мы еще раз убеждаемся в том, что реклама «это популярное дитя искусства и ремесла» (4,23), один из интересных образцов «словесного творчества» (5,8).

Литература

Григолава 1972 : В. Григолава, Реклама и психология. Тб., (на груз. яз.).

Махарашвили 2001: Э. Махарашвили, В Тбилиси пройдет фестиваль международной рекламы Кавказа. Газ. «Квирис палитра». 17-23 сентября (на груз. яз.).

Грузинская советская энциклопедия 1984: Грузинская советская энциклопедия. т. 8. Тбилиси (на груз. яз.).

Чачанидзе 2000: М. Чачанидзе, Реклама, как социальный феномен. Журн. «Бурджи эрвнебиса (Оплот национальности)», №12. с. 22-24 (на груз. яз.).

Хахутайшвили 1998: Т. Хахутайшвили. Структурные и семантические особенности языка газетной и телевизионной рекламы (Автореф. докт. дис.), Тбилиси (на груз. яз.).

T. Mgebrishvili (Tbilisi)

To the history of Georgian newspaper advertisement. II

Summary

On the basis of analysis of newspaper advertising text samples the process of this kind of advertisement's establishment and development in Georgia from the 20's of the 19th century to the 20's of the 20th century inclusive is represented consistently.

It is established on the basis of carried out research that Georgian newspaper advertisement has been so improved over the mentioned period of time that in the 20's of the last century the composition of some advertising texts, as well as the methods and means used for the supply the consumer by information on advertised object and for psychological impact on a consumer, even closer to today's standards.

ქ. სიხარულიძე (თბილისი)

კავკასიელთა ფოლკლორის საერთო სიუჟეტები

კავკასიის ხალხთა ზეპირსიტყვიერების ბევრი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ არსებობდა ე. წ. კავკასიური სუბსტრატი, რამაც განაპირობა ფოლკლორული სახეების ერთგვაროვნება ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოში მოსახლე ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში. ისინი გულისხმობდნენ იბერიულ-კავკასიური მოდემის ხალხთა ერთიან ფონდში ოდესღაც ჩამოყალიბებულ სახეებსა და სიუჟეტებს, რომლებიც ამა თუ იმ სახით დღემდე შემორჩა მათ შემოქმედებას.

ერთიანი ენობრივი სუბსტრატის არსებობას აღიარებდნენ ლინგვისტებიც, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ავტორიტეტულ სკოლას. ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური კულტურების შესწავლის საფუძველზე არქეოლოგები ემხრობიან აქ მოსახლე ტომთა კულტურების ერთობასა და მემკვიდრეობითობას ანუ აბორიგენი მოსახლეობის უწყვეტ მკვიდრობას ამ ტერიტორიაზე. ამას მხარს უჭერს ანთროპოლოგთა მიერ კავკასიის ტერიტორიაზე გამოვლენილი ერთიანი და ავტოქტონური კავკასიური ანთროპოლოგიური ტიპი, რომელსაც ცნობილმა მეცნიერმა გ. დებეცმა უწოდა „ყველაზე კავკასიური კავკასიურ ტიპებს შორის“.

ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება მატერიალური კულტურის ფორმების გარკვეული ერთობა და ტრადიციული სიმყარე, იგულისხმება საცხოვრებლების ტიპები, სახლთმშენებლობის ხერხები, ყოფითი გარემო, შრომის იარაღების ფორმები, ტანსაცმლის ტიპები, სამკაულები, ორნამენტები და ა. შ.

ჩრდილოეთ კავკასიის ძველი ისტორიის მკვლევარი ცნობილი არქეოლოგი ე. კრუპნოვი თვლიდა, რომ კავკასიაში უძველეს ხანაში არსებობდა კულტურული და ეთნიკური ერთობა, რომლის დაშლის დასაწყისი (განცალკევებული ლოკალური ვარიანტების გამოყოფით) მოდის ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ან ბოლო პერიოდზე (კრუპნოვი 1963: 8).

ყველა ეს მონაცემი საფუძველს უმაგრებდა იმ აზრს, რომ იბერიულ-კავკასიური ტომების ერთობა უნდა ასახულიყო მათ მითო-რელიგიურ წარმოდგენებშიც. ეს დაადასტურა კიდევ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მონაცემების კვლევამ. რაც მთავარია, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალ ხალხებში აშკარად გამოიკვეთა უძველესი მსოფლმხედველობრივი და შესაბამისად, კულტურული ერთობა, რომელიც გამოიხატა მათ ფოლკლორულ შემოქმედებაში, ეთნოგრაფიაში, ენასა და მატერიალური კულტურის ძეგლებში.

ფოლკლორული მასალის შედარებითმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ ზოგ შემთხვევაში ქართული და ჩრდილოეთ კავკასიური მასალა ურთიერთშემავსებელია ანუ ნაკლები ტექსტების ცარიელი ან გაუგებარი ადგილების ლოგიკური მთლიანობის

აღდგენა ხერხდება მეზობელი ხალხის ანალოგიური ტექსტების საფუძველზე. ასეთი მაგალითები მრავლად მოიპოვება კავკასიელთა ფოლკლორში, აქ კი შევეხებით მხოლოდ ორიოდ სიუჟეტს.

გველეშაპის ძალას ნაზიარები გმირები

გველეშაპი ზეპირსიტყვიერების მეტად საინტერესო პერსონაჟია. იგი გველის მითოლოგიური სახის განვითარების შედეგად არის ჩამოყალიბებული, ამიტომ სიმბოლიკითა და ფუნქციით ის არსებითად გველის იდენტურია, მაგრამ ეს მისი ერთ-ერთი და არა ერთადერთი ასპექტია. გვიანდელ ტრადიციაში იგი უპირატესად ნეგატიური ნიშნით დამკვიდრდა, როგორც წყლის მფლობელი, რომელიც მსხვერპლის გარეშე არ უთმობს წყალს ადამიანებს. ეს შედარებით გვიანდელი ვერსია ინდოევროპულ მოდელს შეესაბამება. უფრო ადრინდელ მითოლოგიებში გველეშაპი, როგორც წყლის მფლობელი და განსახიერება, სიცოცხლის ენერჯის მატარებელი იყო. მისი სინკრეტული ბუნებიდან გამომდინარე, იგი სხვადასხვა სფეროს ცოდნას განსახიერებდა, ამიტომ მასთან ნაზიარები გმირები ფიზიკურ ძალასთან ერთად სიბრძნესაც იღებდნენ. ეს არის უნივერსალური მოტივი, რომელიც რუდიმენტების სახით შემორჩა სხვადასხვა ხალხის მითო-პოეტურ შემოქმედებასა და სახვითი ხელოვნების ნიმუშებს (სიხარულიძე 2006:180).

გველეშაპს ხანგრძლივი მითოლოგიური ბიოგრაფია აქვს, იგი სტადიალურ ცვლილებებს განიცდიდა და დამოკიდებულებაც მისდამი განსხვავებული იყო. კავკასიელთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალა ინახავს ამ დანაშრევებს. კავკასიის ხალხთა ფოლკლორში გველეშაპი მრავალფეროვან სახეს წარმოადგენს და პერსონაჟთა დამოკიდებულებაც მისდამი სხვადასხვაგვარია. არიან როგორც გველეშაპთან მეზობელი, ისე მის ძალას ნაზიარები გმირები. ამჟამად ყურადღებას შევაჩერებთ ქართულ გადმოცემაზე თორღვას შესახებ, რომლის ნაკლულ და ბუნდოვან ადგილებს ნათელს ჰფენს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორში შემორჩენილი ძეგლები.

ქართული ტექსტებს აქვთ როგორც პოეტური, ისე პროზაული ფორმა. მათში მოთხრობილია თორღვას მისტიური თავგადასავალი. სანადიროდ წასული თორღვა ჯიხვმა გაიტყუა ყინულოვანი მწვერვალებისკენ. ნაპრალში ჩავარდა და დაიღუპებოდა, გველეშაპს რომ არ გადაერჩინა, რომელიც იქ იწვა. ალოკინებდა ქვას, რომელიც გმირს კვებად და კიდევ ათბობდა. ისინი დამძობილდნენ და გველეშაპმა თორღვას მაგიური ჯაჭვის პერანგი აჩუქა, რამაც იგი უძლეველი და დაუზიანებელი გახადა. მაგრამ ამას ახლდა პირობა: მფლობელს გაუხდელად უნდა სცმოდა პერანგი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოეშორებინა. თავის ძალას თორღვა მომხდურების წინააღმდეგ იყენებდა, ე. ი. გველეშაპის მაგიური საჩუქარი გარკვეულ პასუხისმგებლობასაც აკისრებდა მფლობელს. მაგრამ თორღვამ დაარღვია აკრძალვა. მდინარესთან გაიხადა ჯაჭვის პერანგი, რომელიც გველივით გასრიალდა, წყალში გაუჩინარდა და თორღვას სასიცოცხლო ძალაც გაიყოლა. ამიტომ ყველაზე სუსტმა, შვიდ წელს ნაავადარმა კაცმა ჩონთამ ადვილად მოუღო ბოლო. მას მოსდევს ფრაზა: “ძმობილის მოღალატესა ღმერთმ გიყვა სამართალია!” იგი ბუნდოვანია, რადგან ტექსტებში არ არის მინიშნება ღალატზე ან სხვა მსგავს რამეზე, რასაც უნდა გამოეწვია ეს სიტყვები. ნაკლული ადგილის შევსება შესაძლებელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორის მონაცემებს. ყაბარდოელი მაშუკა და ყარაჩაელი შაუაი თორღვას მსგავსი ბიოგრაფიის მქონე პერსონაჟები არიან. ისინიც პატარაობაში მოხვდნენ ყინულოვანი მწვერ-

ვალის ნაპრალში, სადაც გველეშაპი ალოკინებდა ჯადოსნურ ქვას, თავისი რძით გამოზარდა და არაჩვეულებრივი ძალა მიანიჭა.

ყაბარდოული თქმულების გმირი მაშუკა ბავშვობაში მთაზე ნახა მწვემსმა. იგი ისეთი მხურვალე იყო, რომ მწვემსს ხელები და წარბები დაეწვა. ბავშვი რომ აიყვანა, მისი სიმხურვალე მაშინვე გადავიდა მიწაში, საიდანაც ცხელი წყაროები წამოვიდა. მაშუკაც გველეშაპის გაზრდილი იყო, როგორც ყარაჩაელი გმირი შაუაი, ქაჯი ქალისა და ადამიანის ნაშიერი. დედას უნდოდა მისი გადაყლაპვა, მაგრამ მამამ გააპარა. როცა იალბუხის მთაზე მიჰქროდა, ბავშვი ნაპრალში ჩაუვარდა (ზოგი ვარიანტით, მამამ თვითონ მიაბარა მთას შვილი). შაუაი გველეშაპმა სარუბაქმა გაზარდა, მისცა თევზის თვალი, რომელმაც გამოკვება ბავშვი და ძალა მიანიჭა. გველეშაპმა აჩუქა თავისი გაკეთებული ჯავშანი. როცა ჭაბუკმა ჩაიცვა იგი, მაშინ მიეცა სახელი გენჯაკეშაუაი (მრისხანე შავი ჭაბუკი). ძალამომატებულმა შაუაიმ მოკლა გამზრდელი გველეშაპი, რადგან ხალხის თქმით, ის მთელ წყალს სვამდა და მიწას აშრობდა. ყარაჩაელები ამბობდნენ, სარუბაქის ნასუნთქისგან ქვებიც სკდებაო (მასალათა კრებული 1881: 7).

თორღვა და შაუაი ერთი ტიპის პერსონაჟები არიან, ამიტომ ყარაჩაული გადმოცემის მიხედვით შეიძლება ქართული ლექსის ბუნდოვანი ფრაზაც განიმარტოს. დავაჟაკეშაულმა და ძალამომატებულმა შაუაიმ მოკლა თავისი გამზრდელი გველეშაპი. სავარაუდოა, ქართული თქმულების ადრინდელ ვარიანტში თორღვა ასევე უმადურად მოექცა თავის გადამრჩენ ძმობილს. მაშინ უკვე გასაგები ხდება, თუ რატომ მიმართავს მთქმელი დასჯილ თორღვას ნიშნისმოგებით.

შეიძლება სავარაუდო არქეტიპული სიუჟეტის სქემის ძირითადი ეპიზოდებიც წარმოვიდგინოთ: მთის მწვერვალზე ნაპრალში წევს გველეშაპი, რომელიც ზრდის მასთან მოხვედრილ გმირს, აძლევს ძალას, ღვთაებრივ საჩუქარს. შემდეგ, რაღაც გარემოებათა გამო, შვილობილი დაღატობს თავის გამზრდელს და კლავს მას, რისთვისაც ისჯება. როგორც ჩანს, გველეშაპის მოკვლა მხოლოდ მის ძალასთან ნაზიარებ გმირს შეუძლია. ამ არქეტიპის გვიანდელი ვარიანტიაა ღვთისნათლული (ანუ ღმერთის შვილობილი) ამირანის ამბოხი ღმერთის წინააღმდეგ.

აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველად კავკასიაში არსებობდა ერთი ძირითადი სიუჟეტი გველეშაპისა და მისი მემამბოხე შვილობილის შესახებ, რომლის ვარიანტების ფრაგმენტები შემორჩა ქართულ და ყარაჩაულ ფოლკლორს.

მაქცია ქალები ოჯახში

კავკასიურ ფოლკლორში გვხვდებიან ზებუნებრივი პერსონაჟები, რომლებსაც შეიძლება გარდამავალი სახეები ვუწოდოთ. მათ ვერ მივაკუთვნებთ ერთმნიშვნელოვნად ღვთაებების ან ავსულების რიგს, თუმცა ორივე ტიპის ნიშნები გააჩნიათ. ესენი არიან მდედრობითი სქესის არსებები, რომლებიც “გარე” სკნელში ბინადრობენ, მაგრამ ამავე დროს მუდმივად ცდილობენ ადამიანთა “შინა” სივრცეში შეღწევას. საამისოდ კი მამაკაცებთან ამყარებენ სატრფიალო ურთიერთობას და ამ გზით ახერხებენ მოკვდავთა სამყაროსთან მიახლოებას. მათთვის არ წარმოადგენს დაბრკოლებას ის ფაქტი, რომ კაცი შეიძლება დაქორწინებული იყოს. პირიქით, მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი უფრო ხშირად სწორედ ცოლიანებს ირჩევენ და როგორც ჩანს, ამას თავისი დატვირთვა აქვს. ეს ქალები არაჩვეულებრივად ლამაზები არიან მანათობელი სხეულითა და მშვენი-

ერი გრძელი თმით. ამ და სხვა ნიშნებით ისინი დალს მოგვაგონებენ, რომელსაც ასევე სასიყვარულო კავშირი აქვს მონადირესთან.

კავკასიელთა ფოლკლორში ამ თემაზე საკმაოდ მდიდარი მასალა მოიპოვება და სიუჟეტური ქარგა ყველას საერთო აქვს, თუმცა ქართული მასალა უფრო სრულყოფილად არის წარმოდგენილი, ჩრდილოეთ კავკასიაში დაფიქსირებული ტექსტები შედარებით ნაკლებია და მათი შევსება ქართული ფოლკლორის მონაცემებით ხერხდება.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ამ ტიპის პერსონაჟები არიან ტყის დედოფალი (მეგრ. ტყაშმაფა), ხევსურულ გადმოცემებში სამიძმარი, თუშურ ზეპირსიტყვიერებაში თებუორიკა და სხვა. ტყის დედოფალი (ტყაშმაფა) ტყეში ხვდება მამაკაცს და მოითხოვს მისგან სიყვარულს. უარის თქმა დაღუპავს კაცს, ამიტომ იგი ხმის ამოუღებლად, თითების მოშველიებით ევაჭრება (ხმა თუ ამოიღო, გაგიჟდება) და ერთ წლამდე დაჰყავს მასთან გასატარებელი დროის ხანგრძლივობა. ხშირად ამ სატრფიალო ტყვეობის გამო მას ეკრძალება სხვა ქალებთან ურთიერთობა, თვით კანონიერ ცოლთანაც. მათი პაემნები სოფელში, მამაკაცის სამოსახლოში გრძელდება. თუ დათქმული ვადის შემდეგ სატრფოები მშვიდობიანად დაცილდნენ ერთმანეთს, ტყის დედოფალი სიკეთითა და სიუხვით აჯილდოებს კაცს და მის ოჯახს. საზოგადოდ, ამ რიგის პერსონაჟთა დამახასიათებელი ნიშანია არაჩვეულებრივი ნაყოფიერება და სიუხვე. ოჯახში თავისი ნებით შესულები მონდომებით დიასახლისობენ (განსხვავებით ფრჩხილებდაჭრილი ძალით დამონებული ბოროტი არსებებისაგან, რომლებიც იძულებით საქმიანობენ სახლში). ისინი სწრაფად და ხარისხიანად აკეთებენ იმდენ საქმეს, რასაც ჩვეულებრივი მოკვდავი ვერ მოერგვა. შეიძლება ითქვას, რომ ასე უხდინა ცოლს საფასურს ქმრის წართმევისთვის. ამავე დროს სწორედ ამგვარი საქციელით წარმოაჩენენ თავიანთ ზებუნებრივ არსს.

დაღესტანში მცხოვრებ ლაკებს აქვთ გადმოცემა ე.წ. დემონოლოგიურ პერსონაჟებზე. მათგან ერთს ჰქვია მანთული, მეორეს – სუხალუხუ. მათ ძონძები აცვიათ და უვარგისი მასალისგან დამზადებული მძივი უკეთიათ. სინამდვილეში ეს მძივი ძალიან ძვირფასია, მაგრამ ადამიანებს ეჩვენებათ ასეთად. ორივენი თავისი ნებით მიდიან ოჯახში და შეაქვთ სიმდიდრე. მანთულიცა და სუხალუხუც გასაოცარი სისწრაფითა და სიუხვით აკეთებენ დიასახლისის საქმეს (მითოლოგია 1984: 111). ლაკურ გადმოცემებში აღარ ჩანს ამ ქალების ურთიერთობა ოჯახის მამაკაცებთან და ამიტომ გაუგებარია მათი ასეთი მონდომება, მაგრამ ანალოგიების გათვალისწინებით ეს ნაკლები დეტალი ადვილად აღდგება.

ყუმისური გადმოცემით, ქაჯმა ქალმა ალბასლიმ დაიახლოვა მონადირე ბადაი. ისინი კაცის სახლში ხვდებოდნენ ერთმანეთს. გამდიდრდა ბადაი, უზარმაზარი სახლი აიშენა, მაგრამ ეს არ ახარებდა მის ახალგაზრდა ცოლს. იგი ვერ ხვდებოდა, მის მაგივრად ვინ აკეთებდა სახლში საქმეს. მერე კი ნახა, რომ ეს იყო მშვენიერი ალბასლი. ტექსტი ნაკლებია, რადგან აქ წყდება, მაგრამ ქართული მასალის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ როგორი იქნებოდა მისი ფინალი.

ამ მაქცია ქალების ურთიერთობას მამაკაცებთან შეიძლება ჰქონდეს როგორც კეთილი, ისე ტრაგიკული დასასრული. ეს ხშირად დამოკიდებულია ოჯახის დიასახლისის გამჭრიახობაზე ან უფრო სწორი იქნება იმის თქმა, რომ შედეგი დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა დიასახლისი ნაზიარები ამ საზოგადოების ტრადიციასა და წესჩვეულებებს. თუ ქალმა იცის, როგორ მოიქცეს, მაშინ მისი ქმრის სატრფო სიკეთესა და ბარაქას უტოვებს ოჯახს. მთავარი პირობა საიდუმლოს შენახვაა (როგორც დალისა და მონადირის ურთიერთობაში ანუ საკრალურია ეს კავშირი და იგი მხოლოდ განდობილთა

წრისთვისაა ცნობილი ისევე, როგორც ნებისმიერი მისტერია) და მისი დაცვა სწორედ დიასახლისს ეკისრება. ოჯახის წევრების გარდა, სხვამ არ უნდა იცოდეს ამ კავშირის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამბავი სავალალო შედეგით მთავრდება. სანიმუშოდ ერთ ლაკურ ტექსტს მოვიხმობ, რომლის დასასრული ტიპიურია ამ რიგის გადმოცემებისთვის. სოფელ ახარში (დაღესტანში) ცხოვრობდა ერთი ქალი, სახელად ბათი. სანამ ის მინდორში მუშაობდა, ოჯახის მთელ საქმეს სუხალუტუ აკეთებდა. მართალია, ტექსტში არ არის ახსნილი სუხალუტუს მონდომების მიზეზი, მაგრამ ქართული ანალოგიების მიხედვით იგულისხმება, რომ იგი ბათის ქმრის სატრფო იყო. დიასახლისმა მეზობელთან გათქვა საიდუმლო, სუხალუტუმ კი აკვანში დაუხრჩო ბავშვი (მითოლოგია 1984:172).

თუ ადამიანი უგუნურად იქცევა, ნაძალადევი სტუმარი უნადგურებს შთამომავლობას და აპარტახებს ოჯახს. გადმოცემებში კეთილი დასასრულის შესახებაც არის მოთხრობილი. როცა საზრიანი ქალი ხედავს თავის ქმართან მწოლიარე არსებას, რძეში ბანს მის ღამაზე გრძელ თმებს. ამ შემთხვევაში მაღლიერი სტუმარი თავს ანებებს მამაკაცს, ოჯახს კი ბარაქიანობას უტოვებს. ასე რომ, ჭკვიანი ცოლი ქმარსაც იბრუნებს და ოჯახის კეთილდღეობასაც აღწევს.

ყველა ეს პერსონაჟი ამჟღავნებს ნაყოფიერების ღვთაების ნიშნებს, ამიტომ, როგორც ღვთაება, ის შეიძლება კეთილიც იყოს და განრისხებულაც იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევიან ადამიანები. ისინი ასევე ჰგვანან ოჯახის მფარველ სულებს, ფუძის ანგელოზებს, რომლებიც ნაყოფიერების ქალღმერთის ემანაციებს წარმოადგენენ. სახლში შესული ზოგი მათგანი პურის შესანახ კიდობანთან ცხოვრობს. ამის დასტურია მათი ხელხვაიანობა და ის, რომ მამაკაცთან მშვიდობიანი განშორების შემდეგ მათ ოჯახებს სიმდიდრით ავსებენ. არსად არ არის მინიშნება, რომ ეს სიმდიდრე რაიმე ხიფათის შემცველი იყოს ადამიანებისთვის. ეს არის საჩუქარი პატივისცემისა და სწორი მოპყრობისათვის.

